K 182 383

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოკაირო ტაიკურითი

ქალაქი ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქიერ ხაიქუროთი

ქართველიანი ქალი

გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა“
ბათუმი
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

И (Турец.)
Ь-18

ფაქირ ბაიქურთი თანამედროვე პროგრესული თურქი მწერალია. მისი შემოქმედება საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობების კრებულები, სქელტანიანი რომანები. სულ დღემდე გამოცემული აქვს 25 წიგნი, რომელთაგან, ორი, რომანები—„გველთა შურისძიება“ და „მეათე სოფელი“ თარგმნილია რუსულ ენაზე.

ფ. ბაიქურთი, ეგრეთწოდებული, სოფლის მწერალია. მისი ნაწარმოებების უმეტესობა მიძღვნილია თანამედროვე თურქული სოფლის, ღარიბი გლეხობის, უმიწაწყლო, ბოგანო ხალხისადმი. ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს თურქულ სოფელს, მის წინაშე მდგარ სიძნელეებს და თავისი შემოქმედებით ცდილობს, როგორმე მიაქციოს თურქული საზოგადოების ყურადღება ამ მწვავე სოციალური პრობლემისადმი.

ბაიქურთის მოთხრობების კრებული „ჰორფლიანი ქალი“ ქართულად პირველად იბეჭდება.

К182,383

თურქულიდან თარგმნა **იბრაიმ გორაძემ**

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

© გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1980

70302-029
Ь ——————— 28—1980
М 621(08)80

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუჯა

სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და სტამბულში მოხვდა. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მშობლები ყოველდღე ელოდნენ მის დაბრუნებას, მაგრამ იგი აღარ დაბრუნებულა. კვალსაც ვერსად მიაგნეს. არც თავად გამოჩნდა და აღარც წერილი მოუწერია.

წავიდა და აღარ დაბრუნდა. „სტამბულმა გადაყლაპა იგი!“ — თქვეს და ნელ-ნელა მიივიწყეს. მხოლოდ მშობლებს ახსოვდათ და არ ივიწყებდნენ. შვილზე დარდით დაავადმყოფდნენ. სტამბული ძალიან შორს იყო და იქ წამსვლელი და მომძებნელი არავინ აღმოჩნდა. გავიდა რამდენიმე წელიწადი. მშობლებმა მისი დაბრუნების იმედი გადაიწყვიტეს.

და, აი, ერთ დღეს, მოულოდნელად, როცა უკვე აღარავინ მოელოდა, მოვიდა იგი, მოადგა მშობლიური სახლის კარს. ვერც ერთმა მეზობელმა ვეღარ იცნო. ჯარში რომ წავიდა, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, ახლა კი გასუქებული დაბრუნდა; რომ წავიდა, დაკერებული ტანსაცმელი ეცვა, ახლა ბეგვით გამოწყობილი დაბრუნდა: ძვირფასი კოსტიუმი, ფეხსაცმელი, პერანგი, ცილინდრი. ლაპარაკიც სხვანაირი ესწავლა — ქალაქური, სტამბულური: „პარდონ“, „ძერსი“,— სულ ამ სიტყვებს ურთავდა საუბრისას. მოკლედ, ყველაფრით შეცვლილიყო, მხოლოდ ეს იყო, სიმაღლე არ მომატებოდა, როგორი ჯუჯაც წავიდა, ისეთივე ჯუჯა დაბრუნდა.

მარტო არ დაბრუნებულა — ცოლი და ორი ქალიშვილი ახლდა. ცოლი ლამაზი ქალი იყო, მაღალი, აშოლტილი, ქერა და ლურჯთვალება. გოგონები დედას ჩამოგავდნენ. ერთი შვიდი წლისა იქნებოდა, მეორე კი ხუთისა. შვილებს, მხოლოდ და მხოლოდ ცხვირი ჰქონდათ მამის, ვეება, უშნო ცხვირი.

მშობლებმა სიხარულისაგან აღარ იცოდნენ რა ექნათ. ხან დიდი ხნის უნახავ შვილს ეხვეოდნენ, ხან რძალს, ხან შვილიშვილებს.

ჯუჯას მამა ალი შეძლებული კაცი იყო, მიწების პატრონი.

საკუთარი წისქვილი ჰქონდა და ცხვრის ფარა ჰყავდა. შვილის ჩამოსვლა ისე გაუხარდა, ღმერთს სამი წლის აქლემი [illegible]რა. მისი დაბრუნების აღსანიშნავად გაყოფილმა ძმებმაც გამოიდეს თავი და თითო-თითო ცხვარი შესწირეს ღმერთს.

პირველ ხანებში სტამბულელი ქალი ჩუმად იყო, მერე კი აწუწუნდა:

— რა სიბინძურეა აქ, რა წვირია, როგორი მტვერი, ის დამესვარა, ეს გამიფუჭდა! — ხშირად შესჩიოდა იგი ქმარს.

მისმა წუწუნმა სიცოცხლე გაუმწარა ჯუჯა-მუხამედს.

სტამბულში, მუსტაფა-ფაშას უბანში საკუთარი სახლი ჰქონიათ. მუხამედს დურგლობა ესწავლა, კარგადაც დაუფლებია საქმეს და ფულსაც კარგად აკეთებდა. კარგადაც ცხოვრობდნენ იქ, იყვნენ წყნარად, თავის ჭკუაზე. მაგრამ ერთხელ მუხამედი ასეთი ოცნებისა:— წავიდეთ, მშობლები ვნახოთო, დაუჩემებია. ქალს უარი განუცხადებია, მაგრამ მუხამედს ბოლოს თავისი გაუტანია. სოფელში წამოსულან. რომ მოვიდნენ, კარგი ქნეს, მაგრამ სტამბულელი ქალი ვერაფრით ვერ შეეგუა სოფელს. ბოლოს შეუჩნდა ქმარს: — ავდგეთ, წავიდეთ სტამბულში, ხომ მოვედით სოფელში, ხომ მოვინახულეთ შენი მშობლები? მერე ისევ ჩამოვალთ და მოვინახულებთ, ყოველ ორ წელიწადში ამოვიდეთ და ვნახოთ, მეტი რა უნდათ?

ჯუჯა-მუხამედს სისხლი გაუშრო ცოლის გაუთავებელმა წუწუნმა. უკარება და გულჩათხრობილი გახდა. ცოლი უყვარდა, პატივსა სცემდა, მაგრამ მშობლების მიტოვება და სტამბულში დაბრუნება ეძნელებოდა.

— მამაჩემს იმდენი მიწები აქვს, ჩემისთანას ბარე ცხრას ეყოფა. რა დაგრჩენია იმ სტამბულში? თუ იქაურ ვარდს აქაურზე უფრო უკეთესი სუნი აქვს?

— რად მინდა აქაურობა? წინ შეშა, უკან ფიჩხი, ორ მთას შორის, ხევი! ჩაემწყვდიე აქ და იყავი სიკვდილამდე!.. არა, წავიდეთ სტამბულში!..

კაცმა რომ თქვას, ემინე-ხანუმი არ იყო ცუდი ქალი, ქმარი უყვარდა, შვილებსაც კარგად უვლიდა. მისი უბედურება ის იყო, რომ სოფელს ვერ იტანდა და სტამბულზე დარდობდა. ბოლოს სულ წაუხდა ხასიათი, უკარება და გულჩათხრობილი გახდა. დასუსტდა, დარდისაგან ჩამოხმა.

— ეს ქალი არ შეგერთო კარგი იქნებოდა! — უთხრა ერთ დღეს მამამ ჯუჯას, — მაგრამ რახან შეგირთავს, რაღა უნდა ქნა აწი? ახლა ზედმეტია ლაპარაკი. ვიცი მე, ეს ქალი აქ ვერ გაჩერდება, მთის ჩიტს მთა უყვარს, ველისას კი ველი! წაიყვანე შენი ცოლ-შვილი და წადი სტამბულში. ხანდახან თუ ამოხვალ და მომინახულებ, მადლობელი ვიქნები.

დედა კი სულ სხვანაირად უკრავდა: — ამ სოფელში

შენი შესაფერისი ქალი არ ინახებოდა ვიოთმ, ის რომ შენი თე? ენას არ იღებს, არ ლაპარაკობს, უეწოა თუ ავადმყოფი, ვერ მიხვდება კაცი. დაანებე თავი, სოფლის ბოლომდე მიყვევი, ერთიც მიბეგვე და გაუშვი. თუ უნდა, წავიდეს თავის სტამბულში, შენ კი აქ დარჩი. ჩვენ მოვხუცდით, მარტოდ ვერ გავჩერდებით, შენი ძმები ცალკე ცხოვრობენ, თავიანთი ოჯახები აქვთ და ჩვენთვის არა სცალიათ... ბავშვებს თუ წაიყვანს, შენ ნუ იდარდებ, წაიყვანოს. მაგით ფესვი არ გაგიხმეა შენ, დაგაქორწინებთ აგერ და ორ წელიწადში ორი შვილი გეყოლება ახალი ცოლისაგან. შენ ოღონდ ბავშვი ინდომე და სოფლელი ქალი რამდენიც გინდა იმდენს გაგიჩენს!

ალბათ დედის წაქეზებით იყო და ძმები, ნათესავები და ახლობლები მიესივნენ საწყალ ჯუჯას: — გაუშვი ეს ქალი, სადაც უნდა იქ წავიდეს. დედის ხათრი არა გაქვს? ქალი რამდენიც გინდა იმდენი ინახება, დედას კი ვერ ნახავ. ნუ აწყენინებ მაგის გამო დედას!... დედაზე უფრო ძვირფასი და სანატრელი რა არის ამ ქვეყანაზე?

მუხამედი ითმენდა, ითმენდა, ბოლოს, ამდენი თხოვნით თავმობეზრებულმა გადაწყვიტა.

— აბა, გაემზადე, მივდივართ! — უთხრა ცოლს და დედას ცოლის უჩუმრად თვალით ანიშნა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენა გსურსო.

გზას გაუდგნენ. ემინე-ხანუმი დარწმუნებული იყო ქმარი დავიმორჩილეო და გამხიარულდა.

სადგურში ჯუჯამ ბილეთები აიღო, მატარებელი რომ ჩამოდგა, ცოლ-შვილი კუპეში დააბინავა და ცოლს უთხრა: — მატარებელი ჯერ კარგა ხანს არ გავა, ჩავალ, ტკბილეულობას და ხილს ამოვიტან და ამოვალო.

ცოლს საწინააღმდეგო აბა რა უნდა ჰქონოდა და დაეთანხმა.

ჯუჯა წავიდა. დრო გავიდა, მატარებელი დაიძრა, იგი კი მაინც არ ჩანდა. სანამ მატარებელი სადგურს კარგა მანძილით არ გასცილდა, ქალი ფანჯარას არ მოსცილებია. ეგონა, ქმარი მატარებელს ჩამორჩაო. მერე კარგა ხახს უცადა სტამბულშიაც, მაგრამ მუხამედი არ გამოჩენილა. იგი მხოლოდ დიდი ხნის მერე მიხვდა, რომ ქმარმა მოატყუა, მიატოვა და თავიდან მოიშორა.

სახლში დაბრუნებულმა ჯუჯამ ყველაფერი მოუყვა მშობლებსა და ნათესავებს.

ზოგიერთებმა მოუწონეს საქციელი: — აბა რა, დედა სულ სხვა რამეა! კაცი სადაც დაიბადა, იქ უნდა იცხოვროს, სტამბული რა შენი საქმეა? იყავი აქ, ხელობა გაქვს, გახსენი სახელოსნო და იმუშავე!

ზოგიერთებმა გაუმტყუნეს, არ მოუწონეს ცოლ-შვილის მიტოვება და გამოქცევა: — ეს რა საკადრისი საქციელია? დაბალი კაცისა გეშინოდესო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი!..

დედა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. მიზანს მიაღწია, ქალაქელ ქალს ჩამოაშორა, ახლა, ადგება და ერთ ქვრივ, მასავით დაბალ, ჯუჯა ქალს მიათხოვებს, შებოჭავს ასე და ძ ქე ეგდეა ძერე სოფელში. სახელოსნო? რა ჭირად უნდა სახელოსნო! მერედა, მის მიერ დამზადებული ავეჯი ვის რა ჭირად უნდა სოფელში? ვინ იყიდის მას?

დარჩა სოფელში ჯუჯა და დაიწყო ბოსლების, მიწური სახლების კარების შეკეთება და სხვა წვრილმანი საქმე. მალე გასაკეთებელი არაფერი იყო და დარჩა უსაქმოდ და უფულოდ, საკუთარ გულს ასკდებოდა, დარდს გულში იკლავდა, არავის ანდობდა თავის ხვაშიადს. ვერ იქნა და ცოლ-შვილი ვერაფრით დაივიწყა. მათზე დარდი არ აძლევდა მოსვენებას და გასაქანს. ძალიან წუხდა, რომ დედასა და ნათესავებს დაუჯერა, და ცოლ-შვილი მიატოვა.

სოფელში რომ დაებათ და სტამბულში წასვლაზე არ ეფიქრა, ცოლი შერთეს, მაგრამ ახალი ცოლი ისეთი არ გამოდგა, გული რომ გადაეყოლებინა და პირველი ცოლი დაევიწყებინა. ხმელი, ფიცარივით ქალი იყო, უშნოზე უშნო და უხასიათო. სად ის და სად პირველი ცოლი ემინე! ყოველ ღამით ხედავდა სიზმარში. რატომ მიგვატოვე, მოდი, გელით, გვიპატრონეო, თითქოსდა ეძახდა, თავისთან უხმობდა ემინე. სიზმრები გასაქანს არ აძლევდა. ბოლო ხანებში უძილობაც დასჩემდა.

მეორე ცოლისაგან ვაჟი შეეძინა. არ გახარებია, ზედაც არ დაუხედავს, თითქოსდა მისი არ იყო. გამუდმებით ემინე ედგა თვალწინ, მაგრამ ისიც ვერ გადაეწყვიტა, დაეკრა ფეხი, მიეტოვებინა ყველაფერი, ჩასულიყო სტამბულში და თავის ემინესა და შვილებს დაბრუნებოდა როგორც მეუღლე და როგორც მამა.

ერთ დღეს დამბლა დაეცა. ენაც ჩაუვარდა და კანკალი დააწყებინა. საშინელი სანახავი გახდა, მთელი სხეული ციებაშეყრილივით რომ აუცახცახდებოდა და რაღაცის სათქმელად ბლუკუნს დაიწყებდა, ძნელი იყო მასზე შეხედვა.

— აბა რა ეგონა. ემინე-ხანუმის ცოდვა არ გამოუწევდა? — ჩურჩულებდნენ მეზობლები, — მიატოვა ოქროსავით ცოლ-შვილი, ჩაიდინა ცოდვა და ესეც სასჯელი!

შინაურებს არც ხოჯა დაუტოვებიათ და არც ექიმი, რამდენი ნუსხა არ დაუწერეს, ყურანი უკითხეს, წამლები ასვეს, მაინც ვერაფერმა უშველა, ერთიანად დაჩაჩანაკდა, დაჩიავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაგლახაკდა საწყალი ჯუჯა, ცოლმა შვილი მიუგდო დასცინა
გან გათხოვდა. ამასობაში მამა მოუკვდა, დედა ლოგინად ჩა-
ვარდა და საწყალი მუხამედი უპატრონოდ, ღვთისანაბარად
მიგდებული დარჩა.

ხანდახან გაყოფილი ძმების ცოლები თუ გადმოუტანდნენ
სამადლოდ საჭმელს, ეს იყო და ეს. საცოდავ ჩაჩანაკს ემინე-
ზე ფიქრი და დარდი არ ასვენებდა.

როცა რომელიმე მეზობელი ქალი მოვიდოდა და დაე-
ლაპარაკებოდა, ჯუჯა საოცრად იცვლებოდა, ერთ ადგილზე
ვერ ისვენებდა, საშინელი ძაგძაგი აუტყდებოდა და ერთთავად
თვალებში შესციცინებდა მას. რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ
არ შეეძლო, ვერ ამბობდა და იტანჯებოდა. გამოთხოვებისას,
როცა ქალი წამოდგებოდა, ჯუჯა როგორღაც მოახერხებდა,
ჩაავლებდა აკანკალებულ ხელს მაჯაში და ზმუილს ასტეხდა:—
ახ...ეს...ო...ნე...ემ..:ინეე! — მერე თავს ჩაჰკიდებდა და ცრე-
მლი წასკდებოდა.

* * *

ზოგჯერ ჩემთან შემოივლიდა სკოლაში.

პირველად რომ მოვიდა, გამიკვირდა, ჩემთან რა უნდა-
მეთქი, გავიფიქრე.

ბავშვები მიეშველნენ, ვირიდან ჩამოსვეს და იქვე, კუნძ-
ზე დასვეს. თავზე ძველი, დახეული, სტამბულიდან ჩამოყო-
ლილი ცილინდრი ეხურა.

ერთხანს იჯდა, აქეთ-იქით ქანაობდა და მიცქერდა, მერე
სახე დაეძაბა და დაიწყო: — ჩე...მმი წა...მა...ლი თვი...თონ..:მე
გა...ვა..კეთე!

— კი! — ჩავილაპარაკე მე, — თითქოსდა მივხვდი, რი-
სი თქმაც სურდა...

— ყვ...ყვ...ყვ, — წამოიწყო რაღაც და ისევ შემხედა.
ვერაფერი გავიგე; ისევ ბავშვები მომეშველნენ.

— ყველს ითხოვს, მასწავლებელო! — ამიხსნეს მათ.

— ოო! — შევწუხდი მე, — ყველი არა მაქვს! სად ჩვენ
და სად ყველი?

სახე მოეღუშა, მწყრალად შემხედა. ეს რა ღარიბი მასწა-
ვლებელი ყოფილაო, გაივლო ალბათ გულში.

მერე ისევ დაიწყო ბოდიალი. ვერაფერი მივხვდი.

ისევ ბავშვებმა ამიხსნეს.

— ჩა...ჩა... ჩაა! — წამოიწყო ისევ.

— რა გინდა? — ვკითხე და მივაცქერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი გაიქნია და ისე საწყლად შემომხედა, მისი სიცოცხლით გული ამიწრიალდა.

— ჩა...ჩა... ჩაა! —წამოიწყო ისევ.

— ვერ გავიგე, რა უნდა? — ვკითხე ბავშვებს.

— ჩაი უნდა, მასწავლებელო, ჩაი! — ამიხსნეს.

— ჩაი მაქვს, მაქვს ჩაი! — ვუთხარი ხმამაღლა.

თურმე ყურს არ აკლდა და ყველაფერი გაიგონა. ისე გაუხარდა, თითქოსდა რამდენიმე წელია ჩაი არ დაელიოს. მოულოდნელად ატირდა. ჯერ ვერ ძიეხვდი, რატომ ტიროდა, მერე გავუგე. ჩაის გახსენებაზე ემინე და შვილები გაახსენდა.

— ააა..აჰ! ...ემ...ინ...ე... აჰ...ემ...ინ....ე! — ტიროდა, ბლუკუნებდა თავისთვის.

საშინელ მდგომარეობაში იყო, თმა და წვერ-ულვაში გაბურძგნოდა, დიდიხნის დაუბანელი ჩანდა, ჩაკონკილი, ათგან დაკერებული ტანსაცმელი ეცვა. მისი საცოდაობით ვიწვოდი, მაგრამ არაფერი შემეძლო გამეკეთებინა მისთვის, ერთადერთი, რაც შემეძლო, ნუგეში იყო, მაგრამ რას უშველიდა ჩემი ნუგეში იმ საცოდავს, რომელსაც ასეთი ხვედრი არგუნა ბუნებამ თუ ადამიანმა?

ჩაი დავუშაქრე და მივაწოდე. ხელები უკანკალებდა და ძლივს ჩამომართვა. დიდის გაჭირვებით მიიტანა პირთან, მოხვრიპა და უკმაყოფილოდ აბლუკუნდა: — სურნ...სურნ... არ... არ...!

ამას კი მივუხვდი: ჩაის კარგი სურნელი არა აქვსო.

მეორეჯერ მიიტანა პირთან, მოხვრიპა, ხელები აუკანკალდა, ჭიქა ვეღარ შეიკავა და ხელიდან გაუვარდა. თავი ჩაჰკიდა და ისევ აბლუკუნდა: — ააჰ... ემი...ნეე... ს...ე.::მ::: ეს::: ჩა... — ატირდა, თანაც ცდილობდა როგორმე გაეგებინებინა ჩემთვის, რა სურდა, რას მოითხოვდა, რა უნდოდა... ბოლოს, როგორც იქნა, გავიგე რაც უნდოდა. რასაც მოითხოვდა ჩემგან.

— თუკი ცხოვრებაში გსურს რამე კარგის გაკეთება, დამეხმარე, მიმიყვანე ჩემს შვილებთან, ჩემს ემინესთანო, მთხოვდა. და დიდხანს, დიდხანს შემომცქეროდა ცრემლით სავსე თვალებით.

ვიცოდი, უკვე აღარ იყო ამ ქვეყნის, აღარც სადმე წაყვანა შეიძლებოდა მისი. რომც წაეყვანა ვინმეს, მისი ერთადერთი სიამოვნება ის იქნებოდა, მხოლოდ და მხოლოდ თვალს შეავლებდა მის ემინეს, შეავლებდა და მეტი არაფერი...

ვინ იცის და, იქნება მისი ემინეც მასავით მოთავებული იყო უკვე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰ, ექიმო!

სამოცდაათი თუ ოთხმოცი წლის, წელში მოხრილი სოფ-ლელი გლეხი, რომელსაც ზურგზე ხურჯინი მოეგდო, ყავახა-ნასთან შეჩერდა.

ყავახანა მიტოვებულივით გამოიყურებოდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა შიგ. ყავახანის პატრონი — სადიქ-ეფენდი ყა-ვახანის წინ, ბრტყელ ქვაზე ჩამომჯდარიყო და რაღაც ფიქრე-ბში გართული დინჯად მარცვლავდა კრიალოსანს. გლეხის და-ნახვაზე სადიქ-ეფენდიმ თავი წამოსწია, კრიალოსნის მარცვ-ლას თავი ანება და გლეხს მიაჩერდა.

გლეხმა ხურჯინი მოიხსნა, სადიქ-ეფენდის მოწიწებით, თავის დაკვრით მიესალმა და ხვნეშით ჩამოჯდა ქვაზე.

საუბარი გააბეს, რა არ თქვეს, რა არ გაიხსენეს და მოი-გონეს, საუბარი ამინდით წამოიწყეს და პოლიტიკით გაათა-ვეს. კარგა ხნის მერე გლეხი წამოდგა და თქვა: — ეს ხურჯი-ნი დროებით შენთან რომ დავტოვო რა იქნება, სადიქ-ეფენ-დი? მე ექიმთან უნდა წავიდე.

სადიქმა მოხუცს ახედა და იკითხა: — რაო, ავად ხარ?

— რა თქმა უნდა ავად ვარ! ექიმთან, აბა, ჯანმრთელი კაცი მივა?

სადიქმა თავი მოიქექა და ჩაიცინა: — მაგი სწორია, ჯან-მრთელი ადამიანი ექიმს არ დაავადმყოფებინებს თავს!.. კი მაგრამ ავად თუ ხარ, ამხელა გზაზე როგორ წამოდი?

— აბა რა უნდა მექნა? — იკითხა მოხუცმა.

— ცხენი ან ჯორი არ გყავდა, რომ შემჯდარიყავ და ისე წამოსულიყავი? ამხელა გზაზე კარგადმყოფი გახდებოდა ცუ-დად.

— ცხენსა და ჯორს მე ვინ მომაშავებს, ძიავ? სად მყავს... ყიშლაყამდე ხის მასალით დატვირთული მანქანით მოვედი, იქიდან კი სულ ფეხით მოვდივარ. მე აქაურობას არ ვიცნობ, სადიქ-ეფენდი, შენ კი აქ ცხოვრობ და გეცოდინება ალბათ: მითხარი, რომელ ექიმთან ჯობია მისვლა? რომელი ექიმი შე-მხედავს უფრო კარგად?

სადიქ-ეფენდიმ ჩაიცინა და თქვა: — ძმობილო, ამხელა ქალაქში იმდენი ექიმია, რამდენიც ვარსკვლავია ცაზე. შეხე-დე, ამ დიდ სახლებში რომელიმე კართან რომ შეჩერდე და ზარი დარეკო, ან ექიმის მეკარე გაგიღებს კარს, ან ვექილისა.

— მაგ ვექილების ოჯახი ამოაგდოს ღმერთმა! — ხმა-მაღლა ჩაილაპარაკა გლეხმა, — ვექილი რა ჭირად მინდა? მე ექიმი მჭირდება, ექიმი!

— ვიცი, ისე, სიტყვაზე გითხარი! — დაამშვიდა სადიქ-

ეფენდიმ. — შენ ის მითხარი, რომელთან გინდა მარცხენა საავადმყოფოს ექიმთან თუ კერძო ექიმთან?

გლეხი ჩაფიქრდა და მერე ორჭოფულად თქვა: — საავადმყოფოს ექიმთან მირჩევნია, საავადმყოფოს ექიმი უფრო კარგი იქნება, უფრო მცოდნე.

— შენი ნებაა!.. საავადმყოფოს ექიმი სახლში უნდა ინახულო... საავადმყოფოში იმდენი ავადმყოფი დგას რიგში და ექიმი ყველას ხომ ვერ გასინჯავს?.. მიხვალ სახლში და ექიმი კარგად გაგსინჯავს, წამალსაც გამოგიწერს.

— საავადმყოფოში კარგად არ გამსინჯავს? — იკითხა გლეხმა დაეჭვებით.

— საავადმყოფოში მისულს ექიმი ერთ-ორს დაგიკაკუნებს ხურგზე, დაიხველეო, გეტყვის და თავისუფალი ხარ, ქე გამოგიშვებს უკან.

— სახლში რომ მივალ იმ ექიმთან... გასინჯვა ფულითაა, არა?

— რა თქმა უნდა! აბა უფასოდ ვინ გაგსინჯავს?

— რამდენს მომთხოვს, ნეტავ? — შეწუხდა გლეხი.

— ათ ლირას მაინც მოგთხოვს.

გლეხმა თავი დახარა და გაიფიქრა: — „იუსუფჩადან აქამდე ასეთი წვალებით მოვედი... საავადმყოფოში უშედეგო მისვლას, არა სჯობია ათი ლირა გადავიხადო? მივალ სახლში და გამსინჯავს, შედეგიან მკურნალობაში თუ გადაიხდი ფულს, არც დაგენანება“. — თავი ასწია და სადიქ-ეფენდის ჰკითხა: — სად ცხოვრობს ექიმი?

— ვაგზლის ქუჩაზე... მგონი, ახლა სახლში იქნება, თუ იჩქარებ, მიუსწრებ... ამ ქუჩას გაყვები, გახვალ ბოლომდე და გზაჯვარედინთან მიხვალ. იქ პოლიციელი დგას, შეეკითხები და მიგასწავლის. დაიმახსოვრე, იმ ექიმს იექდე-ბეის ეძახიან...

გლეხმა მადლობა გადაუხადა და, რომ არ დავიწყებოდა, ექიმის გასაოცარი სახელის გამეორებით გაუყვა ქუჩას. გზაჯვარედინთან რომ მივიდა, შეჩერდა, მერე მოძრაობის მომწესრიგებელ პოლიციელს მიუახლოვდა და ექიმის სახლი ჰკითხა.

— ამ ქუჩას გაყევი, აქედან მერვე სახლში ცხოვრობს იექდე-ბეი, — ზედაც არ შეხედა, ისე მიუგო პოლიციელმა.

„ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის!“ — გაიფიქრა კმაყოფილმა გლეხმა და ქუჩას გაუყვა.

იექდე-ბეი, სიმსუქნისაგან კასრივით დამრგვალებული, ლოყებლაჟღაჟა და ჭროღათვალება მწითური კაცი, თავისი სახლის ეზოში ბრძანდებოდა და თავის ორ ქალიშვილს ათამაშებდა, ბავშვებს სათამაშო ნიჩბები და ვედროები ეჭირათ ხელში და სილით ავსებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სახლისაკენ მიმავალი მოხუცი სოფლელი რომ დაინიშნა, იექდე-ბეიმ ბავშვებს თავი ანება, ხვნეშით წამოდგა და ჭიმკართან მიეგება: — გამარჯობა შენი, მამავ! — მიესალმა.

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო! ექიმი თქვენ ბრძანდებით?

— კი, ვარ... შემობრძანდით, — გლეხი ეზოში შეიყვანა და პირველი სართულისკენ წაუძღვა. — მობრძანდით, მობრძანდით!

— მადლობელი ვარ, ბატონო!

ექიმმა კაბინეტის კარი შეაღო, გლეხი შეუშვა და უთხრა: — შენ შედი და დაჯექი, მე ხალათს გადავიცვამ და მოვალ! — გავიდა და გლეხი მარტო დატოვა ოთახში.

გლეხი ბოძივით დაერჭო შუა ოთახში და გაშტერებული მიაჩერდა კედელზე გაკრულ სურათებს: — „ო, ალაჰ, შენ შემიბრალე! — გაივლო გულში, — რამდენი ბღერიანის სურათებია, აგერ, კიდევ, როგორ გაშიშვლებულან ეს უნამუსოები! შიშველი ქალების სურათები რაში ესაჭიროება ნეტა ამ ექიმს? ქალებზე გადაყოლილი კაცია ალბათ. შეხედულებაც როგორი აქვს, ღორივითაა გასუქებული!“ — სურათების თვალთვალს თავი ანება, იატაკს დააჩერდა და ამჯერად იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა უნდა ეთქვა ექიმისათვის, არცერთი ავადმყოფობა და სატკივარი არ უნდა გამორჩენოდა: — მარცხენა ფეხი რომ მაქვს გასივებული და მტკივა, არ უნდა დამავიწყდეს; წელის ტკივილები რომ მკლავს, ისიც უნდა გამახსენდეს; კბილის ძირები რომ მაქვს ჩარჩენილი პირში და მტკივა, ისიც უნდა ვთქვა; საშარდე ბუშტი რომ მეწვის და მოშარდვა მიჭირს, ისიც“! — ფიქრობდა იგი.

ექიმი შემოვიდა და ფიქრი გააწყვეტინა.

ექიმმა გლეხი სკამზე დასვა, თავად სავარძელში ჩაეფლო და ჰკითხა: — შენ სადაური ხარ, მამავ? რომელი სოფლიდან ჩამოხვედი?

— მე იუსუფჩადან ვარ, ექიმ-ბეი!

— იუსუფჩა, იუსუფჩა, — ჩაფიქრდა ექიმი, — რომელ რაიონს ეკუთვნის ეს სოფელი?

— თეფწლის რაიონს, ბატონო!

— ხოო... დიახ, დიახ, ვიცი, გამიგონია! სოფლის სახელებს ვერ ვიმახსოვრებ, მამავ, ერთიმეორეში მერევა ყოველთვის!

გლეხმა გაიზმორა და მიუგო: — ადვილი არაა ექდებეი, მილიონობით სოფელია ამ ქვეყანაზე და ყველას სახელს ხომ ვერ დაიმახსოვრებ?

— კი, მართალია... ეგ თქვენი სოფელი ლამაზია?

— დიახ, მამავ, მართალი ხარ! — დაემოწმა ექიმი და საათს შეხედა, — შენ რომელი პარტიის წევრი ხარ? — ჰკითხა ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხმა მიუგო, რომელ პარტიასაც ეკუთვნოდა.

მერე ცოტა პარტიების გარშემო წაიკამათეს, ბოლოს ექიმმა მაგიდის უჯრა გამოაღო, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და თქვა: — შენთან საუბარი ჩემთვის სასიამოვნოა, მამავ! ჭკვიანი კაცი ყოფილხარ, ზოგიერთ სოფლელს კი არ გავხარ აბა, ერთ სიტყვასაც რომ ვერ ამოქაჩავ და რას ბლუკუნებს, ევრასდიდებით რომ ვერ მიხვდება ადამიანი... ახლა შენ ერთი ესეც მითხარი: რა გაწუხებს, რა გტკივა?

— ყველაფერი მტკივა, ბატონო, ყველაფერი!

— მაინც?

გლეხი მოუყვა რაც სტკიოდა, რაც აწუხებდა, ექიმი უსმენდა და დროდადრო თავს აქნევდა.

— ყველაზე უფრო მაინც რა გტკივა? — ჰკითხა ბოლოს.

გლეხმა აუხსნა.

— მდაა! საავადმყოფოში უნდა დაწვე, მამავ, საავადმყოფოში! მე შენ წერილს დაგიწერ. საავადმყოფოში მიიტან, ძთავარ ექთანს ნახავ, იგი საცვლებს გამოგიცვლის, დაგაწვენს და მოგივლის; ხვალ მე მოვალ და ოპერაციას გაგიკეთებ.

— მოვრჩები, ბატონო?

— მორჩები, აბა რას იზამ? — ქაღალდზე რაღაც წაუწერა და გადასცა: — აჰა, ეს ქაღალდი მიიტანე საავადმყოფოში.

გლეხმა წელზე შემოკრული ფართე სარტყელი მოიხსნა, იქიდან გაქონილი საფულე ამოიღო, ქაღალდი საფულეში ჩადო და იკითხა: — ვალი რამდენი მაქვს, ბატონო?

— რისი ვალი? აა! გასინჯვისა არა? მხოლოდ ათი ლირა!

გლეხმა ფული გაუწოდა და ჰკითხა: — გაჭრა და გაკერვა რამდენი ეღირება?

— რომ გაგჭრი და გაგკერავ, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, — გაეცინა ექიმს, — გასაგებია?

— გავიგე, აბა არა? გაუგებარი რა არის, ბატონო?

— ჰოდა, მასე, მიდი ახლა საავადმყოფოში.

გლეხი წავიდა. ექიმი ეზოში გავიდა და თამაშში გართულ ბავშვებთან შეჩერდა: — თქვე ჭიანჭველებო, თქვენა, აბა მანახეთ ერთი, რა გააკეთეთ?

„არა, ნაღდად ბედი მქონია! — ფიქრობდა საავადმყოფოსაკენ მიმავალი გლეხი, — ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის, ბოლოს კი ვნახოთ რა იქნება“.

თოფის შემკეთებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახმუდ-უსტა თოფებისა და დამბაჩების შემკეთებელ ოსტატად ითვლებოდა იმ არემარეში. მისთვის ეს ხელობა არავის უსწავლია, იარაღების შეკეთებას იგი ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული. მიყვა, მიყვა ნელ-ნელა, თანდათანობით დაოსტატდა და შეიყვარა თავისი საქმე. ვინ მოსთვლის რამდენჯერ დაუმზადებია თოფისა და დამბაჩის ესა თუ ის ნაწილი, მაგრამ მაინც არ მოსწონებია და ისევ ხელახლა, მერამდენჯერ გაუკეთებია. იგი საქმესა და გასაკეთებელს მანამდე არ მოეშვებოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ნამუშევარი ნამდვილად კარგი იყო და უკეთესის გაკეთება უკვე აღარ შეიძლებოდა.

ასე თანდათანობით **მახმუდ-უსტა ამ საქმის დიდი ოსტატი** გახდა და სახელიც გაითქვა.

მერე სხვა საქმესაც მიჰყო ხელი. რაც არ უნდა მოეტანათ მისთვის, იგი ერთს ახედ-დახედავდა, ჩაფიქრდებოდა და მერე დინჯად ეტყოდა მუშტარს, ორ-სამ დღეში გამოიარეო. მაგრამ, თუ რაიმე ნივთისა ან ხელსაწყოს შეკეთება შეუძლებელი იყო, შუბლს შეჭმუხნიდა და ცალყბად იტყოდა: —დატოვე და ვნახოთ, თუ გავაკეთე, შემოგითვლი! — იტყოდა და საქმეს შეუდგებოდა. შეუდგებოდა და როგორღაც, რაღაც მანქანებით მაინც გააკეთებდა.

მაინც რა არ მოჰქონდათ მასთან შესაკეთებლად: პრიმუსები, რადიო, პატეფონი, სანთებელა, ბოქლომები და სხვა მრავალი ხარახურა. მოჰქონდათ და მახმუდ-უსტა ყველაფერს კეთილსინდისიერად აკეთებდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მას არ შეეძლო, ეს იყო ჯიბის საათები.

სახელოსნო მოაწყო, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი რამ აკლდა. არ ჰქონდა **სახარატო ჩარხი და სხვა ხელსაწყოები. ამიტომ**აც იყო, რომ რაიმე ნივთის შეკეთებაზე უზარმაზარ დროს ხარჯავდა. მახმუდ-უსტას ერთი ნაკლიც გააჩნდა — გადაყლურწვა უყვარდა ძალიან.

— **დიდი შემოსავალი აქვს, მარა რად გინდა მერე, რასაც** ღებულობს სულ სასმელში ხარჯავს!—ამბობდნენ ძასზე სოფლელები, — მაგისი მოგებული ფული ერთ ღრმა ხევს ამოავსებდა.

ხალხს ერთი რამ არ მოსწონდა კიდევ მისი — ხოჯებისა და მოლების არაფერი სწამდა და სულ მათ დასცინოდა. ხოჯის ქადაგება ზღაპარიაო, იტყოდა ხოლმე. არც ცრუმორწმუნე სოფლელებს ინდობდა.

ერთხელ, ამ ორიოდე წლის წინ, სოფელში ვიღაც სამხე-

დრო პირი ამოსულა, და სოფლელებთან განუცხადებია, ადამიანი ძუძუმწოვარი ცხოველიდან წარმოიშვაო.

მახმუდ-უსტა იმ სამხედროს შეკამათებია: — კი მაგრამ, ის ძუძუმწოვარი ცხოველები ამოწყდნენ თუ რაშია საქმე? მაიმუნიც ქე წააგავს ადამიანს, მაგრამ ის მაინც პირუტყვია და ადამიანივით ვერასდროს ვერ განვითარდება.

ხალხი იმით აფასებდა მახმუდ-უსტას, რომ ჭკვიანური ქცევა ჰქონდა.

მახმუდ-უსტა რაიმეზე რომ იტყვის შეცდომაა, ის მართლაც მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც იქნება შეცდომა, — ამბობდნენ მასზე, — ჭკვიანი კაცია, თუ რამეს კარგად არ მოიფიქრებს, ისე არ იტყვისო.

ერთ დღეს დამიძახა მახმუდ-უსტამ, სახელოსნოში შემიყვანა, დამბაჩის ლულა მანახა და მითხრა: — ეს მე გავაკეთე, როგორ მოგწონს?

გამიკვირდა, ჯერ არ დავიჯერე, ქარხნის მიერ დამზადებული მეგონა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, მახმუდ-უსტას რომ ტყუილის თქმა არ ჩვეოდა.

— როგორია? — მკითხა მან.

— ეს კარგი რაშაა, ისიც კარგია. რომ ასეთი ოსტატი ხარ და ყველაფრის გაკეთება გეხერხება, მაგრამ ის კი არ მომწონს, იარაღებს რომ აკეთებ, ეს ყველაფერი ხომ ადამიანის საზიანოდ კეთდება?

სწორედ ამ დროს სახელოსნოში ოცი-ოცდაორი წლის ახალგაზრდა შემოვიდა. ტანზე სანახევროდ სამხედრო ტანსაცმელი ეცვა, სანახევროდ კი სამოქალაქო, ეტყობოდა ჯარიდან ახალდაბრუნებული იყო. ანდა კიდევ ძველებულებით ჩამოსული. წინ წამოყრილი თვალები ჰქონდა, სახე მზისაგან გარუჯოდა და წვერიც საკმაოდ მოეშვა. მან ქამარში გარჭობილი, საკმაოდ შეჟანგული გრძელლულიანი რევოლვერი ამოიღო, მახმუდ-უსტას გაუწოდა და უთხრა: — აბა, მოხელევ, ერთი შემიხედე ამას! არ მუშაობს, არ ისვრის ტყვიას! შემიკეთე!

მახმუდმა რევოლვერი ჩამოართვა, ახედ-დახედა, მერე სხვა შესაკეთებელ იარაღებთან დასდო და დინჯად მიუგო: — კარგი, შეგიკეთებ!

— როდის იქნება მზად?

— სამი დღის შემდეგ წაიღე!

ახალგაზრდა შეიშმუშნა: — არა! სასწრაფოდ მჭირდება და დღესვე უნდა შემიკეთო როგორმე! დღესვე უნდა წავიღო!

— ესე იგი, რამენაირად ციხეში შესვლას ჩქარობ, არა? — ჰკითხა მახმუდმა.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ციხეში არ წავალ ღმერთის ნებით! — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ.

მახმუდმა ცეცხლს ნახშირი დაუმატა და საბერველი მოსწია: — ღმერთმა ნუ ჩაგაგდოს ციხეში, მაგრამ რევოლვერს რომ იხმარ, წახვალ! ეს ისევე ცხადია, როგორც ორს დამატებული ორი, ოთხია!

ახალგაზრდა აქვე, კუნძზე ჩამოჯდა და ჩაილაპარაკა: — ის საქმე კარგად დამთავრდება თუ ცუდად, წინასწარ არ გაიგება! შენ მართალი ხარ, უსტა, შეიძლება ციხეშიაც წავიდეს კაცი!

— მიწის გამო ხომ არა გაქვთ დავა ვინმესთან? — დავეკითხე მე კუნძზე ჩამომჯდარ ახალგაზრდას.

— არა! — თქვა მან და მხრები შეათამაშა, — ქალის ამბავი მაქვს სადაო და ვნახოთ, როგორ დაბოლოვდება ეს საქმე!

ახალგაზრდა დაღლილი ჩანდა, ეტყობოდა დიდხანს იყო გზაში, ოფლის სუნით ქოთდა.

— ქალის გამო ადამიანმა სისხლში არ უნდა გაისვაროს ხელი, არ ღირს მაგი ერთი ქალის გამო! — ვუთხარი მე.

— ჩემი ბრალი არაა! — ჩაილაპარაკა მან, — ბევრი ვითმინე, იმათ არ დამანებეს... იმ ჩემს შეყვარებულ გოგოს სხვა იყვარებს... ხვალ ღამით უნდა გავაქციო, ძალით იქნება თუ ნებით, სულ ერთია ეს ჩემთვის.

მახმუდ-უსტა მუშაობდა და თან ყურს გვიგდებდა.

— იმ შენს მოწინააღმდეგეს, ან ქალის მამას, იარაღი არა აქვს თუ რაშია საქმე? ასე ადვილად გაგატანებენ გოგოს? რომ მოგკლან, ანდა შენ შემოგაკვდეს ვინმე?

— იარაღი იმათაც აქვთ, რა თქმა უნდა, მაგრამ იმათი ნასროლი ტყვია ჩემზე არ იმოქმედებს! — არხეინად მომიგო ახალგაზრდამ.

— როგორ არ იმოქმედებს? ფოლადისა ხარ თუ რა?

— არ იმოქმედებს! მორჩა და გათავდა!

— ეს როგორ, კაცო, ტყვია არ გაგხვრიტავს თუ რაშია საქმე?

— მე ფოლადზე მაგარი ვარ ამ შემთხვევაში და ტყვიაც ვერაფერს მავნებს, — დარწმუნებით თქვა ახალგაზრდამ და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— როგორ, კაცო?

მახმუდ-უსტა საქმიანობდა, გვისმენდა და თავისთვის ჩუმად იღიმებოდა.

ახალგაზრდა ჩემსკენ შემობრუნდა და დაიწყო: — როგორ და... ჩვენს სოფელში ერთი ხანგრძლივ [illegible] დიდად განთქ-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული ხოჯა, იმან მე ისეთი ნუსხა დამიწერა რომ, აბა-ბაბა-ბა-ბა
რომ მესროლონ, ვერაფერს დამაკლებენ. იმ ნუსხას ტყვია
ვერაფრით ვერ გაეკარება! გაიგე ახლა?

— გავიგე... სად გაქვს ის ნუსხა?

— აგერ მაქვს ,— თქვა, უბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო
ჭუჭყიან, გასანთლულ ტილოს ნაჭერში გახვეული ვაშლის
ფოთლისოდენა, სამკუთხედად დაკეცილი ნუსხა. — ამ ნუ-
სხას წელზე თუ დაიმაგრებ, სადაც გინდა იქ წა-
დი და ნურაფრის ნუ გეშინია! ისეთი ძალა აქვს, ტყვია რას
მიეკარება ახლოს! — მომიგო ამაყად და დარწმუნებით.

მახმუდ-უსტამ თავი გაიქნია და საუბარში ჩაერია: —
ეეჰ, ახალგაზრდავ, ნუ გჯერავს შენ ასეთი სისულელეების! ნუ
დაიღუპავ თავს. ხოჯის ნუსხას რომ ასეთი ძალა ჰქონდეს, შენ
კი არ მოგცემდნენ,თავისთვის დაიტოვებდნენ.

ახალგაზრდა გაბრაზდა და სახე წამოუფითრდა, — რავა
გეკადრება, უსტა, განთქმული ხოჯის მიერ დაწერილ ნუსხა-
ზე ასეთი რამე ითქმება? რომ იცოდე, დიდად განთქმულია
ის ხოჯა, მთელს თურქეთში მეორე არაა იმისთანა.

— დაანებე თავი მაგ ზღაპრებს, მეგობარო! ახალგაზრდა
კაცი ხარ და მებრალები. მაგ ნუსხას ენდობი შენ, დაავლებ
ხელს იმ გოგოს და წაიყვან, დაგახლის ვინმე ტყვიას და გა-
გაწვენს მიწაზე. არ მჯერა მე მასეთი ნუსხების და გირჩევ,
ხურც შენ დაიჯერებ... შენ იცი მე ვინა ვარ?

— შენ ვინაც გინდა ის იყავი, იმ ხოჯის ნუსხისა ყველას
სჯერა!

მახმუდ-უსტა მომიბრუნდა და მკითხა:— შენ გჯერა ნუს-
ხისა?

— არა, არა მჯერა! ვერავითარი ნუსხა ვერ შეუცვლის
მიმართულებას ტყვიას. ამასაც გახვრიტავს და ამის ნუსხა-
საც...

— რავა გეკადრება? — არ დამეთანხმა ახალგაზრდა, —
სამხედრო პირებიც ატარებენ ნუსხას. ეს ისეთი რამაა, თქვენ
არ იცით!

მახმუდ-უსტამ თავი გააქნია, მიუახლოვდა, მხარზე ჩამო-
ადო ხელი და უთხრა: —გინდა მაგ შენი ნუსხა ახლავე, აქვე
გავსინჯოთ?

— როგორ უნდა გავსინჯოთ? — იკითხა ახალგაზრდამ და
თვალები აახამხამა.

— ეს მე ვიცი, როგორ უნდა გავსინჯოთ! შენ ის მით-
ხარი, გასინჯვაზე თუ ხარ თანახმა?

ახალგაზრდამ მაინც ვერაფერი გაიგო, სახეზე შეშფოთე-
ბა დაეტყო, რა ეთქვა აღარ იცოდა. წარმოდგენაც არ ჰქონდა,
თუ როგორ უნდა გაესინჯათ ნუსხა. — „ის ნუსხა წელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შემაბან, ბოძთან დამაყენონ და თოფი მესროლონ? ფიქრობდა იგი, — მერე რაა? თუნდაც მასე იყოს, ნუსხა ხომ მექნება წელზე ჩამობმული? ჰოდა, სულ ერთია, ტყვია მაინც ვერ იმოქმედებს!...“

მახმუდ-უსტამ, თითქოსდა განაფიქრს მიუხვდაო, უთხრა: — შენ ნუ გეშინია! ცდას შენზე არ მოვახდენ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მაგ ნუსხას არავითარი ძალა არ გააჩნია და როგორ მოვახდენთ შენზე ცდას?

— მერე რა, თუ გინდათ ჩემზე მოახდინეთ ეს ცდა, მე იმდენად ვენდობი მაგ ნუსხას, არაფრის არ მეშინია! — არხეინად მიუგო ახალგაზრდამ.

— შეგეშინდება, შეგეშინდება! — დაჟინებით გაიმეორა მახმუდ-უსტამ, — შენ ის მითხარი, ხარ თუ არა თანახმა და მოდიხარ თუ არა ნაძლევს?

ახალგაზრდა, მუხლებზე ხელისგულებდაყრდნობით წამოიზლაზნა და თქვა: — ყოველგვარ ცდაზე თანახმა ვარ მე!

— მაშ კარგი, ახლავე განახებ, მაგ ნუსხას რა ძალაცა აქვს! — ჩაილაპარაკა მახმუდ-უსტამ, მეორე ოთახში გავიდა, თეფშით ქერის მარცვალი გამოიტანა.

ეზოში რაც კი ქათმები იყო, ყველა ქერის მარცვალს მიესია. მახმუდ-უსტა ქათმებთან მივიდა, მამალი დაიჭირა და ახალგაზრდას მიუბრუნდა: — ცდა შენზე კი არა, ამ მამალზე უნდა ჩავატაროთ! მოიტა შენი ნუსხა!

ახალგაზრდამ უბეში ხელი ჩაიყო, ნუსხა ამოიღო და გაუწოდა. მახმუდ-უსტამ ნუსხა აკრიახებულ მამალს ორდენივით ჩამოჰკიდა მკერდზე და ახალგაზრდას უთხრა: — ახლა მოდი და მამლის საფასური ამოიღე ჯიბიდან.

გადახდაზე რომ მიდგა საქმე, ახალგაზრდა გაჯიუტდა: — არა, არ იქნება ასეთი რამე! ფული მე რატომ უნდა გადავიხადო? შენ მოიგონე ეს ნაძლევი და მაგ მამლის ფულიც შენვე გადაიხადე!

— მამალი ხომ ჩემია?

— კი, შენია!

— აბა, მე რატომ უნდა გადავიხადო ამ მამლის საფასური? ჩემია და რასაც ვუზამ ეს ჩემი საქმეა!

— ჰოდა, უქენი მერე!

დავა ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა, არც ერთი და არც მეორე არ აპირებდა დათმობას. ჯიბიდან მამლის საფასური ამოვიღე და მახმუდ-უსტას გაეუწოდე — აჰა, მე ვიხდი მამლის საფასურს!

ახალგაზრდა დაწუნარდა და არხეინად განაცხადა: — ნახავთ ახლა თუ რაიმე დაემართება იმ ხოჯის დაწერილ ნუსხას,

ტყვია ახლოს ვერ მომეკარება!.. თქვენ მართლაც [illegible] რათ ამ ნუსხისა?

— ცოტაც მაცალე და ნახავ, შენი ნუსხა იქნება მართალი თუ მე! — დაცინვით მიუგო მახმუდმა, მამალი მოშორებით, ხეზე მიაბა, ქერი დაუყარა, მერე სახლიდან თოფი გამოიტანა და დატენა.

ახალგაზრდამ ურწმუნოდ გაიქნია თავი: — რა თქმა უნდა, დატენილი თოფი ისვრის, მაგრამ მაგ მამალს მაინც ვერ მოკლავთ, ათჯერაც რომ ესროლოთ, მაინც ვერ მოკლავთ! ისროლეთ და იყავით, თქვენ იცით ეს როგორი ხოჯის დაწერილი ნუსხაა?

ხმაში აღელვება დაეტყო, შემეშინდა, ჩხუბი არ ატეხოს-მეთქი, და მახმუდ-უსტას ვუთხარი: — მახმუდ-უსტა, მოდი, აღრე მოვრჩეთ მაგ საქმეს!

— ყველაფერი მზადაა და მეც მზად გახლავართ!—მომიგო მახმუდმა. ჩაიმუხლა, ცალი თვალი მოჭუტა, მამალს დაუმიზნა და გაისროლა, თოფის ქუხილმა იქაურობა გააყრუა. თოფის წამლის სუნი და კვამლი დადგა ირგვლივ... ბოლი რომ გაიფანტა, ხესთან მივედი. სადათვე ჟაკახს მამალი ნაფლეთებად ექცია. ბუნტყლი და ნაფლეთები მთელს ეზოში მიმოფანტულიყო. დიდი ძებნის მერე ძლივს მივაგენი ნუსხის ნაფლეთს.

მახმუდ-უსტამ თოფი შეინახა და ახალგაზრდას გამარჯვებული კაცის იერით მიუბრუნდა: — დარწმუნდი ახლა რა ძალაც ჰქონია მაგ შენი ხოჯის დაწერილ ნუსხას?

ახალგაზრდა გაშტერებული და ენაჩავარდნილი იდგა. მერე გონს მოეგო და ჩაილაპარაკა: — მამალი, მართალია მოკლა, მაგრამ ნუსხას მაინც ვერ მიეკარებოდა!

მახმუდ-უსტამ გაიცინა, ნუსხის ნაფლეთი გამომართვა და გაუწოდა: — აი, ნახე, თუ ვერ მიეკარა ტყვია შენს ნუსხას, ნახე!

ახალგაზრდამ ერთი კი გადახედა ნუსხის ნაფლეთს და მაშინვე ენა ჩაიგდო. ის-ის იყო მყუდროება ჩამოვარდა, რომ ამ დროს აქოშინებული მოვარდა მახმუდ-უსტას ცოლი. მკერდზე ბავშვი მიეხუტებინა. მეზობელთან ყოფილიყო გადასული, თოფის ხმა გაეგონა და ახლა იმის გასაგებად მოვიდა, რა მოხდაო. მამლის აქეთ-იქით გაფანტულ ნაფლეთებს რომ მოკრა თვალი, ქმარს დაეტაკა: — უჭკუო კაცი, უტვინო ადამიანი! ნორმალური ხარ შენ ამის შემდეგ? ასეთი რა ცოდო ედო მაგ მამალს, ტყვია რომ ესროლე? გიჟი არა ხარ ამის მერე შენ?

მიდგა, მიდგა და იმდენი ლანძღა და თათხა, არ გარია არაფერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახმუდ-უსტას ხმა არ ამოუღია, იჯდა თავისთვის, ოდამოდენ ბოდა და თავს აქნევდა. მერე, როცა გაკაპასებული ქალი ოდნავ ჩაცხრა, მიუბრუნდა ხელისგულებში თავჩარგულ ახალგაზრდას და უთხრა: — შევცდი და რაღაი ახლა, ის შენი ნუსხა მამალზე კი არა, ამ ქალზე უნდა გამომეცადა, უნდა ჩამომეკიდა ამის კისერზე და მესროლა თოფი!.. რომ ვიცოდე არ დამიჭერენ, ხელმეორედ ჩავატარებ ცდას, შევაბამ მაგ ნუსხის ნაფლეთს და დავუბრახუნებ თოფს... მარა არ გამოვა ასე, არ მინდა ხათაბალა ავუტეხო თავს. ქალის გულისათვის ჭკვიანი კაცი ციხეში ჩაჯდება? ილაპარაკოს რამდენიც უნდა, არ დავუგდებ ყურს და ის იქნება!.. შენს ადგილზე რომ ვიყო, იმ შენს გოგოს სხვანაირად მოვინელებ. ჯერ მის მშობლებს სთხოვე, თუ კარგობით არ გამოვა საქმე, ქე დაანებე თავი, მონახე სხვა ქალი და ის შეიყვარე. ქალი გამოილია ამ ქვეყანაზე თუ რა?

ახალგაზრდამ თავი ასწია, შეხედა და თქვა: — ის გოგო მე მეკუთვნის!

— შენ რატომ გეკუთვნის, ძმობილო? — დაეკითხა მახმუდ-უსტა.

— პირველად მე შევიყვარე და მიტომ!

— რა იცი, რომ შენ შეგიყვარდა პირველად? იქნება მას, იმ ბიჭს, იმ შენს მოწინააღმდეგეს შეუყვარდა?.. რას გეტყვი, იცი? თავი დაანებე იმ გოგოს, მიატოვე და სხვა შეიყვარე. არა სჯობია ამ ხათაბალას დააღწიო თავი?

ახალგაზრდამ მხრები აიჩეჩა და დაფიქრებით, ორჭოფულად თქვა: — არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე!

მუტრუკი

ჩვენს ავტობუსს ლამაზი, კუთხვილი შრიფტით აწერია „ბელედეი“. ეს ავტობუსი ქალაქის საბჭოს ეკუთვნის და ამიტომაც აქვს მას ასეთი სახელწოდება. „ბელედეი“, ასე თუ ისე, კომფორტაბელური ავტობუსია და ხალხი სიამაყით, დიდის ამბით ამბობს — ბელედეით ვიმგზავრეთო.

თქვენი არ ვიცი და, მე რომ ავტობუსით მგზავრობა მაინცდამაინც ვერაფრად მეპიტნავება, ცხადზე ცხადია. მოდი ადა და ნუ აგეშლება ნერვები — წამდაუწუმ იღება კარი, ამოდიან და ჩადიან მგზავრები, ამოაქვთ ბარგი, ყაყანებენ, ხმაურობენ; თანაც, ისეთი სივიწროვეა, მეტი რომ არ შეიძლება; კასრში ჩაყრილი დამარილებული თევზებივითა ვართ ერთმანეთზე მიტმასსილი. სკამები ისეა დამონტაჟებული,

ვერ გაინძრევი, ფეხს ფეხზე ვერ გადაიდებ, ვერ მიბრუნდებ მობრუნდები... ახლა წარმოიდგინეთ ისიც, რომ წინ დიდი გზა გაქვს გასავლელი... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნაძდვილი ჯოჯოხეთია ასეთი მგზავრობა.

ამჯერად ჩემს გვერდით ერთი კასრივით მრგვალი კაცი იჯდა, სიმსუქნისაგან თავბოლოგასწორებული. როგორც გავიგე, მაღაროში მუშაობს თურმე, ინჟინერი უნდა იყოს.

— მუშების ბატონიცა ვარ და ინჟინრის მოვალეობასაც ვასრულებო! — ამაყად, დიდის ამბით მითხრა ინდაურივით გაფუყულმა.

ეს რომ თქვა, მაშინვე დამეკარგა მასზე წარმოდგენა, მაშინვე მივხვდი, რა სულის პატრონიც იყო. ზრდილობისა და კულტურის ნასახიც არ გააჩნდა. ეტყობოდა, სკოლის მერხზე ცხოვრებაში არ მჯდარა და არავითარი განათლება არ მიუღია, მაგრამ, ემჩნეოდა, ფული ბლომად ედო ჯიბეში და ამით მოსწონდა თავი ახალშემოსული კიტრივით. სიმსუქნისაგან თავის სკამზე ვერ ეტეოდა და ჩემი კუთვნილი სკამის ნახევარიც მას ეკავა. არ ვიცი, რაზე ნერვულობდა, ზედიზედ ეწეოდა გრძელტარიან პაპიროსს, ერთს რომ მოწევდა, ნამწვს ფანჯრიდან გზაზე გაისვრიდა და მაშინვე მეორეს უკიდებდა, არავის არ ერიდებოდა, ყველანი ფეხზე ვეკიდეთ. ხანდახან პირდაპირ ცხვირ-პირში მაბოლებდა მოურიდებლად. პაემანზე დაგვიანებულივით ნერვულობდა და წამდაუწუმ გასძახოდა მძღოლს: — რას მიზოზინობ? მოუმატე სიჩქარეს, საჩქარო საქმე მაქვს!

მარცხნივ მაღაროს მმართველი მეჯდა, ისიც თავისი თანამშრომელივით სქელი, ზონზროხა. მათ შორის მორში გარჭობილი სოლივით ვიჭყლიტებოდი. ისედაც სუსტი, კაფანდარა და ძვალტყავა ლამის ყავარივით არ გამაბრტყელეს.

ისე ჩამოცხა და ჩამოიხუთა, ავტობუსში მოცდა აუტანელი შეიქმნა. ლამის იყო ოფლად დავმდნარიყავი. აკრძალული რომ არ ყოფილიყო, სიამოვნებით ავიდოდი სახურავზე და ისე ვიმგზავრებდი, მაგრამ ვიცოდი, არავინ მომცემდა ამის ნებას — ავტოინსპექცია სასტიკად კრძალავდა ასეთ რამეს. ჯარიმას კი მძღოლი არაფრის დიდებით არ გადაიხდის, ჯარიმა კი არა და, ისეთი ფულის მოყვარული ჩანს, თვალებიდან ბეწვს ამოგიღებს.

ავტობუსი ისე გაიძეძგვა მგზავრებით, ნემსიც კი არ ჩაემატებოდა სადმე, მაგრამ მძღოლი ძაინც აჩერებდა გზადაგზა, ამოყავდა ახალ-ახალი მგზავრები და ისევ განაგრძობდა გზას. ვერაფრისდიდებით ვერ მივმხვდარიყავი, როგორ, რა ჯადოქრობის მოშველიებით ახერხებდა ამას... მას რა ენაღლებოდა, ახლოს მიმავალნიც იმდენს იხდიდნენ, რამდენსაც

შორს მიმავალნი. მძღოლი ხმას არ იღებდა, იჯდა კაბინაში, ატრიალებდა საჭეს და დაძაბული გამომეტყველებით გაჰქროდა გზას. მხოლოდ მაშინ თუ ამოიღებდა ხმას და აჯაჯღანდებოდა, როცა რომელიმე მგზავრი ნაკლებს შეაძლევდა: — ეს რაა? ასე ცოტა? ეს რომ მცოდნოდა, საერთოდ არ გაგიჩერებდი ავტობუსს! შემდეგ გაჩერებაზე მგზავრს წინასწარ ევაჭრებოდა, ამდენს და ამდენს თუ მომცემთ, წაგიყვანთ, არადა, უკან მომავალ ავტობუსს დაელოდეთო. მგზავრებმა გამოცდილებით იცოდნენ, თუ დაახლოებით რამდენ საათში მოვიდოდა ეს „უკან მომავალი“ ავტობუსი და წინასწარ ბედს შერიგებულები ეხვეწებოდნენ მძღოლს — ოღონდ წაგვიყვანე და ყველაფერზე თანახმა ვართო.

გზა ისარივით გატყორცნილიყო უწყლო, გადახრუკულ დაბლობში. ავტობუსი ჩქარა მიდიოდა, თანდათანობით კეცავდა გზას, უკან იტოვებდა დაბალ, მიწურ სახლებს, რომლებიც კოლოფებივით იდგნენ გზიდან მოშორებით. საერთოდ, სოფლები იშვიათად გვხვდებოდა გზაზე. ამ კუთხეში სოფლების მომრავლების საკითხი უკვე კარგა ხანია იდგა დღის წესრიგში. მაგრამ თუ როგორ უნდა გაზრდილიყო, კონკრეტულად, ეს არავინ არ იცოდა. ჩემის აზრით, მომრავლება კი არადა, რაც არის, მალე ისიც არ იქნება. ამ მხარეში უწყლო, უნაყოფო და მწირი ნიადაგია, მოსავალი მცირეა, უმნიშვნელო, ჰოდა, აქაურები ქალაქში გარბიან, რათა სამუშაო იშოვნონ სადმე და თავი გაიტანონ როგორმე.

გამახსენდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროპაგანდის სამმართველოში ერთი ჩემი ნაცნობი, ალი-ბეი მუშაობს. სქელი, ღიპიანი კაცია, ულვაშები გაცვეთილი ცოცხის ბოლოებივით ჰკიდია. ერთი შტერი, გამოთაყვანებული, ლაქლაქა და ქაჯი ტიპია. ხანდახან ისეთ რამეს გაძოიგონებს, გოცებისაგან შტერივით დააღებ პირს და ენას ვერ ამოიღებ. ჰოდა, ერთხელ, მახსოვს, იმ ჭკუის კოლოფმა ალი-ბეიმ, ჩემთან საუბრისას ასეთი რამ განაცხადა: — მაგ პრობლემას, კაცი-შვილს რომ ვერ გადაუჭრია აქამდე, ჩემთვის რომ ეკითხა ვინმეს, ერთ წუთში დადებითად გადავჭრიდიო! როგორ-მეთქი, რომ ვკითხე, აგდებულად ჩაიცინა და, თითქოსდა დიდ, სახელმწიფოებრივ საიდუმლოს მანდობდა, ჩურჩულივით წყნარი ხმით მითხრა: — რას ვიზამდი და მაგ სოფლებს სტამბულის მიერ გამოშვებული ბანქოთი ავავსებდიო! ვერაფერს მავხვდი და პიი დავაღე, ეს კაცი ასეთ მნიშვნელოვან პრობლემას ბანქოთი როგორ გადაჭრის-მეთქი, გავიფიქრე. ჩემი ეჭვი ხმამაღლა რომ გამოვთქვი, გაეცინა და ყველაფერი ამიხსნა:

— სოფლელებს, ჩემო კარგო, მოგეხსენება, ბანქოს თამაში უყვართ, საშუალება რომ მისცე, დაჯდებიან და დღე და

ღამე ბანქოს თამაშის მეტს არაფერს არ გააკეთებენ, არც საქმე ახსოვთ და არც სმა-ჭამა... ჰოდა, ავიღებდი და ... უკანა მხარეს სოფლის მეურნეობის ამსახველ სხვადასხვა სურათებს დავბეჭდავდი. ავწევდი და მერე ასეთ ბანქოს ფუთობით შევზიდავდი სოფლებში...

— მერე მაგით რა გაკეთდება? — ეჭვი გამოვთქვი მე, — მაგით როგორ გაიზდება სოფლები და მოსავლიანობა?

— შენ რა გესმის, — დამცინა მან, — სოფლელები ხომ შეხედავენ ბანქოს უკანა მხარეს? დაინტერესდებიან თუ რა ხატია მასზე, მიყოფენ საქმეს ხელს და მდგომარეობაც ასე გამოსწორდება!

ახლა სულ ლენჩივით დავაღე პირი. თურმე რა შორს ვიხედებით, ამდენი პრობლემის წინაშე ვდგებით, სულ ძირფესვიან რეფორმებზე ვლაპარაკობთ, თურმე დახეთ რა იოლად გადასაწყვეტი საქმე ყოფილა. ეს კი ალი-ბეის მეტმა კაცშვილმა ვერ ძოიფიქრა! არა, ალი-ბეი ნაღდად მართალია, არ გვაბია თავი და ეგაა!

ფულს დახარბებული მძღოლი წამდაუწუმ აჩერებს ავტობუსს და ახალ-ახალ მგზავრებს კრებს გზაზე. იტენება და იტენება „ბელედეი“. ზოგს ხურჯინი ამოაქვს, ზოგს აბგა, ზოგს კალათი, ზოგს ავადმყოფი მიყავს ქალაქში ექიმთან, ზოგიც ბაზარში მიეშურება... ერთ-ერთი სოფლის დასაწყისში, ხიდის თავში მჯდომი პირატივით წვერმოშვებული, თმაგაბურძგნილი, გამხდარი კაცი წამოდგა და ხელი აუწია ჩვენს ავტობუსს: — გააჩერე, გააჩერე!

მძღოლმა ავტობუსი გააჩერა. შევნიშნე, კაცს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, მუხლებზე ხელს ისეთი გამეტებითა და გაძწარებით იცემდა, გავიფიქრე, ამ კაცს მთელი თავისი ქონება ან ბანქოში წაუგია, ანდა ცოლ-შვილი დახოცვიათეთქი!

— ავადმყოფი მყავს წასაყვანი, წამიყვანე და რაც გინდა გადამახდევინე!.. ღმერთი თუ გწამს, წამიყვანე! — შეეხვეწა იგი მძღოლს.

მძღოლი სდუმდა, შესცქეროდა და საჭეზე აკაკუნებდა თითს.

ღმერთის ხსენებაზე მაღაროს ბღენძმა მოხელემ თავი ასწია და ჰკითხა: — ავადმყოფი სად გყავს?

— აი, აგერ, ხის ჩრდილში!

— სადაური ხარ, მოხუცო? — დაინტერესდა მაღაროს მოხელე.

გლეხმა ხელი გაიშვირა: — ეგერ, გაღმა, მთა რომ მოჩანს, იმ მთაზე რომ სოფელი მოჩანს, იმ სოფლიდანა ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღაროს მოხელემ გლეხს თვალი აარიდა და მძღოლს უსიტყვოდ მიაჩერდა თვალებში. მძღოლმა ინტერესით ახალ-ვალ-ჩაათვალიერა გლეხი და ჰკითხა:

— ავადმყოფი ცუდადაა?

— ძალიან! პირდაპირ სიკვდილის პირზეა მისული, ძვირფასო შოფერო!

თითქოს ძალიან ებრალებაო, მაღაროს მოხელემ, ეგზავრებზე შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, ხმამაღლა უთხრა შოფერს. — წაიყვანე. მუსლიმან კაცს გაჭირვებია, უნუგეშოდ დარჩენილა გზაზე!

— შენ იცოცხლე, შენს თვალებს ვენაცვალე, ღმერთმა გაგახაროს! — გლეხმა ხელები მაღლა აღაპყრო და მაღაროს მოხელე დალოცა.

მძღოლმა თავი შეიფხანა და გლეხს ჰკითხა: — რამდენს მომცემ?

— რასაც მომთხოვ, მომცემი ვარ! — უყოყმანოდ თქვა გლეხმა.

ფულისმოყვარულ, სინდისგარეცხილ მძღოლს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა.

— კარგი, დაჯექი! — დაეთანხმა როგორც იქნა.

— შენ აშენდი! — გახარებული გლეხი ავადმყოფის მოსაყვანად ეუნძულით გაიქცა.

ავადმყოფი ძვალ-ტყავად იყო ქცეული, მჭლე სახეზე ზაფრანის ფერი ედო, წვივებზე სიცხლი მიხმობოდა და ბუზები ეხვია.

მაღაროს მოხელე ავადმყოფს მიაჩერდა, მერე გლეხს გადახედა და დაინტერესებულმა იკითხა:

— ეს ქალი შენი ცოლია?

— დიახ, ჩემი ცოლია! — მიუგო გლეხმა თავის ენერგიული დაქნევით.

გლეხს ათიოდე წლის ბიჭი ახლდა: მაღალი, დიდრონთვალება. მიშველი ფეხები ერთიანად ტალახში ამოსვროდა, დახეულ-ჩამოკონკილი მარვალ-ხალათი ეცვა, აბურძგნილ, გაზაგულ თმას შუბლი და ყურები დაეფარა. ბიჭი მჯიღს ისვამდა თვალებში და გაუჩერებლად ღრიალებდა: — დედა, დედიკო!

— აბა, შვილო! — მიუბრუნდა გლეხი ბიჭს, — წადი ახლა სახლში და სახედარი წაიყვანე. შენს დას, დუდუს უთხარი, რაც დავაბარე არ დაივიწყოს, დაჯდეს შინ და იყოს წესიერად. საღამოს ძროხა და სახედარი ბოსელში შერეკოს და კარები მაგრად ჩაკეტოს. დაწოლის წინ ცეცხლი არ დარჩეს ჩაუქრობელი.

ბიჭმა სახედარს შოლტი მოუქნია, წინ გაიგდო და ზლაზვნით დაადგა მზისაგან გავარვარებულ მტვრიან გზას.

ავტობუსში სამი მგზავრი წამოდგა ფეხზე და დიდსულოვნად დაუთმო ადგილი გლეხს და ავადმყოფს. ქალს ადგომისაკენ არ შეეძლო. გლეხი დაჯდა და ქალი ბავშვივით მიიხუტა მკერდზე. ავადმყოფს თანდათანობით ეკარგებოდა ფერი სახეზე, თანდათანობით ემსგავსებოდა მიცვალებულს, თვალს ვერ ახელდა და წყნარად კვნესოდა.

ავადმყოფისა და გლეხის საცოდაობით ვიწოდი. რა იქნებოდა, ღმერთს ისეთი ძალა მოეცა ჩემთვის, რომ ამ ავადმყოფისათვის მეშველა, ამეყვანა და პირდაპირ საავადმყოფოში დამესვა.

— რა აწუხებს ავადმყოფს? — არ აჩერებდა ენას მაღაროს მოხელე.

— რა ვიცი მე, რა აწუხებს?! — მხრების აჩეჩვით, ხმადაბლა ჩაილაპარაკა გლეხმა, — ხელიდან კი მეცლება და... ორი დღეა სისხლი სდის...

მაღაროს მოხელემ გადმოფლაშულ ტუჩებზე გაისვა გაოფლილი, დონდლო ხელი და ისევ იკითხა: — კი მაგრამ, მაგ ავადმყოფობას სახელი არა აქვს?

გლეხი მოულოდნელად გაბრაზდა და ხმისაწევით მიუგო: — რაში გაინტერესებს მაგი, ბატონო! ბავშვი მოწყდა, გაიგე!.. სისხლის დენა აქვს!

— აა! — როგორც იქნა დაიკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა მაღაროს მოხელემ, — თვითონ, არა?..

— რაში გაინტერესებს, ბატონო? — ისევ გაიმეორა გლეხმა, მაგრამ ახლა უკვე დაღლილი, გასავათებული ხმით. ქალს გადახედა, ამოჩაჩული კაბა გაუსწორა და განაგრძო: — შვიდი შვილი გვყავს... მერვე უკვე გამზადებული იყო... ცხოვრება ისედაც გვიჭირს და ახლა კიდევ მერვე... მოვიშორებო, იფიქრა საცოდავმა და... ღმერთის ნაჩუქარი იყო და ალბათ გაგვირისხდა ღმერთი!

ავტობუსში ვიღაცებმა გაიცინეს, ავადმყოფმა წამით გაახილა მილულული თვალი, გახედა მათ და ისევ მილულა.

— თქვენ რა გითხრათ მე! — ხელი ჩაიქნია მაღაროს მოხელემ, — ეს რა შტერულად მოქცეულხართ. მაგ საქმეს ქალაქელებიც ვერ ახერხებენ ხეირიანად... თქვენ კი...

— რაც არის, არის! — ბედშერიგებულივით ჩაილაპარაკა გლეხმა, — ქვმაინც გადავარჩენდე და მეტი არაფერი მინდა. მაგას თუ რამე დაემართა, დამეღუპა ოჯახი და ისაა!

ავტობუსში ისევ გაიცინეს ვიღაცებმა.

— ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, არ მოკლავს შენს ცოლს! — გაამხნევეს აქეთ-იქიდან.

— ცოტა ჩქარა წადი!— გავძახე მძღოლს, — დროზე უნდა მივიყვანოთ ავადმყოფი საავადმყოფოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი ერთხანს თავჩაქინდრული სდუმდა მწარე ფიქრებში წასული, მერე თავი ასწია, შეხედა მაღაროს მოხელეს და იკითხა: — ღმერთს შევთხოვე შველა, თუ მომისმენს ნეტავი?

— როგორ არა! უნდა ილოცო და ილოცო! თუ შეძლება გაქვს, ორი-სამი ცხვარიც უნდა შეწირო! — გაამხნევა და დაარიგა მაღაროს მოხელემ.

— მაგას გადამირჩენდეს ღმერთი და სამი რაა, ხუთ ცხვარს არ შევპირდები და არ შევწირავ? — ჩაილაპარაკა მოხუცმა ოდნავ იმედიანი ხმით.

— შეპირდი, უოუოდ შეპირდი! — ისევ გაუმეორა მაღაროს მოხელემ.

მძღოლმა სიჩქარეს უმატა. ავტობუსი მტვრიან გზაზე ზუზუნით მიქროდა, მაღაროს მოხელე ერთხანს თავჩაქინდრული დუმდა და თვლემდა. თავი მორყეულივით უყანყალებდა აქეთ-იქით. მერე, ეტყობოდა დუმილს ველარ გაუძლო, გაახილა თვალები, მომიბრუნდა და ლაყბობის მადაზე მოსულმა ისეთი საშინელი ამბები მოშიყვა, რომ არ გამეგონა, იძულებული გავხდი ყურებზე ამეფარებინა ხელი.

ავტობუსი თავის გზას განაგრძობდა. გზაზე ინტენსიური მოძრაობა იყო. ხან საბარგო მანქანები ჩაგვიქროლებდნენ, ხანაც მსუბუქი, ხანდახან ცხვრის ფარა გადაგვიჭრიდა გზას და მძღოლი იძულებული იყო სიჩქარე შეენელებინა. როგორც კი მძღოლი სიჩქარეს უკლებდა, მაღაროს მოხელეს მაშინვე ხერხები ეშლებოდა და დაუყვირებდა: — გასწი ჩქარა, ავადმყოფი საავადმყოფოში უნდა მივიყვანოთ.

მაგრამ მძღოლი დროდადრო მაინც შეანელებდა სიჩქარეს: გზაზე გახირული საქონელი, სახედრები, ძაღლები, აინუნშიაც არ აგდებდნენ მანქანას. ერთგან სამი ქათამი გავჭყლიტეთ, ერთგან კიდევ ფინია ძაღლი.

ახარტში შესული მაღაროს მოხელე შეუჩერებლად უყვიროდა მძღოლს:

— ჩქარა, ჩქარა!

— მაცალეთ! — ამშვიდებდა მას მძღოლი, — მეც ამ სოფლის შვილი ვარ, საქონელი რომ გავსრისო, ხალხი ქვას მესვრის და ზარალს გადამახდევინებს.

— ეს გლეხები კაი გვარიანი შტერები არიან! — ბრაზი ახრჩობდა მაღაროს მოხელეს, — ეს დეგენერატები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ პირუტყვს და ღვთის ანაბარად ყავთ მიმვებული. პირუტყვს კი მეტი ჭკუა არ მისცა ღმერთმა, პირდაპირ შუა გზაზე წვებიან და მანქანებს არ ეპუებიან.

— შეჩვეულები არიან მანქანებს! — აუხსნა მძღოლმა.

— შეჩვეულები არიან თუ შეუჩვევლები, მაგი რაში გვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგია ჩვენ? ხომ ხედავ, საავადმყოფოში აგვიანდება, ავადმყოფს!

ავტობუსი გზას განაგრძობდა. წინ წამდაუწუმ დაბრკოლებები გვეღობებოდა — ქათმები, ძაღლები, იხვები, სახედრები.

იორუკების[1] ერთ-ერთი სოფლიდან გავდიოდით, მიწური ქოხმახები, ფიჩხით შემოღობილი ბოსლები... ერთმანეთში ირეოდნენ, ცხვრები, ბატკნები, ძაღლები, ლეკვები, სახედრები, ქათმები, ფეხშიშველი, ტიტველი ბავშვები, ფეხმძიმე ქალები... ჩამოკონკილი მამაკაცები ჩრდილში ისხდნენ, ფეხები გაეჩაჩხათ და ძაფს რთავდნენ... ირგვლივ გაუსაძლისი სიბინძურე იყო, იქაურობა ფეხსალაგივით ქოთდა.

— იჩქარე, სვლა არ შეანელო! — ისევ აფრთხილებდა მძღოლს მაღაროს მოხელე.

სოფელი უკან მოვიტოვეთ. ავტობუსი შხუილით მიჰქროდა გზაზე და გზიდან ამდგარ მტვრის ბუღს იტოვებდა უკან.

წინ, შუა გზაზე სიცხისაგან გათანგული, ყურებჩამოყრილი და ფილოსოფოსივით ჩაფიქრებული მუტრუკი იწვა და არ ინძრეოდა, მზე შუბის ტარზე იდგა და მთელი ძალით აცხუნებდა.

მძღოლმა მუტრუკი შენიშნა და სვლა შეანელა.

მაღაროს მოხელემ შეუტია: — ჩქარა, ბიჭო! სვლას ნუ ანელებ!

თუ ავტობუსი არ გაჩერდებოდა, მუტრუკის სისხლით მოირწყვებოდა გზა. ალბათ ავად იყო საცოდავი. თავი ჩაექინდრა და დასჩერებოდა მტვერს.

მაღაროს მოხელემ მუტრუკის მისამართით შეიგინა და მჯიღი დაირტყა მუხლზე.

ავტობუსი მუტრუკს უახლოვდებოდა.

— გააჩერე, გააჩერე! — იღრიალეს მგზავრებმა.

— გასწი, ბიჭო! — შეუძახა მაღაროს მოხელემ, — ნუ გეშინია! რა დარჩა ასეთი ეს ერთი გაძვალტყავებული და შტერი მუტრუკი? მაგის პატრონს, შარვალჩამოკონკილ გლეხს მე გადავუხდი ჯარიმას!

— გააჩერე ავტობუსი! — სთხოვა მძღოლს ავადმყოფის პატრონმა, მაგრამ უკვე გვიან იყო. „ბელედეიმ“ გადაუარა მუტრუკს, ძვალი და რბილი გაუერთიანა, გასრისა და არხეინად განაგრძო გზა.

— გავჩერებულიყავით კარგი იყო! — თქვა მგზავრებიდან ვიღაცამ.

---

1 იორუკები — თურქეთში მცხოვრები მომთაბარე ტომი

— საყვირი რომ მიგვეცა, შეიძლება ამდგარიყო! — თქვა მეორემ.

— სოფლის მუტრუკისათვის საყვირს რა მნიშვნელობა აქვს? — ჩაიცინა მაღაროს მოხელემ, — გინდა მიგიცია და გინდა არა! კაცმა რომ თქვას, იმ ერთი მუტრუკისათვის საყვირის მიცემა არც კი ღირდა.

„ჰმ! თურმე სოფლელი მუტრუკისათვის საყვირის მიცემაც არ ღირდა!“ — გავიფიქრე და ვკითხე: — რატომ არ ღირდა ვითომ?

მაღაროს მოხელემ პასუხის გაცემის ღირსადაც არ გამხადა.

— თუ გვინდოდა რომ ღმერთის წინაშე მართალი ვყოფილიყავით, საყვირი უნდა მიგვეცა! — ჩაილაპარაკა რომელიღაც მორწმუნემ.

— უნდა მიგვეცა საყვირი! — ძლივს თქვა ავადმყოფის მეუღლემ.

— შენ ჭკუა არ გაგაჩნია! — დაუყვირა მას მაღაროს მოხელემ. — ცოლი გიკვდება, შენ კი მუტრუკზე დარდობ! დროს დაკარგვა როგორ შეიძლებოდა რომელიღაც მუტრუკი გლეხის მუტრუკის გამო? — მძღოლს მიუბრუნდა და ისევ შეახსენა: — ჩქარა!

ავტობუსი ლამის გაფრინდა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მაშინვე დაარღვია რომელიღაც მგზავრმა: — იმ მუტრუკის პატრონმა თუ იჩივლა, მაშინ ნახე სეირი შენ. მოწმედ დამასახელებენ და მიდი მერე, ირბინე ენაგადმოგდებულმა სასამართლოში!

— აბა, აბა! — დაეთანხმნენ სხვები.

— ნეტა ჭაკი იყო თუ... — დაინტერესდა ვიღაცა მუტრუკის სქესით.

— ჭაკი რომ ყოფილიყო, ასე თავისუფლად ასეირნებდნენ სოფლელები მაგას? მაშინ გზაზე კი არ დაწვებოდა! — აუხსნა ვიღაც ჭკუის კოლოფმა.

— ვირების მეტი რა ყავთ სოფლელებს? ერთი მუტრუკის სიკვდილ რაა? — გაიცინა ვიღაცამ.

— ქემაინც მოზრდილი სახედარი ყოფილიყო!—დარდობდა ვიღაცა, — თორემ მუტრუკი...

გასრესილი, ძვალრბილგასწორებული, სისხლსა და მტვერში გასვრილი მუტრუკი თვალს მოეფარა.

„ბელედეი“ მიჰქროდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფადიმ-აღას წისქვილები

მთელი წლის, თორმეტი თვის განმავლობაში, დილიდან საღამომდე ფადიმ-აღას ორი მსახური მის ეზოს ვერ შორდებიან. ყოველდღე, დაახლოებით ექვსჯერ თუ შვიდჯერ დღეში, ისინი ჯეზვეს შეაცურებენ ცეცხლში, ყავას მოადუღებენ, შაქარსა და რძეს გაურევენ და მოწიწებით მიართმევენ ფადიმ-აღას: — მიირთვით, ბატონო!

ფადიმ-აღა თვალებს მოწკურავს, ყავას ჩამოართმევს, მოწრუპავს და სიამოვნებისაგან ხვად კატასავით კრუტუნებს.

ბატონის ტყაეებზე მიწოლილი ფადიმ-აღა ყავის მირთმევის მერე დიდის ამბით ამოიღებს ძვირფას სიგარეტს „ვენჯიკს“ ვერცხლის პორტსიგარიდან.. ვერცხლისავე მუნდშტუკში ჩადებს და დიდი სიამოვნებით გააბოლებს. ეწევა და რომ არ იცის, უსაქმურობისაგან დრო როგორ მოკლას, უცქერის როგორ მიიწევს მაღლა-მაღლა თამბაქოს კვამლი და როგორ ქრება თანდათანობით უსასრულობაში.

როცა ბატონის ტყავებზე კოტრიალი მოწყინდება, როცა გამომლაპარაკებელი მოუნდება, ფადიმ-აღა მაშინვე მსახურს გააქცევს სოფელში, ვინაც მას სურს, იმ კაცს მოაყვანინებს და საუბარს წამოუწყებს. მოსაუბრესთან ფადიმ-აღა მხოლოდ თავის თავზე და თავის მტრებზე ლაპარაკობს. თუ ვინმე სძულს, წასულია იმისი საქმე, ისე გალანძღავს, ისე გათათხავს, არ გარევს არაფერში.

როდესაც სოფლის სიმყუდროვე და უსაქმურობა ყელში ამოუვა, ფადიმ-აღა ბრძანებას გასცემს, მსახურებს ეტლში ფიცხ ცხენებს შეაბმევინებს და ქალაქ დენიზლისაკენ გასწევს.

ბედნიერი კაცია ფადიმ-აღა, მდიდარზე მდიდარია, უამრავი უძრავი და მოძრავი ქონების პატრონი. პირში რომ ოქროს კბილები აქვს, ერთ გაჭირვებულ კაცს მარტო ის ეყოფა სულის მოსათქმელად... ხორციოთაც მდიდარი კაცია, ასთვრამეტ კილოგრამს იწონის, დღითიდღე ემატება ხორცი და ქონი. სიმსუქნისაგან ძლივს სუნთქავს და თავის აქეთ-იქით მიბრუნება უჭირს. ღიპი კი იმოდენა აქვს, ღმერთმა დაიფაროს, საკუთარ ფეხებს ძლივს ხედავს...

ფადიმ-აღას უყვარს თავის თავზე საუბარი. ზის, ქშინავს და უყვება მსმენელს, თუ როგორ ჩავიდა ერთ დღეს დენიზლიში და იქ მცხოვრებ ერთ ცნობილ ექიმს მიაკითხა სიმსუქნისაგან შეწუხებულმა.

...— იმ ექიმს ჰამიდი-ბეის ეძახიან, — ყვება ფადიმ-აღა, — კარგად მიმიღო, გამესაუბრა. ჯერ ამინდზე ჩამომიგდო სა-

ებარი, მერე მოსავალზე, მოყვა, მოყვა და მკითხა ბოლოს, ტ
ხე გარჯილხართო. გამიკვირდა, მისვლის მიზეზს, თუ კარგი
ექიმია, რატომ ვერ მიმიხვდა-მეთქი. ავუხსენი, რისთვისაც
ძიეედი: — ავად ვარ და იმიტომ გაწუხებ, ექიმო! — ვუთხა-
რი მე.

დაკვირვებით ამხედ-დამხედა, თავი გააქნია და მშვიდად
თქვა: — ავად ხარ? რას ამბობ? არა, შენ ავად არა ხარ!

— არა, ავად ვარ, ბატონო! — დავიჟინე, მე, — ავად
რომ არ ვიყო, რისთვის შეგაწუხებდი, აბა?!

ისევ ამხედ-დამხედა, ამათვალ-ჩამათვალიერა, ჩაიცინა
და თქვა: — შენ ავად არა ხარ, მაგრამ რაკი დაგიჩემებია,
იყოს როგორც შენა გსურს! მითხარი აბა, რა გაწუხებს?

— ტკივილით არაფერი, ბატონო, შეწუხებით კი მაწუ-
ხებს...

— რა?

— სიმსუქნემ შემაწუხა, ბატონო, სიმსუქნემ!

— მერე?

— რა მერე? მინდა ისეთი წამალი გამომიწეროთ, სიმსუ-
ქნემ დამიკლოს, თორემ მეტი აღარ შემიძლია, გავთავდი კაცი!

ექიმმა ჩაიცინა და მხარზე ხელი დამიტყაპუნა: — რა
გქვიათ? ჰო, ფადიმ-აღა! შენ ნუ გჯერა მაგი, მასეთი წამალი
არ არსებობს და არც ოდესმე იარსებებს ალბათ. მე შენ შეიძ-
ლება გამოგიწერო რამე, მაგრამ ის წამალი შენ ვერ გიშვე-
ლის...

— აბა, უნდა ვიყო ასე?

— არა, მისმინე და კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყ-
ვი: — სიმსუქნისაგან თავის დაღწევის უებარი საშუალებაა
დიეტის დაცვა! გაიგე? დიეტა უნდა დაიცვა!

— კი, მაგრამ, ეს დიეტა რაღაა?

— დიეტა დიეტაა!

— მერე რას ითვალისწინებს მაგ დიეტაა თუ ჩემი ფეხე-
ბია?

— რას ითვალისწინებს და.. ტკბილეული არ უნდა ჭამო,
ცხიმიანს არ უნდა გაეკარო, წვნიანს უნდა ერიდო, საერთოდ,
ცოტა უნდა ჭამო, იშიმშილო უნდა, დღეში ხუთ-ექვსჯერ წაი-
ვარჯიშო. ცოტა ფიზიკურად იშრომო და...

— რაც შენ ჩამოთვალე, ყველაფერი რომ შევასრულო,
წონაში დავიკლებ?

— კი, აუცილებლად დაიკლებ წონაში! — დამაიმედა
ექიმმა.

მოვედი სახლში და ცოლებს ვუთხარი: — გადაწყვეტილი
მაქვს წონაში დავიკლო, ექიმთან ვიყავი და მასწავლა, თუ რა
უნდა გავაკეთო ამისათვის. ერთი კვირის განმავლობაში უცხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკ ბრინჯის წვნიანი უნდა მაჭამოთ. ტკბილეულობა ... გამაკაროთ...

როგორც ვთქვი, ცოლებიც ისე მოიქცნენ, მომიხარშეს ბრინჯის უცხიმო წვნიანი და მაჭამეს. ერთი დღე, ორი დღე, სამი და მეტად ველარ გავუძელი. აბა როგორ უნდა გამეძლო, როცა უხციმო წვნიანს არავითარი გემო არ გააჩნია, გინდა თბილი წყალი დაგილევია და გინდა ისა. არც ვარჯიშით მომიკლავს თავი. ორი დღის განმავლობაში ერთი-ორჯერ წავივარჯიშე და ქე მივანებე თავი. ფიზიკური მუშაობა აბა სად შემეძლო და დავრჩი ასე, წონაში ერთი გრამიც არ დამიკლია... მას მერე, იმ ექიმს არ გავკარებივარ, შემრცხვა, რომ მკითხავდა, დიეტა თუ დაიცავიო, რა უნდა მეპასუხა?

ფადიმ-აღას სამი ცოლი ჰყავს, სამივენი მსუქნები, ხორციოა და ქონით გაზიბზიბებულები. იმ სამიდან რომელია კანონიერი ცოლი, ეშმაკმა უწყის. ქალები ერთმანეთს ჭამაში და სიმსუქნეში ეჯიბრებიან, კიდევ ერთ რამეზე აქვთ მეტოქეობა — ფადიმ-აღას დანარჩუნებაზე. ყოველი მათგანი ცდილობს რაც კი შეიძლება ფადიმ-აღა დიდხანს იყოლიოს თავისთან. მაგრამ ფადიმ-აღა ამ მხრივ სამართლიანი კაცია, კანონიერი! ცდილობს არც ერთს არ დასწყვიტოს გული, არც ერთს არ მიაკუთვნოს უპირატესობა, მისთვის სამივენი ერთნაირადაა ძვირფასი და სასურველი და ერთ ღამეს ერთს რომ შეხვდება ლოგინში, მეორე ღამეს მეორეს ეხუტება, მესამე ღამეს კი მესამეს იკრავს გულში.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ფადიმ-აღა მდიდარზე მდიდარი კაცია, სხვა ქონებასთან ერთად მის განკარგულებაშია რვა წისქვილი, რომლებშიაც მეწისქვილედ მუსტაფა მუშაობს, იგი სოფელ ჰაიდარიდანაა. რვა შვილის მამას ხელისგულისოდენა მიწა ჰქონდა, რომლითაც მრავალსულიანი ოჯახის რჩენა არ შეეძლო, ამიტომაც შეიქნა იძულებული თავისი სოფელი, ოჯახი მიეტოვებინა და ფადიმ-აღას ერთ-ერთი მოსამსახურეთაგანი გამხდარიყო.

მუსტაფას ხანდახან ისე მოენატრებოდა შვილები და ოჯახი, ბოლმით იტენებოდა და მაშინ იყო, რომ ღმერთის უკანონობაზე ჩამოუგდებდა საუბარს წისქვილში თავშეყრილ გლეხებს.

— ამდენს ვლოცულობთ, ამდენს ვევედრებით ღმერთს, მას კი ჩვენთვის აღარ სცალია, ყველაფერი—წისქვილები, საყანე და საბოსტნე მიწები ფადიმ-აღასათვის მიუცია და ჩვენთვის აღარაფერი დარჩენია მოსაცემი... სამართლიანია ამის მერე ეს ღმერთი?..

მორწმუნე გლეხები, რომელთაც ღმერთის ძაგება მომაკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინებელ ცოდვად მიაჩნდათ, მაშინვე შეაწყვეტინებდნენ მუსტაფას:

— რომ აფრენ, გეტყობა, რას მიედ-მოედები თუ იცი შენ? ვინ მოგცა ღმერთის გმობის უფლება?

— მე არაფერსაც არ ვაფრენ, მეზობლებო! — მშვიდად იტყოდა მუსტაფა, — მე სიმართლეს ვლაპარაკობ, ფადიმ-აღა წურბელაა, სისხლსა გვწოვს და თვითონ სუქდება, ღმერთი კი მის მხარეზეა, ხელს უწყობს მას, ეხმარება. ფადიმ-აღამ რომ მოინდომოს, არმიას შეადგენს და არც მისი რჩენა გაუჭირდება...

— კი, ეს მართალია, ფადიმ-აღა რომ მდიდარი კაცია და მას რომ ყველაფერი აქვს, ეს სიმართლეა! — ამბობდნენ გლეხები, — მაგრამ ღმერთს ნუ ახსენებ, ნუ გმობ ღმერთს, მან უკეთესად იცის, რა ქნას და რა მოიმოქმედოს. რომ ნდომებოდა, შენ მოგცემდა სიმდიდრეს, ჩვენ მოგვცემდა აგერ, მაგრამ მან ფადიმ-აღას მისცა, ალბათ ასე იყო საჭირო და ასეც მოიქცა...

— აბა მე რას ვამბობ? ღმერთმა რომ ყველაფერი ფადიმ-აღას მისცა და ჩვენთვის მოსაშავებელი აღარაფერი დარჩა, ამას ვლაპარაკობ მეც.

— ღმერთის გმობა მაინც არ შეიძლება.

ეს წისქვილები ფადიმ-აღასათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო. იმ რაიონის ორმოცდარვა სოფლის მცხოვრებს აქ მოჰქონდათ საფქვავი, ასე რომ, დიდძალი მუშტარი ეხვეოდა ამ წისქვილებს. ხალხი რიგში იდგა და იცდიდა, როდის დადგებოდა მისი ჯერი. ხშირად მთიანი სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს ოთხი დღე აგვიანდებოდათ, სანამ თავიანთი რიგი დადგებოდა, გადაჰკიდებდნენ თავიანთ გაძვალტყავებულ სახედრებს პურისა და ქერის მარცვლით დატვირთულ ვეება ტომრებს გლეხები და საცოდავი სახედრები, რომელთაც არც ნალი და არც კეხი გააჩნდათ, ძლივს-ძლივობით ადგამდნენ ნაბიჯებს ქვითა და ღორღით მოფენილ ფერდობზე.

* * *

სოფელ იელმეს მცხოვრებლებმა, როცა მარცვალი გალეწეს და დააბინავეს, ახალი მუხტარი აირჩიეს. ახალი მუხტარი — ალი თავიანი კაცი იყო, ენერგიული და საქმიანი. ერთ დღეს მან შეკრიბა სოფლის მამაკაცები და გამოუცხადა:

— ასე არ შეიძლება, მეზობლებო, სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე? წისქვილი არ გაგვაჩნია, საფქვავი რომ დავფქვათ, ოთხი-ხუთი დღე უნდა გავაცდინოთ, უნდა გავიტანჯოო, დავიქანცოთ, სახედრებიც გავაწვალოთ და უნდა ვიაროთ ამ საშინელ გზებზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა რა ვქნათ? არ დავაფქვიოთ აბა ხორბალი? — იკითხა ერთმა, — წისქვილი რომ გვქონდეს, კარგია, მაგრამ... ოღონ წისქვილი არა გვაქვს, ისევ სხვის წისქვილზე უნდა ავიტანოთ საფქვავი, შორსაა თუ ახლოს, უნდა გავიჭირვოთ, აბა დაუფქვავს ხომ არ მივირთმევთ?..

— მართალია, უნდა გავიჭირვოთ!

— აბა რა ვქნათ, როცა სხვა გამოსავალი არაა? — აყაყანდნენ გლეხები.

— მოიცათ! — შეაჩერა ისინი ახალმა მუხტარმა, — ერთი რაღაცა მოვიფიქრე და მინდა ჩემი ფიქრი თქვენაც გაგიზიაროთ, დავფიქრდეთ, კარგად ავწონ-დავწონოთ, გავზომოთ და თუ მოგეწონებათ ჩემი აზრი, ისე მოვიქცეთ!

— თქვი, თქვი!

— გაგვაგებინე ერთი, რა მოიფიქრე!

— თუ კარგია და მისაღები, რატომ არ მივიღებთ? — აყაყანდნენ ისევ გლეხები.

— აი, რა, მეზობლებო სოფელში ოთხმოცდაათი მოსახლე ვართ, თითოეულმა მოსახლემ რომ თითო-თითო კოდი პური გავიღოთ და გავყიდოთ, ეს ხუთიათას ლირას შეადგენს, ზოგიერთებმა, ვისაც ყველაზე უფრო უჭირთ, შეუძლიათ ერთი კოდის მაგიერ ნახევარი კოდი პური გაიღოს...

— მერე და რად გვინდა ეს ფული? — იკითხა ერთ-ერთმა გლეხმა.

— რად გვინდა და ამ ფულით შეგვიძლია მოტორი ვიყიდოთ და აქ, ჩვენს სოფელში მოტორიანი წისქვილი გავმართოთ, უკეთესი არ იქნება განა? ფადიმ-აღას წისქვილში მისვლას გადავრჩებით და არც მინდი გვექნება გასაღები...

— ეს კარგია, მაგრამ... წყალი რომ არ გაგვაჩნია?

— რით ავამუშავებთ წისქვილს?

— ეს როგორ იქნება? — ისევ აჩოჩქოლდნენ გლეხები.

— რითი ავამუშავებთ და მოტორით! — აუხსნა მუხტარმა მათ, — აბა რისთვის გვინდა ის მოტორი?

— მერედა, მაგ მოტორი აამუშავებს წისქვილს? — დაეჭვებით იკითხა რომელიღაც გლეხმა.

— წისქვილი წყლის გარეშე... — წამოიწყო მეორემ, მაგრამ მუხტარმა შეაწყვეტინა:

— რადგანაც გეუბნებით, იმუშავებს ალბათ! ჩემი თვალით ვნახე, წყლის წისქვილზე უკეთესად მუშაობდა და ფქვავდა... ოთხი ათასი ლირა თუ შევაგროვე, წავალ და ხუთ დღეში მოტორს და წისქვილისათვის განკუთვნილ სხვა მოწყობილობას ამოვიტან.

მუხტარმა იმდენი ილაპარაკა, იმდენი მაგალითი მოიყვანა, რომ ბოლოს და ბოლოს გლეხები თანდათანობით დააინტერესა

და მცირე ყოყმანის შემდეგ მათ ერთობლივი გადაწყვეტილება გამოიტანეს.

— მუხტარი მართალია. სათესლე პურიც რომ გავყიდოთ, ეს საქმე მაინც უნდა გავაკეთოთ. ხეირიანი საქმე ჩანს, ჩვენთვის სასარგებლო!

და აი, ერთ დღეს, შუადღისას მუხტარმა თავისი სიტყვა შეასრულა — სოფელში მოტორი და წისქვილისათვის საჭირო სხვა მოწყობილობანი ამოიტანა.

ქალების გარდა მთელმა სოფელმა მოიყარა თავი სასაფლაოს გვერდით, სადაც წისქვილის აგება გადაწყვიტეს.

სოფლელების უმრავლესობას მოტორი თავის სიცოცხლეში არ ენახა. გლეხებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს იგი.

— მაგარია, არა? — იკითხა ერთმა გლეხმა.

— მაგარია და მეტი არა? — დაეთანხმა მეორე, — მოტორით მომუშავე წისქვილი წყლის წისქვილზე ოცჯერ უფრო ჩქარი ყოფილა.

— უყურე შენ!

— ვინ გააკეთა, ნეტა?

— ვის უნდა გაეკეთებინა? გიაურმა გააკეთა თურმე!

— გიაურმა?

— კი, კი, გიაურმა!

— მოდი და გიაური უძახე შენ! ჭკვიანი ხალხი ყოფილა.

— ამის გაკეთებას აბა ჭკუა არ უნდა?

— ვენაცვალე თვალებში იმ გიაურებს, რომლებმაც ეს მოტორი და ტილის მოსასპობი წამალი გამოიგონა!

— თოფის და ზარბაზნის კეთებას არ სჯობია ასეთი სახეირო რამერუმეები გააკეთონ?

— ჯობია და მეტი არა! რა ხეირია ზარბაზანში? ხალხის დახოცვის მეტი არაფერი შეუძლია!..

— არა, არა, მაგარი რამ კია და...

— მაგარია და მეტი არა?

— ბიჭო, ეს ნამდვილად გიაურის გაკეთებულია?

— გიაურისაა, აბა ვისი იქნება?

— ჩვენს მუსლიმანს არ გაუკეთებია აგი?

— მუსლიმანს კი არა, ის არ გინდა შენ?!

— ჩვენი მუსლიმანის გაკეთებული რა ნახე და რა გაიგონე შენ?

— არაფერი! მუსლიმანს აჭამე, ასკი, ქალი დაუჯინე მუხლებზე!

— ანდა ლოგინში დაუწვინე! მორჩა, ესაა სულ მუსლიმანის საქმე!

— სწორია მაგი! მუსლიმანს მოტორის გაკეთება საღ-ეს ძლია?

— რომელი გიაურის გამოშვებულია თუ იცით, ბიჭებო, ა?

— გერმანიის, გერმანიის!

— თვალებში ვენაცვალე იმ მოხელეს, თვალებში!

— კარგია, მაგრამ, ეს მოტორი პურს დაფქვავს?

— ა, მოდი და კითხე ამას ჭკუა! პური რაა, ქვას არ დაფქვავს?

— ქვის დაფქვა რაში მჭირდება, კაცო?

...მერე წისქვილის აგებას შეუდგნენ. მუხტარის ცოლის ძმა ნური, რომელსაც ჯარში ყოფნისას მძღოლის კურსები დაემთავრებინა და გენერლის მანქანაზეც ემუშავნა, მოტორის აწყობას შეუდგა. წისქვილი გამართეს, მოტორი ჩართეს და საცდელად გაუშვეს.

წისქვილი საუკეთესოდ მუშაობდა.

სოფლელები სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგნენ.

— ეს რა კარგი საქმე გაგვიკეთა მუხტარმა, ჰა?

— აბა, კაცო!

— ოქრო კაცია, ოქრო! ეს როგორ მოიგონა?

— აღარ დაგვჭირდება აწი ფადიმ-აღას წისქვილზე სიარული, იმხელა გზის გავლა.

— ოთხი დღე გვჭირდებოდა, ოთხი დღე! ეხუმრებით თქვენ?

— ახლა კი ა, ბატონო, ავერ გვაქვს ცხვირწინ და დაფქვი როდესაც მოგესურვება.

წისქვილი შეუფერხებლად მუშაობდა. მალე ახლო-მახლო სოფლებიდანაც დაიწყეს საფქვავის მოზიდვა.

მერე სხვა სოფლელებმაც შეიძინეს მოტორი და საკუთარი წისქვილი გამართეს. ფადიმ-აღას წისქვილებს თანდათანობით დაეკარგა მაზანდა, შემოსავალმა იკლო და ფადიმ-აღამ ყურები ჩამოყარა.

მის წისქვილებთან უკვე აღარ იდგა სხვადასხვა, შორეული, სოფლებიდან ჩამოსულთა რიგი. მდგომარეობა რომ გამოესწორებინა, ფადიმ-აღა ერთგვარ რისკზე წავიდა. თუ უწინ ერთი სახედრის ძლივს მოტანილ საფქვავზე მინდად რვა ოყა ფქვილს იღებდა ქირად, ახლა ეს ქირა ორ ოყაზე ჩამოიყვანა, მაგრამ წამხდარ საქმეს ამით არაფერი ეშველა.

ფადიმ-აღა საათობით იდგა თავისი სახლის ფანჯარასთან და გზას გასცქეროდა. იქნება ვინმემ საფქვავი მოიტანოსო, მაგრამ მომსვლელი არავინ ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ერთ დღეს სოფლის ყავახანაში ამბავი მოიტანეს, ფადიშ-აღა ერთ-ერთი ცოლის ოთახში უნახავთო მკვდარიაო.

ჯერ არ დაიჯერეს, მერე კი, როცა შეამოწმეს, მართალი აღმოჩნდა.

— ალბათ წისქვილების დარდმა თუ მოკლა! — დაასკვნეს სოფლელებმა.

თ ა მ ა შ ი

ყავახანის მეპატრონეს — მუხართემს მაგიდა და სკამები ჯამეს წინ, ჩრდილში გამოეტანა და იქ მოეკალათებინა. ჩრდილში საკმაოდ გრილოდა. ყავახანის მოთამაშეები ერთთავად აქ, ამ ჩრდილში იყრიდნენ თავს და თამაშობდნენ, რადგანაც ყავახანის ჩახუთულ ჰაერსა და ბუზების შემოტევას ვერ იტანდნენ.

მუხართემს ზაფხულობით მაგიდები გარეთ გამოჰქონდა ხოლმე. მუშტარი გამოულეველი ჰყავდა და ისიც, რაღა თქმა უნდა, თავისი ბედით კმაყოფილი იყო. იგი მაგიდის გადასაწმენდ ჩვარს მედიდურად გადაიგდებდა მხარზე და ამაყად იტყოდა ხოლმე: — ომიც რომ დაიწყოს და ქვეყანა იქცეოდეს, ჩემი ყავახანა მაინც არ დაცარიელდება. სხვა ყავახანების მეპატროხეებმა იკითხონ თორემ, ჩემს ყავახანაში, ამ ჯამეს ჩრდილში ვინ არ მოვა?.. ჩრდილში მობრძანდით, ბატონებო, ჩრდილში! — მხიარულად ეპატიჟებოდა იგი ყავახანის მუშტრებს.

აი, დღესაც... ოციოდე მუდმივ მუშტარს მოეყარა თავი. ნარდისა და დომინოს თამაშით იქცევდნენ თავს. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ და ლაყბობდნენ. მათი ხმაური შორს ისმოდა.

— რადიო ჩართე, ბაცო! — დაუყვირა ერთმა, — ისმეთ-ფაშას ხომ არ ელოდები, ელექტროელემენტებს რომ უფრთხილდები?.. თუნდაც ისიც მოვიდეს, ჩვენსავით ერთ სკამზე დაჯდება მაინც.. ჩართე რადიო, ჩვენც ადამიანები ვართ!

— თქვენი ნებაა, ბატონო! — ბოხი ხმით გაეპასუხა მუხართემი, — ფაშა რას მიქვია, თქვენ ხართ ჩემი ფაშაცა და გენერალიც, ოღონდ თქვენ ბრძანეთ და.. ისმეთ-ფაშას მოსვლა მე რას მეხება? — რადიო ჩართო იქაურობა მაშინვე ქალის ხმამ გააყრუა. მომღერალ ქალს ისეთი თბილი, წკრიალა ხმა ჰქონდა, ეტყობა ჯერ შიმშილი არ განეცადა.

„ძენ ამიერიდან წახვალ, წახვალ, ამან“...— მღეროდა ჰამიეთ სესი.

— შენ გენაცვალე, ჰამიეთ! — დაიყვირა აზარტში შესულ-

მა მუხართემმა, — შენ გენაცვალე... ჩემი მუშტრებიც, შენ გენაცვალოს!

— შენ ჩვენი მოურავი ხომ არა ხარ... სხვებსაც ვჭირდებით, — გაეპასუხა ერთი.

— ვენაცვალე, თქვენც ენაცვალეთ, თუნდაც შეგვჭამოს!

— ერთი ამას დამიხედეთ?!. იმ ქალმა ჩვენ რა უნდა შეგვიჭამოს, ბიჭო?

— რაც უნდა, ის შეგვიჭამოს, ჰალალი იყოს მასზე!

ჯამეს თეთრწვერა ხოჯამ, ოთხმოცს გადაცილებულმა ბერიკაცმა, მინარეთიდან ჩახრინწული ხმით წამოიწყო „ეზანი“. ამ სიტყვების მნიშვნელობა კაცისშვილმა არ იცოდა. მხოლოდ ანკრად ხვდებოდნენ, რომ „ეზანის“ გადმოძახილზე ჰეშმარიტი მუსლიმანები ჯამეში უნდა შესულიყვნენ და ელოცათ.

ბებერი ხოჯის ისედაც სუსტ მოძახილს რადიოს ხმა ახშობდა. ხოჯის მოძახილზე, ჯამეში სულ ხუთიოდე მოხუცებული შევიდა შუადღის ლოცვაზე.

ამ დროს ერთ-ერთი მუშტარი ფეხზე წამოდგა და თქვა: — ბიჭო, მუხართემ, ხომ არ გაგიყდი შენ? გამორთე ახლავე რადიო!

მუხართემმა მხრები აიჩეჩა, ხმა არ ამოუღია და არც რადიო გამოურთავს.

— სირცხვილი თქვენი! — გაბრაზდა მეორე მუშტარი, — სინდის-ნამუსი არ გაგაჩნიათ და ესაა! არც დილის ლოცვა იცით თქვენ, არც საღამოს და, საერთოდ, აღარაფერი აღარ გწამთ... ქემაინც „ეზანის“ დროს მაინც გამორთეთ ეგ ოხერი რადიო.

— გვაპატიე, ჰაჯი ბიძია! — წამოიძახა მუხართემმა, — ყველაფერს გეფიცები! „ეზანის“ ხმა არ გამიგონია, თორემ შენი ხათრისათვის მაინც როგორ არ გამოვრთავდი? — რადიოსთან მივიდა და გამორთო. — აჰა, ხომ ხედავ, გამოვრთე!

ჰაჯი ამბაქი ბარბაცით ჯამესაკენ გაემართა და თან გაუჩერებლად იმეორებდა ერთი და იგივეს: — სირცხვილი, სირცხვილი!..

მეღორე შევქეთს გვარიანად წაეგო ნარდში და გვარიანად დაბოღმილი, მიზეზს ეძებდა, რათა აყალმაყალი აეტეხა და გული მოეოხებინა.

— ჩართე, ბიჭო, მაი! — დაუყვირა მან მუხართემს, — ვიდრე სამი-ოთხი ბერიკაცი ილოცებდეს, ჩვენ პირღია უნდა ვიცადოთ? რომელ დროში ვცხოვრობთ თუ იცი? ჩვენ ვართ მეტი თუ ისინი? ვინაც მეტია, ხმაც მას ეკუთვნის, ჩართე!

— არა, არა, ვერ ჩავრთავ! — ხელები გაასავსავა მუხართემმა, — დაამთავრონ ლოცვა და მერე დიდი სიამოვნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლმილი მეღორე არ ცხრებოდა: — არ გამაბრაზოგო, თორემ... შენ და შენი ყავახანა... მეტს აღარ მოვალ აქ!

მუხართემი მის დამშვიდებას შეეცადა: — კი, ბატონო, ჩავრთავ! შენი ხათრისათვის ყველაფერს გავაკეთებ! მეითუღლა ხოჯიდან რა სარგებელი მაქვს აბა?! — გაბრუნდა და რადიო ჩართო.

მეღორე დაწყნარდა: — აი, ასე! — ჩაილაპარაკა უკვე დამშვიდებულმა, — ცოტა გონებას წიხლი უნდა დააჭირო და უნდა გაიგო ბრუნდი და მართალი. ვისგანაც მეტი სარგებელი გაქვს, მეტი პატივიც მას უნდა სცე!

— გასაგებია, გასაგები! — ჩაილაპარაკა მუხართემმა.

— ბიჭო, მაინც არ დაცხრა მეღორე, — შენ მეტი პატივი უნდა გვცე. ამ აგვისტოს გაგანია სიცხეში ჩვენს საქმეზე არ წავსულვართ და აქ ვსხედვართ. არ უნდა გიხაროდეს შენ ეს? ცოლები უკმაყოფილო გვყავს, კალოს ლეწვაზე რომ არ ვეხმარებით... შენ კი... მაინც დაგვიჯერე ცოტა...

— კი, ბატონო, თქვენი ნებაა!—ჩაილაპარაკა მუხართემმა.

— ჩვენ უნდა დაგვიჯერო, აბა რავა გგონია შენ!

მუხართემი მოულოდნელად გაბრაზდა: — რა მოხდა ასეთი?! შენ გინდა მოსულხარ და გინდა არა, ფეხებზე არ მკიდია? რა საჭიროა ამდენი საყვედურები? ჩემს ყავახანას მუშტარი მაინც არ მოაკლდება, ორ-სამ დღეში სოქაში ბამბის ასაღებად წასულები მობრუნდებიან და... შეხედე ერთი, ეგერ მოდიან...

მეღორე შეკქეთმა ქუჩისაკენ მიიხედა და მოულოდნელად წამოიყვირა: — მოდის, მოდის! კარა მემიში მოდის!.. ახალი კოსტიუმი შეუკერავს, ცილინდრი უყიდია, სათვალე უკეთია, კრიალოსანს მოათამაშებს...

ყველა იქ მყოფნი შეთანხმებულებივით მობრუნდნენ და კარა მემიშს მიაჩერდნენ.

მეღორე ზლაზვნით წამოდგა და იკითხა: — როდის დაბრუნდა ნეტა?

— წუხელ! — თქვა ერთმა, — წუხელ თითქმის ნახევარი ხალხი დაბრუნდა... მანქანა ვერ უნახავთ და ფეხით წამოსულან.

— ვერ მოითმინეს, უქალობა გაუჭირდათ!

ქუჩაში ცხვრის ფარა გამორეკეს. გზაზე მტვერი აიზლაზნა და მტვრის ბუღი ნისლივით ჩამოწვა. კარა მემიში გზიდან გადადგა, დაიხარა, შარვლის ტოტზე მტვერი დაიფერთხა, მერე ისევ გაიჯგიმა წელში და ვიდრე ფარა თკალს არ მიეფარა, ადგილიდან არ დაძრულა.

მეღორე კარა მემიშს შესცქეროდა.

— მოდის! — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ახალ ამბებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყვება! — წამით იყუჩა და მერე ხმამაღლა, ყველასგასაგონად დასძინა: — ვალები ჰრჩობს და ახალი კოსტიუმი შეუკერავს. რად უნდა ნეტა? უსინდისო!

მუხართემმა ვეღარ მოითმინა: — შენ რაო, კარგად რომაა ჩაცმული, გშურს, არა?!

მაგრამ მეღორე შევქეთს მისი სიტყვები აღარ გაუგონია. რამდენიმე წამს რაღაცაზე ფიქრობდა, მერე უცებ წამოიძახა: — შეხედეთ, შეხედეთ!.. მუხართემ-ეფენდი, შენაც მოდი აქ. მოდით ერთი და გავამასხარაოთ ეს შალერი! მე რომ დავიძახებ „სწორდით“, თქვენ ყველამ ფეხზე ადექით, ქუდები მოიხადეთ!..

მყუდროება ჩამოწვა. რადიო გამორთეს, თამაშიც კი შეწყვიტეს და ყველანი კარა მემიშს მიაცქერდნენ. კარა მემიში თავმომწონედ, თავაწეული მოდიოდა. ჯამეს ჩრდილში აჩოჩქოლებული ხალხი ადრევე შენიშნა, მერე, ხალხი რომ მიწყნარდა, ეს რომ შემთხვევით არ მომხდარა, მიხვდა, წამით შეცბა, შეფიქრიანდა, მაგრამ არ შეიმჩნია და არხეინად ზურგზე ხელებდაწყობილმა განაგრძო გზა... ხალხს რომ დაუახლოვდა, ყველამ გაიგონა მისი ახალი ფეხსაცმელების ჭრაჭუნი. ყველა გატრუნული, გაოცებული მისჩერებოდა. კარა მემიშის ჩამომხმარ, ჩხირივით ტანზე ასეთი კოსტიუმი, ასეთი ფეხსაცმელი, ცილინდრი.. საოცრად სასაცილო ჩანდა ხალხის თვალში. შეკრებილთ რომ დაუახლოვდა, მეღორემ დაიყვირა:

— სწორდით!.. კაიმაკამ-ბეი მოდის! ფეხზე, ფეხზე ადექით!

ყავახანის მუშტრები წამოდგნენ, ქუდები მოიხადეს და გაინაბნენ. პირველად მეღორე მიუახლოვდა მემიშს, მერე მუხართემი, მერე კი დანარჩენები.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

კარა მემიშს ნებისყოფამ არ უღალატა, ბრაზი შეიკავა და არხეინად თქვა: — თქვენც კეთილად მენახეთ, ხალხნო! როგორა ხართ?

— ვცოცხლობთ, ბატონო!— უპასუხეს ერთხმად.

— მეზობლები ყველანი აქ არიან, მუხტარ?

— ზოგი კი, ზოგი სადღაც მიმოიფანტა, ზოგიც მუშაობს!

— ძალიან გამახარეთ, ძალიან! კარგია, რომ მუშაობენ. იმუშავეთ, შვილებო, ბევრი იმუშავეთ! უცხოელებმა შრომით ააყვავეს თავიანთი ქვეყნები და ბევრად გაგვისწრეს კიდეც. ჩვენც, თუკი ვიმუშავებთ, ყველაფერი გვექნება...

— ხალხო, კარგად მოისმინეთ! — შეაწყვეტინა მეღორემ, — გაიგეთ, რაში ყოფილა საქმე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იმუშავეთ, შვილებო, იმუშავეთ! — გაიმეორა კარა მეშ-
მიშმა.

— განა ჩვენ უსაქმურები ვართ?!. — წამოიძახა ერთმა,
— დღე ნამგალს ვატრიალებთ ყანაში, ღამით კიდევ, ლოგინი... სულ ვმუშაობთ და ეგაა, სულის მოსათქმელი დრო რომ მოგვცა, ავდგებით და ზურნას ავაჭყიპინებთ... ახლა რომ აქ ვზივართ, მაგი ნუ შეგაწუხებთ, ორ-სამ დღეში ისეთი საქმეები დაგვეწყება, ისე დავიღლებით, აქ ვერ მოვალთ...

— აფერუმ, შვილებო! იმუშავეთ, მუშა კაცი ღმერთსაც უყვარს და მთავრობასაც!.. მეც მიყვარს!.. ყავახანაში ნუ დადიხართ. ეს ყავახანები ჩვენს ქვეყანაში ობობას ქსელივითაა მოდებული.. აქ სიარულს, ჯობია იმუშაოთ, ბაღჩაში, ბოსტანში იმუშავეთ!..

— კი, ბატონო!

— სუფთად ჩაიცვით!

— კი, ბატონო!

— გულიც წმინდა გქონდეთ!

— ღმერთი გაცოცხლებთ, კაიმაკამ-ბეი!

— ქუჩაში სისუფთავე დაიცავით. დაავალეთ თქვენს ცოლებს, ქუჩები დაგავონ! მიწმინდ-მოწმინდონ აქაურობა!

— რა უნდა დაწმინდონ? — იკითხა მეღორე შევქეთმა.

კარა მემიში ჩაფიქრდა და ნამდვილ კაიმაკამ-ბეივით მიმოიხედა: — აქ, ახლოს სიბინძურე არ არის? — იკითხა ბოლოს.

— არის ბატონო, ბოსლები არის!

— ჰოდა, აიღეთ! ეგ ბოსლები ბუზებს ავრცელებენ, სოფელს გარეთ გაიტანეთ! ეს ბოსელი ვისია, აგერ, გზის პირას რომ არის?

— უქიზის, ბატონო!

— უთხარით, დაუყოვნებლივ აიღოს!

— ბევრჯერ ვუთხარით, მაგრამ მაინც არ იღებს. ჩვენ კი ბუზები გვჭამს მაგის ბოსლის გამო.

— უთხარით, დაგაჯარიმებთ-თქო!

— ესეც ვუთხარით...

— მერე?

— არ აიღო! ასე თქვა, კარგი საცხვარეა, სოფელს ბედნიერებას მოუტანსო.

— ჰმ! ხედავთ?! არ დაიჯეროთ მაგი! თქვენ ჩემთან განცხადება შემოიტანეთ. დაწერეთ, რომ... „ჩვენს სოფელში, ამა და ამ კაცმა ჯამეს ახლოს ბოსელი დადგა, რაც იქაურობას აბინძურებს, რამდენჯერმე ვთხოვეთ, ბოსელი აიღო, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ შეასრულა“.. დაწერეთ, რომ ჯამესთან ბოსე-

ლი უხერხულიცაა და, თანაც, ბუზებსაც ავრცელებს.. ამ ეზოში სჯელებ ამაზე და ზომებსაც მივიღებ.

— ღმერთმა ადგაშენოს, კაიმაკამ-ბეი!

— კიდევ რა გსურს, მუხტარ?

— თქვენი კარგად ყოფნა და სიცოცხლე, ბეი!

— საყანე მიწებს თუ ვინმე საძოვრად იყენებს, ან ტყეს თუ ანადგურებს ვინმე?.. დურმიშ ფექმეზმა გზის პირას სიმინდი რომ დათესა და მე ავუკრძალე, შეასრულა თუ არა ჩემი ბრძანება?

— არა!..

— არა?! კარგი, ზომებს ახლავე მივიღებთ, დავაპატიმრებ, მე მაგისი!.. კარგად მომისმინეთ: ტყე ჩვენი სიმდიდრეა, იმედია ჩვენი, დედა, მამა, ქონება, სილამაზე და ყველაფერია ჩვენი! ტყეს რომ ჩეხავენ და სიმინდს თესავენ, აქედან რა ბარაქა იქნება? ყველამ რომ მიდგეს და ტყე ჩეხოს, აქაურობას ქარი და ნიალვარი წალეკავს, ქვეყანა ქვების გროვად იქცევა, ასე არ არის, შვილებო?

— ჩვენ ამდენი რა ვიცით, ბატონო?! — ჩაილაპარაკა მუხტარმა, — ჩვენ უსწავლელები ვართ, საიდან გვეცოდინება მაგდენი!

— ისწავლეთ, სკოლაში იარეთ!

— სკოლა სადა გვაქვს, ბატონო!

— ვინაც მცოდნეა, არამცოდნეს ასწავლოს... მივწერ მე ანკარაში და გამოგვიგზავნიან მასწავლებელს. ახლა ბევრგან იხსნება მოძრავი სკოლები. სამი დღის განმავლობაში მსურველები ჩამოწერეთ, ქალებიც ჩაწერეთ და განცხადება ჩემთან მოიტანეთ.

— იცოცხლეთ, ბატონო, იცოცხლეთ!

მუხტარმა გვერდით მდგომ ჩილ იშიმს მკლავში ჩააკვლო ხელი, გვერდზე გაიყვანა და კარა მემიშის გასაგონად უთხრა: — აბა, გასწი ახლავე და ჩემს მეუღლეს უთხარი: თუ ყავა არა აქვს, მოხალოს, სადილიც მოამზადოს, ერთი ბატკანიც დაკლას, ჭურჭელი სუფთად ჰქონდეს, დარეცხოს.

ჩილ იშიმი ათიოდე ნაბიჯზე თავმოყრილ ხალხს შეუერთდა.

კარა მემიში კი თავისას განაგრძობდა: — აქეთ მოიხედე, შვილო მუხტარ! სოფელში საპირფარეშოები გააკეთეთ თუ არა? საპირფარეშოს გარეშე არც ერთი სახლი არ უნდა დარჩეს. მეორეჯერ რომ მოვალ, ყველგან საპირფარეშო იყოს. ამჯერად გეგმაში არა მაქვს საპირფარეშოების დათვალიერება. ამ საქმეს შენ მიხედე, მუხტარ! ქალაქელები დაგვცინიან ამის გამო... კაცმა რომ თქვას, თითო ოჯახს თითო საპირფარეშო ქე უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უთუოდ, ბატონო!..

— ჰოდა, იზრუნეთ ამაზე!..

— კარგი, ბატონო!

— არხები შეაკეთეთ? მეორეჯერ რომ მოვალ, მაჩვენეთ! ჭები გაწმინდეთ, შიგ ქათმები და კატები არ იყოს ჩამხრჩვალი!

— ვეცდებით, ბატონო!

— სოფელში კანონი წესიერად განახორციელეთ... ერთი კანონი კიდევ უნდა დავამუშავოთ — სოფლის გაზრდა!

— იცოცხლეთ, იხარეთ, ბატონო!

— ეე, ახლა თქვენაც მითხარით რამე!

— ჩვენ სათხოვარი არაფერი გვაქვს. ღმერთმა შენ გადღეგრძელოს. შემდეგისათვის ყველაფერი რიგზე იქნება, ოღონდ, აი ის კაცი საპირფარეშოს არ აკეთებს, კაიმაკამ-ბეი!

— რატომ?

— გიჟია და იმიტომ! საპირფარეშო მაქვს თუ არა მაქვს, ეს ვისი რა საქმეაო. ვისაც როგორ უნდა, ისე გააკეთებს, საქმეში სრული დემოკრატია უნდა იყოსო...

— ვაი და უი მის თავს! ესაა დემოკრატია? აქეთ მოიხედე, იცოდეთ, დემოკრატია სხვაა, საპირფარეშო კიდევ — სხვა! ჰო, სამსახურში მისვლისთანავე სოფლის კანონებში ჩავიხედავ...

— იცოცხლე, ბეი!

კარა მემიში უცებ გახელდა: — აღარ მინდა მე ასეთი რამერუმეები!

— გვესმის, ბატონო!

— სხვა საკითხებზე თუ გსურთ მკითხოთ რამე?

— კი... აქეთ ერთი კაცია, რომელიც შეწერილ ცხვრის ტყავს არ აბარებს წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას. ვერაფერს ვერ დავიყოლიეთ.

— წითელი ნახევართმთვარისა და ნებაყოფლობით საჰაერო საზოგადოებას ვინც არ დაეხმარება და ტყავს არ ჩააბარებს, ეს ქვეყნის ღალატია. იცოდეთ, ცხვრის ტყავი საჰაერო ძალების გაძლიერებისათვისაა საჭირო და აუცილებელი... ოჰ, დავიღალე, სათვალეც გამიჭუჭყიანდა, ეს სოფლის მტვერის ბრალია! — სათვალე მოიხსნა, გაწმინდა და ისევ გაიკეთა.

— ჩემო ბატონო, — უთხრა მეღორე შევქეთმა, — აქეთ მობრძანდით, ცოტა დავისვენოთ, დაღლილი ბრძანდებით, ფინჯანი ყავა დავლიოთ!

— აქედან შორს ცხოვრობ, მუხტარ?

— არა, ბატონო, აქვე, ჯამესთან...

— კარგი, წავიდეთ.

— თუ ინებებთ, ჯერ ჯამე დავათვალიეროთ. ჩვენი წესი

ასეთია, საპატიო სტუმარს ჯერ ჯამე უნდა დაათვალიერებინოთ.

— ძალიან კარგი, ვნახოთ!

— ჯერ იმაში მოვნახოთ, ბატონო, გასაღები იმასა აქვს, — მუხტარმა რომელიღაც გლეხს მკლავში ჩაავლო ხელი, გაიხმო და დაავალა: — საჩქაროდ ხოჯას დაუძახე, გასაღები მოიტანოს, უთხარი, კაიმაკამმა ჯამე უნდა ნახოს-თქო!

გლეხი სირბილით წავიდა ხოჯის დასაძახებლად.

შუადღის ლოცვით დაღლილი, ის-ის იყო შინ ახლად მისული ხოჯა ცოტახნის შემდეგ ჯამეს მიადგა. ერთი ჩამომხმარი ბერიკაცი იყო, თვალები და ლოყები ჩაცვენოდა, ყბებს ძლივს, სასაცილოდ ამოძრავებდა. მას დიდის პატივისცემით მოიხადა ქუდი და კარა მემიშს მიესალმა: — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კაიმაკამ-ბეი! ჯამეს დათვალიერება გნებავთ ალბათ.

— დიახ, ხოჯა-ეფენდი, თუ არ შეწუხდებით...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, რა შეწუხებაა. მობრძანდით კაიმაკამ-ბეი!

— გმადლობთ, ხოჯა-ეფენდი!

ჯამეს კართან, პირველი მეღორე შევქეთი მივიდა და ბებერ ხოჯას უთხრა: — ხოჯა-ეფენდი, იჩქარეთ, ბატონ კაიმაკამს ბევრი საშური საქმე აქვს. უნდა წავიდეს. ჩვენსავით მოცლილი კი არ არის.

ხოჯამ თავი დაუქნია. ჯამეს კარების გაღებისას ხელები უკანკალებდა. — მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით!

ფეხზე გაიხადეს და ყველანი ჯამეში შელაგდნენ. ზოგ-ზოგნი ჩუმ-ჩუმად ქირქილებდნენ.

— ძალიან კარგია, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — თქვა კარა მემიშმა, როცა ჯამე დაათვალიერა, — როდის გააკეთეთ ასეთი ლამაზი ჯამე?

სოფელში ამოსული ყოველი საპატივცემულო სტუმარი პირველად ჯამეს დაათვალიერებდა და მყისვე ასეთ შეკითხვას დასვამდა.

ხოჯა ჩაფიქრდებოდა და მერე მიუგებდა: — ასე, ორმოცი წელი იქნება. კაისერედან მოვიყვანეთ ოსტატი. მემედაღამ ააშენა... ახლა აბა ვინ გააკეთებს ასეთს? ქვები სახედრებით მოვხიდეთ სოფელ კურნიდან. ოთხი დღის სავალია აქედან. ჯამეს შესაღებავად კი ჩინელი ოსტატები მოვიწვიეთ!

— ძალიან კარგი! — იტყოდა ხოლმე ესა თუ ის სტუმარი. — კარგი ოსტატები ყოფილან. წარწერები კარგი ნამუშევარია.. არა, უჰ, რა ნამუშევარია, რა ხელობაა, სად არ მივლია, მაგრამ ასეთი ჯამე ჯერ არსად მინახავს.. წმინდა მუჰამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სახელიც რა ლამაზადაა წარწერილი... მოგილოცავთ, ბატონო! მრთელად და ბედნიერად გელოცოთ.

ახლა ეს სიტყვები გაიმეორა კარა მემიშმაც და ხოჯას მიუბრუნდა: — ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ბატონო! თქვენ სარწმუნოების დედაბოძი ხართ, ღმერთმა ნუ მოგაკლოთ ზრუნვა და ყურადღება!

კარა მემიში თითოეულ წარწერასთან ჩერდებოდა, აკვირდებოდა, კითხულობდა და, თან გულისყურით უსმენდა ხოჯის ჩიფჩიფსაც. ბოლოს, ხოჯა ჯამეს ერთ-ერთ კუთხეში გაიხმო და ჰკითხა: — როგორაა საქმე, ხალხი გემსახურებათ?

— სადაა, ბატონო, ძველებური პატივისცემა და სამსახური! — ნაღვლიანად უპასუხა ხოჯამ: — წინათ ასე როდი იყო. ვიღუპებით, ბატონო, ეს ხალხი ისეა ატეხილი, ღმერთი კარგს არაფერს გვიზამს. ჯამესთან რადიოს უკრავენ და კახპა ქალებს აკივლებენ. გადაგვარდა სოფელი, თუ თქვენ ჩაგონებთ რამეს, იქნება გამოსწორდეს საქმე!

— ვეტყვი ხოჯა-ეფენდი, ვეტყვი! საღამოს სოფელში კრებას მოვიწვევ და ვეტყვი... ურწმუნოს სახეში მივაფურთხებ! თქვენაც უთხარით ზოგჯერ...

— არ მიჯერებენ, ბატონო!

— არ დაგიჯერებენ, ხოჯა-ეფენდი, მაგრამ მე რომ ვეტყვი და გავაფრთხილებ, დაგიჯერებენ კი არადა... სულ სირბილით მოვლენ, როცა შენს წკრიალა „ეზანს“ გაიგონებენ. ისე შეგეჩვევიან, რომ დღეში ბარე ხუთჯერ ილოცებენ. ყოველ შემთხვევისათვის, თუ მაინც არ მოვლენ, მაცნობე, ერთ დღეს შეჯექი სახედარზე და მეწვიე... ახლა კი წავიდეთ, ყავა დავლიოთ და ცოტაც წავისაუბროთ.

— არა, ბატონო! ნება მომეცით წავიდე! ყურადღებისა და ზურნვისათვის კი დიდ მადლობას მოგახსენებთ.

კარა მემიში ჯამეს კარებთან ერთხელ კიდევ მიუბრუნდა ხოჯას: — ერთხელ კიდევ მოგახსენებთ მადლობას, ხოჯა-ეფენდი! ძალიან მასიამოვნეთ. კარგი ჯამე გქონიათ!

ხოჯა საპატიო სტუმრის ქებით დიდად იყო გახარებული. — ბედნიერი მგზავრობა, ბატონო!

...კარა მემიშის კაიმაკამობა მუხტარის სახლში დამთავრდა. იქ მას არც ყავა დაულევია და არც საჭმელი მიურთმევია რამე. რაღა თქმა უნდა, არც ბატკანი დაუკლავთ მისთვის. კარა მემიში ცოტა არ იყოს გაბრაზდა და მეღორე შევქეთს მთელი ყავახანის ბინადართა წინაშე შეაგინა. ბოლოს ცილინდრი მოიხადა, ხალხს გამოეთხოვა და წავიდა.

ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი, გაძვალტყავებული და მზისგან გარუჯული, ძალზე სასაცილოდ გამოიყურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა ჰ ა ნ ი

მანქანამ რახრახით, გამაყრუებელი ხმაურითა და თუხ-თუხით ძლივძლივობით აიარა სოფლის აღმართი და დამწვარი ბენზინის მძაფრი სუნით ააქოთა იქაურობა.

მანქანის ხმაურსა და მოტორის ზუზუნზე შევკრთი, თავი ავწიე და გავხედე, რომც არ გამეხედა, ისედაც ცნობილი იყო, თუ ვისი მანქანა ქოთქოთებდა ასე.

დედაჩემი სადილის სამზადისში იყო, ახალ ლობიოს არ-ჩევდა და რაღაცაზე ჩაფიქრებული ჯიუტად სდუმდა. ხმაურ-ზე მანაც წამოსწია თავი, მანქანას გახედა, მერე მე მომიბრუნ-და და მითხრა: — გახედე ერთი, მოვიდა შენი ძმაკაცი! — თავი ვაიქნია, მწარედ ჩაიცინა და ისევ საქმე განაგრძო.

„რატომ ჩემი ძმაკაცი?“ — გავიფიქრე მე. მასთან არასდროს არაფერი მქონია საერთო. ხანდახან, თუ მასზე რაი-მე ცუდს იტყოდნენ, ანდა მეზობლები დაცინვით გაკრავდნენ კბილს, გამოვექომაგებოდი. ეს იყო და ეს. საოცრად არ წყა-ლობდა ბედი და მებრალებოდა. განა ამიტომ იყო ჩემი ძმაკა-ცი?

მინდოდა რაღაც მეთქვა, შევსიტყვებოდი, მაგრამ დამე-ზარა, ხელი ჩავიქნიე, გარეთ გავედი, აივნის დაბალ მოაჯირს ხელისგულით დავეყრდენი და მოწყენილი, დაბინდული მზე-რით გავხედე სოფელს... მანქანას ყიჟინით აედევნენ სანახევ-როდ ტიტველი, ფეხშიშველი, ტალახში ამოსვრილი, ჩამოძო-ნძილ-ჩამოკონკილი ბავშვები. მანქანის გამონაბოლქვი, მტვე-რი და მხუთავი გაზი ახრჩობდათ, ახველებდნენ, თვალები ცრემლით ჰქონდათ სავსე, მაგრამ მაინც არ ეპუებოდნენ. ამ სოფელში მანქანა იშვიათი ხილი იყო და უკეთეს გასართობს აბა რას ნახავდნენ.

ერთხანს მანქანასა და ბავშვებს გავცქეროდი. უსაქმურო-ბისაგან მოწყენილსა და სულშეწუხებულს ვერ გადამეწყვიტა რა გამეკეთებინა, როგორ გამეყვანა დრო, სად წავსულიყავი, ვინ მომენახულებინა. მერე უცებ გადავწყვიტე. კიბეზე და-ვეშვი და ზანტად, ზოზინით გავემართე სელით გადახურულ, ქოხისმაგვარ სოფლის ყავახანისაკენ, რომელიც ერთადერთი თავშესაყარი და გასართობი ადგილი იყო ამ წყეულ სოფელ-ში.

ძველ, დაფხავებულ „შაჰანს“ მოსახვევში მობრუნება ეუჭირდა და გამაყრუებლად ათუხთუხდა, მოტორი აზმუვლ-და და ყურთასმენა წაიღო. ბავშვებმა თავი გამოიდეს, იქნება ცოტა წავეხმაროთ“ და ერთსულოვნად, ენთუზიაზმით, ბავშ-ვური აღტყინებით წაესივნენ, გაიჭაჭნენ, ოფლში გაიღვარ-

ნენ, მაგრამ ვირივით გაჯიუტებულ მანქანას ძვრაც ვერ უყვეს. მისი გალეულ-გაცვეთილი საბურავები ნელ-ნელა, თანდათან, სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა. პირდაპირ, შუა გზაზე მდგარ მუხლამდე ტლაპოში. მოტორი განწირულად ღმუოდა, ბავშვები ყვიროდნენ, ყიჟინებდნენ და ვერ მიხვდებოდი, ერთმანეთს ამხნევებდნენ თუ ოფლში გაღვარულ საცოდავ მძღოლს.

მწარედ გაღიმებულმა თვალი ავარიდე გაწვალებულ მანქანასა და ბავშვებს და ნაბიჯს ავუჩქარე.

ყავახანასთან მივედი. გარეთ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ჩამოფხავებული სახურავით, დახეთქილი, წვიმისაგან ჩამორეცხილი კედლებით იგი ჭაობში მდგარ ფრთამოტეხილ ყანჩას ჩამოგავდა როგორღაც. შიგნიდან ხმაური, ყაყანი მოისმოდა. ყავახანაში შევედი. ოფლისა და შმორის სუნი მეტაკა მაშინვე. თამბაქოს კვამლში ძლივს მოჩანდა ხალხი. რადიოში მეჯლისის თავმჯდომარისა და პრემიერის სახელზე გაგზავნილი დეპეშის ტექსტს გადმოსცემდნენ. დიქტორს ლოთივით ჩახრინწული ხმა ჰქონდა და დროდადრო ასთმაშეყრილივით ხიხინებდა. ყავახანაში თავშეყრილ უსაქმურებს ჩვეული საქმიანობა — ნარდისა და დომინოს თამაში შეეწყვიტათ და გამოთაყვანებული, დასიცხული სიფათებით მისჩერებოდნენ მოლაპარაკე რკინის ყუთს.

მერე რადიოში ჩვენი რაიონის პარტიის ლიდერი გამოვიდა სიტყვით. როცა მან სიტყვა დაამთავრა, კუთხეში მჯდომმა, ზურგით კედელს მიყრდნობილმა, ჩათვლემილივით გალურსულმა, წვერმოშვებულმა, თავგაბურძგნილმა და წვრილკისერა ბერძენ-ოღლიმ თავი ჩამოსწია და წვრილი, ქალური ხმით, მიძინებულ კატასავით დაიკნავლა: — რაც იქნება, ერთი წერილი მეც უნდა გავაშანშალო, იქნება ჩემი სახელი და გვარიც ახსენონ რადიოში.

მის წაბოქვამზე ზოგმა ჩაიცინა, ზოგმა ჩაახველა, ზოგმაც დამცინავად გადახედა მას. როგორც იქნა ადგილი გათავისუფლდა. დავჯექი და ყავახანის პატრონს — ჩაგოდრებულ ოსმანს ვთხოვე, ჩაი მომიტანე-მეთქი.

მან თავი დამიქნია, ჩაი მომიტანა და უსიტყვოდ გაბრუნდა.

რადიო ახრიალდა, მერე სულ ჩაუწყდა ხმა. ყავახანაში ეამიერმა მყუდროებამ ღაისადგურა. მერე ისევ ატყდა ყაყანი. ხალხი დომხალი იყო, ვინ რას ამბობდა, ვერ მიხვდებოდი. ვინ საერთო ჩამორჩენილობაზე, გაუნათლებლობაზე და სოფლის მეურნეობაზე მსჯელობდა. ზოგიც სიძვირესა და პროდუქტების ნაკლებობაზე, მერე კორეაში გაგზავნილ ჯარისკაცებზე ჩამოვარდა საუბარი. მოკამათეები ლამის შეასკდნენ ერთმა-

ნეთს, მაგრამ მაინც ვერაფრით შეთანხმდნენ ერთ ამბავში: იყო თუ არა მთავრობის გადაწყვეტილება სწორი.

— ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ სად მდებარეობს კორეია! — ყვიროდა ერთი, თავმოტყლეპილი, გამოქექილი მოკამათე, — ანდა ჩვენი პრემიერი, ჯარს რომ აგზავნიდა კორეაში, საინტერესოა, რას ფიქრობდა? თუ უნახავს მას ოდესმე თუნდაც ერთი კორეელიც კი?

მას სხვები არ დაეთანხმნენ, ატყდა ისევ ყაყანი, მაგიდაზე მუშტების ცემა, ყვირილი, გინება და მიწევ-მოწევა. ვინ ვისზე მიიწევდა, ვინ ვის უკურთხებდა, უკვე ვეღარ გაარჩევდა კაცი. ბოლოს, და ბოლოს, მათი ყაყანიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ყავახანაში თავმოყრილ უსაქმურთა უმეტესობას კორეაში ჯარის გაგზავნა პრემიერის ძცდარ ნაბიჯად ეაჩნდათ.

მათი ყაყანით დაღლილმა და თაგასივებულმა სოფლის გზას ვავხედე. ტლაპოში ჩაფლული „შაპანი“ ისევ საცოდავად ქოთქოთებდა და ვერაფრით ვერ დაეღწია თავი ტლაპოდან. მოყიჟინე ბავშვები ისე უტრიალებდნენ გარს, როგორც მკვდარ სახედარს.

ამ მანქანის პატრონი, კალენდერ ისმაილი ერთი ბედოვლათი ტიპი იყო. სანამ მანქანას შეიძენდა, იყო თავისთვის, ცხოვრობდა ისე, როგორც სხვები, მაგრამ ერთხელ საოცარი აზრი მოუვიდა თავში. დაიჟინა, მანქანა უნდა ვიყიდოო. რომ დაიჩემა, ვერაფრით გადაათქმევინეს. მან მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, სახედარი და ყანა გაყიდა, კისრამდე ვალებში ჩაეფლო და ეს ჯართი შეიძინა. მანქანის ღირებულების ნახევარი ხელზე გადაიხადა, დარჩენილი ნახევარი კი ნელ-ნელა უნდა ეხადა და განსაზღვრულ დროში დაეფარა. ეს განვადება მაინც ვერაფერი შეღავათი აღმოჩნდა კალენდერ ისმაილისათვის — დრო თვალსა და ხელს შუა გარბოდა, და მას კი ფული არ ჰქონდა.

მანქანა პირველად რომ შემოიყვანეს სოფელში, ახალშეღებილი იყო. ახალივით პრიალებდა და სიძველე სრულებით არ ეტყობოდა. ჩვენი თანასოფლელი მეჯირ-ოღლი, რომელსაც მანქანის ტარება ჯარში ყოფნისას ესწავლა, საჭეს მიუჯდა, მანქანა ააგუგუნა და სოფლელების თვალწინ, მათდა გასაკვირად, სადაც მას სურდა იქ მოაბრუნა, იქ მიიყვანა, მიუხვმოუხვია და გაჩერდა. მერე საყვირს მიდგა და იმდენი აყვირა, ხალხს თავი მოაბეზრა.

მახსოვს, როცა მანქანის შესაძენად კალენდერ ისმაილმაც საყანე მიწის ნაკვეთის გაყიდვა დაეპირა, ცოლმა, — ჯევრიემ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, ქვა ააგდო და თავი შე-

უშვირა, საწყალ კალენდერს სულ გიჟი და გამოტვინებული ხარო, უძახა.

მაგრამ ახლა, როცა კალენდერის ცოლი შოფრის გვერდით ქალბატონივით გამოიჭიმა კაბინაში და გაისეირნ-გამოისეირნა კიდეც, იფიქრა, მანქანა მართლაც კარგი რამე ყოფილაო და ქმარს მიწის გაყიდვაზე დასთანხმდა.

მერე კი ჯევრიემ, აქაოდა, ჩემს მანქანას ავი თვალი არ ეცეს, კაბინა გათვალვის საწინააღმდეგო მძივებით, ნუსხებითა და არაბული წარწერებით მორთო. მაგალითად ერთი არაბული წარწერა ღაღადებდა: — „მაღალო ღმერთო, მშვიდობიანი გზა მიეც „შაჰანს“!

უსაქმურმა მეჯირ-ოღლიმ, ეტყობა თავის შესაფერის საქმეს ეიგნო, კალენდერი დაითანხმა და მიუჯდა მანქანის საჭეს. პირველ ხანებში მანქანა შორეულ რეისებშიც დადიოდა. იზმირსა და აიდინში გადაჰქონდა სხვადასხვა ტვირთი, გადაჰყავდა მგზავრები, ხანდახან თვე ისე გავიდოდა, ერთხელაც არ იზამდა სოფლისაკენ პირს. როგორც ამბობენ, კალენდერ ისმაილისათვის „შაჰანს“ ზარალის მეტი არაფერი მოუტანია. მანქანა თითქმის ყოველ სამ დღეში შესაკეთებელი იყო, ხან რა გაუფუჭდებოდა და ხან რა. ნაწილები არ იშოვებოდა, ოსტატი მამასისხლად აფასებდა თავის შრომას. ასე რომ, ყიდვიდან რამდენიმე თვის შემდეგ უკვე „შაჰანის“ შეკეთებაზე უფრო მეტი თანხა დაეხარჯა კალენდერ ისმაილს, ვიდრე მანქანა ღირდა საერთოდ. მანქანა ავარიებსაც გვარიანად ახდენდა. ერთხელ იზმირის ერთ-ერთ ქუჩაზე მეჯირ-ოღლიმ მაღაზია შეანგრია, მეორედ, გზაზე სახედარს დაეჯახა და სული გააფრთხობინა, მესამედ ერთიბროულად სამ ცხვარს ამოხადა სული. საცოდავი კალენდერ ისმაილი იხდიდა და იხდიდა ჯარიმებს. ასე რომ, კაცმაცილი ვერ მიხვდებოდა, თავად „შაჰანი“ იყო ასეთი ავბედითი მანქანა, თუ ამაში მეჯირ-ოღლის მიუძღოდა ბრალი.

— მაგის მძღოლობა ვინ თქვა! — დასცინოდნენ მეჯირ-ოღლის ყავახანაში თავშეყრილი სხვისი გაკილვის მოყვარულები, — შტერია, ნამდვილი შტერი!

კალენდერ ისმაილი კი იხდიდა და იხდიდა ჯარიმებს; ერთხელ მანქანამ გზიდან გადაუხვია და ჯარიმა, მერე, მანქანაზე ზედმეტი ტვირთი დაუდეს და... ჯარიმა! მესამედ, მგზავრები გადაიყვანა და... ისევ ჯარიმა.

კალენდერ ისმაილი გაოცებული იყო. ვერასდიდებით ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ, რისთვის იხდიდა ამდენ ჯარიმებს: — ეს მანქანა ხომ ჩემია, ჩემი საკუთრება! ჰოდა, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა. ისე გამოვიყენებ და მოვიხმარ. ტვირთს რამდენიც მინდა იმდენს დავუდებ, სადაც მინდა იქ წავიყვან, გინდა მარჯვნივ მოვუხვევ და გინდაც მარცხნივ, ჩემი ნება არაა? ამ ავტოინსპექციას ვერაფერი გავუგე. რა შარიანი ხალხია, მექრთამეები! სულ ხელებში შემოგყურებენ, რას მოგვცემსო!.. არა, არავის არ უნდა, მე რომ მოგება ვნახო, ფული დავაგროვო! — სინანულით აქნევდა თავს კალენდერ ისმაილი.

როცა დარდი შემოაწვებოდა გულზე კალენდერ ისმაილს, ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, ყველაფერზე ჩაექნია ხელი და თავდავიწყებას მისცემოდა. ჰოდა, დაკრავდა ფეხს და ქალაქ ფენიხლიში მიდიოდა. იქ, რესტორან „ილდიზში“ ეგულებოდა კალენდერს თავდავიწყების წამალი. კარგი მუსიკა, არაყი და სანახევროდ შიშველი მოცეკვავე ქალები!.. მოიკალათებდა კალენდერი რესტორანში, წრუპავდა არაყს და მოჭუტული თვალებით შესცქეროდა მომხიბვლელ ქალებს, რომელთაც გამჭვირვალე კაბები ეცვათ... და ყველაფერი ავიწყდებოდა ამ ქვეყანაზე — ვალებიც, ჯარიმებიც და დაფხავებული „შაჰანიც!“

ბოლო დროს დარდით შეპყრობილ კალენდერს სულ ეშმაკი შეუძვრა სულში, თავის „შაჰანივით“ მოიშალა.

ერთხელ, მახსოვს, ეს დაახლოებით ამ ორი თვის წინათ იყო, შეზარხოშებული და თვალებამღვრეული კალენდერ ისმაილი სოფლის ყავახანაში შემობანცალდა, ერთი მუჭა მარილი, სამი თუ ოთხი ცალი კიტრი და პამიდორი შემოიტანა. ჯიბეებში ორი ნახევარლიტრიანი არაყი ედო. კალენდერმა ყავახანაში მსხდომთ ამღვრეული მზერა ესროლა, თავი დაუქნია, მიბანცალდა კუთხეში, ჩამოჯდა თავისუფალ მაგიდასთან, ჯიბიდან ბოთლები ამოიღო, პამიდორი გახლიჩა, მარილში ამოაწო, პირში ჩაიტენა, მერე ბოთლი გახსნა, პირზე მოიყუდა და ყურყურით დალია.

ყავახანის პატრონმა ერთხანს ითმინა, ითმინა, მერე კი ვეღარ მოითმინა და გასძახა: — ეი შენ, ჩვენი ძმა! ეს ჩვენი ყავახანა რესტორანი „ილდიზი“ ხომ არ გგონია შენ? წესიერად მოიქეცი ცოტა!.. მუსლიმანი კაცი ხარ და...

კალენდერ ისმაილმა ამღვრეული, გამოთაყვანებული თვალები მიაპყრო ყავახანის გაბერილ პატრონს, წადი, შენი დედდაცო, შეაგინა წყნარად, შეაქცია ზურგი და სმა განაგრძო.

ყავახანის პატრონმა ბრაზი გულში ჩაიკლა და გაჩუმდა. სამაგიეროდ სხვებმა შენიშნეს: — წყალი მაინც მიუტანეთ მაგ ცალტვინას, რაც არ უნდა იყოს, მუსლიმანია მაინც, ცოდვაა, გულღვიძლს დასწვავს არაყი.

ვიღაცამ სურით მოიტანა წყალი. კალენდერ ისმაილმა ახლა სურა მოიყუდა, არაყს წყალი დააყოლა, სველი, დადოლილი ტუჩები მოიწმინდა და მოულოდნელად ამეტყველდა:
— მე ვარ დაწყევლილი! უსამართლო ქვეყნის, ამ დამპალი და აშმორებული სოფლის დედა ვატირე!.. იმ მაღალი მთების მე... იცით თქვენ მე ვინა ვარ?.. არ იცით.. მე იმ მაღალი მთების დედა ვატირე! — რას როშავდა, უკვე მანაც არ იცოდა, თან თვალებს გიჟივით აბრიალებდა, გაბრაზებულ ბუღასავით ბოდღვინავდა, მომჯიღულ ხელს იქნევდა, ჩავარდნილი მკედი წინ გადმოეგდო და გაჯგიმული, თითქოსდა კრებაზე ხალხის წინ მოხსენებით გამოდისო, ისე გაჰყვიროდა მთელი ხმით!
— ამისთანა დამპალი ქვეყანა არ მინახია მე! ერთი ხელოსანი რომ ხელოსანია, იმასაც ვერ ნახავ... მანქანის ოსტატი ხომ... მანქანის მოტორი ვერ შემიკეთებია!.. ხომ ხედავთ, ჩვენს ქვეყანაში ერთი მცოდნე კაციც კი არაა, თუ ვინმეს რამე გაეგება, მანქანას ერთს გადახედავს და იტყვის — შენი მოტორი არ ვარგაო! მიდგება მერე, დაშლის, რაღაც ნაწილს თავს წაუქლიბავს, ისევ დააყენებს... მაგრამ ვაი, ასეთ შეკეთებას, ორ ნაბიჯს გაივლი და ფაფუ! გაფუჭდება მაშინვე!.. რამდენი მუშტარი, რამდენი ფული დავკარგე მაგის გამო!.. მე იმ ფინაჩი ოსტატების დედა ვატირე! მე იმ მაღალი მთების დედა ვატირე!.. არც ერთმა არაფერი არ იცის... ყველაზე დიდი უბედურება რა არის იცით, თქვენ? არ იცით... ვერც გაიგებთ... მიდიხარ საღაც, მთებში, დაკლაკნილი გზაა, ოღრო-ჩოღრო, უბედურის ერთი... ამ დროს გაფუჭდება მანქანა და რჩები შუა გზაზე, კაციშვილი არ ჭაჭანებს არსად, ტურის კივილის მეტი არაფერი არ ისმის... რა უნდა ქნა? ეცემი აქეთ-იქით, თუ ტაქსს იშოვი, წახვიდე უნდა ქალაქში, ეძებო უნდა ოსტატი და დიდი ხვეწნის მერე წამოგყვეს იქნებ... წამოგყვება, ერთს შეხედ-შემოხედავს მანქანას, კაპოტს ახდის, ჩახედავს მოტორში და დიდი გამოცდილივით გეტყვის — მანქანა ცუდად შეგიკეთებიაო, მერე თავს შეიფხანს და ისეთ ნაწილს დაგისახელებს, უნდა იშოვო, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კაციშვილს რომ არ გაუგონია და, რა თქმა უნდა, ჭიპზედაც რომ გასკდე, ვერსად იშოვი!.. არა, არ გვყავს ჩვენ ოსტატები! — მეორე ბოთლი გახსნა, მოსვა და განაგრძო: — წადით ერთი დიდ ქალაქებში და ნახეთ გარაჟები. სანაგვეები სულ ასეთი შეკეთებული მანქანებითაა სავსე... ხან მძღოლები აფუჭებენ მანქანებს, ხანაც მისი შემკეთებლები! დენიზლიში ერთ კაცს მოველაპარაკე, „შაჰანი“ უნდა გავყიდო და იმ ფულით მანქანის შესაკეთებელი სახელოსნო გავხსნა ქალაქის შესასვლელში. ხომ იცით, დიდი ჭადარი რომაა, სწორედ იქა! რაო, იმ ფინაჩი ოსტატების ოდენს ვერ შევძლებ ვითომ? მაგაზე ადვილი რა-

ღაა? რასაც სხვები უფუჭებენ, იმაზე მეტს არც მე გავუფუ-
ჭებ მანქანას... ამას წინათ ერთი საბარგო მანქანა ამოვიდა
მეზობელ სოფლიდან. ისე საშინლად რახრახებდა, მაშინვე მი-
ვხვდი რაც სჭირდა და მძღოლს ვუთხარი: — „ჩემო მუსლი-
მანო ძმაო! კარბურატორში ბენზინი კარგად არ გადის!“ გაშ-
ტერებული მომაჩერდა, როგორ მიხვდიო, გაუკვირდა, მაგაზე
მეტი რა ვიცი-მეთქი, მოვაწონე თავი. მერე იმ მძღოლმა მან-
ქანა ერთ გამოცდილ ოსტატს აჩვენა... მე მართალი აღმოვჩ-
ნდი... გესმით თქვენ? გენიოსის თავი მაქვს, ნამდვილი გენი-
ოსის თავი!.. მე იმ მაღალი მთების... თქვენ გაგიმარჯოთ! —
ბოთლი მოიყუდა და არაყს დაეწაფა.

თვალებში ვეღარ იხედებოდა, ისეთი მთვრალი იყო. რას
ლაპარაკობდა, რას როშავდა, კაციშვილი ვერ მიხვდებოდა
უკვე. ბოლოს მაგიდაზე ჩაეძინა და ისეთი ხვრინვა ამოუშვა,
ყავახანის მოლაყბეთა ყაყანიც კი ჩაახშო.

ხელი ჩავკიდეთ, ავაყენეთ და როგორც იქნა სახლში მი-
ვიყვანეთ... იმ მანქანის ჯავრმა გამოათაყვანა საცოდავი..

მანქანის ფულის გადახდის დროც დადგა, საწყალ კალენ-
დერ ისმაილს კი კაპიკი არ გააჩნდა. აქეთ ეცა, იქით ეცა და
მეტი ვერაფერი რომ ვერ მოახერხა, იძულებული გახდა სახ-
ლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთი გაეყიდა. მიწაში აღებული
ფულით ვალი გაისტუმრა და ერთი ცალი საბურავიც შეიძინა.

უკუღმა დაწყებული საქმე უკუღმა წაუვიდა ისმაილს.
ერთხელ სოფლისაკენ მიმავალი „შაჰანი“ ფაშის ნავენახართან
ქალაქიდან მომავალი ოლქის მმართველის მანქანას დაეჯახა.
საჭესთან მჯდომი მეჯირ-ოღლი ციხეში ჩააყუდეს, კალენდერ
ისმაილს კი ზარალის ანაზღაურება და ჯარიმა დააკისრეს.

ეს შემთხვევა პირველი როდი იყო მეჯირ-ოღლის ცხოვ-
რებაში. მას შემდეგ, რაც იგი „შაჰანის“ საჭეს მიუჯდა, სხვა-
დასხვა ფათერაკების გამო ხშირად იჯდა ციხეში, მაგრამ იქ
დიდხანს როდი რჩებოდა. კალენდერ ისმაილის მეუღლე —
ჯევრიე შველოდა ყოველთვის. მივიდოდა ჯევრიე ოლქის
პროკურორთან, რაღაცას დაუთმობდა, რაღაცას შეპირდებოდა
და მეჯირ-ოღლი ისევ „შაჰანის“ საჭეს მიუჯდებოდა.

ბოლოს და ბოლოს ჯევრიესაც ყელში ამოუვიდა მეჯირ-
ოღლის ბაუთავებელი ფათერაკები და მის ციხიდან დახსნაზე
ერთხელ და სამუდამოდ ჩაიქნია ხელი: — აწი თავში ქვა
უხლია და მუცელში სამართებელი მაგ შტერს!.. მაგის გამო
პროკურორთან წანწალში ძვალ-ტყავად ვიქეცი მთვარესავით
ქალი! იჯდეს ახლა ციხეში და გამოცადოს ერთი, როგორია
პროკურორთან და მოსამართლესთან რომ დაგირჩება საქმე!

ერთხელ მეჯირ-ოღლიმ ყველაზე დიდი ცოდვა ჩაიდინა—
ბიჭი შემოაკვდა, მაგრამ მაშინ იგი ჯევრიეს წყალობით გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლეს და ციხეს გადაურჩა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მისი ბრალი არ იყო. ბიჭი ძარაზე ეჯდა, გზაზე ქარმა ქუდი გადაუგდო. თავიდან. ბიჭს ერთადერთი ქუდი დაეწანა, მანქანიდან გადიხტა, ქვაზე დაარტყა თავი და იქვე დალია სული.

როცა მეჯირ-ოღლი ციხეში იჯდა, მანქანას კალენდერ ისმაილი მართავდა. ისმაილი მანქანასთან ტრიალის მეტს არაფერს აკეთებდა. მოტორს თითქმის ყოველდღე შლიდა, წმენდდა, აწყობდა, როგორც კი მანქანა ამუშავდებოდა, სოფლის ბავშვები სანაგვეზე მისეული ბუზებივით შემოეხვეოდნენ გარს და იყვნენ ერთ ამბავში.

ბოლო ხანებში „შაჰანს“ სულ უკუღმა წაუვიდა საქმე. სულ მოიშალა და დაფხავდა. შორეულ რეისებში უკვე აღარ დადიოდა. კალენდერ ისმაილმა ისე ჩაიქნია მასზე ხელი, როგორც უიმედო ავადმყოფზე. ერთხელ მუშტარი მიადგა თხოვნით — სასწრაფოდ ხორბალი მაქვს გადასაზიდი ქალაქში და უნდა მიშველოო. კალენდერ ისმაილს ფულის გაკეთება როგორ არ უნდოდა, მაგრამ, იცოდა რა თავისი ჯაბახანას ამბავი, ჰთხოვნელი უარით გაისტუმრა: — მაგას ტვირთს როგორ დავუდებ, ისედაც დავარდნილი ვირივით ღაფავს სულს!.. ხეირი მაინც ვერაფერი ვნახე მაგ ქირით, უმჯობესია ისევ ჩემს თავს ვემსახურო!

ერთხელ ისევ გაუჩერდა ოჩან ვირივით შუა გზაზე „შაჰანი“ კალენდერ ისმაილს.

ვიღაც გულშემჭირნემ ასწავლა: — ვერ ხედავ, მაგ შენი მანქანა რომ გათვალულია? ხოჯა მოიყვანე, შეალოცინე, ნუსხა დააწერინე და ამუშავდებაო.

კალენდერ ისმაილს ნერვები აეშალა, ცოფიანი ძაღლივით დაკრიჭა კბილები და დედ-მამის სული, მკვდარი და ცოცხალი არ დაუტოვა ხოჯას და მოლას, მოჰყვა მერე და თუ სადმე კაბინაში მძივები და არაბულად დაწერილი ნუსხები ნახა, ყველა გადაყარა, მერე მთვარის დამნახავ მშიერ მგელივით ააღირა თავი და ცას ბოღმიანად მიაფურთხა.

ერთ დღეს ჩემმა ბიძაშვილმა ურიკით, რომელშიაც ბეხრეკა, ძვალტყავა ცხენი იყო შებმული, ვიღაცას ტვირთი გადაუტანა ქალაქში და ქირა აიღო, კალენდერმა ოცი ლირა ამოიღო ჯიბიდან და ჩემს ბიძაშვილს შეეხვეწა, უკან რომ ამობრუნდები, ამით ორი ფუთი ბენზინი ამოიტანეო.

ჩემი ბიძაშვილი გაბრაზდა და უარი სტკიცა: — ერთხელ რომ მანქანაზე არ დამსვი, რომ გამაწბილე, ახლა მაგას როგორ მთხოვ, შენი მოსამსახურე ხომ არ ვგონივარო. ისევ მე ჩავერიე და როგორც იყო ბიძაშვილი დავითანხმე.

ორი დღის შემდეგ ბიძაშვილმა ბენზინი ამოუტანა. გახარებული კალენდერ ისმაილი ლამის არ გადაეხვია ჩემს ბიძა-

შვილს და უთხრა: — რაკი ასეთი პატივი დამდე, აწი მე ვალ-
დე და ჩემმა მანქანამ, თუ სადმე წასვლა დაგჭირდება, აგერ მე
და აგერ ჩემი „შაჰანიო“.

...ყავახანიდან გამოვედი. მზე ჩადიოდა. სოფლის გზაზე
ზოზინით მიდიოდა საძოვრიდან დაბრუნებული ნახირი... ნა-
ხირს უკან, ბავშვების დახმარებით „შაჰანს“ სახლისაკენ მია-
გორებდა ოფლში გაღვრილი კალენდერ ისმაილი. მოტორი
სდუმდა და უკვე აღარ ხრიალებდა.

ერთმანეთზე მიჯრილ მიწური სახლების წინ მდგარი ქა-
ლები დასევდიანებულები გასცქეროდნენ „შაჰანს“ და
დროდადრო ვიშვიშით ამბობდნენ:

— დააჭლექებს საცოდავ ისმაილს მაგაზე დარდი, დააჭ-
ლექებს! საცოდავი ისმაილი, საცოდავი „შაჰანი“.

ხოზიკიანი ყანა

შუადღის პაპანაქება იყო. თაკარა მზე ისე გვაცხუნებდა
თავზე, თითქოსდა ჯოჯოხეთში ვიმყოფებოდით და ღმერთი
ჩვენს მიერ ცხოვრებაში ჩადენილი სხვადასხვა ცოდვებისა-
თვის უმოწყალოდ გვსჯიდა. ერთიანად ოფლში ვიყავით გაღ-
ვარულნი, ჩვენ სისხლიან ყანაში ვიმყოფებოდით და პურის
მოსავალს ვიღებდით.

ჩვენი მიწა უვარგისი იყო, მწირი, უწყლო, გვალვიანი და
გამოფიტული. ასე იყო თუ ისე, ვარგისი მიწა ცოტა იყო, ლა-
მის ერთი მტკაველი, დანარჩენი კი კირქვიანი, გამოუსადეგა-
რი... ასეთი მიწა ნათესს არ ახარებს, წვავს და ყოველგვარ
კარგ მოსავალზე ლაპარაკი ამაოა.

ჩვენი პურის ყანა ერთიანად ეკლიანი ხოზიკით იყო და-
ფარული. ერთ მესამედზე სამი მესამედი ხოზიკას ეჭირა. გა-
მოფიტულ მიწაზე პური ძლივს ხარობდა, სულ რაღაც ორიო-
დე მტკაველს თუ აღწევდა სიმაღლეში. სარეველა ბალახებს
შორის ხოზიკაა ყველაზე უფრო საშინელი. იგი მძლავრად,
ღრმად იკიდებს ფესვებს მიწაში, მთელი საზრდო მას მიაქვს
და საშუალებას არ აძლევს პურს ნორმალურად გაიზარდოს.
ნაკვეთის გაწმენდა ხოზიკისაგან, შეიძლება ითქვას, შეუძლე-
ბელი საქმეა.

პური რომ მოგემკო, ჯერ ხოზიკისაგან უნდა დაგეხსნა თა-
ვი. ხელები გასისხლიანებული და ეკლისაგან დაჩხვლეტილი
გვქონდა, საშინელი სამუშაო იყო თაკარა მზეში, ტანსაცმელი
სულ დაგვისველდა ოფლისაგან და ტანზე მოგვეკრო. სუნთქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეჭირდა. მუხლები გვიკანკალებდა და წაქცევას აღარაფერი გვაკლდა.

— ღმერთო, ო, ღმერთო! — წუწუნებდა დროდადრო სიცხისაგან გათანგული დედა. — მოგეკალი ბარემ, დალოცვილო, და ის იქნებოდა. რაღას გვათრევ, გვაწვალებ და გვაჩალიჩებ ასე? შენ ხომ ყოვლისშემძლე ხარ და რა იქნებოდა ერთხელ მაინც გადმოგეხედა ჩვენთვის მოწყალე თვალებით?

დედაჩემის ხასიათი ვიცოდი, როგორც კი დაიღლებოდა და არაქათი გამოეცლებოდა, მაშინვე აწუწუნდებოდა... ახლა მაინც ძალიან გატანჯული და გამოფიტული გამოიყურებოდა. კოჭებამდე ჩაშვებული, სხვადასხვა ფერის ნაჭრებით აჭრელებული, რეცხვისაგან გამოხუნებული კაბა ერთიანად ხოზიკას დაეფარა, ფეხშიშველი იყო. ფეხები და გრძელი, შრომისაგან დაძარღვული ხელები გასისხლიანებოდა. ისეთი სუსტი, საცოდავი და გასავათებული გამოიყურებოდა, მის შემხედვარეს ლამის იყო ტირილი დამეწყო.

— მთლიანად დავიფარეთ ამ საძაგელი ხოზიკით! — ბუზღუნებდა ჩემი ძმა რამაზანიც და დროდადრო გავარვარებული სახიდან ოფლს იწმენდდა, — ისე ვართ ამ ხოზიკით გარშემორტყმული, რომ დაიჩოქო და ილოცო, იმისი ადგილიც კი არ არის.

მისი გაუთავებელი ბუზღუნით თავმობეზრებული, ვერ ვიკავებ თავს და გაბრაზებული ვეუბნები: — საფიქრალ-სადარდებელი არაფერი დაგრჩა? ყველაფერი მოითავე და ახლა მარტო ლოცვები დაგრჩა საფიქრალი, რამაზან?

ჩემს სიტყვებზე ჩვენი უმცროსი ძმა ველი სიცილს ვერ იკავებს. წელში იხრება, მუცელზე იჭერს ხელებს, ხარხარებს და გესლიანი სიტყვებით დასცინის რამაზანს:

— საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახურავი როგორ ვიშოვოთო, იმაზე კი არ ფიქრობს და წუწუნებს ვაჟბატონი, არამედ სულ ლოცვებზე ფიქრობს და ამაზე ფიქრით იცხელებს ისედაც გახურებულ თავს. რას იზამ, მორწმუნე ბიჭია, ჩვენი წინაპრების ანდერძს ასრულებს. რაც მათ დაიბარეს — ილოცეთო, ღმერთი იწამეთო, ღმერთს შესთხოვეთო შველა, იმას აკეთებს.

მისი სიცილი და ნათქვამი, ნერვებზე შლის რამაზანს და იწყება მერე გაუთავებელი კამათი და შეხლა-შემოხლა მათ შორის. ცოტა ხნის მერე კამათი ჩხუბში გადადის, ისე არიან შემართულნი, თუ არ ჩაერიე, დაერევიან ერთმანეთს. სიბრაზისაგან აცახცახებული ველი ქვას იღებს ხელში, რამაზანიც ქვით იარაღდება, დაუნდობლად აკრაჭუნებენ კბილებს და ერთმანეთზე მიიწევენ. მათ შორის ვდგები, ვცდილობ დავაწყნარო ისინი, სინდის-ნამუსში ჩავაგდო.

— შენ ველიზე დიდი ხარ, რამაზან, მასზე უფროსი ხარ და უფრო მეტი ჭკუა მოგეთხოვება. შეგეკამათა, არა? ეს ეს შეეკამათე, სიტყვებით აჯობე და დაამარცხე, ცემა რა საკადრისია?

რამაზანმა დამიჯერა, ქვა შორს გადაისროლა და თავისებურად აჯუჯღურდა: — რატომ არ უნდა ვიფიქრო ლოცვებზე? ვალდებული ვართ და უნდა ვილოცოთ კიდეც, დღე და ღამე უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთის წინაშე ჩვენი ვალი მოვიხადოთ! მითხარი ერთი, რატომ არ უნდა ვიფიქრო ღმერთზე? თქვენსავით კი არა ვარ აბა!

ველიმ აგდებულად ჩაიქნია ხელი და დამცინავად ჩაიცინა: — ის შენი ღმერთი რომ ჩვენზე არასდროს არ ფიქრობს, ჩვენ რატომ უნდა ვიფიქროთ მასზე? რატომ უნდა გავიცხელოთ თავი ასეთ სისულელეებზე?

— სისულელეებს მოგცემ შენ! — თვალები დაუბრიალა რამაზანმა, — რა იცი შენ, რომ არ ფიქრობს?

— კი, კი, ჩვენზე ფიქრში აღამებს და ათენებს ეგ შენი ღმერთი! — გაეცინა ველის, — ჩვენზე რომ ეფიქრა, ცოტა შეღავათს მაინც მოგვცემდა, ასე საცოდავები, საწყლები და ღარიბები აღარ ვიქნებოდით!

— ღმერთს ნუ სცოდავ, შე ვირო! — დაუყვირა რამაზანმა, — ნუ სცოდავ-მეთქი, ღმერთს! იცი შენ რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ დედამიწის ზურგზე? უამრავი! ჰოდა, იცი შენ რამდენია იმათში ჩვენზე უფრო გაჭირვებული?.. შენ რა, ადვილი გგონია ღმერთობა? შეიძლება იმათზე, ჩვენზე უფრო გაჭირვებულებზე ფიქრობს ღმერთი და ჩვენთვის ვეღარ მოიცალა, ერთხელ იქნება ჩვენზედაც მოიცლის და...

— კი, კი! უცადე შენ როდის მოიცლის! რომ ამბობ, ჩვენზე უფრო გაჭირვებულებს გადახედა და ჩვენთვის ვერ მოიცალაო, თუ ისინი გაჭირვებულები დარჩნენ ისევ, აღარაფერი შეძლებია მაგ შენს ღმერთს და ისაა...

— ენა ჩაიგდე! შენ ნამეტარი ბევრი იცი, აი!.. გამოჩნდა ჭკუის კოლოფი!

მაგრამ ველის გაჩერება ადვილი აღარ იყო. მომართული პატეფონივით განაგრძობდა: — ღმერთი რომ ღარიბებზე და გაჭირვებულებზე ფიქრობდეს, ამ შენს ყანაში ამდენ ეკლიან ხოზიკას არ გააჩენდა, ამდენს არ გაგვაწვალებდა. ჩვენ მისი დახმარების იმედით ვერ ვიქნებით, მოხმარების მაგიერ ხელს გვიშლის შენი ღმერთი!

მორწმუნე რამაზანი ღმერთის აუგად ხსენებაზე წუნწუბასავით ენთება, ქვას ხელს ავლებს და ველისაკენ მიიწევს. იწყება ისევ დავიდარაბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული ვხვდები ისევ ჩავერიო, ისევ დავაწყნარო რამაზანი: — გაჩერდი რამაზან, ყურს ნუ უგდებ მაგის ლაბ-რაკს. ის ხომ სულ ბავშვია ჯერ და რას ამბობს, მანაც არ იცის!

რამაზანი ამჯერადაც მიჯერის, აგდებს ქვას და გაბრაზებული ბურტყუნით უბრუნდება საქმეს.

ვეუშაობთ. რამაზანი დროდადრო წელში იმართება და წუწუნით ამბობს:—ვაი წელი, წელი, მომწყდა წელი და ეგაა!

— მე შენზე უფრო მიჭირს და მტკივა წელი, მაგრამ შენსავით არ ვწუწუნებ, — ამბობს ველი, — ეს სოფელი საშინელია, აუტანელია აქ მუშაობა, ჩვენი საქმე უკეთესია წასული. ეს ოხერი ღმერთიც სულ ჩვენ გვიდგას კრიჭაში.

აქამდე გაჩუმებული, საქმით გართული დედა წამით ჩერდება, წელში სწორდება და გაბრაზებული უყვირის ველის: — ღმერთს ნუ სცოდავ, შე სასიკვდილევ! გაჩუმდი, ისედაც განრისხებულია ღმერთი ჩვენზე, ძველებური ხეირი აღარა გვაქვს.

— ეს იმიტომ, რომ ღმერთი გადაკიდებულია ჩვენზე, — აკვიატებული სიჯიუტით ამბობს ველი, — თავს იქნევს, ჩემთან მოდის და განაგრძობს: — ჩვენ ახლა ცელი უნდა გვეჭიროს ხელში და როგორც სხვები, შეძლებული სოფლელები მკიან, ისე უნდა ვმკიდეთ... ჩვენ კი... ასე, ნამგლით, თითოორიოდ, თავთავის რჩევა-რჩევით, როდის მოვრჩებით საქმეს?

— შენ მართალი ხარ! — ვეთანხმები ველის, — ასეთი პრიმიტიული წესით მართლაც ძნელია მუშაობა, ცელი უნდა ყანას, ცელი!

— ამ მიწაზე ცელით ვერაფერს გახდები, — საუბარში ერევა რამაზანი, — ცარიელი ქვა და ღორღია. მერე კიდევ, ამ დაწყევლილი ხოზიკისაგან პურის თავთავების გამორჩევა არ გინდა? თუ გინდა ცელით იმუშავო, ჯერ ეს დაწყევლილი მიწა ქვებისაგან უნდა გაათავისუფლო.

— სწორია! — ვეთანხმები მე, — შენ, რამაზან, ამდენი ძალა თუ გაქვს, მოიხმარე იგი და ეს ყანა ქვებისაგან გაწმინდე.

რამაზანი არაფერს მეუბნება, თავისთვის ბურტყუნებს რაღაცას და მუშაობას განაგრძობს.

ველი თავს ხრის, დასცქერის მიწას და სდუმს.

— არა, აუცილებლად უნდა გავიქცე აქედან! — ამბობს ბოლოს, — სადაც ყანაში ამდენი ქვა და ღორღი არ იქნება, ისეთ სოფელში უნდა წავიდე... ანდა კიდევ, სულ ქალაქში უნდა გავიქცე სასწავლებლად.

დედა თავს აქნევს და გაბრაზებული, ხმამაღლა ეუბნება შვილს: — წადი, წადი!.. ყველანი წადით, ყველანი! თუ გინდა

სულ გიაურების ქვეყანაში წასულხარ... გინდა მამაშენის სოფელი, მისი კუთხე მიატოვო? ეიცი, შენთვის სულ ერთია, გინდამც ბუებსაც დაუბუდებია აქ.

დაღლილი და გასავათებული ველი წესსა და ზრდილობას ივიწყებს და დედასაც არ ეპუება: — მამაჩემის კუთხე... თორემ დიდ რამეს წარმოადგენს ეს კუთხე, ორი მტკაველი, ხოზიკითა და ქვებით დაფარული მიწა! ესაა სულ ეგ შენი კუთხე!..

— თესვისას რამდენ პურის მარცვალს დათესავ, იმდენ მარცვალს მოიწევ, — დავსძენ მე, — ქვებით ავსებულ მიწაზე ხეირიანი მოსავალი მოვა? თანაც წყალი ჩვენ არ გაგვაჩნია, რომ მოვრწყოთ, ცხენი არა გვყავს, რომ ვამუშაოთ...

— ამ მიწისათვის სისხლია დაღვრილი, ეს მამათქვენის მიწაა! — გვახსენებს დედა.

— რა ვქნა მერე, მამაჩემის მიწა რომაა? რა ვუყო მერე სისხლი თუა დაქცეული ამ მიწისათვის? — არ ცხრება ველი.

— ხათაბალა ნუ მოაკლოს ღმერთმა შენისთანა ბავშვს!— ქოქოლას აყრის გაბრაზებული დედა, — ცხრა თვე მუცლით გატარე მთასა და ბარში, აღმართში და დაღმართში, შენს გაზრდას გადავყევი და ახლა, როცა გაიზარდე და მოვირდი, ასე ლაპარაკობ, არა? უფროსი შენ არ იცი და უმცროსი! ამ მიწაზე მამამენის ოფლი და სისხლია დაღვრილი და შენ ასე უნდა ილაპარაკო? ღმერთი ათასნაირ ბელას მოგცემს მაგ სიტყვებისათვის! — გაბრაზებულ დედას სურს გადააფურთხოს, მაგრამ სიცხისაგან პირი გამშრალი აქვს.

— კარგი ახლა, დაწყნარდი, ნუ ბრაზობ დედა! — შევეცადე გაბრაზებული დედაჩემის დაწყნარებას, — ველი თუ სადმე წავა, დაე წავიდეს. მე ხომ ვრჩები შენთან? მე ხომ არსად არ მივდივარ? მე შევინარჩუნებ მამაჩვენის ამ უვარგის მიწას. დავჯდები და დავიცავ.

ჩემს სიტყვებზე ველი. დამცინავად ახითხითდა: — მაგ შენს ჭკუას რა ვუთხარი მე! ამ ხოზიკიან მიწას რა დაცვა სჭირდება? ვინ წაგართმევს მას?

— მალე მაგ ხოზიკის საწინააღმდეგო საშუალებასაც გამოვნახავ! — ვეუბნები თავის მართლებით.

— აქამდე იმდენს ეცადენ და ვერ გამონახეს და შენ უნდა გამონახო? — ამჯერად დედას არ სჯერა ჩემი ნათქვამი.— ეს ხოზიკაც ღმერთის გაჩენილია. ალბათ საჭიროა და იმიტომაც გააჩინა.

— არა, მე გამოვნახავ მაგის საშუალებას! — ჯიუტად ვიმეორებ.

— კი, კი. კარგად ეძიე, კარგად ,— დამცინის ველი და ნამგლის პირით ცდილობს ხოზიკის მოშორებას მატყლის წინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიდან, რომელზეც იმდენი ხოზიკა აკვრია, რა ფერისაა, ვერ ნდა, ვერ მიხვდები. ხოზიკა ასე ადვილად არ სცილდება, ველი ბინძურად, უწმაწურად იგინება და მერე, ოდნავ რომ წყნარდება, ოცნებაში წასულივით ამბობს: — აქ ჩექმები უნდა გეცვას, მაღალყელიანი ჩექმები და არა ეს უქუსლო, ვირის ტყავისაგან შეკერილი ქალამნები.

— ეს კარგი იქნება, მაგრამ... ხელებს რას უშვრები?

— ხელებს? ხელებზე რა, რეზინის ხელთათმანები უნდა გქონდეს!.

— არა, მაგი არ ივარგებს! — არ ვეთანხმები მე, — არ ვარგებს რეზინის ხელთათმანები... ამ სიცხეში...

— აბა რა უნდა ვქნათ? — მეკითხება იგი.

— არ ვიცი, ველი! ვიწვები სიცხით. პირი საშინლად გამიშრა, ერთი მხრივ ეს სიცხე, მერე კიდევ ეს მტვერი... ხედავ, ხელები როგორ დამისისხლიანდა?

— ეშმაკსა და მეწყერს წაუღია აქაურობა! — იწყევლება ველი.

მკრე კარგა ხანს უხმოდ ვშრომობთ. მზე თანდათანობით აჭერს და აუტანელი ხდება სიცხე.

მოულოდნელად დედა ნამგალს აგდებს ხელიდან: — მეტი აღარ შემიძლია! ძალ-ღონე აღარ შემრჩა! თქვენ გააკეთეთ, რასაც გააკეთებთ, მე კი აღარ შემიძლია!

— ჩრდილში წაგიყვანთ! — ეუბნება რამაზანი და მისკენ მიიწევს, მაგრამ დედა აჩერებს: — არ მინდა, მე თვითონ წავალ! — მიდის წელში მოხრილი, ლასლასით, ეკლების შიშით შიშველ ფეხებს ფრთხილად ადგამს და ძლივს იკავებს თავს, რომ ბოღმისაგან არ ატირდეს.

ყანის ბოლოს ერთადერთი ხე დგას. ესაა ჩვენი საჩრდილობელი და თავშესაფარი. ყველაფერი ამ ხის ქვეშ გვაქვს დალაგებული — საგზალი, წყლიანი კოკა... იქვე აბია გაძვალტყავებული ბებერი სახედარი, მას სიცხე აწუხებს და დროდადრო ნაღვლიანად დაიყროყინებს ხოლმე!

დედა ხის ძირას მიდის, ჯდება და კარგა ხნის დუმილის მერე გვეძახის: — თქვენც მოდით, ხომ არ გინდათ სულ დაიწვათ სიცხეში?

— არა, ჩვენ ცოტას კიდევ წავიმუშავებთ, — ვამბობ მე და ჩემს დას — აიშეს ვეძახი.

აიშე რატომღაც დილიდანვე გამოგვეყო და ყანის ბოლოში, განცალკევებულად შრომობს. რადგანაც დედა დასასვენებლად წავიდა, მისი ადგილი ახლა აიშემ უნდა დაიკავოს.

ჩემს ძახილზე აიშე მოვიდა, გვერდში ამოგვიდგა და მუშაობა განაგრძო. აიშე ჩვენსავით გატანჯულია სიცხისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღლილობისაგან. შიშველი ფეხები ხის ქოშებში წაუყოფია, წვივები და ხელები დასისხლიანებული აქვს.

— გიაურებს დარჩეს ასეთი ყანა! — ბრაზობს იგი.

— ეს რა თქვი? — ვეკითხები მე. — დედამ არ გაგიგონოს, თორემ...

— გამიგონოს მერე! — აღარ შემიძლია მეტი. დავიღალე, გესმის? დავიღალე!

მე ყელიანი ფეხსაცმელი მაცვია და, ასე თუ ისე, ოდნავ მაინც მიცავს ხოზიკისაგან... ჩვენი ყანა დიდი-დიდი სულ ხუთიოდე ქცევაღა თუ იქნება, პურის მკის მომთავრებას საშველი არ ადგას, ეს ოხერი ჩვენი მოსამკალია მაინც, და ვცდილობთ, რაც შეიძლება ადრე დავამთავროთ.

— ამ შენს ხოზიკაზე ერთი შენი მოწონებული ლექსი უნდა გამოვთქვა! — დიდის ამბით ამბობს ველი.

— დასწყევლოს ღმერთმა ეს ხოზიკა! — ამბობს აიშე.

— ჯერ ორიოდე კონაც არ მოგიმკია, შე ზარმაცო, და ლექსი დამიწყე, ახლა? რა დროს ლექსია? — ვუყვირი მე.

— არა, უნდა გამოვთქვა! — ამბობს მაინც ჯიუტად და მართლაც, ცოტახნის მერე ახლაფორთებს რაღაცას:

ეკლით ავივსე მუხლამდე,
ფერი არ შემრჩა სახეზე,
ამოსაგდებო. ხოზიკავ!
რამ გაგაჩინა ჩემს ბედზე?!

ველის ლექსზე ხის ძირას ჩათვლემილივით მჯდარი დედა აყვირდა: — უხ, შენ პოეტო, დასაბრმავებელო მასხარავ! ჩემდა ჭირად ხარ შენ გაჩენილი, ჩემდა ჭირად!

— ა, რა უნდა ახლა ჩემთან? — ხელებს შლის გაოცებული ველი.

— აბა, მოდით, მოდით, დაისვენეთ ახლა! — გვეძახის დედა.

— არა, ცოტას კიდევ მოვმკით და მერე დავისვენებთ! — ვამბობ ყველას მაგიერ.

— აბა, რადგანაც მასეა, მე მოვალ თქვენთან! — დედა ძლივს, მუხლებზე ხელებდაბჯენით დგება, ლასლასით მოდის და მაშინვე შენიშვნას გვაძლევს: — თავთავები მიწაზე დაგიყრიათ. ასე როგორ შეიძლება?—იხრება, სათითაოდ ჰკრებს თავთავებს და გვარიგებს: — ფრთხილად უნდა იმუშაოთ, დაკვირვებულად, ისედაც არაა არაფერი და ამდენი თუ დატოვეთ, რაღა დარჩება მაშინ?

— არაფერი! — ამბობს ველი და ქილიკით განაგრძობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის გასაბრაზებლად: — კი, ბატონო, რასაც თქვენ გვიბრძანებთ, ისე გავაკეთებთ.

— ახლა მიფრთხილდი, ცხვირ-პირში არ მოგარტყა ერთი, შტერო, გათახსირებულო და ტუტუცო მოშაირევ! — ემუქრება დედა, მერე ისევ ჩვენ გვიბრუნდება და დამშვიდებული განაგრძობს: — აბა, ერთი მითხარით: ვთქვათ, სახედარზე ზიხართ და სადღაც მიდიხართ: ვთქვათ, გზაზე ხუთი ყურუში დაინახეთ, რას იზამთ, ჩამოხვალთ სახედრიდან და იმ ფულს აიღებთ, თუ...

— ავიღებთ, რა თქმა უნდა! — ყველას გვასწრებს რამაზანი. — ხუთი რაა, ერთი ყურუშისთვის არ ჩამოვალ, თუ?

დედას ეღიმება: — რადგანაც ასეა, ფრთხილად იმუშავეთ და მაგ თავთავებს დაბლა ნუ დაყრით. ერთი თავთავი, იცოდეთ, ერთ ყურუშზე მეტი ღირს.

— ამ ყანის მომკა, კალოზე მიზიდვა და გალეწვა ძალიან ძვირი ჯდება! — დაფიქრებით ამბობს ველი და შუბლზე დაცვარულ ოფლს იწმენდს.

— აბა, როგორ გგონია, შენ? — ეპასუხება დედა, — ცხოვრება არაა ადვილი, განსაკუთრებით სოფელში ცხოვრებაა ძნელი.

— აბა, ცოტა დაგვრჩა და მოვათაოთ ბარემ, — ვამხნევებ ყველას, — ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ!

აიშე წელში სწორდება და ტუჩებს იბზუებს, — „ვიჩქაროთ“, ვიჩქაროთ“, თქმა იოლია. შენსავით ფეხსაცმელები მეცვას, ნუ გეშინია, შენზე უკეთ ვიმუშავებდი და მეც ვიტყოდი მასე.

— გაჩუმდი, აიშე! — ვუწყრები მე, — ფეხსაცმელი თუა მთავარი, ხვალვე მოგცემ, ჩაიცვი და ვნახავთ ერთი, რამდენსაც იმუშავებ.

მოსამკელი ცოტა იყო დარჩენილი, ერთი იერიში, კიდევ ცოტა მონდომება და მორჩა. მაგრამ აუტანელი სიცხე და ხოზიკა არ გვაძლევდა ჩქარი მუშაობის საშუალებას.

დედა ცდილობს არ ჩამოგვრჩეს, გამალებით უსვამს ნამგალს და დროდადრო, როცა ხოზიკა ნამეტნავად გააწვალებს, ახვნეშდება და იწყებს წუწუნს: — აჰ, გიაურების საფლავზე გნახე ამოსული, ხოზიკავ, გიაურების სასაფლაოზე!

ველის ეცინება დედის სიტყვებზე, წელში სწორდება და ეკითხება: — დედა, შენ რომ ღმერთი იყო, მუსლიმანების გარდა სხვა ხალხს აცხოვრებდი ამ ქვეყანაზე?

— არა, არ ვაცხოვრებდი! — მტკიცედ, უყოყმანოდ ეუბნება დედა.

ველი ტაშს უკრავს და ყვირის: — აფერუმ შენისთანა ღმერთს, აფერუმ!

მე ფრთხილად ვადგამ ნაბიჯს, ველისთან მივდივარ, მხარზე ვუცაცუნებ ხელს და ვეუბნები: — იცოცხლე შენ, ჩემო საზრიანო და ჭკვიანო ძმაო, იცოცხლე!.. წადი აქედან, ძმაო, წადი! სადაც გინდოდეს იქ წადი, ისწავლე და დიდი კაცი გამოდი! შენ კეთილი გული გაქვს, საზრიანიცა ხარ. ჩვენი რაიონის კაიმაკამად რომ დაგნიშნონ, შეძლებ, მერე, ვინ იცის, ანკარაშიც გადახვიდე უფრო მაღალ თანამდებობაზე, მერე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გახდე ქნებ...

— გადი ერთი იქით! — მიმიხვდა ველი და ნამგალი წამკრა: — მამასხარავებ, არა?!

— დახე, ესეც მიმიხვდი! აკი გეუბნები, ჭკვიანი ხარ-მეთქი! — ვართმევ ხელს და ვეკითხები: — არ დავისვენოთ, ველი?

— ჰო, გეყოფათ აწი! — ამბობს დედა, — შუადღეა უკვე, შუადღე!

— აბა, ჩრდილში! — ვაცხადებ ყველას გასაგონად.

მუშაობას თავს ვანებებთ და მივემართებით იმ ერთადერთი ხისაკენ.

ველი მაშინვე წყლით სავსე კოკასთან მირბის და პირზე იყუდებს.

— გეყოფა, ბიჭო! — უყვირის რამაზანი, — წყალი ლოცვისწინა ხელ-პირის დასაბანად მჭირდება.

— ლოცვისათვის ხელ-პირის გაწმენდა მიწით არ შეიძლება? — ირონიულად ეკითხება ველი.

— როცა ახლო-მახლო წყალია, მაშინ ხელ-პირის მიწით გაწმენდა ცოდვაა! — ეუბნება რამაზანი.

— ცოდვა და იყოს მერე ცოდვა, ფეხებზე არ მკიდია?— ეს წყალი სასმელად არ გვეყოფა! მიდი და მიწით გაიწმინდე!

— არ შეიძლება მიწით, კაკო, — ყვირის რამაზანი.

— არ შეიძლება და ნუ გაიწმენდ! — მშვიდად ეუბნება ველი. ვარუყობ, თავიდან უნდა ატყდეს დავიდარაბა. ისევ რამაზანს ვაწყნარებ: — თავი დაანებე მაგ ჩიტირეკიას! ჯერ კუჭი გამოვიძღოთ გემოზე, ლოცვაზე მერე ვიფიქროთ! — ხახვი და ცივი მჭადი ამომაქვს ხურჯინიდან.

რამაზანი გაბრაზებულია და არაფერს არ აჭარებს პირს.

მოულოდნელად დედა ატირდა: — დილიდან სიცხემ და ხოზიკამ გაგვამწარა, ახლა შენ დაიწყე, არა? გრცხვენოდეს, შვილო! — საყვედურობს რამაზანს.

რამაზანი მაინც ჯიუტობს. ზის თავისთვის და დაბოღმილი სდუმს.

— ეს ერთი ნატეხი ცივი მჭადი მაინც შეგვარგე, შვილო. — მუდარით სთხოვს დედა და ცრემლს ცახოცის კიდით

იწმენდს. როგორც იქნა, რამაზანმა მოიჭამა ჟინი და შემომ-
ეროვნული
ბიბლიოთეკა
გვიერთდა.

ვილუკმებით, ირგვლივ მყუდროებაა, რომელსაც დროდა-
დრო სახედრის ყროყინი არღვევს. სახედარი წყლიან კოკას
უცქერის.

— წყალი წყურია მაგ სახედარს! — ვამბობ, ვდგები,
დიდ საინზე ვასხამ წყალს და სახედართან მიმაქვს.

— ამდენი წყალი რომ მაგ სახედარს შეასვი, ჩვენ რა
ვქნათ საღამომდე?

— რაც დარჩა, თქვენ გეყოფათ, მე არ მინდა. ჩემი წილი
შევასვი სახედარს! — ვეუბნები და ჭამას განვაგრძობ.

რამაზანი მიბღვერის. ყურადღებას არ ვაქცევ. იბღვიროს
და იყოს რამდენიც უნდა.

გაუსაძლისი ხვატი დგას. ჩრდილში ვზივართ და მაინც
სიცხისაგან ვიწვით.

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲛᲔᲙᲔᲮᲔ

იგი ქალაქიდან ამოვიდა ჩვენს სოფელში და ველის სა-
ხლში დაბინავდა. სახლი სოფლის ბოლოს, მაღლობზე იდგა
და კარგა მოზრდილი ეზოც გააჩნდა, სადაც მეკეხის დაბინა-
ვების შემდეგ უწესრიგოდ ეყარა ხის მასალა, თხის ტყავები,
ქეჩა და სხვა წვრილმანი ხარახურა, რაც კეხის დასამზადებ-
ლად და შესაკეთებლადაა საჭირო. იჯდა მეკეხე და სოფლელე-
ბის დაკვეთას ასრულებდა — აკეთებდა ახალ კეხებს, არემონ-
ტებდა ძველებს.

მეკეხე ლაპარაკის მოყვარული კაცი აღმოჩნდა, სწორედ
ამის გამო იყო, რომ მასთან გამუდმებით იყრიდნენ თავს სო-
ფლელები და მის საუბარს უსმენდნენ. ისინი ისეთი გატაცე-
ბითა და გულისყურით უგდებდნენ ყურს მეკეხეს, იფიქრებ-
დით სტუდენტები საყვარელი პროფესორის საინტერესო ლე-
ქციას ისმენსო.

მოხუც მეკეხეს, რაღა თქმა უნდა, ცოდნით თავი არ
უსკდებოდა. რაც გაეგო და მოესმინა, მხოლოდ იმას ყვებოდა
და ამბობდა. დროთა განმავლობაში ბევრი რამ დავიწყებო-
და. და ახლაც მხოლოდ იმასვე იმეორებდა გაუთავებლად, რაც
მის მეხსიერებას შემოენახა:

— აი, ასე, ასეთია ეს საქმე, ძმაო! ეს ყველაფერი კარ-
გად უნდა იცოდეთ. უცოდინარობა სირცხვილი არაა,
მაგრამ ცოდნა უნდა შეიძინოთ, უნდა იცოდეთ... ღმერთმა
ჩვენ წიგნები გამოგვიგზავნა, რომელიც ჩვენს წმინდანებს

ჩააბარა. ჰოდა, თქვენ ბევრი რამე უნდა იცოდეთ იმ წიგნებიდან. ღმერთს თვალი, ყური და გონება იმისათვის მოუცია თქვენთვის, რომ უნდა ისწავლოთ, აკეთოთ ის, რაც ღმერთს გაუხარდება და მოეწონება! — ეუბნებოდა იგი სოფლელ გლეხებს.

მოხუცი მეკეხე ისეთ რამეს უყვებოდა მათ, რაც არასოდეს არაფერში არ გამოადგებოდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მთელი გულისყურით უსმენდნენ.

როგორც წესი, ქალაქელები სოფელში ჩვეულებრივად შემოდგომაზე ამოდიოდნენ ხოლმე. ყოველ შემოდგომაზე მკალავი, მეკეხე და ხარაზი ესტუმრებოდა სოფელს, დარჩებოდა ერთ ათ დღეს, გლეხებს ხელს წამოახმარდნენ, გასაკეთებელს გააკეთებდნენ და მერე ისევ აიკრავდნენ გუდა-ნაბადს. სოფელი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. დაყრუებულივით იყო. ქალაქიდან სოფელში ამსვლელი და სოფლიდან ქალაქში წამსვლელი იშვიათად თუ მოინახებოდა ვინმე. ქალაქში მხოლოდ ჟანდარმერიაში ან კიდევ სასამართლოში გამოძახებული თუ წავიდოდა ხოლმე. სოფელში სულ ორიოდე შეძლებულ ოჯახს თუ გააჩნდა რადიო, ისინიც მხოლოდ და მხოლოდ სიმღერებს თუ მოისმენდნენ, დანარჩენი კი მათ აღარაფერი აინტერესებდათ. ზოგჯერ ჯარში წასული ახალგაზრდების უინტერესო, ყოვლად უშინაარსო წერილები თუ ამოაღწევდა სოფელში... სოფლელები კვირაში ერთხელ, პარასკეობით მეჩეთში შეიკრიბებოდნენ და ფანატიკოსი ხოჯის ქადაგებას ისმენდნენ. სხვა დღეებში ხალხი მეჩეთს სათოფეზე აღარ ეკარებოდა. სხვა დღეებში ისინი რომელიმე მეზობელთან მოიყრიდნენ თავს და საუბრობდნენ, ყვებოდნენ სხვადასხვა ამბებს. ვინაც ჯარში იყო ნამყოფი, იქ, ჯარში გატარებულ წლებს მისტიროდნენ, ნატრობდნენ ჯარისკაცულ შინელებს და ჩექმებს.

ზოგიერთები, კალოობასა და რთველობის შემდეგ, როცა სოფელში გასაკეთებელი აღარაფერი აღარ იყო, შორეული მხარეებისაკენ წასვლაზე ოცნებობდნენ — იქნება იქიდან მოძველებული პალტო, შარვალი ან კოსტიუმი ჩამოვიტანოთო, მაგრამ როცა იმ მოძველებული ტანსაცმლის საყიდელ ფულსაც ვეღარ მოაგროვებდნენ, ისევ მეორე წლისათვის გადადებდნენ იქ გამგზავრებას.

მაგრამ დროა ისევ მეკეხეს დავუბრუნდეთ...

— დიახ, უსტავ! — ეთანხმებოდნენ გლეხები მეკეხეს, — ღმერთის წინაშე ბევრი ცოდვა გვაქვს ჩადენილი!

— დღემდე რაც ცოდვები გაქვთ ჩადენილი, იმაზე ნუღარ იფიქრებთ, — ამშვიდებდა მათ მეკეხე, — ღმერთი მოწყალეა. პატიება შეუძლია და ძველ ცოდვებს გაპატიებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ მხოლოდ ეცადეთ ახალი ცოდვები არ ჩაიდინოთ, ახალ ცოდვებს ერიდეთ. ღმერთს თხოვეთ წყალობა. ასე უთხარეთ მას: — ხომ ხედავ, ღმერთო, სწორ გზას ვადგავართ უკვე, აბა, ჩაიხედე ჩვენს გულებში, ნახე, როგორ გავსუფთავდით! — ასე თქვით, ასე მიმართეთ ღმერთს.

ვლეხები გულისყურით უსმენდნენ და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ. მოხუცი ოსტატი კი თავის გზით მიდიოდა: — მთები, კლდეები, დედაძიყა თუ ცა, ფრინველი, ცხოველი, ადამიანი და მცენარე, ყველა და ყველაფერი ღმერთის გაჩენილია. ამიტომ უნდა დავემორჩილოთ ღმერთს. ყოველთვის დიდი რიდითა და პატივისცემით მოვიხსენიოთ იგი... დედ-მამას პატივი უნდა სცეთ, უმცროს-უფროსობა უნდა იცოდეთ, ვინმეს ცუდად ნუ მოიხსენიებთ. ჭორიკნობას ნუ დაიწყებთ. კვირაში ერთხელ მაინც ტანი უნდა დაიბანოთ. ცოლიანებმა უფრო ხშირად უნდა დაიბანოთ. შარდზე გასვლა რომ დაგჭირდებათ, რაიმეს უნდა მოეფაროთ და ისე მოშარდოთ. შარდი ტანსაცმელზე და სხეულზე არ გადაიშხეფოთ, ცოლებს და თქვენს რძლებს უთხარით, ბავშვებისათვის ძუძუს ნუ ვამოაჩენენ... ქალებისათვის მეორე დასამალი ძუძუები ია, პირველი კი...

კეხის შემკეთებელი წამით ჩაფიქრდებოდა და მერე ისევ განაგრძობდა: — მერე კიდევ, ჩვენ ღარიბები ვართ, საწყლები ვართო, ნუ იტყვით, ნუ ეუხართ ამაზე, ვიყოთ რაც ვართ, დავრჩეთ ასე ღარიბად, სიღარიბე სირცხვილი არაა. ღარიბი და გაჭირვებული თუ კი მოითმენს და არ აწუწუნდება, იმ ქვეყანაში ღმერთი იმის მიმართ მოწყალე იქნება და კარგად აცხოვრებს... ღმერთს ზოგი მდიდარი გაუჩენია და ზოგიც ღარიბი. ამაში რაღაც მიზეზია ალბათ. ყველა მდიდარი რომ გაეჩინა, ხალხი ერთმანეთს დაჭამდა. ყველანი ღარიბები რომ გაეჩინა, არც ეს ვარგოდა. არა, ღმერთმა ყველაფერი იცის, ადამიანის საზრდო მას წინასწარ აქვს განსაზღვრული და განაწილებული.

„ჩვენი ხოჯაც ზუ-ტად ასე არ ლაპარაკობს? ეს მოხუცი მეკეხეც ნამდვილად ხოჯის ნათქვამს გვიმეორებს. — ფიქრობდნენ კლეხები. — ნეტავი ჩვენ ხოჯასავით მცოდნეა? მაგრამ ნასწავლი რომ იყოს, აქ რა მოიყვანდა? კეხებს რა გაკეთებინებდა? ჩვენი ხოჯა კი მდიდარია, ოქრო ბევრი აქვს, ცხენებიც ბევრი ჰყავს... ჩვენს სოფელში მოსვლამდე ძალიან ღარიბი იყო, ახლა კი აღასავით მდიდარია. სოფელში რაც კარგი და სარწყავი მიწაა, სულ მაგი ყიდულობს, ისე, ქადაგებაში კაცშვილი ვერ აჯობებს. ნუსხებსაც მაგრად სწერს“.

— შენ ნამდვილად ჩვენს ხოჯასავით ქადაგებ. — უთხრა

ერთ-ერთმა გლეხმა მეკეხეს, — ჩვენი ხოჯაც იმას გვეუბნება, რასაც შენ გვეუბნები ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი მეკეხე ზურგით მიეყრდნო იქვე მიგდებულ კეხს და ახალი, რაიმე საინტერესო ამბის მოსაყოლად ჩაფიქრდა.

სწორედ ამ დროს გზაზე ხმაურით ჩაიარა საბარგო მანქანამ, რომელმაც მტვრის ბუღი დააყენა. მანქანას სოფლის ფეხშიშველა ბავშვები მისდევდნენ ხმაურითა და ყიჟინით.

მეკეხეს გარშემო შემოკრებილმა სოფლელებმა თვალი გააყოლეს მანქანას.

— ეს სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მანქანაა! — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, — თაგვების მოსაწამლავი წამალი დააქვს. აი, ეს კაცი მუშაობს ამ მანქანაზე. უკვე ათი დღეა, რაც ჩვენი რაიონის სოფლებში დადის, მიდიან მინდვრებში, ბურის ყანებში და სადაც კი თაგვების სოროებს წააწყდებიან, შიგ ამ წამალს ყრიან. როცა თაგვი ამ წამალს შეჭამს, თურმე მაშინვე გააცხებს ფეხებს.

დაინტერესებულმა მეკეხემ ლოყაზე ჩამოისვა ხელი და იკითხა: — ის წამალი ნამდვილად კლავს თაგვებს?

— ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ კლავსო, ასე ამბობენ კლავს თუ არ კლავს, მაგას ერთი წლის შემდეგ გაიგებ კაცი. შარშან დაბლა, სოფელ მეჩაჯირებში თაგვებისათვის სოროებში საწამლავი ჩაუყრიათ. იქაურებს რომ შევეკითხე, თაგვები თუ დაწყდა-მეთქი, მიპასუხეს:

— არა კაცო! ის საწამლავი სულ არ მოქმედებს, თაგვებს პირიქით, ამრავლებსო, ასე თქვეს...

მეკეხემ თავი მაღლა ასწია: — დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, უფრო გამრავლდებიან! — თქვა მან, — ვინ გააჩინა ის თაგვები? ღმერთმა! ღმერთის გაჩენილს რომ ადამიანი კლავს, სწორია ეს? მერედა, რას აუხვალ იმდენ თაგვებსა და მწერებს? ისინი ღმერთმა მილიონობით გააჩინა და ამ მანქანით მოტანილი საწამლავით აბა რამდენი უნდა დახოცონ? — თავი გააქნია და განაგრძო: — ყველაფერი ეს, თაგვები, მწერები და სხვა უბედურებები ღმერთს ჩვენს დასასჯელად აქვს გამოგზავნილი... ჩვენ, ადამიანები ისე ვიქცევით ღმერთის წინაშე, რომ მაგი კი არა, ძალიან მიკვირს, სახლები რატომ არ გვენგრევა თავზე. უმცროსისა და უფროსის ცნობა აღარ არის. მეჩეთში შესვლა და ლოცვა აღარ უნდათ. ღმერთს აღარავინ ახსენებს. ასეა ეს და ღმერთმა ხომ უნდა გადაგვიხადოს სამაგიერო? რაღაცით ხომ უნდა გვაწვალოს? ავიღოთ ასეთი მაგალითი, ვთქვათ, რომ ჩვენს შორის არის მდიდარი კაცი, აღა, რომელსაც უამრავი საქონელი და მოსამსახურეები ჰყავს. ვთქვათ, ამ მომსამსახურეებიდან ერთ-ერთმა, ვთქვათ, საქონლის მწყემსმა. არ დაუჯერა აღას, არაფერი გაუგონა. რას იზამს

ალა?! ხომ უნდა დასაჯოს ჯიუტი მოსამსახურე? ჰოდა, ღმერთიც ასეა. ისიც გვსჯის ჯიუტობისათვის... ღმერთი მართალია, გაირყვნა ხალხი, ქვეყანა.. ამას წინათ ყური მოვკარი, რადიოში გაცოცხალებიათ, ვიღაცას ღვიძლი ქალიშვილი გაუუპატიურებია. ვინ იცის, რამდენი გარყვნილება და მხეცობა ხდება ჩვენს ქვეყანაში?

სოფლელებმა თავი გააქნიეს და დაუმოწმეს:

— გარყვნილებების მეტი რა ხდება ჩვენს ქვეყანაში? შენ, მეკეხეკ, ყველაფერს მართალს ამბობ, ჩვენ გვჯერა შენი!

მეკეხემ კმაყოფილად გაიღიმა, ჩაფიქრდა და კარგა ხნის მერე ისევ წამოიწყო: — ერთხელ თურმე სულთან-სულეიმანის ბაღ-ბოსტანს უამრავი კალია შეესია. კალიებმა ყველაფერი დაფარეს და არაფერი არ დარჩენიათ გაუხრავ-გაუოხრებელი — ხეხილი, ბუჩქი, ვარდი, ბოსტანი... სულეიმანის მებაღემ კალიებთან ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ბატონთან მოვიდა და ყველაფერი მოახსენა: ასეა და ასე საქმე, კალიებმა ყველაფერი გაანადგურეს და აღარ ვიცი, რა ვქნაო. სულეიმანიც წასულა და მებაღის ნათქვამში დარწმუნებულა—კალიებს მართლაც ყველაფერი გაეოხრებინათ...

საწამლავის დამტარებელი მანქანა უკან დაბრუნდა, რახრახით მიეფარა თვალს და სოფელში მტვერი და ბენზინის სუნი დატოვა.

მეკეხემ თვალი გააყოლა მანქანას და როცა იგი თვალს მიეფარა, განაგრძო: — სულთან-სულეიმანი წმინდანი იყო, ყველა ცხოველის, ფრინველისა თუ მწერის ენა იცოდა. სულთანს კალიებისათვის უთქვამს: — ჰეი, კალიებო, კეთილ იყოს თქვენი ჩემს ბაღსა და ბოსტანში მოსვლა!

მის სიტყვებზე კალიებმა თაყვანი სცეს მას — თავი მიწამდე დახარეს და ისე მიესალმნენ სულთანს (თავის დახრით მისალმება სწორედ იქიდან მოდის ჩვენში).

— მე ყველა მწერი და მცენარე მიყვარს: თქვენ აქ, ჩემს ბაღში არაფერი გაფუჭოთ, თქვენი უფროსი გამოგზავნეთ ჩემთან, უნდა მოველაპარაკო!

კალიების უფროსი სულთანთან გამოცხადებულა, თაყვანის ცემით მისალმებია.

— აქ საიდან მოსულხართ და სად მიდიხართ? — უკითხავს მისთვის სულთანს.

— ჩვენ არაბეთის მხრიდან მოვფრინავთ და ნილდეს მხარეს მივემგზავრებით. თქვენს ბაღსა და ბოსტანში ღამის გასათევად შევჩერდით. დილაადრიან, მზის ამოსვლამდე წავალთ აქედან. — უპასუხნია კალიების უფროსს.

— რატომ მიდიხართ ნილდეში? — უკითხავს სულთანს.

— თურმე ნილდელები ძალიან გათავხედებულან, ღმერთს ეურჩებიან, მის ბრძანებას არ ემორჩილებიან. ჰოდა, ღმერთმა მათი დასჯა გადაწყვიტა, დასასჯელად კი ჩვენ გვაგზავნის.

— რამდენ ხანს უნდა დარჩეო იქ? — უკითხავს სულთანს.

— ერთი წელიწადი!..

— აბა კარგი, წადით და ნება გეძლევაო ღამე ჩემს ბაღში გაათიოთ! — ნება დართო სულთანმა.

მეორე დილით კალიები გაფრენილან. ერთი წელი გავიდა, სულთანი კალიების დაბრუნებას ელოდა, მაგრამ ისინი არ გამოჩენილან. გავიდა ორი, სამი, ოთხი, ხუთი წელი... ისინი მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ დაბრუნდნენ, და რაღა თქმა უნდა, ღამის გასათევად ისევ სულთან-სულეიმანის ბაღში მოიკალათეს. სულთანს დაუძახნია კალიების უფროსისათვის და უკითხავს: — ერთი წლის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყავით, თქვენ კი შვიდი წელი დაგაგვიანდათ, ამდენხანს სად იყავითო...

— ბატონო ჩემო, — უპასუხნია კალიების მეთაურს, — მართალია, ჩვენ იქ ერთი წლით ვიყავით გაგზავნილი, მაგრამ მათ, იქაურ მცხოვრებლებს იმდენი ცოდვა ჰქონდათ ჩადენილი, ერთი წელი არ გვეყო და შვიდი წელი დაგვჭირდაო.

— ახლა როგორ არის საქმე? — უკითხავს სულთანს.

— ახლა ყველაფერი რიგზეა, ყველა ცოდვილი გამოვასწორეთ, ღმერთი შევაყვარეთ, ჯამეში სიარული და ლოცვა ვასწავლეთ...

— აი, სულ ესაა ამბავი, — დაამთავრა მეკეხემ, — ხომ კარგი ამბავია? ხომ მოგეწონათ?

ასეთი რამ სოფლელებს ჯერ განაგონი არ ჰქონდათ.

— იცოცხლე და იბედნიერე! — ახმაურდნენ ერთხმად, — შენ ისეთი მოყოლა იცი, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი.

ქოხაცი მეკეხე ჩაფიქრდა, სახეზე ჩამრისვა ხელი და განაგრძო: — იმ კალიების ამბავი ტყუილად კი არ მოგიყევით მე თქვენ, დაფიქრება უნდა მაგას, აზრის გამოტანა უნდა მაქედან... ახლა ჩვენს ხალხს რომ ვუცქვრი, მეშინია, ჩვენაც არ დაგვსაჯოს ღმერთმა ამდენი ბოროტებისა და ცოდვებისათვის და კალიები არ მოგვასიოს ჩვენაც...

მსმენელებმა შიშით გადახედეს ერთმანეთს, მერე დანანებით გააქნიეს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალი ხარ, მამავ შენ! — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა ნაბ. — ჩვენი ხალხის საქციელი მართლაც არაა მოსაწონი, ამის შესახებ ჩვენ ჩვენი ჯამეს იმამიც გვიქადაგებს ყოველ-დღე, მაგრამ შენ უფრო საინტერესოდ ყვები...

* * *

ასე გრძელდებოდა ყოველდღე. სამუშაოდან დაბრუნებული, დაღლილ-დაქანცული სოფლელები მაშინვე კელის სახლს მიაშურებდნენ, შემოეხვეოდნენ მეკეხეს და უსმენდნენ მის გაუთავებელ ლაპარაკსა და მსჯელობებს ომერთზე, მორწმუნეებზე, გარყვნილებასა და სხვა მისთანებზე.

მეკეხეს ლაპარაკი არ ეზარებოდა, შეეძლო გაუთავებლად ილაქლაქა ყველაფერზე. ფანტაზია გააჩნდა, გამოგონების უნარით იყო დაჯილდოებული. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მეკეხეს სათქმელი შემოელია და უკვე აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა მოეყოლა, რითი დაეკმაყოფილებინა მისი ლაპარაკით დაინტერესებული მსმენელები.

— ახლა თქვენ მოყევით რამე, — უთხრა მან ერთ დღეს გლეხებს, — სულ მე ხომ არ ვილაპარაკებ?

— რა უნდა ვთქვათ? ჩვენ რა ვიცით? — მხრებს იჩეჩავდნენ გლეხები და შეცბუნებულები გადახედავდნენ ერთმანეთს.

— მოსაყოლის მეტი რა არის?

— კი, არის, მაგრამ...

— ჰოდა, მოყევით... მაგალითად, ყანები თუ გაქვთ კარგი? ხარი და კამეჩი თუ გყავთ? კარგად თუ უვლით საქონელს?

— კი, ყანები გვაქვს, საქონელიც გვყავს, მაგრამ მოვლით ისე ვერ ვუვლით, როგორც საჭიროა!

ეს იყო და ეს, ამის მეტი გლეხებს არაფერი ჰქონდათ სათქმელი, ერთს ამოიოხრებდნენ, ერთმანეთს გადახედავდნენ, დააჩერდებოდნენ მერე მიწას და სდუმდნენ კარგა ხანს.

— რა უცნაური ხალხი ხართ! — ვერ მოითმენდა დუმილისაგან თავმობეზრებული მეკეხე, — ნუთუ საალაპარაკო არაფერი გაქვთ? ნუთუ ყველაფერი რიგზეა თქვენთან?

— რიგზე, რა ამყოფებს, უსტავ? — ამოიოხრებდა ერთი, — რომელ ადგილზეა ყველაფერი რიგზე, ჩვენთან რომ იყოს?

— მერე? თქვით, მაგაზე თქვით, რა არ არის რიგზე?

— მაგი არ ვიცით, უსტავ! — ყველას მაგიერ იტყოდა ერთი, გაუბედავად, თავის შეფხანით.

— ჰმ! — ჩაიცინებდა მეკეხე, — თქვენი ვერაფერი გავიგე. უცნაური ხალხი ხართ სწორედ.

— ჰო, კი, უცნაურები ვართ, უცნაურები! — გულ-ამოსილ ყვილოდ ეთანხმებოდა ყველას მაგიერ რომელიმე მათგანი და დამნაშავესავით აარიდებდა თვალს.

მერე ერთხანს ისევ ჩამოწვებოდა დუმილი, რომელსაც ამჯერად რომელიმე გლეხთაგანი დაარღვევდა. — ჩვენ შენი საუბრის მოსასმენად ვართ აქ მოსული, მოგვიყევი რამე, უსტავ!

მეკეხე უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, არც გლეხების გაწბილება სურდა, სათქმელი კი უკვე თქვა, სალაპარაკო ამოწურა, იმის ფანტაზია კი არ ჰქოხდა, სახელდახელოდ მოეფიქრებინა რაიმე.

— რა მოგიყვეთ, რა გნებავთ? — იტყოდა ფიქრის მერე.

— რაც იცი, ის მოგვიყევი, უსტავ, ჩვენთვის სულ ერთია, ოღონდ კი მოყევი და...

მეკეხე ჩაფიქრდებოდა, მერე რაღაცას მოისაზრებდა და იტყოდა: — საქონელს კარგად უნდა მოუაროთ!

— კარგი, მოვუვლით, უსტავ! — ჰპირდებოდნენ სოფლელები.

— შენ ის, სულთან-სულეიმანისა და კალიების ამბავი მოგვიყევი, უსტავ! — თხოვდა ერთ-ერთი მსმენელთაგანი.

— ეს ხომ მოგიყევით?

— კიდეკ მოგვიყევი, უსტავ, კიდევ! კარგად ვერ გავიგეთ მაგი!

— კარგი-აბა! — იტყოდა მეკეხე და ვინ იცის უკვე მერამდენედ ეყოვებოდა კალიებისა და სულთნის ამბავს. საათქმელს რომ დაასრულებდა, დასძენდა: — სულ ესაა და ეს.

— იცოცხლე დიდხანს, იცოცხლე, უსტავ! — ერთხმად აყაყანდებოდხენ გლეხები, — ძალიან კარგად ყვები, უსტავ, ძალიან კარგად, ახლა კიდევ მოგვიყევი რამე.

— რა მოგიყვეთ კიდევ? — იტყოდა გულში ნასიამოვნები მეკეხე.

— რაც გინდა ის მოგვიყევი. მდიდრისა და ღარიბის ამბავი მოგვიყევი. ღარიბს რა უთქვამს და მდიდარს კიდევ რა, ის ამბავი მოგვიყევი.

— კარგით, მოგიყვებით, — იტყოდა მეკეხე და მართლაც მოყვებოდა: — ჩვენ ყველანი რომ უნდა მოვკვდეთ და შავ მიწაში უნდა ჩავწვეთ, ეს ყველამ კარგად იცით თქვენ. იმ ქვეყანაში ყველაფერი სხვანაირად, შებრუნებით ხდება...

— როგორ, უსტავ? — იკითხავენ ერთხმად.

— როგორ და, იმ ქვეყანაში ყველანი, ვინაც აქ ღარიბად ცხოვრობენ, მდიდრად იცხოვრებენ, აქ რომ მდიდრად ცხოვრობენ, იქ ძალიან ღარიბები იქნებიან... ასე მაგალითად, ის აღა-ბეგები, რომლებსაც ახლა თქვენ ემსახურებით, საიქიოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ მოგემსახურებიან. თუკი თქვენ ამ ქვეყანაში პატიოსნად მოიქცევით, ღმერთს გაუგონებთ, იმარხულებთ და ჯამეში ილოცებთ, იქ, საიქიოს, ბუმბულის საწოლებში ინებივრებთ ლამაზ, ლოყაწითელ, ქორფა ქალიშვილებთან, რომლებსაც ეცმევათ გამჭვირვალე აბრეშუმის კაბები, მათ ისეთი სასიამოვნო სუნი ექნებათ, როგორც ვარდს, თქვენი აქაური ცოლებივით კი არ იქნებიან აბა, ჩაჟანგულ-ჩამურულები, ისე რომ არიან აქოთებულები, ერთ ვერსზე ვერ მიეკარება კაცი... რასაც თქვენ აქ, ამ ცხოვრებაში ნატრობთ, იქ უნატრებლად გექნებათ. გექნებათ ბაღი, ბაღჩა, სარწყავი წყალი, რადიო, იქ არავითარი გაჭირვება და სადარდებელი არ გექნებათ... აქ რომ თქვენ ორსულ ცოლებს სცემთ, რატომ დაორსულდი, ამდენი ბავშვი როგორ უნდა ვარჩინოო, იქ პირიქით ძოიქცევით, ვინაც ტყუპს შობს, დააჯილდოებთ, სულ აბრეშუმსა და ფარჩეულში გამოაწყობთ... მოკლედ, თუ წესიერად იქნებით, რომ მოკვდებით, იქ, იმ ქვეყანაში რაც აქ გენატრებათ, ყველაფერი თავზესაყრელად გექნებათ...

მეკეხე ყვებოდა და თან თავის საქმეს განაგრძობდა. გლეხები სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს და რასაც იგი ყვებოდა, ყველაფერი სჯეროდათ.

— ძალიან კმაყოფილი ვართ შენი, უსტავ! — ეუბნებოდნენ, როცა მეკეხე საუბარს დაამთავრებდა, — ძალიან კარგი მოსასმენი იყო შენი ნაამბობი, ყველაფერი სიმართლე გვითხარით და მადლობელი ვართ... ჩვენი სოფლიდან რომ წახვალ, აღარ ვიცით, რა გვეშველება, როგორ გავძლებთ უშენოდ.

* * *

მეკეხეს გამგზავრების დღეც დადგა. იმ დღეს არც ერთი გლეხი სამუშაოდ არ გასულა. ყველამ რაღაც-რაღაცა მოზიდა, ველის სახლში მოიყარეს თავი და გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს.

სადილობის მერე მეკეხის მთელი ავლადიდება სახედარს აკიდეს, მეკეხე სოფლის ბოლომდე გააცილეს და თვალცრემლიანები გამოეთხოვნენ: —როგორი კმაყოფილი ვიყავით შენით. გვიკირს, რომ მიდიხარ, ძნელი იქნება უშენოდ გაძლება... ბევრს ნუ დააგვიანებ, გაისად ისევ ჩამოდი, გელით, შენს მოლოდინში ვიქნებით ყოველთვის!

დავბრუნდებიო, დაჰპირდა მეკეხე და გზას გაუდგა. გლეხები იდგნენ და მას გასცქეროდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა მეკეხე გორაკს მოეფარა, სახლისაკენ გაბრუნდნენ მეკეხეზე საუბარ-საუბრით. საღამომდე მეკეხეზე ილაპარაკეს, ყველა

აქებდა და ადიდებდა მას, უჭკვიანეს, მცოდნე კაცად ეჩვენებოდა. ჩნდათ:

— ქალაქში ჩასვლამდე ბევრი აღარ ეკლება ახლა, მზის ჩასვლამდე მიაღწევს... რა ღმერთის დალოცვილი კაცი იყო, რა პატიოსანი. ღმერთის მოშიში.

ცხელი ზაფხულის დღეებში სამუშაოდან დაბრუნებულ გლეხებს გული არ უდგებოდათ სახლში, ველის სახლში იყრიდნენ ოავს და ისევ მეკეხეზე ჩამოაგდებდნენ საუბარს.

* * *

იმ სოფლიდან თუკი ვინმე ქალაქში წავიდოდა, ანდა, კიდევ, სასამართლოში ან ჟანდარმერიაში ექნებოდა საქმე, დიდის ამბით აბარებდნენ, ქალაქში რომ ჩახვალ, აუცილებლად მეკეხე მოძებნე, ჩვენი მოკითხვა გადაეცი და უთხარი, გზებზე თოვლი გადნა, უკვე დათბა, ველით და გაიგე როდის ამოვაო.

მერე დიდის ამბით უსმენდნენ ქალაქიდან დაბრუნებულს, ისმენდნენ მეკეხეს დანაბარებს.

ასე, მეკეხეს ლოდინში გადიოდა დრო, ასე მისდევდა წელიწადი წელიწადს, მეკეხე კი არა და არ ჩანდა, დილით, საქუშაოზე წასვლისას და საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებისას, სულ გზისაკენ ეჭირათ თვალი. იქნება ვინმე გამოჩნდეს გზაზე. იქნება მეკეხეზე გვითხრასო რამე.

ბედნიერი სიკვდილი

ღმერთის დალოცვილი ეს მარხულობის თვე... ყოველწლიურად მაინცადამაინც გაგანია მუშაობის დროს ემთხვევა იგი. ბური მოსამკელია, ულო შესაკრავი, მოსამცერევი... ბერე კალოზე უნდა მიზიდოს გლეხკაცმა თავისი ნაჯაფი და უნდა გალეწოს. ჰოდა, ამ დროს მარხვა? რომელი დელიყანლი გაუძლებს ასეთ დატვირთვას? ჰოდა, არავის არ სცალია ასეთ დროს სალოცავად და სამარხულოდ.

— ჯერ ჩვენს პირსა და კუჭზე უნდა ვიფიქროთ! — თქვეს გლეხებმა და იმ წელიწადს მარხულობას თავი დაანებეს.

ეს გლეხები, ცოდვა გამხელილი სჯობს, არც მაინცდამაინც სხვა დროს იკლავდნენ თავს მარხვის შენახვაზე. ვინ მოსთვლის, რამდენი ლოცვა და რამდენი დავალიანება დარჩენიათ ღმერთის წინაშე. კიდევ კარგი, ღმერთის ვალი ბანკის

ვალს არ გავდა, რომელიც, მეტი გამოსავალი არ იყო, გინდოდა
და თუ არ გინდოდა, ქვა უნდა გაგეხეთქა, გეშოვნა და გადა-
გეხადა. ღმერთი გლეხებს იმ შეღავათს აძლევდა რომ, შეეძ-
ლოთ ზაფხულის დავალიანება ზამთარში ლოცვითა და ძარ-
ხულობით აენაზღაურებინათ.

მაგრამ, რამაზანის მარხვა, მაინც სულ სხვა რამ იყო. აქ
არ შეიძლებოდა რაიმე შეღავათის დაშვება და დავალიანება,
მარიათში არ ეწერა. ეს მარხვა თავის დროზე უნდა აღ-
რულებულიყო, სოფლელები ამის გამო ძალიან სწუხდნენ:—
ზაფხულში ბაან საქმე გვაქვს, ზამთარში კი მოცლი-
ლები ვართ, ჰოდა, არ გაითვალისწინებს ნეტავი ღმერთი
ამას? რა იქნებოდა იმ დალოცვილს ზამთარში გადაეტანა
რამაზანი? ხომ უკეთესი იქნებოდა? ყველანი ვიმარხულებ-
დით და დავალიანებაც არავის არ დარჩებოდა?

მეჩეთში ლოცვებზე მისული ხალხი ამის გამო ჯემალ-
ხოჯამ ისეთი დღეში ჩაიგდო, საცოდავებს რაც სილბო ჰქონ-
დათ შერჩენილი, ისიც ლიმონივით გამოუწურა.

— საქმე-მაქმე არ ვიცი მე! — მთელი ხმით გაჰყვიროდა
ხოჯა, — წესია ასეთი და ვინც ამ წესს არ დაემორჩილება,
უკ ძერთია, ღმერთის ურჩი. ღმერთის ურჩს კი რა დღე ელის,
ეს კარგად იცით თქვენ!

აბა, ერთი მითხარით თქვე უსირცხვილოებო, თქვე შტე-
რებო და გათახსირებულებო, ამაზე უკეთესი და საჩქარი რა
საქმე გაგიჩნდათ ასეთი? აბა მითხარით, ამის შემდეგ, იმქვეყ-
ნად რა პირით და რომელი სინდისით უნდა წახვიდეთ?

ხოჯის ქადაგებაზე ხალხმა მორჩილად ჩაჰკიდა თავი. მიხ-
ვდნენ თავიანთ დანაშაულს. სირცხვილისაგან ატანილებმა
ლოცვები როგორ ჩაატარეს, არც გაუგიათ.

ლოცვის გათავების შემდეგ ყველანი გარეთ გაცვივდნენ
და ჯაბეს წინ მოიყარეს თავი. საქმეზე წასვლა არც ერთს არ
უფიქრია. არადა, დრო არ ითმენდა, კალოზე ხორბალი და
ქერი ჰქონდათ მოტანილი გასალეწად. ამაზე უკეთეს დროს
კი სად იშოვიდნენ. ქარი ქროდა და ნამდვილი ლეწვის დარი
იდგა. ისინი კი იდგნენ და ელოდნენ, რას ელოდეხ, მათაც
არარ იცოდნენ. ხოჯის იმ სასტიკი ქადაგების შემდეგ არც
ერთს არ მიუწევდა საქმეზე გული.

ხალხს ისეთი განწყობილება დაუფლებოდა, ღმერთი რომ
ხილული პიროვნება ყოფილიყო, რომ სცოდნოდათ, სად, რა
ადგილას უნდა ეპოვნათ იგი, ყველანი ერთად, შეთანხმებუ-
ლებლივ წავიდოდნენ მასთან, ფეხებს დაუკოცნიდნენ და ბა-
ტიებას შესთხოვდნენ.

ჯამესთან თავმოყრილმა ხალხმა მათკენ მიმავალი მხედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი შენიშნა. ალბათ ლოცვაზე დაგვიანებული რომელიმე მორწმუ-ხიაო, გაიფიქრეს ზოგიერთებმა.

კარგად რომ დაუახლოვდა ჯამეს, მხოლოდ მაშინ იცნეს იგი, მეორე სოფელში მცხოვრები, დაქირავებული მწყემსის— აზიმეს შვილი ალი აღმოჩნდა. იგი ძაყად გაჯგიმული იჯდა სახედარზე და არაფერს და არავის არ აქცევდა ყურადღებას.

— რატომ მოდი ლოცვაზე ასე გვიან? — ჰკითხეს მას, როცა ჯამეს მიუახლოვდა.

— გვიანი რომაა, მაგი მე ვიცი! — თქვა მან, სახედრიდან ჩამოხტა და განაგრძო: — მე სალოცავად არ მოვსულვარ. სალოცავად მე ვინ გამომგზავნიდა აქ? მთელი სოფლის ნახირს მე მარტო ვმწყემსავ, იმდენი ხბო და ძროხა მე შემომყურებს და მაგისთვის მეცალა?

ალი ჭკუაზე ცოტა აფრაკად იყო, არეულ-დარეული ლაპარაკი უყვარდა, რომ ჩართავდა, აღარ იყო მერე მისი გაჩერების საშველი.

— აბა, რისთვის მოდი? — შეაწყვეტინეს გლეხებმა.

— რისთვის მოვედი და გამომგზავნეს!.. აბა, აქ მოსასვლელად სად მეცალა? იმდენი ხბოები და ძროხები...

— რისთვის გამოგგზავნეს? — ისევ შეაწყვეტინეს გლეხებმა.

— თემელ-ხასანი მოკვდა და იმისთვის გამომგზავნეს.

— აა?! — ხალხმა გაოცებისაგან პირი დააღო, — რა თქვი? ხასანი მოკვდა? ეს როგორ?!

— როგორ და ჩვეულებრივად, ადგა და ქე გაწვადა პოჭოკი! — გაიღრიჭა ალი.

— — აა? მაშ მოკვდა?! ეს როგორ?! — მაინც არ სჯეროდა ზოგიერთებს.

იმ რაიონში ოცდაოთხი სოფელი შედიოდა. ჰოდა, მთელს ამ ოცდაოთხ სოფელში ყველაზე მდიდარი კაცი თემელ-ხასანი იყო. უამრავი მიწა, ცხენების რემა, საქონელი, ცხვარი, აქლემები... თემელ-ხასანს სამი ცოლი ჰყავდა. დიდ მორწმუნედ არ ითვლებოდა, არც მარხულობდა, არც ლოცულობდა, საშინელი ლოთი იყო და სოფელში, ხალხის დასანახავად გალეშილი სიარული არ ერცხვინებოდა. სახელგანთქმული კაცი იყო და ჩინებული მხედარი. ის რომ ამხედრდებოდა და ცხენს დარდიმანდულად გააჭენებდა, ერთ რამედა ღირდა მისი შეხედვა.

ყველაზე უფრო, რატომღაც ჩვენი სოფელი უყვარდა თემელ-ხასახს. ხშირი სტუმარი იყო და ბევრი მეგობარიც ჰყავდა აქ, მასავით გადაყლურწვის მოყვარული და ლოთი. ჩამოივლიდა სოფელში, შეკრებდა თავისი ჭკუის ხალხს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყებდა ქეიფს. ფული ჩეჩქივით ჰქონდა და ყოველთვის ეს იხდიდა.

თავისი ლოთი ძმაბიჭების გარდა არავის არ უყვარდა თემელ-ხასანი და პირს უკან ხშირადაც აგინებდნენ კიდეც:

— ეს რა უსინდისო და ნამუსგარეცხილი ვინმეა, ა? რატომ ჩიწა არ უსკდება სირცხვილით მაინც?

ბოლო ხანებში თემელ-ხასანი რატომღაც დაავადმყოფდა. ალბათ გაუთავებელმა ლოთობამ თუ უყო. ანდა, ვინ იცის, ღმერთმაც დასაჯა კიდეც.

სად არ იყო სამკურნალოდ. არ დაუტოვებია არც სტამბული, არც ანკარა, არც იზმირი. სადაც კი ცნობილი ექიმი ეგულებოდა, ყველა მოინახულა, მაგრამ არაფერმა უშველა.

ბოლოს ლოგინს მიეჯაჭვა. იწვა, იწვა, ელოდა სიკვდილს და აი, ბაირამზე მოკვდა! ამ დღეს სიკვდილი ხომ დიდად სასიხარულოა! ასეთი ბედნიერი სიკვდილი ცოტა ვინმეს თუ ღირსებია!

— როგორ მოხდა ეს? — უკვირდა გაოგნებულ ხალხს, — ღმერთი არ სწამდა, არ ლოცულობდა, არ მარხულობდა, ლოთი იყო და გარყვნილი! ჰოდა, ასეთ დღეს მოკვდა? როგორ დაუშვა ღმერთმა ასეთ გარყვნილზე ასეთი სიკეთე? მაგრამ ღმერთი ხომ ჩვენზე უკეთესად ხედავს, მას ხომ არაფერი შეეშლება? იქნება ჩვენ ვერ ვამჩნევდით და ღირსი იყო ასეთი სიკვდილისა?

გაოგნებული ხალხი თანდათან ალაპარაკდა.

—თემელ-ხასანს შეხედე ერთი, — ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა და ხელები გაშალა, — ჩვენ იგი ულმერთო გვეგონა და დახეთ... როგორც ჩანს, ღმერთი მდიდრებისკენაა და მათ ყოველგვარ ცოდვას აპატიებს.

— კი, კი, ასეა, აბა?! — დაეთანხმნენ ზოგიერთები.

— აბა, წავიდეთ, ხალხო, და ჭირისუფალს მივუსამძიმროთ! — წამოაყენა წინადადება ოსმანმა, ტანმორჩილმა გლეხმა.

— წავიდეთ!

— ყველანი ერთად წავიდეთ!.

— აბა, სახედრებზე შეჯექით!

— ყველანი წავიდეთ, ყველანი! — აყაყანდა ხალხი.

ხუთი წუთის შემდეგ სოფელში მარტო ბავშვები და ქალები დარჩნენ, დანარჩენები თემელ-ხასანისას წავიდნენ.

მიდიოდნენ მტვრიან შარაზე, ზოგი ფეხით, ზოგიც სახედარზე გადამჯდარი. ზემოდან მზე აცხუნებდათ, ქროდა ქარი და გაუსაძლისი ხვატი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სანამ სოფელი უკან არ მოიტოვეს და არ გაიმინდვრეს, არც ერთს არ ამოუღია ხმა. მიდიოდნენ მდუმარედ, დაუბრეგულებივით, თავთავიანთ ფიქრებში წასულები.

რომ გაიმინდვრეს, თითქოსდა ახლა გამოფხიზლდნენო, აყაყანდნენ, ჯერ ერთმა დაარღვია დუმილი და მორჩა, ადიდებულ მდინარესავით იქუხა და ჯებირიც გადმოანგრია.

— ხომ ხედავთ, ამდენ სოფელში, ამდენ ხალხში მხოლოდ იგი, თემელ-ხასანი მოკვდა ამ წმინდა დღეს, — დაიწყო იმ ერთმა.

— აბა, კაცო! — გაუკვირდა მეორეს, — მოდი და ცოდვილი უწოდე ამის მერე!

— ჩვენ კი ცოდვილი გვეგონა!

— რა ცოდვილი, რის ცოდვილი!

— მაგისთანა ცოდვილი ნეტავი ჩვენაც ვიყოთ!

— წმინდანი ყოფილა!

— კი, კი, ნამდვილი წმინდანი ყოფილა!

— დაილოცა შენი სამართალი, ღმერთო!

— არა, რომ ვიცოდე, ამ დღეს მოვკვდები, დავიწყებ ლოთობას. იმდენს ვილოთებ, იმდენ გარყვნილებას ჩავიდენ, თემელ-ხასანს არ დაესიზმრება.

— მაგი რომ ვიცოდე, იმდენ ცოდვას ჩავიდენ, თემელ-ხასანის ცოდვა ჩემს ცოდვასთან ისე გამოჩნდება, როგორც ჭიანჭველა აქლემთან.

— არ დაიჯეროთ მაგი თქვენ, — ეჭვი გამოთქვა რომელიღაცამ, — არ მიიღებს ღმერთი ასეთ მოწყალებას, არ მოგკლავს იმ დღეს და ქე შეგრჩება ეს ცოდვები ზურგზე აკიდული. ჰოდა, ჩვენი ხოჯისა არ იყოს, რას იხამ მერე იქ, საიქიოში? რა პასუხს გასცემ ღმერთს? ხომ ვერ ეტყვი, მაპატიე, ღმერთო, მეგონა, იმ წმინდა დღეს მომკლავდი და ამდენი გარყვნილება იმისთვის ჩავიდინეო?

— ვერ ვეტყვი, რა თქმა უნდა!

— რას გაბედავ მაგას!..

— სწორია! არ შეცდება ღმერთი, ყოველთვის და არ მოგკლავს ყურბან-ბაირამზე, არა!

— შეცდება? რას ამბობ კაცო, შენ? მაგისი თქმა როგორ შეიძლება? ღმერთი როდის იყო ცდებოდა?

— ღმერთი კი არ ცდება, ხანდახან რაღაც შეღავათს დაუშვებს ალბათ!

— არავითარი შეღავათი!

— აბა?

— რა, აბა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა და, შენი აზრით, აბა რას უნდა მივაწეროთ თემელ-ხასანის მაინცადამაინც ამ დღეს სიკვდილი?

— ჰო, მაგისი რა მოგახსენო!

— წმინდანი იყო?

— ვინა?

— ვინა და თემელ-ხასანი!

— კარგი ერთი, რისი წმინდანი!

— ლოთი ხომ იყო?

— მერედა როგორი...

— ესე იგი, იყო ლოთი!

— იყო!

— გარყვნილი იყო?

— საშინელი!

— ესე იგი, იყო გარყვნილი!.. ლოცულობდა? მარხულობდა?

— არა, მეტი საქმე არ ჰქონდა!

— აბა, შენი აზრით, როგორ მოკვდა ამ დღეს?

— არ ვიცი მაგი მე!..

— მაგი ღმერთმა იცის!

— ჰო, ღმერთს უკეთესად მოეხსენება...

სოფლელები ხმაურით, ყაყანითა და ხმამაღალი მსჯელობით განაგრძობდნენ გზას. ასორმოცი, ასორმოცდაათი სული მაინც იქნებოდა. ზოზინით მიდიოდნენ მტვრიან გზაზე და ბორიკალ ისე მოჩანდა, კაცი იფიქრებდა ქვეითებისა და კავალერისტების შერეული პოლკი მტრის საიერიშოდ მიდისო.

აყაყანებული ხალხი ერთხანს ჩაცხრა და მყუდროება ჩამოწვა, რომელიც კარგა ხნის მერე ისევე დაარღვია ვიღაცამ.

— თემელ-ხასანს ამდენი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი და ღმერთმა მაინც ამ დღეს რომ მოკლა, ჩვენ ხომ იმის მეათასედი არ გვაქვს ჩადენილი?

— არა, რა თქმა უნდა!

— ჩვენ რას ვაკეთებთ იმდენს? ხანდახან ლოცვა ჩაგვივარდება, ხანდახან ვერ ვიმარხულებთ, ესაა და ეს...

— ვინ იცის, იქნება ჩვენაც გადმოგვხედოს ღმერთმა?

— ვინ იცის...

— ჩვენ წმინდანები არა ვართ...

— არა, წმინდანები არა!

— ხომ ხედავდით, რა დღე წაგვკიდა ჯემალ-ხოჯამ.

— აბა, კაცო?!.

— რეები არ ილაპარაკა!

— რა გემოზე გვლანძღა, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, კი. მოვიცადოთ!

გლეხები სხვა სოფლების გლეხებს შეუერთდნენ, ჩრდილოეთ მოძებნეს და საუბარი განაგრძეს.

— არაყის მსმელი კაცი შვიდსულიანი იქნება და ასე ადვილად არ მოკვდება! — ეჭვი გამოთქვა ერთმა. — ერთი სული რომ ამოხადოს ღმერთმა, იმ დარჩენილი ექვსი სულით კიდევ ექვს თვეს გასტანს! სამხედროში არ გინახავთ მაინც სპირტს წამლად რომ ხმარობდნენ ექიმები?

— კი, კი, მაგი სწორია!

— ჰოდა, ექვს თვეს ხომ არ მოვიცდით აქ?

— რას ამბობ, კაცო?

— არა, იქნება ადრე მოკვდეს.

ზოგი სულის ამომრთმევ ანგელოზს, ეზრაილს აგინებდა, ზოგი თემელ-ხასანზე ბრაზობდა, რაკი კვდება, რატომ აქამდე არ მოკვდაო, ზოგი ისევ აზიმეს შვილს ალის უწიწმატებდა დედ-მამის სულს.

— არა, მაინც რატომ მოგვატყუა ასე? — ამბობდნენ ისინი, — რაში დასჭირდა იმ შტერსა და ჭკუიდან გადასულს ჩვენი გასულელება?

— დღეს თუ არ მოკვდა, მერე გინდა მომკვდარა და გინდა არა, სულ ერთია ჩვენთვის!

— რას ამბობ შენ? დღეს უნდა მოკვდეს, დღეს!

— კარგია, მაგრამ...

— მოკვდება კი ასე გამოწერილად?

— ვინ იცის...

— ერთხელ ვიფიქრეთ ცხოვრებაში ცოდვებისაგან გავწმენდილიყავით და ესეც ხელის შეშლა...

— აბა კაცო!..

მახმუდმა ორიოდე ამფსონი გამოძებნა, აყაყანებული თანასოფლელები მიატოვა და ავადმყოფის სანახავად წავიდა.

* * *

მახმუდის მოლოდინში ხალხი ოდნავ მიწყნარდა, დაშოშმინდა. გადაწყვიტეს, ეს დღე მაინც გაგვიცდა, თუ თემელ-ხასანი არ მოკვდა, წამხდარ საქმეზე დასვენება მაინც შეგვრჩებაო.

მერე თემელ-ხასანის ცოლების ბედზე დაიწყეს მსჯელობა. თემელ-ხასანი უშვილძირო კაცი იყო. არც ძმა ჰყავდა და არც და. ასე რომ, ამოდენა ქონება ისევ იმ სამ ცოლს შორის უნდა განაწილებულიყო. რომელიც კანონიერ ცოლად ესვა თემელ-ხასანს, ყველაფერი მისი იქნებოდა. დანარჩენ ოთს კი რასაც კანონიერი ცოლი არგუნებდა, ის შერჩებოდა.

შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ რომელიმე მემამულეს თავს დასხმოდა, ქალები დაენარჩუნებინა და მთელი ქონება ხელში ჩაეგდო.

— სულ ერთია, ეს ქალები მაინც ვერ გაძლებენ უკაცოდ! — ასკვნიდნენ სოფლელები.

— გაძლებენ არა, ის არ გინდათ?

— ვინ იცის, აქამდე კი ძლებდნენ?

— ჰო, ვინ იცის? თემელ-ხასანი ხომ ამდენი ხანია დავარდნილია და მაგის თავი სად ჰქონდა?...

— გაჩერდით ერთი...

* * *

დალამებამდე ორიოდე საათი იქნებოდა დარჩენილი, როცა თემელ-ხასანის სახლიდან ხმაური მოისმა. სოფლელებმა სული გაკმინდეს და ყური მიუგდეს.

— ნამდვილად რაღაცა მოხდა! — დაასკვნა ერთმა.

— ნამდვილად! — დაეთანხმა მეორე.

— ეგერ, მახმუდიც მოდის!

— ჰო, მოდის და გვეტყვის...

მახმუდი თანასოფლელებთან მივიდა, მიწას დააჩერდა და ძლივგასაგონად ჩაილაპარაკა: — მოკვდა თემელ-ხასანი!

სოფლელებმა ძლივს დამალეს სიხარული. რომ არ შერცხვენოდათ, ხმამაღალი ყიჟინით გამოხატავდნენ აღტაცებას.

— სიკვდილიც ამას ქვია! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— აბი! აბა!

— ბედნიერი სიკვდილია, ბედნიერი!

— აბა, გაემზადეთ! — ხმამაღლა მოუწოდა თავის ხალხს ჯემალ-ხოჯამ, რომელიც ის-ის იყო მოვიდა, — ეს უბრალო მიცვალებული არ გეგონოთ, წმინდანია ცხონებული, წმინდანი!.. ახლა მთავარია მადლი არ დავკარგოთ, მადლი! მიდით ახლა, ხელ-პირი და ფეხები დაიბანეთ, გასუფთავდით და შეუდექით ცოდვების გამოსყიდვას!

სოფლელები უსიტყვოდ გაეშურნენ პატარა ღელისაკენ, რომელშიაც იხვები და ბატები ირეოდნენ.

ჭორფლიანი ქალი

ქალაქიდან ჩვენს სოფელში ვბრუნდებოდი. ბილიკივით ვიწრო გზა ისეთი უფსკრულების გასწვრივ მიიკლაკნებოდა, საკმარისი იყო ერთი გადაგეხედა და, გათავდა — მაშინვე ში-

შისაგან ოფლით დაგეცვარებოდა შუბლი. ღამდებოდა, სოფლამდე კი დიდი გზა მედო წინ. ღამით მგზავრობა ამ მხარეში ძალზე სახიფათო და მოუხერხებელია. აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა მეღონა, არც უკან გაბრუნება ღირდა. მერე გამახსენდა, რომ იქ, მახლობელ სოფელში მამაჩემის მეგობარი ქადირ-აღა ცხოვრობდა. ქადირ-აღა ღარიბი გლეხი იყო. ძლივს, დიდი ვაინა-ჩრობით გაჰქონდა თავი წლიდან-წლამდე. მასთან ერთხელ ვიყავი ნამყოფი, ისიც ბავშვობაში. გადავწყვიტე მივსულიყავი და მის ოჯახში გამეთია ღამე. სახედარი მოვაბრუნე და სოფლის გზას დავადექი.

ეკალ-ბარდებში გაფანტული ნახირის მოგროვებას ცდილობდნენ მწყემსი ბიჭები და იყო ერთი გადაძახილ-გადმოძახილი, ყვირილი, ყიჟინა.

— ქადირ ბიძია სად ცხოვრობს? — ვკითხე ერთ-ერთ მათგანს, ფეხშიშველ, ჩამოკონკილ ბიჭს.

— აგერაა, ე! ხელი გაიშვირა წინ, — სახლის წინ ბევრი შეშა რომ ყრია, იქაა!

თუ არ ვცდები, ამ სოფელს კარა კალას ეძახიან. სულ ათიოდე კომლი თუ ცხოვრობს. სოფელს რომ მივუახლოვდი, ახლა სხვას ვკითხე: ამა და ამ კაცის სახლი მასწავლე-მეთქი.

მიმასწავლა. გზა განვაგრძე. ორღობეში წყლის ჭურჭლებით ხელში მიმავალი ერთი მაღალი, მსხვილნაწნავებიანი ქალი შეჩერდა და ცქერა დამიწყო. მაღალი, სავსე გულმკერდი ჰქონდა, დახეული კაბა ეცვა და თეთრი ბარძაყი მოუჩანდა, ფეხშიშველი იყო.

— ქადირის სახლში მიბრძანდებით, არა? — მკითხა მან.

— მე იმ სახლიდან ვარ, წამობრძანდით! — გაბრუნდა და წინ წამიძღვა.

ორღობეში ისეთი გაუვალი ტლაპო იდგა, სახედრიდან რომ ჩამოვსულიყავი, ტალახში მუხლამდე ჩავეფლობოდი. საცოდაი ვირი მუცლამდე ჩაეფლო ტალახში და ძლივს, ბორძიკით ადგამდა ნაბიჯებს.

ერთ ეზოსთან შევჩერდით. ეზოს კუთხეში ბიჭი ნაჯახით შეშას აპობდა, ახალგაზრდა, ფეხმძიმე ქალს კი შეშა მეორე სართულზე აჰქონდა.

ეზოში შევედით. ჭაბუკმა შეშის პობას თავი ანება, მომიახლოვდა, მომესალმა და მკითხა: — სადაური ხართ?

— სოფელ ეფკარიდან ვარ, — ვუთხარი მე და აკათვალიერ-ჩავათვალიერე, — ამაღამ ქადირ ბიძიას სტუმარი ვიქნები! — დავურთე ბოლოს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მამაჩემი ზევითაა, ჩამობრძანდით სახედრიდან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლავე გავაგებინებ მამას! — ჩაილაპარაკა ჭორფლიანმა ქალმა, ხელით სავსე ჭურჭელი აიღო და მძიმედ შეუყვა კიბეს.

მალე მეორე სართულზე ჭრიალით გაიღო კარი და წელში მოხრილი, ძონძებით შემოსილი კაცი მოადგა ზღურბლს: მაშინვე ვიცანი — ქადირ ბიძია იყო, მანაც მაშინვე მიცნო და წამოიძახა: — ოო, ჩვენი ველის შვილი მოსულა! მოდი, მოდი! რა კარგი ქენი, რომ გვესტუმრე!

სახედარი იქვე დავტოვე და კიბეს ავუყევი.

ქადირ ბიძიამ გადამკოცნა, შემომცინა, მხარზე მომიცაცუნა ხელი, დაკვირვებით შემათვალიერა და მერე მკითხა: — აქ საიდან გაჩნდი, ბიჭო, ჰა?!

— სასამართლოში ვიყავი დაბარებული, დამაგვიანდა, ღამე გზაში ვრჩებოდი და ისევ აქეთ გამოვლა და თქვენი შეწუხება გადავწყვიტე.

— კარგი გიქნია, ძალიან გამახარე! — მითხრა, ისევ შემომცინა, ისევ მომითათუნა მხარზე ხელი: — კეთილი იყოს შენი მობრძანება! — კართან მწოლ, უცხოს დანახვაზე აღრეხილ ძაღლს შეუწყრა და სანამ ოთახში შემიძღვებოდა, ერთხელ კიდევ მკითხა: — სასამართლოში ვიყავი გამობარებულიო, რომ თქვი, რა დააშავე ასეთი?

— ჩადენით არაფერი, მაგრამ ქვეყანაზე ბოროტ კაცს რა გამოლევს?

— ასეა! —ჩაილაპარაკა და თავი გადააქნია.

შევედით სუსტად განათებულ, ჩაბინძურებულ, ღარიბულად მოწყობილ დიდ ოთახში. ავეჯი, თუ ყოველი ნივთი, ძველი იყო, სანახევროდ დამტვრეული, ბუხარში ძხიარულად გაზგიზებდა ცეცხლი: ფარდაგზე წამოგორებული გოგონები გაკვეთილს ამზადებდნენ. ჩემს დანახვაზე ფეხზე წამოიჭრნენ და მორცხვად მომესალმნენ, ოთახის კუთხეში დაგლეჯილ ფარდაგზე მჯდომი ქალები ძაფს ართავდნენ, ოდნავ დამიქნიეს თავი და ისევ თავიანთი საქმე განაგრძეს. მათ შემოხედვაზე მივხვდი, ჩემი დანახვა მაინცდამაინც არ ესიამოვნათ. ვიგრძენი, რაც გაიელვა გულში. კაცმა რომ თქვას, მართალი იყვნეს: როცა სახლში არაფერი გაქვს, სტუმრის მოსვლა პირდაპირ უბედურებაა.

— ამ კუთხეში ჩამოვჯდეთ აგერ! — მანიშნა ქადირ ბიძიამ, — რაც მამაშენი გარდაიცვალა, მას შემდეგ აღარ ვყოფილვარ თქვენთან. ვერ მოვახერხე გამოვლა. როგორ ხარ, დედა და ძმები როგორ არიან?

— არა გვიშავს რა, ვცხოვრობთ... დავეთრევით ბიძია აქეთ-იქით. ქვიდან ქვაზე ვეხეთქებით, ძლივს ვარჩენთ ოჯახს და ქე ვართ ასე!

ქადირმა ლოყაზე ჩამოისვა ხელისგული და ამოიოხრა: ეჰ, ასეა, ასე! ცხოვრება ყველგან გართულდა და წახდა, ტანზე ვეღარ გამოგვიცვლია, აგერ, კონკები გვაცვია. შემოგვადნა ტანსაცმელი. ერთ უბედურებას მეორე მოსდევს და ასე, კრიალოსნის მარცვლებივითაა გადაბმული ყველაფერი ერთმანეთზე. ამ ზაფხულს პურის ყანა სეტყვამ მოგვისპო... ორი შვილი ანკარაში გავისტუმრე სამუშაოდ — იქნება, ორი კაპიკი იშოვონ და ოჯახს წაადგნენ-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ სადაა ხეირი და ბარაქა, იგენმა რომ ნახონ? წერილი მომწერეს — რასაც ვშოულობთ, საკვებად არ გვყოფნის, ნახევრად შიშიერები ვართ დარჩენილი და ჩვენი იმედი ნუ გექნებათო!.. ორი ცალი საპონი და ოთხიოდე მეტრი ტილო რომ გამოეგზავნათ, წამხდარ საქმეზე ისიც კარგი იყო, მარა, რას იზამ?... ქალიშვილებიდან სამი გავათხოვე, ვაჟებიდან ერთი დავაქორწინე და ახლა ორი ვაჟი და ორიც ქალიშვილი დარჩა დასაქორწინებელი.. იმ სამი გათხოვილიდან ერთის საქმე ვერ წავიდა კარგად... — სათქმელი აღარ დაამთავრა, გაჩუმდა და რაღაცაზე მწარედ ჩაფიქრდა.

დრო ვიხელთე და ამჯერად მე წამოვიწყე საუბარი: — ახლა ყველანი ანკარაში გარბიან სამუშაოდ და, რა თქმა უნდა, ადგილის ძოვნა ძნელი გახდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, ადანაში უფრო ადვილად ინახება სამუშაო. იქ რომ წასულიყვნენ შენი შვილები, იქნება ქე გამართლებოდათ.

— ეჰ, ყველგან ერთი და იგივეა! — ხელი უიმედოდ ჩაიქნია ქადირმა — აქაც ბევრნი დადიან, ნუ გეშინია! ჩვენი სოფლიდანაც იყვნენ ადანაში, მაგრამ ხუთი ყურუშიც ვერ დააგროვეს...

დიასახლისი სუფრის გაწყობას შეუდგა. სავსე მკერდიანმა, ჭორფლიანმა ქალმა მეორე ოთახიდან ფლავით სავსე ჭურჭელი შემოიტანა და მაგიდაზე დადო. ეტყობოდა ის-ის იყო გადმოედგათ ცეცხლიდან, ისეთი ოხშივარი ასდიოდა.

— ბოლოკი, წიწმატი, მწვანილი... რაც არის, ყველაფერი მოიტანე! — უბრძანა ქადირმა.

— სელვერ, რძალსა და ძმას დაუძახე, შვილო! სუფრა მზადაა-თქო, და შემობრძანდნენ! — სთხოვა ქალმა ჭორფლიანს.

თურმე სელვერი ჰქვიებია იმ ჭორფლიანს.

— ახლავე, ბატონო!— ჩაილაპარაკა მან და მეორე ოთახში გავიდა. მაგრამ მალევე შემობრუნდა და თქვა: — ისინი არ შემოდიან, მეორე ოთახში ჭამენ.

ქადირ ბიძიამ თავი გაიქნია, მუხლზე დამადო ხელი და თქვა: — აბა, წავატეხოთ ცოტა!

მივუჯექით სუფრას. სელვერი ჩემს გვერდით მოთავსდა-

ქადირ ბიძიამ მკლავზე მომკიდა ხელი და მომიბოდიშა: — შენ ჩვენი სახლიკაცი ხარ, სუფრა ვერაა ისეთი, როგორც შენ იმსახურებ, ვეფერება, მაგრამ, იმედია არ დაგვძრახავ, გვაპატიებ.

— აჰ! როგორ ვეკადრებათ, ეს რა სათქმელია? ყველაფერი არის... ეს ოქროსფერი მჭადი ხომ ყველაფერს უდრის, ღმერთმა ნუ მოგვაკლოს მაგი. ესეც რომ არ გვქონდეს, რაღა გვეშველებოდა მაშინ?

— ყველაფერი ღმერთის ბრძანებით კეთდება, მის განგებას ვენაცვალე მე! — თქვა ქადირმა.

ღმერთის ხსენებაზე იმ ხანდაზმული ქალებიდან ერთ-ერთი აწუწუნდა: — რა მოგვცა ღმერთმა? თორმეტი თვე ვსაქმიანობთ, ვწვალობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, ჩვენს წონა ოფლს ვღვრით...

ქადირ ბიძია გაბრაზდა, ქალს თვალები დაუბრიალა და უთხრა: — სტუმრის წინაშე ამ თეფშს რომ თავზე დაგაფშვნი, მაშინ ჩაიგდებ ენას! მიფრთხილდი! სიკვდილის პირზე ხარ მისული, ძლივს დაფარფატებ და ღმერთის აუგს მაინც არ იშლი? მასეთი ხასიათი რომ გაქვს, მასე რომ აგინებ ღმერთს, იმიტომაცაა, რომ ცხოვრება გაგიძნელდა და ვერ გაიხარე.

შეშინებული ქალი გაჩუმდა. მყუდროება ჩამოწვა, დაუბრებულებივით ვვახშმობდით. მოვტეხდით მჭადის ნატეხს ერთ ლუკმას, ჩავიდებდით პირში, ვაყოლებდით ერთ კოვზ ფლავს და წვრილად დაჭრილ ბოლოკს. სელვერი რატომღაც მორცხვობდა და წამდაუწუმ წითლდებოდა, ხელები ოდნავ უთრთოდა. ლურჯი თვალები ჰქონდა. სახეზე წვრილად დაკეწილი წვრილი ჭორფლი ეშხსა და მომხიბვლელობას ჰმატებდა.

— ეს ქალიშვილები სკოლაში დადიან, არა? — ვკითხე ქადირს და გოგონებზე ვანიშნე.

ქადირმა წარბი შეჭმუხნა და აგდებულად აიქნია ხელი: — სკოლაში დადიან მარა, რად გინდა მერე? უნიჭოები არიან, ბევრი გამოლაყებულ თავში აოთერი არ შედის. ბოლოს აცდენენ ტყვილად, ამ ჩვენი მთავრობის საქმე პირდაპირ გასაკვირია. სპეციალურად მასწავლებელი გამოგზავნეს ქალაქიდან და ასწავლის ამ სოფლის ბაღნებს. ამასწინათ რევიზია ამოვიდა... ბიჭეს წინ ლაპარაკობდა ხალხი და ყური ვავკარი: არც ერთი ბავშვი არ მოსწონებიათ, ყველა უცოდინარი და შტერი აღმოჩნდა თურმე. ჩვენს სოფელში ერთ ჭკვიანს ვერ წააწყდები და საიდან ეყოლებათ ძტერებს ჭკვიანი შვილები?!

ორჭოფულად ავიჩეჩე მხრები და ვკითხე: — შენს დაქორწინებულ ბიჭს ისმაილი ქვია, არა? ჯარში თუ იყო?

— კი, იყო. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დავა-

ქორწინე, ერთი შვილი ყავს, მაგისი ქალი მეორეზე მზადაა უკვე და საცაა დასვამს კიდეც. მეტი შვილი არაა საჭირო-მეთქი, ვეუბნები, ვნახოთ, დამიჯერებენ თუ არა. მე რომ მყავს აგერ ბევრი შვილი, რა კარგი მჭირს? ესაა საქმე?

სელვერი დამწუხრებული იჯდა, ხანდახან მალულად გადმომხედავდა. თვალებში სევდა ედგა, ეტყობოდა რაღაცაზე დარდობდა.

— ბევრი შვილი საერთოდ არ ვარგა, — განაგრძობდა ქადირ ბიძია, — არც ერთზე მეტი ცოლის მოყვანაა კაი საქმე. მე, როგორც იქნა, ორი ცოლი შევირთე... პირველი ავადმყოფი იყო, სულ კრინავდა და მეგონა მოკვდება-მეთქი... ავდექი და მეორე შევირთე. ბედი რომ გაწირავს კაცს ისაა, ეს დასაბრმავებელი არ მოკვდა და ქეა ასე. სურვილის მიხედვით რომ ვერ იცვლის და ჭამს, აუგს ბიტომ ამბობს ღმერთზე, აბიტომაა ღმერთი გაბრაზებული ჩემს ოჯახზე.

ქადირის პირველი ცოლი, ეტყობოდა დიდი კაპასი ვინმე იყო. სიტყვა არ შეარჩინა ქმარს და ისევ აწუწუნდა: — მე შენს ზურგზე არ ვცხოვრობ, გაიგე? ჩემი შრომით ვირჩენ თავს და ასეთ აუგს როგორ მეუბნები სტუმრის წინაშე? ასეთ რამეს ქვასაც არ ეტყვიან. თუ გინდა, დავაკლებ ხელს ჩემს ქალიშვილს და წავალ ახლავე. შენაც ხომ ძაგი გინდა, ორი მჭამელი მოგაკლდება და დარჩები შენს თვალისჩინთან.

მიკხვდი, „თვალისჩინში“ ქადირის მეორე ცოლს გულისხმობდა და გამეღიმა.

მერე ისევ მყუდროება ჩამოწვა, რომელიც მალე ქადირმა დაარღვია:

— სელვერი უნდა წაიყვანონ ამაღამ! — თქვა დინჯად, სხვათა შორის.

შევამჩნიე როგორ შეცბა სელვერი, მხრები აუთრთოლდა და ტუჩები შეარხია.

— წაიყვანონ?.. — ვერ მივხვდი მე.

— გავათხოვე, ელაფ-აღას შვილს მივეცი!.. ოჯახს ვერ შეეწყო და ერთი წლის მანძილზე ორჯერ გამოექცა სახლიდან: სულ სცემდნენ თურმე, ბევრი არ ჭამოო, პურსა და მჭადს ამადლიდნენ, დედამთილს არ ემსახურებიო, ქმარს არ ემორჩილებიო, ჩვენს ოჯახს არ შეეფერებიო... ერთ დღეს ტანსაცმელი გაუხდიათ ტანზე, კონკები ჩაუცმევიან და გამოუგდიან გარეთ... ნუთუ ასე ცუდია ჩემი გოგო? ახლა სხვას ვატან... — სოფელ ოლანდიდან მთხოვს ერთი... პირობა მივეცი და ამაღამ უნდა მოვიდნენ მაგის წასაყვანად.

სელვერს გადავხედე, მერე ქადირს მივუბრუნდი და ვთქვი: — უკვე გავძეხი, ბიძია! ღმერთმა ხვავი და ბარაქა ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაკლოს შენს ოჯახს... ესე იგი, სელვერის წასაყვანად უნდა მოვიდნენ, არა?

— ჰო, სიტყვა მიცემული მაქვს და უნდა მოვიდნენ... წინასწარ ვაფრთხილებ სელვერს — კარგად შეუხმატკბილდეს, იმ ოჯახს და რასაც ეტყვიან, ყველაფერი დაუჯეროს, სულ „კი ბატონო“ და „კი შეხი ჭირიმე“ უძახოს ყველას! აბა დედამისივით თუ იჯიუტა, ისევ გამოაგდებენ გარეთ და ის იქნება. სასიძოსაც უნდა ვუთხრა, არ სცემოს ჩემს გოგოს.

ქალებმა სუფრა აალაგეს. ჩვენ კუთხეში მივჯექით და საუბარი განვაგრძეთ. ქადირი თავის თავზე მიამბობდა: — მე მორწმუნე კაცი ვარ, ჩემო ბიძია, სულ ჯამეში დავდივარ და ვლოცულობ. მხოლოდ დღეს ვერ წავედი ჯამეში, რადგანაც ჩემი ქალიშვილის წასაყვანად უნდა მოვიდნენ... ცხოვრებაში რაღაცას ქე მივაღწიე. მამაჩემი რომ მოკვდა, ღვთის ანაბარად დავრჩი, შიშველ-ტიტველი, უსახლკარო, საკუთარი ხელების მეტი არაფერი გამაჩნდა.. მივყევი, მივყევი ნელ-ნელა და ეს სახლი ავაგე, ბაღჩა, საყანე გავიჩინე, საქონელი მოვაშენე, მაგრამ მაინც არ მყოფნის, არ კმარა... ახლა სელვერი მიდის, ამ ორ წელიწადში ამ გოგოების მთხოვნელიც გამოჩნდება და გავიცლი ხელს... მხოლოდ ისმაილის საქმეა გაურკვეველი. მალე მეორე შვილი გაჩნდება. მერე, დროთა განმავლობაში ვინ იცის კიდევ რამდენი ეყოლება, ჰოდა, რჩენა არ უნდა მაგენს? საკუთარი ერთი მტკაველი ძიწაც არ გააჩნია! სულ მაგაზე ვფიქრობ დღე და ღამე, მაგრამ გამოსავალი ვერ მიკოვნია.

— ანკარაში წასულებზეც ხომ უნდა იფიქრო, ბიძია? იმათ რა უნდა ქნან? — შევახსენე მე.

ქადირ ბიძიამ გაბრაზებით ჩაიქნია ხელი: — იმათმა თავისით გამონახონ რაიმე საშუალება, თავი გაანძრიონ და გამონახონ. მე მეტი აღარ შეშიძლია. გამისკდა თავი ამდენი ფიქრითა და დარდით. გიჟები და შტერები არიან ორივენი. შენ არ იცი, რა აცვენილები იყვნენ მაგენი. სოფელში ყველას მოაძულეს თავი, ჩხუბისა და ცემა-ტყეპის მეტს არაფერს აკეთებდნენ... ვინ იცის, დაბრუნდებიან კი საერთოდ შინ? რომც დაბრუნდნენ, ისე აქვთ სახელი გატეხილი, ქალს არავინ არ მისცემს მათ აქ... აგერ სელვერს ვეუბნები, ხანდახან მამაზედაც იფიქრე-მეთქი! იმ სოფლიდან, სადაც მაგი თხოვდება, ჩვენს სოფლამდე დიდი გზა არ არის, შეჯექი სახედარზე და მულთან და დედამთილთან ერთად ხშირად მეწვიე-მეთქი! ქმართან შეხმატკბილებულად იყავი, შვილებს ბევრს ნუ გააჩენ, თორემ მოვლა-პატრონობა გაგიჭრდება-მეთქი, ერთი შვილიც საკმარისია-მეთქი!

სელვერმა სუფრა აალაგა, მერე ტაშტი და დოქით წყალი შემოიტანა და მე და ქადირ ბიძიას ხელები დაგვბანინა. ჭალარმა კედელზე მიჭედებული ფიცრის თაროდან თამბაქოთი გატენილი ქისა ჩამოიღო, გოგონების რვეულიდან ფურცელი ამოხია, თამბაქო გაახვია და მკითხა: — შენ არ ეწევი?

— კი, ხანდახან ..

მან ქისა გამომიწოდა: — აიღე, შეახვიე თუთუნი. ქაღალდი სქელია, ძაგრამ რა ვქნა, უკეთესი ამ ჩვენს სოფელში არ არის და...

რა საბოდიშოა-მეთქი, ჩავილაპარაკე, თამბაქო გავახვიე და მოვუკიდე. ვეწეოდით და თამბაქოს ბოლში გახვეულები წყნარად ესაუბრობდით.

სელვერმა საქმე მოათავა, კარის მახლობლად მიჯდა და ერთმანეთზე მიტყუპებულ მუხლებზე დაილაგა ხელები.

ველაპარაკებოდი ქადირ ბიძიას და დროდადრო მალულად გადავხედავდი სელვერს. ისიც გადმომხედავდა ხოლმე და მალულად მათვალიერებდა.

ძალიან მებრალებოდა ეს ახალგაზრდა ქალი, მებრალებოდა ასეთი უბედური რომ იყო, ასეთი კრული ცხოვრება რომ ჰქონდა. ლამაზი ქალი იყო, სანდომიანი და მომხიბვლელი. მას სულ სხვანაირი ცხოვრება უნდა ჰქონოდა, იგი ღირსი იყო სუფთა, ქათქათა ლოგინში წოლილიყო, რბილ, აფუებულ ბალიშზე დაედო ლამაზი თავი, ყოველდღე საუკეთესო საპნით დაებანა ხელ-პირი და ტანი, ჩაეცვა საუკეთესო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი... აფსუს, როგორი ქალი იქნებოდა მაშინ, რა ბროლივით გამჭვირვალე კანი ექნებოდა... იგი მარტოხელა უნდა ყოფილიყო, და ჩემს გარდა არავინ არ უნდა ჰყოლოდა გვერდით, ყოველ დილით უნდა მენახა, თუ როგორ გაიღვიძებდა იგი, როგორ მომპყრობდა სელის ყვავილივით ლურჯ თვალებს, როგორ შეატოკებდა გრძელ, მორკალულ ქერა წარბებს და დააფახულებდა გრძელ წამწამებს... ქადირ ბიძიას საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი უნდა ენახა სელვერი, რათა გაეგო, დარწმუნებულიყო, თუ რა განძის მფლობელი იყო. მან რა იცოდა, თუ რა ქალი იმალებოდა ამ ჭუჭყიან, ჩამოკონკილ და ფეხშიშველ გოგოში...

თანდათანობით მიპყრობდა მწარე ფიქრები, რატომღაც საკუთარი თავიც მეცოდებოდა და სელვერიც. ეუტანელი ზიზღი მახრჩობდა ასეთი ცხოვრების, ასეთი ხვეურის გამო. ბურანში წასულივით ვიჯექი გაუნძრევლად და კარგად არც კი მესმოდა, თუ რაზე მელაპარაკებოდა ქადირ ბიძია. დიდხანს, დიდხანს ვდუმდი აღთქმამიცემულივით, მერე კი ახალგამოღვიძებულივით ავწიე თავი, დაბინდული მზერა შევაპყარი ქა-

დირს და წყნარად ვიკითხე: — სულვერის გათხოვება საბოლოოდ გადაწყვიტე?

ქადირმა მშვიდად შემომხედა და წყნარად დამიქნია თავი: — კი, საბოლოოდ! ძაგანაც იგემოს თავისი წილი ცხოვრება და სიტკბობა! რა ვქნა, ამხელა ქალს სახლში ვერ გავაჩერებ, ვერ დავიდებ მის ცოდვას. იცი, მე მორწმუნე კაცი ვარ, ცოდვის ჩადენისა მეშინია. როცა მოვკვდები და საიქიოში, ღმერთის წინაშე წარვდგები, მინდა უცოდველი ვიყო, არავითარი ცოდვა არ მქონდეს ჩადენილი. თუ აქ, სიცოცხლეში ვერ ვნახე ბედნიერება, იქ, სამოთხეში მაინც ხომ უნდა იცხოვროს ბედნიერად კაცმა? ხომ არ შეიძლება იქაც სხვების მოხა-მორჩილი იყო, იქაც გშიოდეს, იქაც უფულოდ, უპერანგოდ, უფქვილოდ და უთუთუნოდ დარჩე? აქ თუ არა, იქ, იმ ქვეყანაში ხომ უნდა იცხოვრო ადამიანურად მაინც?

ვუსმენდი ამ გულუბრყვილო, თავის თავში დარწმუნებულ კაცს, სახეზე დიდი სევდა მქონდა აღბეჭდილი, ნელ-ნელა ვუქნევდი თავს, თითქოსდა ყველაფერში ვეთანხმებოდი და ვფიქრობდი ჩემთვის: „ასეთი სისულელები ოომ გჯერავს, მაგითი მაინც ხარ ბედნიერი!“

ქადირი ისევ სამოთხეზე და ცოდვებზე განაგრძობდა საუბარს. მე კი ჩემს ფიქრებში ვიყავი წასული. დროდადრო ისევ ვაპარებდი ფარულ მზერას სელვერისაკენ.

— სელვერი დღეს უნდა წაიყვანონ? — ვკითხე ბოლოს, როცა იგი სამოთხეზე საუბარს მორჩა.

— კი, ამაღამ მოვლენ! — ენერგიულად დააქნია თავი და მცირე დუმილის მერე, თითქოსდა ახლა გაახსენდაო, განაგრძო: — შევთანხმდით, ოთხასი ლირა უნდა მომიტანონ, პიროობა ასეა. მომცემენ ოთხას ლირას და გავატან, არ მოიტანებენ და არ გავატან. თუ ფული არ გაქვთ, ხარი გაყიდეთ, ძროხა გაყიდეთ, სახედარი გაყიდეთ და ფული მოიტანეთ-მეთქი.

— თუ არ მოიტანეს, ისე ქალს არ გაატან, არა? — ვიკითხე, წყალწაღებული ხავსს რომ მოეჭიდება ისე.

— რა თქმა უნდა! — დამიმოწმა მაშინვე, — უფულოდ რას მივცემ? ქვა გახეთქონ, იშოვონ და მომიტანონ. ხომ ხედავ, კონკები გვაცვია ყველას, საცვალი არა გვაქვს და გამოსაცვალი, როგორც კი ფულს მოიტანენ, შევჯდები სახედარზე, ჩავალ ქალაქში, ვიყიდი ტილოსა და ჩითს, თამბაქოს, ყავას. იქნება ბაზარში ჩემთვის ძველ პალტოსაც წავაწყდე, თორემ ვიყინები ზამთარში, გარეთ ვერ გავდივარ, ამ ქალებს კალოში და წუღა-მესტები ჭირდებათ, გოგონებს ქალამნები... ყველას რაღაცა გვჭირდება და არ ვიცი, ეყოფა თუ არა ყველაფერს ეს ოთხასი ლირა.

ვუსმენდი და ცალი თვალი კარისაკენ მქონდა. ყოველ წუთში ველოდი ძაღლის აყეფებას, ძახილსა და ფეხის ხმას. ველოდი, როდის მოვიდოდნენ სელვერის წასაყვანად... მერე წარმოვიდგინე, როგორ მოხდებოდა ეს: — ო, ქადირ ბიძია! — გავიგონებდი ძახილს. ძახილზე სახლში ყველანი ფეხზე დადგებოდნენ. სტუმრებს — ერთ კაცსა და ორ ქალს კიბესთან მიეგებებოდნენ, სახედრებს ჩამოართმევდნენ, მაღლა ამოუძღვებოდნენ და სასტუმრო ოთახში საპატიო ადგილს მიუჩენდნენ: საუბარი გაიმართებოდა. სალაპარაკო ბევრი არ ექნებოდათ, მერე სელვერისათვის მოტანილ ბოხჩას გაშლიდნენ შუა ოთახში და ყველას დაანახვებდნენ, თუ რა მოუტანეს სარძლოს. მერე საჩუქრებს ჩამოარიგებდნენ — ქადირ ბიძიას ხუთ-ექვს კოლოფ სიგარეტს, ქალებსა და გოგონებს თითოთითო ლეჩაქს, ისმაილს — ბებუთს, ფეხმძიმე ქალს — ჭრელ პირსახოცს. ბოლოს ჯერი ფულზე მიდგებოდა. სტუმართაგან ერთ-ერთი ქალი დიდისამბით ამოიღებდა ჯიბიდან საფულეს, გახსნიდა, ფულს ამოალაგებდა, გაუწოდებდა ქადირ ბიძიას და ძობოდიშებით, შემპარავად იტყოდა: — ორასორმოცდაათი ლირაა! ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ოთხასამდე ვერ ავათავეთ, დანარჩენს მომავალ შემოდგომაზე გაახლებთ!..

ქადირ ბიძია ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა, აყვირდებოდა, არ აიღებდა ფულს, მერე კი, როცა ხვეწნას დაუწყებდნენ, მოლბებოდა და დართავდა ნებას, რათა ქალი წაეყვანათ... სელვერი ცრემლით სავსე თვალებს მომაპყრობდა. დიდი, უსაშველო დარდი იქნებოდა აღბეჭდილი მის ლურჯ თვალებში. მეც მომეძალებოდა ცრემლი, მაგრამ თავს შევიკავებდი, არ ვიტირებდი...

— აბა, შვილო, იყავი ბედნიერი და ნუ დამივიწყებ! — იტყოდა ათრთოლებული ხმით ქადირ ბიძია და თვალებს ააოიდებდა შვილს. სელვერი კი ხმამაღლა აქვითინდებოდა. ატირდებოდნენ დედა და გოგონები, ისმაილი ფეხმძიმე ცოლს მიატოვებდა და დას უღელტეხილამდე გააცილებდა, ჩვენ აივანზე გავიდოდით და მანამდე ვიდგებოდით იქ, სანამ კვარის სინათლე სიბნელეში არ დაინთქმებოდა და უკუნი არ ჩამოწვებოდა ირგვლივ. მერე შევბრუნდებოდით ოთახში და დიდხანს, დიდხანს ვიჯდებოდით მოწყენილი და მდუმარე. ყველაზე მოწყენილი მაინც მე ვიქნებოდი.. .რამდენიმე საათის შემდეგ კი სელვერი საქმროსთან — ნურისთან ერთად დაკონკილი, ჭუჭყიანი საბნის ქვეშ დაწვებოდა. მერე ყველანი დაიძინებდნენ. მე ალბათ სელვერის დატოვებულ საწოლში ჩამაწვენდნენ და გულზე მოწოლილი სევდა არ მომციმდა. დაძინების საშუალებას. თვალები ცრემლით მექნებოდა სავსე და არც შემრცხვებოდა ტირილისა... ოჰ, რა იქნებოდა, სოფელში ერ-

თი ორმოცი-სამოცი ქცევა მიწა მქონოდა, იქვე, მოსარწყავი წყალი. ასე რომ ყოფილიყო, უყოყმანოდ ჩავკიდებოდი ხელს სელვერს, წავიყვანდი სახლში და ვიქნებოდით სულ ერთად. ზამთრის დიდ და ცივ ღამეში ერთმანეთს ჩახუტებულები დავიძინებდით. გვეყოლებოდა შვილები, დავზრდიდით, გზაზე დავაყენებდით... ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე.

მე და ქადირ ბიძიამ კიდევ ერთხელ გავახვიეთ თამბაქო და გავაბოლეთ. ოთახი თანდათან თამბაქოს მყრალი ბოლით გაივსო. ვიჯექით ნახევრად ბნელში. კაცისშვილი არ იღებდა ხმას და ირგვლივ გაუსაძლისი მდუმარება იდგა. სელვერს ხელები ერთმანეთზე მიტყუპებულ მუხლებზე ეწყო და შეთქმულივით სდუმდა. დროდადრო მისი ჭორფლიანი სახე ფერს იცვლიდა.

კარგა ხნის მერე ისევ მე შევეცადე დუმილის დარღვევას, მივუბრუნდი ქადირს და ვკითხე: — ისმაილი არ შემოვა, ქადირ ბიძია?

— როგორ არ შემოვა, შემოვა!

— რაღაც ალბათ მუცლის ტკივილი დაეწყო და მიტომ არ შემოვიდა ისმაილი! გავალ, დავხედავ ერთს! — თქვა სელვერის დედამ, ადგა და მეორე ოთახში გავიდა.

კარის გაღებისთანავე ოთახში სუფთა ჰაერი შემოიჭრა და ოდნავ მომეფინა გულზე.

ოთახის ჭერზე ერთგვარი ხმელი ბალახის კონა იყო ჩამოკიდებული, რომელსაც საშინელი სუნი ასდიოდა. ამ ბალახს „ჯამეს ცოცხს“ ეძახდნენ და მას ცრუმორწმუნე სოფლელები ეშმაკისაგან დასაცავად ხმარობდნენ.

— ამ ბალახის სუნი გსიამოვნებს, ქადირ ბიძია? — ვკითხე ქადირს, რომელიც რაღაცაზე ჩაფიქრებული ულაშებს იგრეხდა.

მან თავი გააქნია: — არა, მე უფრო იონჯის სუნი მსიამოვნებს... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ისმაილი შემოვიდა.

— ადაძიანს სული შეუწუხდება აქ, ამ მთებში, არა? — ვკითხე მე სხვათა შორის. რაღაცა ხომ უნდა მეთქვა და მეტი ვერაფერი მოვახერხე.

— კი, სული შეუწუხდება! — დამეთანხმა იგი, — მაგრამ რას იზამ? ისე, კაცმა რომ თქვას, მთაში იცხოვრებ თუ ბარში, სულ ერთია, სოფელი მაინც სოფელია. თუ გინდა რომ სული არ შეგიწუხდეს, მაშინ ქალაქში უნდა გაიქცე და იქ იცხოვრო. ქალაქი მაინც სულ სხვაა.

ქადირ ბიძიამ მაშა აიღო, ნაკვერჩხლები გაჩხრიკა და ჩაფიქრებულმა დაიწყო: — დრო გადის, ადამიანი კი ჯერჯერო-

ბით პირუტყვისაგან დიდად არ განსხვავდება. მე აქ დავიბადე, აქ ავიდგი ფეხი, აქ გავიზარდე, აქ ვცხოვრობ, აქ მოვკვდები და ჩავლპები ამ მიწაში. ვიცი მე, ბოლოს მაინც სიკვდილია და ვერაფერი დამიხსნის სიკვდილისაგან. ეს ყველამ იცის, მაგრამ მაინც ვერ დაგვითმია ეს ცხოვრება, მაინც გვინდა სიცოცხლე! იქ, მაღლა რომ მთები მოჩანს, იმ მთების მწვერვალებზე რომ ახვიდე, კიდევ სხვა მთას დაინახავ. ეს ქე ვიცი, ისა ოქით კი რა არის. ეს არ ვიცი, არც ჩემმა ცოლებმა იციან ეს. ისმაილმა აგერ ჩემზე მეტი იცის. მან სტამბულის თითქმის ყველა უბანი იცის, იქ მოიხადა სამხედრო სამსახური, იქაური სასაფლაოები, უნახავს, იქაურ მეჩეთებში ულოცია!.. მეც ბევრს ვლოცულობ, ყველა სავალდებულო ლოცვას ვასრულებ მეჩეთში. როცა ადამიანი ღმერთის წინაშე წარდგება, ლოცვის დანაკლისი არ უნდა ჰქონდეს, ამ ლოცვების მხრივ ძალიან მეშინია! თუ ღმერთი მაინც გამომინახავს რაიმე მიზეზს, ეს მისი საქმეა.

ხმაგაკმენდილი ვუსმენდი. იგი ისე ლაპარაკობდა ღმერთთან ურთიერთობაზე, როგორც რომელიმე სოფლელი გლეხი თავის ნაცნობ აღაზე.

ასეთი მორწმუნე კაცი იყო ქადირ ბიძია.

— ამ საღამოს მეხუთე ლოცვისათვის ეზანი ხომ არ გადმოუძახიათ მინარეთიდან? — ვიკითხე მე.

— ჯერ არა! — თავი გააქნია ქადირმა.

— ჩვენი ხოჯა სხვა სოფელშია წასული. ქერიმჯე ყოფილა ძალიან ცუდად და ლოცვა უნდა წაუკითხოს თურმე! — აგვიხსნა ისმაილმა.

მერე მყუდროება ჩამოვარდა. ვიჯექი ბინძურ, ჩამოხუთულ ოთახში და შეფარვით გავცქეროდი მოლოდინით აღსავსე, დასევდიანებულ და გაჩუმებულ ადამიანებს.

უეცრად ძაღლი აყეფდა და გამეფებული მყუდროება დაარღვია: თიქოსდა დედამიწა იძრაო, ისე შევტორტმანდი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ავდექი მეც, უკვე ვიცოდი რაც ხდება — სელვერის წასაყვანად ძოვიდნენ...

თითო-თითოდ შემოდითო!

მისი ნამდვილი სახელი სულეიმანი იყო, მაგრამ სოფელში ყველა ყვითელას ეძახდა. ცისფერი თვალები, შავი, ჯაგარივით თმა და კომშივით ყვითელი, ხმელი სახე ჰქონდა. ერთთავად დაღვრემილი და ჩაფიქრებული დადიოდა, სიტყვაძუნწი კაცი იყო, იშვიათად თუ დაილაპარაკებდა. ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკობარი და ამხანაგი არ გააჩნდა, ვინმე თუ დაელაპარაკებო-და, ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა და გაეცლებოდა. მართლაც რომ უცნაური კაცი იყო ყვითელა. პირველი ცოლი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო გაუშვა — ბევრს ლაპარაკობსო. ლაპარაკისმოყვარულ, ლაქლაქა ქალს ვერ იტანდა, მეორე ცოლი — ჯენეთიც აღარ ეხატებოდა გულზე, მართალია, თევზივით ჩუმი და ფუტკარივით მშრომელი ქალი იყო, მაგრამ ისიც, დროთა განმავლობაში უცხიმო ბურღულის წვნიანივით ამოუვიდა ყელში.

ღამის ლოცვების შემდეგ, მთელი სოფელი ძილს რომ მიეცემოდა, ჩაიწყობდა ყვითელა ჯიბეში ხელს, დახეტიალობდა მიჩუმებულ სოფელში და რაღაც ახირებული აზრები უტრიალებდა თავში. საშინელი მუსუსი იყო, თუკი რომელიმე ქალი მოეწონებოდა, თუ საშუალება ექნებოდა, ხელს არ დააკლებდა. თუ ნებით არაფერი გამოუვიდოდა, ძალადობასაც მიმართავდა ხოლმე.

სოფლელების წარმოდგენით ცხოვრება კარგად ჰქონდა აწყობილი ყვითელას: კარგი მოსავლიანი მიწები, საქონელი, კარგად მოვლილი ხარები... მაგრამ მას მაინც ყველაზე ღარიბად მიაჩნდა თავი: — ამ სოფელში თუკი ვინმეა ღარიბი, ეს მე ვარ! — იტყოდა ხოლმე, — მართალია, მშიერი არ ვკვდები, ხორბალს ურმით წავიღებ წისქვილში და დავფქვავ, ზამთრისათვის საყოფ შეშასაც ურმით ჩამოვზიდავ, მაგრამ ესაა საკმარისი? ეს სოფლელები შტერები არიან. მათ რა იციან ჩემი გულისტკივილი?

ყვითელას ოჯახი მრავალსულიანი არ იყო. მისმა მეორე ცოლმა, როცა მიხვდა, გაგვიჭირდებაო, შვილების გაჩენას თავი ანება და საქმეს მიეძალა.

დედა ორი წლის წინათ მოუკვდა ყვითელას. დედამისი — მეჯიბე ამ სოფელში დაიბადა, აქ გაიზარდა, აქ გათხოვდა, აქვე დაზარდა შვილები, აქვე იცხოვრა სამოცდახუთი წელიწადი და ისე მიებარა მიწას ამ სოფელშივე, რომ ერთხელაც არ გადაულახავს მისი საზღვარი, ერთხელაც არსად არ ყოფილა. ამ სოფლის გარდა ქვეყანაზე თუკი არსებობდა რაიმე, ვერ წარმოედგინა.

ეს ძალიან უკვირდა ყვითელას: — ადამიანს იმდენი საშუალება კი უნდა ჰქონდეს, რომ სამოგზაუროდ წავიდეს, ქვეყანა ნახოს, სოფლები და ქალაქები მოინახულოს — იტყოდა ხოლმე და ხეტიალის სურვილით შეპყრობილი ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ერთ დღეს ყანიდან დაბრუნებული ყვითელა სოფლის ცენტრში იდგა. ხელები ჯიბეში ჩაეწყო, ხის ტანს ზურგით მიკრდნობოდა და მდუმარე და მოწყენილი გასცქეროდა შორეთს. სოფელში მდუმარება გამეფებულიყო. მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო. მოულოდნელად ურმის ჭრიალი შეესმა. თავი ასწია და გაიხედა. მტვრიან გზაზე ურემი მიჭრიალებდა. ურემში შებმული ვეება წაბლა ცხენი ჩაქჩაქით ძლევდა მანძილს და უკან მტვრის ბუღს ტოვებდა.

ყვითელას თვალები გაუბრწყინდა და ახალგაღვიძებულივით შეიშმუშნა — ურემზე ქალები ისხდნენ, ერთი ხნიერი, ოთხი კი ახალგაზრდა, ლამაზები, ერთმანეთზე უკეთესები. მართალია, თავზე ფეჩე ეხურათ, მაგრამ პირისახე ყველას უჩანდა.

მეურმემ,ახალგაზრდა, ოხუთმეტიოდე წლის ბიჭმა ურემი ხის ძირას, ჩრდილში შეაჩერა, მათრახი დადო, ურმიდან ჩამოხტა, ცხენს ღვედები მოუხალვათა და ქერით სავსე ტომარა წამოაცვა თავზე. ცხენი ჭამას შეუდგა, ბიჭმა კი აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ქალებს ასძახა:

— რას ელოდებით? ჩამოდით, ჩამოდით! ამაღამ აქ უნდა დავრჩეთ...

ქალებმა ჩამოსვლის მაგიერ ტანსაცმელი შეისწორეს და უფრო საფუძვლიანად მოკალათდნენ.

ყვითელას თავისი ლურჯი თვალები მონუსხულივით მიეპყრო ურმისათვის და ქალებს მზერას ვერ აცილებდა. ოთხივეს კარგად ეცვათ, ლამაზებიც იყვნენ.

„რა დედოფლებივით ლამაზები არიან“! — ფიქრობდა გუნებაში და დასიცხულივით აცმაცუნებდა ტუჩებს.

ყველაზე უფრო მაინც ერთი მოეწონა ყვითელას. სხვებზე ლამაზიაო ვერ იტყოდით, მაგრამ ისეთი ეშხიანი, ისეთი მოცომცომე თვალები, ვნებიანი ტუჩები, ამობურცული მკერდი და წვრილი წელი ჰქონდა, რომ კაცს ჭკუიდან შეშლიდა.

მერე ქალებმა ურმიდან ჩამოსვლა იკადრეს, ნაძალადევი სიცილ-სიცილით, ერთმანეთის შეშველებით ჩამოლაგდნენ, ხის ძირას შეჩერდნენ, თანაც აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს და ეშმაკურად იღიმებოდნენ.

„ხეტავი რომელი აღას ქალები არიან ასე მოვლილები? — ფიქრობდა ყვითელა, — ამათ, ეტყობა, ცხოვრებაში არ უმუშავნიათ, ხელი არ გაუნძრევიათ, გაჭირვება და შიმშილი არ გამოუცდიათ... არა, ის ერთი რა არის მაინც, რა ტუჩები, რა მკერდი, რა წელი... მაგის ტუჩები... ოჰ!!. — ყვითელამ ერთხელ კიდევ გაილოკა ტუჩები, შებრუნდა და ჯიბეში ხე-

ლებჩაწყობილმა ზლაზვნით გასწია შევქეთის დუქნისაკენ. მი-
ღიოდა და დროდადრო მზერას ქალებისაკენ აპარებდა.

დუქანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მედუქნე შევქეთი ფა-
ხლთან იჯდა, წინ დიდი დავთარი დაედო და სოფლელებზე
ნისიად გაცემული საქონლის ფასებს აჯამებდა. საცაა კალო-
ობა დაიწყებოდა და უკვე დრო იყო მედუქნე თავის საქმეს
შესდგომოდა — მევალეთა სია შეედგინა, ეზო-ეზო ჩამოევ-
ლო და საქონლის მაგიერ ფული თუ ხორბალი ამოეღო.

ხმაურზე მედუქნემ თავი ასწია. ყვითელას წამიერი მზე-
რა ესროლა და მერე ისევ დავთარში ჩარგო თავი.

ყვითელამ იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა, დახლ-
ზე გადაწვა და ჩაცინებით უთხრა: — მოემზადე, ამპანაგო,
ერთი ურემი სტუმარი მოგადგა კარზე!

მედუქნეს თავი არ აუწევია, ისე ჩაილაპარაკა: — მაგი
წინასწარ ვიცოდი მე.

— იცოდი?

— ჰო, ვიცოდი!

— როგორ?

— როგორ და ისე, წინასწარ ვიგრძენი!

— ერთი შენც! — ხელი ჩაიქნია ყვითელამ და უნდობ-
ლად ჩაიცინა: — იცოდი კი არა, იხვი, არ გინდა?

— შენ თუ გინდა ნუ დაიჯერებ. მე კი, გეუბნები, ვიცო-
დი!.. ასეა, როგორც კი თოვლი გადნება, ამ სტუმრებისაგან
მოსვენება არა მაქვს, იმდენი სტუმარი მოდის, ქაზიმ-აღას
ქარვასლა გეგონება ჩემი სახლი!

— შენ მაგისი ნუ გეშინია! — ჩაიცინა ყვითელამ, — წა-
გებული არ დარჩები, ორმაგად აგინაზღაურებენ ხარჯს... ახლა
ისეთი სტუმრები მოგვიდა რომ...

— როგორი? — დავთრიდან თავი არ წამოუწევია, ისე
იკითხა მედუქნემ.

— არაჩვეულებრივი!.. ისეთი ქალები არიან რომ... —
კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა,
დუქანში მეურმე ბიჭი და ხნიერი ქალი შემოვიდა.

ქალი შევქეთს მიუახლოვდა და მიესალმა: — ღმერთმა
ხეირი და ბარაქა მოგცეს საქმეში, შევქეთ-აღა!

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — შევქეთმა თვა-
ლები ქალს მიაპყრო.

— ჩვენ სოფელ ურქუთლიდან ვართ, უმეთ-აღამ შენთან
დიდი მოკითხვა დამაბარა. ეს ბიჭი მისი უმცროსი შვილია.
ურემზე ქალები ზიან. მისი უფროსი რძალი უკვე შვიდი
წლის მოყვანილია და შვილი არ ეყოლა. ჰოდა, ჩვენ თქვენს
ჰორონ-ბაბუასთან მოვედით, შველა უნდა ვთხოვოთ, უნდა
ვილოცოთ, შესაწირავი მივუტანოთ. იქნება გვეშველოს და

ჩვენს რძალს შვილი შეეძინოს. ურემზე კიდევ ზიან ახალგაზ-
რდა, უშვილო ქალები, ისინი უმეთ-აღას ნათესავები ყოფილან...
თქვენ გეწვიეთ სტუმრად. მეტი საშველი აღარა გვაქვს,
ღამე უნდა გაგვათენებინოთ.

შეეკეთმა დავთარი დახურა და წამოდგა: — კეთილი
იყოს თქვენი მობრძანება, სტუმრის მისვლით მასპინძელი არ
შეწუხდება. ცოლი მეზობელთანაა გადასული, მაგრამ მალე
დაბრუნდება, სახლში რძალია და ის მიგიღებთ, ავიდეთ მეორე
სართულზე. უმეთ-აღა ჩემი მეგობარია, ჯარში ერთად ვმსა-
ხურობდით, მის შინაურობას როგორ არ მიგიღებთ?..

დუქნიდან გავიდნენ. შეეკეთმა ურემთან თავმოყრილ ქა-
ლებს გახედა და ხნიერ ქალს უთხრა: — დაუძახეთ მათ, მანა-
მდე კი ყმაწვილმა ცხენი გამოხსნას და თავლაში შეიყვანოს.

ხნიერმა ქალმა ახალგაზრდა ქალები მოიხმო, ბიჭმა
ურმიდან ცხენი გამოხსნა.

ყვითელა დუქნის კართან შეჩერდა და ქალებს დააცქერ-
და: — „მაშ ამათ შვილები არ შეეძინათ, არა? ქმრები არ
უვარგათ ალბათ, თორემ როგორ შეიძლება ამათ შვილები არ
ეყოლოთ? ღმერთო, როგორი გაპუტკუნებულები არიან,
ნამდვილად ქმრები არ უვარგათ, თორემ ესენი და უშვილო?
ნამდვილი საბაღნე კომბინატები არიან!.. არა, ის ერთი
მაინც“... — პირი გაამწლაქუნა და შუბლზე გაისვა ხელი.

ხნიერმა ქალმა ახალგაზრდა ქალებს მოუხმო.

მედუქნე სათითაოდ მიესალმა ყველას, ქალებმა მოკრძა-
ლებით დაუკრეს თავი.

მედუქნემ კატასავით განაბულ ყვითელასაკენ გააპარა
მზერა, უწადინოდ ჩაახველა და ქალებს მიუბრუნდა: — ხვალ
ჩემი მეუღლე წაგიყვანთ ჰორონ-ბაბუასთან. იგი კეთილია,
გულმოწყალე. მასთან ვინც კი მოსულა, ყველას წადილი შეს-
რულებია. ღმერთმა ქნას და თქვენაც შეგისრულოთ წადილი.
ნუ გეშინიაო. ამ საქმეს ეშველება!.. აბა, აიდეთ ზემოთ!

ქალებმა მადლობა გადაუხადეს და შეწუხებისათვის
მოუბოდიშეს.

მედუქნე ყვითელას მიუბრუნდა და სთხოვა: — ძმაო, თუ
შეიძლება, ერთი მაგ ყმაწვილს დაეხმარე და ცხენი თავლაში
შეაყვანინე.

— კი, ბატონო! — ჩაილაპარაკა ყვითელამ, მაგრამ ადგი-
ლიდან არ დაძრულა. იდგა, მონუსხულივით შესცქეროდა კი-
ბეზე ამავალ ქალებს. მერე კი, როცა ქალებმა კიბე ავლეს და
ოთახში შელაგდნენ, ყვითელამ წყნარად ამოიოხრა, ბიჭს მი-
უბრუნდა და უთხრა: — მოიყვანე ცხენი, თავლა გაჩვენო.
რა ეშმაკი გაჩქარებდა, მაგი ქერის ტომარა რომ წამოგიცმია
თავზე? ერთი კვირის მშიერი იყო თუ რაი?

ბიჭმა ჩაიცინა, ცხენი მიიყვანა და თავლისაკენ მიმავალ ყვითელას უხმოდ მიჰყვა.

ცხენი დააბეს, თავზე ქერის ტომარა ჩამოკიდეს და გამობრუნდნენ. თავლიდან გამოსვლისას ყვითელამ თავი შეიფხანა, ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა: — უმეთ-აღას რძალი ის შაქრისფერი, თვალებციმციმა ქალი რომაა, ისაა, არა?

— კი, ისაა! — დაუმოწმა ბიჭმა, — ჩემი უფროსი ძმის ცოლია!

„მე მაგ შენს რძალს ვენაცვალე სულში, ბიჭო! — ვაიფიქრა ყვითელამ, — მე მამაშენის, უმეთ-აღას დედაც ვატირე და მაგ შენი შტერი ძმისაც! მაგისთანა ქალს აქ გამოგზავნის კაცი?!"

— აბა, კარგად იყავი, ბიჭო! — უთხრა ბიჭს, როცა თავლიდან გამოვიდხენ, — შენ მაღლა ადი, მე კი სახლში წავალ, საქონელს უნდა მივხედო.

ბიჭი მაღლა ავიდა, ყვითელა კი სახლისაკენ გაეშურა.

სოფელში ერთადერთი ყვითელა იყო, რომელსაც ჰორონ-ბაბუას სასწაულმოქმედებისა არაფერი სწამდა, ეს ყველაფერი ჭორი და ძოგოხილი ამბავიაო, იტყოდა. როცა რომელიმე ცრუმორწმუნე მტკიცებას დაუწყებდა, მაშინ ყვითელა მამისაგან განაგონ ლეგენდას მოუყვებოდა: ერთ შეიხს ერთი მიურიდი ჰყოლია. როცა შეიხს ყველაფერი უსწავლებია მისთვის, მიურიდი თავის მასწავლებელს ხელზე კოცნით გამოთხოვებია და წამოსულა.

იმ ხანებში ასეთი წესი ყოფილა. ყოველი შეიხი, როცა თავის მოსწავლეს მოამზადებდა, ვალდებული ყოფილა, გამოთხოვებისას თავისი შეგირდისათვის საჩუქარი მიერთმია, ჰოდა, ამ შეიხს სახედარი უჩუქებია მიურიდისათვის. გზაში მიურიდს სახედარი მოკვდენია. მას ძალიან წყენია შეიხის ნაჩუქარი სახედარის სიკვდილი. უტირია კიდეც. მერე საფლავი გაუთხრია, სახედარი დაუმარხავს, იქვე თავისთვის ფაცხა აუგია და ლოცვად შემდგარა. მალე მგზავრებს ჩამოუვლიათ, რომ უნახავთ, მიურიდი ლოცულობსო, მათაც დაუწყიათ ლოცვა, მერე მლოცველები ისე მოზღვავებულა, სალოცავი ადგილიც აღარ დარჩენილა და რიგი შექმნილა. მლოცველებს იმდენი საჩუქრები და შესაწირავი მოჰქონდათ, რომ მიურიდი ორ წელიწადში ფაშასავით გამდიდრებულა.

ეს ამბავი შეიხის ყურამდე მისულა. დაინტერესებულა, მისულა და მიურიდისათვის ყველაფერი გამოუკითხავს. მიურიდს ყველაფერი მოუყოლია, შეიხს გასცინებია, მისთვის მხარზე დაუტყაპუნებია ხელი და უთქვამს: — ყოჩაღ, კარგად მოგიფიქრებია მაგი, ჰორონ-ბაბუა ხომ იცი? ჰოდა, ის ჰორონ-ბაბუა მაგ სახედრის დედა იყო...

„ჰორონ-ბაბუა, ჰმ, ჰორონ-ბაბუა! — ფიქრობდა სახლი-საკენ მიმავალი ყვითელა, — მიდიან ეს შტერი უშვილო ქალები ჭაკი ვირის საფლავზე და შვილი გაგვიჩინეო, ყველაფერ-ბიან. ჰმ, შვილი კი არა და... თუმცა, ამით მე რას ვკარგავ? პირიქით, ჰოდა, ჯობია გავჩუმდე, რა ჩემი საქმეა? პირიქით, მეც უნდა ვიძახო, ჰორონ-ბაბუა ასეთია და ისეთია-მეთქი. ყველაფერი შეუძლია-მეთქი! მე ხომ“...

სახლში მივიდა. ცოლი ბოსელში ძროხას წველავდა. ყვითელამ ძროხას ზურგზე მოუთათუნა ხელი, მერე ცოლს მიაჩერდა და ხმის ოდნავი თრთოლვით თქვა: — ქალო, მისმინე! ხვალ ყანაში ვერ მივდივარ სამუშაოდ და ხარები ნახირში გაატანე მწყემსებს. არა უშავს, დაისვენონ ერთი დღე. მე ხვალ ყანას შემოვივლი. სათიბშიაც გავივლი, ვნახავ, მოსათოხნი არის თუ არა ჯერ. სახლში ალბათ გვიანობამდე ვერ დავბრუნდები.

— როგორც გინდა! — თქვა ქალმა, — შენც დაისვენე, გაიარ-გამოიარე, გული გაიმხიარულე.

ყვითელა ქალს მიაჩერდა და ნიკაპი მოისრისა: — „მაგან ხომ არ იგრძნო რამე? ხომ არ მიმიხვდა? აბა, როდის იყო ჩემს დასვენებაზე ზრუნავდა? არა, თუმცა რას უნდა მიმხვდარიყო შტერი დედაკაცი!“ — გული დაიმშვიდა, ხელები ჯიბეში ჩაილაგა და ბოსლიდან გავიდა.

* * *

შევქეთის ცოლმა სტუმრად მოსული ქალები კარგად მიიღო. ვახშამი გაუმზადა, დაანაყრა. ახალგაზრდა ქალებმა დაიძინეს, შევქეთი ყავახანაში წავიდა. მისი ცოლი და ხნიერი სტუმარი ქალი მეორე ოთახში განმარტოვდნენ.

სტუმარი ქალი ერთხანს სდუმდა, მერე კი თავისი გასაჭირის მოყოლა დაუწყო მასპინძელს: — სად არ მყავდა ეს ჩემი რძალი, მაგრამ საშველი არ დაადგა. შვიდი წელია აგერ, დაქორწინებულია და არ იქნა, ვერ დაორსულდა. ისე ძალიან კარგი ხასიათის ქალია, ნამდვილი ოქრო. ჩემი ქმარი, უმეთ-აღა დიდ პატივს სცემს, ძალიან უყვარს, მაგრამ მოგეხსენება, უშვილო ქალი ნამდვილი ბელაა, ჰოდა, მისთვის რომ გვეყურებინა, ამდენხანს ჩამოაშორებდა ჩემს შვილს, მაგრამ ჩემს შვილს, იბრაიმს, ძალიან უყვარს ცოლი და არ უშვებს... ჩვენი სოფლის სასაფლაოზე ერთი წმინდანი კაცი მარხია, იმ წმინდანის საფლავზე მლოცველები მოდიან და ლოცულობენ, უშვილო ქალებიც დადიან. ხანდახან იმ წმინდანის საფლავზე მოსული ქალები ორსულდებიან ხოლმე, რა არ ვქენით, რა არ ვევედრეთ, რამდენი არ ვილოცეთ, მაგრამ არ იქნა და იმ წმინდანმა ჩვენი თხოვნა არ შეისმინა, ჩემი რძალი არ დაორსულდა. მერე ჩვენი სოფლის ახლო-მახლოს, შვიდ წყაროზე შვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კენჭი ავკრიფეთ, იმ კენჭებზე ვილოცეთ, მერე, ის კენჭები ლოგინიაც ჩავუწყვეთ ჩვენს რძალს, მერე კურკუთელ ხოჯასთან მივიყვანეთ და ვალოცინეთ, მერე ბასმაქელი ხაზიფი გვასწავლეს, იმასაც ვალოცინეთ, ნუსხებიც დავაწერინეთ. მაგრამ არა და არ იქნა. არც ნუსხებმა და არც ლოცვებმა არ გასჭრა... ახლა აგერ ჰორონ-ბაბუასთან მოვიყვანეთ, ესაა ჩვენი უკანასკნელი იმედი. თუ ამანაც არ უშველა და...

— აი, მაგაში კი ცდები! — შეაწყვეტინა მას მედუქნე შევქეთის ცოლმა, — ჰორონ-ბაბუა წმინდანზე წმინდანია, მას ისეთი სასწაულების ჩადენა შეუძლია, რომ მეტი არ შეიძლება... შესთხოვეთ და აუცილებლად დაგეხმარებათ, შენი რძალი დაორსულდება.

— ღმერთმა გისმინოთ, ჩემო დაიკო, და რასაც შენ ამბობ, გაძართლებულიყოს. უმეთ-აღას გადაწყვეტილი აქვს, თუ იმანაც არ უშველა ჩვენს რძალს, ჩემი ძვირფასი ძეორედ დაქორწინოს, მოგეხსენება, სოფელში ასეთი წესია, უშვილო ქალს შვიდ წელიწადს მოუცდიან, მერე კი გაუშვებენ. ჩემი რძალი კარგი ქალია და ძალიან სენახეა მისი გაძვება.

— ჰორონ-ბაბუას საფლავს რომ მოინახულებთ, მოწყალებას რომ შესთხოვთ და ილოცებთ, ღმერთი ძოგისმენთ და შენი რძალი დაორსულდება! — ისევ დაიმედა დამწუხრებული ქალი მედუქნის ცოლმა.

* * *

ჰორონ-ბაბუას აკლდამა სოფლის გარეთ, სასაფლაოს მახლობლად, ერთი ყანის განაპირას დგას. აკლდამა გათლილი ქვითაა ნაშენი, თავზე ბურთივით მრგვალი გუმბათი ადგას. სოფლის მხრიდან აკლდამას ერთადერთი მრგვალი სარკმელი გაჩხია, სარკმელი ისე პატარაა, ადამიანის მუჭტი თუ შეეტევა შიგ. აკლდამის მძიმე, სქელი ხის კარი დღენიადაგ მიკეტილია... და ცხადია, როცა კარი მიკეტილია, აკლდამაში დღისითაც ისე ბნელა, როგორც ღამით. აკლდამის მიწური იატაკი ყოველთვის დაგვილ-დასუფთავებული იყო. მლოცველებს უამრავი შესაწირავი მოჰქონდათ აქ და აკლდამაში აწყობდნენ. უმნიშვნელო შესაწირავი სოფლის ღარიბი მოსახლეობის საკუთრებას წარმოადგენდა, ძვირფასები კი ჯამესა და ხოჯებისა.

უკვე კარგა ხნის გათენებული იყო, როცა ქალებით სავსე ურემი მედუქნე შევქეთის ეზოდან გავიდა და აკლდამისაკენ ბიმავალ გზას დაადგა.

მოლოდინით აღსავსე, საკმაოდ შეშინებული ახალგაზრდა ქალები განაბულნი უგდებდნენ ყურს მედუქნის ცოლისა

და უმეთ-აღას ცოლის დარიგებებს. ცდილობდნენ ეროვნული გამორჩენოდათ მათი ნათქვამიდან, იმახსოვრებდნენ, თუ რაგორ უნდა ეცათ თაყვანი ჰორონ-ბაბუასათვის, როგორ უნდა შეპირებოდნენ შესაწირავს, როგორ უნდა გადაეცათ თავიანთი თხოვნა.

ბიჭი წამდაუწუმ მათრახს უტყლაშუნებდა ცხენს და შეძახილით ამხნევებდა. ცხენი თოხარიკით გარბოდა, ურემი ირყეოდა და ქალები აქეთ-იქით ეხლებოდნენ. გზაზე ზანტად დგებოდა მტვრის ბუღი.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ აკლდამას, უფრო და უფრო იზრდებოდა იგი და უფრო და უფრო იტანდათ ახალგაზრდა ქალებს შიში და მოლოდინი.

გზიდან გადაუხვიეს, აღმართს შეუყვნენ, აივაკეს და აკლდამის მახლობლად შეჩერდნენ. ქალები ურმიდან ჩამოლაგდნენ, ტანსაცმელი გაისწორეს და ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრეს აკლდამას. მოულოდნელად აკლდამიდან ყრუ, დახშული ხმა მოესმათ: — თითო-თითოდ, თითო-თითოდ შემოდით!

შევქეთის ცოლმა და ხნიერმა ქალმა ხელისგულები სახეზე ჩამოისვეს და ღმერთს დახმარება და შველა შესთხოვეს. ახალგაზრდა ქალებს გააკანკალათ.

— თითო-თითოდ შემოდით! — მოესმათ ისევ აკლდამიდან.

ქალები შიშით მიაჩერდნენ შევქეთის ცოლს. მან სტუმრები დაამშვიდა: — ნუ გეშინიათ, ჩემო ახლობლებო! ეს ჰორონ-ბაბუას ხმაა, ეს კი კარგის მომასწავებელია, გამოდის, ჰორონ-ბაბუა ჩადგა თქვენს მდგომარეობაში, მკვდრეთით აღსდგა, რათა მოგისმინოთ და დაგეხმაროთ, რა ბედნიერები ხართ, რომ თითო-თითოდ გიბარებთ თავისთან, ალბათ სურს კარგად მოგისმინოთ და გამოარკვიოს თქვენი უშვილობის მიზეზი, აქამდე ჯერ არასოდეს არ მომხდარა, რომ ვინმეს ხმა გაეგონოს, ჩვენ კი გავიგონეთ, ესე იგი, თქვენი საქმე წაღმა წავა.

ახალგაზრდა ქალებს მედუქნის ცოლის სიტყვებზე გულში იმედი ჩაესახათ და ნაძალადევად გაიღიმეს.

— თითო-თითოდ შემოდით! — მოესმათ ისევ ყრუ ძახილი.

— აბა მოემზადეთ, გეძახით! — მიუბრუნდა მედუქნის ცოლი ახალგაზრდა ქალებს, — თითო-თითოდ შედით! კართან რომ მიხვალთ, თაყვანი ეცით, ილოცეთ, მერე ფეხზე ადექით და თქვენი თხოვნა გაუმეორეთ. ყველაფერი აშკარად თქვით და ნურაფერს დამალავთ. ასე უთხარით, შვილი გვინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაჩინოთ და დაგვეხმარეთ-თქო. ამბობენ, ზოგჯერ თურმე ჭორონ-ბაბუაც გამოჩნდება. ეს მაშინ ხდება, როცა მასთან კარგი ადამიანი მიდის. თუ თქვენთანაც გამოჩნდა, არ შეგეშინდეთ, ხელები დაუკოცნეთ და შეეხვეწეთ! — მედუქნის ცოლმა პირველად ლამაზ ქალს მოკიდა მკლავში ხელი, რომელიც ყვითელას ყველაზე უფრო მოეწონა: — აბა, პირველი შენ შედი და შენ იცი!

ქალს შიშისა და მღელვარებისაგან ხელი აუკანკალდა, ძლივს გადადგა ნაბიჯი და ფეხაკრეფით გაეძართა აკლდამისაკენ. აკლდამის კართან რომ მივიდა, შედგა, ხელები აღაპყრო და ღმერთს შეევედრა.

— შემოდი, ქალბატონო, შემოდი! — მოესმა ძახილი აკლდამიდან.

გული ძალუმად აუძგერდა, ნაბიჯი ვეღარ გადადგა წინ.

— მიდი, რას უყურებ? — დაუძახა მედუქნის ცოლმა.

ქალმა აკანკალებული ხელით შეაღო აკლდამის კარი და შევიდა. კარი რომ ძიიხურა, ღამისებრ სიბნელე ჩამოწვა ირგვლივ. შეძინებულმა ქალმა მიწაზე ცხვრის ტყავი გააგო, დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო. ლოცვას რომ მორჩა და სიბნელეს თვალი შეაჩვია, აკლდამის კუთხეში მდგარი თეთრწვერა მოხუცი დაინახა. მოხუცს წვერი წელამდე წვდებოდა, ხელში კოიალოსანი ეჭირა და გაღიმებული შესცქეროდა ქალს.

— აბა, მთხოვე ქალბატონო, რაცა გსურს! — ჩაილაპარაკა მოხუცმა და მისკენ ნაბიჯი გადადგა.

ქალმა ხმა ვერ გაიღო. მოხუცი ისეთი საშინელი სანახავი ეჩვენა, რომ შიისაგან მთელი სხეული აუკანკალდა. წმინდანები თუ ასეთი შესახედავები იყვნენ, ქალს ვერ წარმოედგინა.

— შვილი არ შეგეძინა არა? — ჰკითხა მოხუცმა.

— დიახ... ძლივს ამოღერღა კრიჭაშეკრულმა ქალმა, ატირდა, დაიჩოქა და მოხუცს მუხლებზე მოეხვია.

— მოხუცმა ქალი გულში ჩაიკრა, მიესიყვარულა, კოცნა დაუწყო და უჩურჩულა: — შვილი გინდა არა? ხუ გეშინია, გეყოლება, მე გაგიკეთებ შვილს! — მკლავები მძლავრად მოხვია და მიწაზე წამოაქცია: — ოღონდ იცოდე, ორმოცი დღის შემდეგ ისევ უნდა მოხვიდე ჩემთან!

შეშინებული ქალი მინებდა.

* * *

ნაშუადღევს ქალები ურემზე მოთავსდნენ და სოფლისაკენ გასწიეს.

ლამაზი ქალი ცრემლს იწმენდდა და კითხულობდა: „ეს შემეძინება ნეტავი შვილი?

— შეგეძინება და მეტი არა?! — ამშვიდებდა მედუქნის ცოლი, — ხომ მოგისმინა ჰორონ-ბაბუამ?

— კი, მომისმინა!

— მერე და რის გეშინია? ხომ დაგპირდა გეყოლებაო?

— დამპირდა!

— ჰოდა, გათავდა, გეყოლება!

— აბა, ორმოცი დღის შემდეგ რატომ დამიბარა? რატომ ესენი არ დაიბარა? რაღა მაინცდამაინც მე დამიბარა?

— ნუ გეშინია! — დაამშვიდა მედუქნის ცოლმა. — ასე ხშირად ხდება ხოლმე. ჰორონ-ბაბუა ხშირად იბარებს თავისთან მეორეჯერ მას, ვინაც კი განსაკუთრებით მოეწონება. ალბათ შენაც მოეწონე და იმიტომ დაგიბარა.

— ეგ ჩვენ შვილები არ ვეყოლება? — იკითხეს ახალგაზრდა ქალებმა.

— კი, თქვენც გეყოლებათ, თქვენც! — გული არ დასწყვიტა მათ მედუქნის ცოლმა.

...როცა ქალებით სავსე ურემი თვალს მიეფარა, აკლდამიდან ყვითელა გამოძვრა, ხელები ჯიბეში ჩაილაგა და ოიოიხით გაუყვა გზას სოფლის მიმართულებით.

სახლის საშენი ქვა

აზიზ ბიძია სოფელში ყველას უყვარდა. ეს სიყვარული ესაფუძვლო როდი იყო. აზიზი წყნარი, გულკეთილი, მუდამ მოცინარი, ყველასათვის კეთილისმდომელი კაცი იყო. დიდი ხანი არაა რაც ჩვენს სოფელში გადმოსახლდა. შუა სოფელში დაიდო ბინა. რომელიღაც აღას მიწას ამუშავებდა სანახევროდ.

კარგი კარგს შეხვდებაო, ნათქვამია. მეუღლეც, ერთი საინო, გულკეთილი, პატიოსანი და ქმრის მოყვარული ქალი იყო. ქმარს დიდი პატივითა და რიდით ეპყრობოდა. თვალებში შესციცინებდა. ქმრის სიტყვა კანონი იყო მისთვის.

ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ როდი წუწუნებდნენ ამის გამო, აზიზი ღმერთს მადლობას წირავდა: კარგად ვცხოვრობ, ვარ ჩემთვის, არავინ მაწუხებს და არავის ვაწუხებო.

— რა ვქნა, ღმერთს ასე გაუჩენია, ვისაც მიწა გააჩნია იმისი მოზიარე უნდა იყო. ვიცი, ისეთი დროც მოვა, ამ აღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბსა და მდიდრებს ბოლო მოეღება და ჩვენაც, ღარიბებს საკუთარი მიწები გვექნება! — გულს იმშვიდებდა აზიზი.

ერთხელ, ჩვენ ამ ბედნიერი, მშვიდი და უწყინარი კაცის გაბრაზებასაც შევესწარით. მაშინ აზიზს ისე აეშალა ნერვები, ღმერთიც დაივიწყა და დამნაშავე უშვერი სიტყვებით აგინა.

საქმე კი შემდეგში იყო. რამდენიმე წლის წინათ აზიზმა მისი სახლის წინ, მინდორში ბოძი დაასო და იმ ბოძზე ყარყატს ბუდე გაუკეთა. ყოველ წელს ყარყატი იმ ბუდეში კვერცხებს დებდა და ბარტყებს ჩეკავდა. გვიან შემოდგომაზე ყარყატების გუნდი თბილ ქვეყნებისკენ მიფრინავდნენ. აზიზს ბავშვივით უხაროდა გაზაფხულზე დაბრუნებული ყარყატების ხილვა.

გაზაფხული დადგა და ყარყატები ჩვეულებრივად მოფრინავდნენ თბილი ქვეყნებიდან. დედა ყარყატი ბუდეში ჩაჯდა. მამალი ყარყატი საკვებს უზიდავდა მას. მერე მამალი ჯდებოდა ბუდეში და დედალი მიფრინავდა საკვებისათვის. ეტყობოდა მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

მაგრამ, აი, ერთ დღეს, აზიზი საშინელ ამბავს შეესწრო. მამალი ყარყატი თავისი გრძელი ნისკარტით კორტნიდა დედალ ყარყატს. ამას ისეთი სისასტიკით სჩადიოდა, რომ აზიზი გაოცებული დარჩა. დედალი სრულებითაც არ უწევდა წინააღმდეგობას გაცოფებულ მამალს.

„ეჰ, ეტყობა, ძვიდი და ბედნიერი ცხოვრება მობეზრდათ", — გაიფიქრა აზიზმა.

მამალი ყარყატი თავის საქმეს განაგრძობდა, სულ ერთიანად დაასისხლიანა დედალი, სადაც კი ნისკარტს დაჰკრავდა, ხორცს ამოგლეჯდა. ბოლოს დაოსებული დედალი ბუდიდან გადმოვარდა. გაფრენა ვეღარ შეძლო და მიწას დაასკდა. აზიზი ვერ მიმხვდარიყო მათი უთანხმოების მიზეზს. მიუახლოვდა დედალ ყარყატს, დაიხარა, ის იყო მისი ხელში აყვანა დააპირა, რომ ამ დროს მის წინ ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი დაეცა.

— ვაი, ეს რა ხდება კაცო, ა? — გაიკვირვა აზიზმა, დედალ ყარყატს თავი ანება, ბარტყი ფრთხილად აიყვანა ხელში და დააკვირდა. დახეთ მის გაოცებას: ის ბარტყი სრულებითაც არ გავდა ყარყატს...

აქასობაში მამალმა ყარყატმა კიდევ ერთი ბარტყი გადმოაგდო ბუდიდან. აზიზი დააკვირდა. არც ის გავდა ყარყატის ბარტყს. აზიზი ვერაფერს მიხვდა. თავი ასწია და ბუდეს ახედა. ეგონა მამალი ისევ გადმოაგდებდა ბარტყს. მაგრამ მას მეტი აღარ გადმოუგდია. დაცხრა, ბუდეში დარჩენილ ბარტყს ფრთა გადააფარა.

— ვაი, ეს რა ხდება ა?! — მხრები აიჩეჩა აზიზმა.

ამასობაში ცოლი გამოვიდა ეზოში. აზიზმა დაუძახა და ყველაფერი მოუყვა.

ცოლი ბარტყებს დააკვირდა და თქვა: — ეს ბარტყები ყარყატისა არ არის, იხვის ჭუკებია!

აზიზი დააკვირდა და მანაც ჩაილაპარაკა: — კი, იხვისაა, მაგრამ...

— მიზეზიც ესაა, — განაგრძო ცოლმა, — კვერცხებიდან რომ სხვა ბარტყები გამოიჩეკა, მამალი ყარყატი გაბრაზდა და იმიტომ მოკლა დედალი, ბარტყებიც იმიტომ გადმოყარა ბუდიდან... ეს რა წესი ჰქონიათ, ნამდვილი „ჰაჯი“ ყოფილა ეს ყარყატი...

აზიზი ბაგეს იკვნეტდა და სდუმდა. მაინც ვერაფერს მიმხვდარიყო.

ცოტა ხნის შემდეგ მეზობლის ქალი, გულიზარი მოვიდა. ოცდაათს გადაცილებული ქალი იყო, აშარი, ენატარტარა და ჭორიკანა. მისვლისთანავე აზიზის ცოლს თავი მოაბეზრა შეკითხვებით, ყველაფერი დაწვრილებით გაიგო და კაცს არ მოერიდა, ისე თქვა: — იხვი ყარყატს ვერაფერს დააკლებდა... ვერ დაუკავშირდებოდა ვერაფრით... ასეც რომ მომხდარიყო, ის ბარტყები იხვს მაინც არ დაემსგავსებოდნენ ასე...

აზიზი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ძამალმა ყარყატმა დედალი თავისი უნამუსობისათვის დასაჯა... მაგრამ როგორ მოხდა ეს? ვინ იცის, იქნება წაასწრო კიდეც იხვთან მამალმა ყარყატმა დედალს... დახეთ, ღალატი ყარყატებსაც სცოდნიათ.

გულიზარმა ეს ამბავი მთელ სოფელს მოსდო. მერე სოფლელები სულ ამაზე მსჯელობდნენ, კამათობდნენ, მაგრამ ვერ იქნა და საერთო აზრი ვერ გამოიტანეს. ვერ დაადგინეს, თუ რა მოხდა და როგორ.

* * *

ერთ საღამოს ერთად თავმოყრილ ბიჭებს სწორედ ამაზე ჰქონდათ სჯა-ბაასი. 19-20 წლისანი იქნებოდნენ, უმეტესობა ცოლშვილიანები.

— არ აპატია მამალმა ყარყატმა, ხედავთ? — თქვა ერთმა შავტუხამ.

— აბა, რას იზამდა ვითომ? არ დაუკარგავს ვაჟკაცობა! — თქვა მეორემ, ქერა ნურიმ (მის ცოლს ერთ მეხილესთან ჰქონდა კავშირი. ეს მთელმა სოფელმა იცოდა, იცოდა ნურიმაც, მაგრამ ხმას არ იღებდა). — სული სთხოვს, სული, მოთხოვნილება აწუხებს! — იტყოდა ხოლმე არხეინად. ასეთი რამდენი იყო კიდევ სოფელში.

— იმ ყარყატმა იხვთან დაწოლა ისურვა და თავი ვეღარ შეიკავა! — თქვა მესამემ.

— ქალიც ასეთი არაა? თუ მოისურვა, ვეღარ დააკავებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე. დაკარგავს სინდის-ნამუსს და... ყარყატსაც მოთხოვნილება აქვს თურმე! — გამოთქვა თავისი მოსაზრება მეოთხემ.

ბიჭები კიდევ კარგა ხანს კამათობდნენ ამ საქმის გარშემო.

მხოლოდ ერთი არ ერეოდა კამათში. წითელთმიანი ბიჭი იყო, თვალებბრიალა. მიმჯდარიყო თავისთვის კუთხეში და იღრიჭებოდა. დიდი გავარდნილისერთი კი იყო, ყველაფერზე ხელს რომ მოაწერდა, ისეთი.

— გაჩუმდი, ჰაჯელ! — შეუწყრნენ მას, — რა არის აქ სასაცილო? დაგიღია პირი და იღრიჭები!

— ის... ის... მე გავაკეთე!— სიცილისაგან იჭაჭებოდა ბიჭი, — დურმიშხანას საქათმეში შევედი, იხვის ორი ცალი კვერცხი ავიღე და ყარყატს ბუდეში ჩავუდე... არავის არ დაუნახავს...

— გაჩუმდი, ნუ იგონებ შენებურად რაღაცეებს, — არ დაუჯერეს მას.

— გეფიცებით, მე ჩავუწყვე იხვის კვერცხები!

ბოლოს დაუჯერეს როგორც იქნა.

— ვერ მიხვდა ყარყატი? — იკითხა ერთმა.

— აპა, არაფერი გაუგია!

— ხედავთ? ეს რა უქნია ამ შტერს!

გაბრაზებული ბიჭები ჰაჯელს დაეტაკნენ და ცხვირიდან სისხლი ადინეს.

ამ ამბავს გულიზარის თორმეტი წლის ბიჭიც შეესწრო. იგი დედასთან გაიქცა და ყველაფერი მოუყვა. ადრე დილით ლოგინიდან ახალწამომდგარი, პირდაუბანელი გულიზარი აზიზისას გაიქცა.

— აზიზ ბიძია, აზიზ ბიძია! — ვერ მოითმინა და შორიდან დაუძახა.

აზიზმა ჭრიალით გამოაღო სახლის კარი. ახალამდგარი იყო, პიჟამა ეცვა..

— მობრძანდი!.. რა მოხდა?!

— მე ხომ ვთქვი, აზიზ ბიძია?! შენი ყარყატისათვის რა გაუკეთებიათ!

— რა?..

— ჭორფლიან ქეზიბანს ბიჭი რომ ჰყავს, ჰაჯელი, ხომ იცი?

— მერე?

— ჰოდა, იმ ბიჭს კვერცხები შეუცვლია!

— ეს როგორ?

— ო, აზიზ ბიძია, რა აოის რომ ვერაფერს ვერ ხვდები? როგორ და, ბუდიდან ყარყატის კვერცხები აუღია და მის ნაცვლად იხვის კვერცხები ჩაუწყვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო? — აზიზი პიჟამას ამარა გავარდა ქუჩაში, ცოლი და გულიზარი მიჰყვნენ.

ჰაჯელი ეზოში ნაჯახს ლესავდა. აზიზი რომ დაინახა, ნაჯახს დაავლო ხელი და დაოთხილი გაიქცა. მიხვდა, ამ დილაუთენია რისთვისაც ესტუმრებოდა აზიზი.

აზიზის ცოლმა ხმამაღლა დაიწყო ლანძღვა გაქცეულ ბიჭს: — აი შე ვირის შვილო, აი შე ძაღლის გაგდებულო! — შენი დედა, შენი მამა!.. — მიაყოლა აზიზმაც.

ხმაურზე ხალხი გარეთ გამოეფინა.

ჰაჯელის დედა, ჭორფლიანი ქეზიბანი გარეთ გამოვარდა, ჯერ ითმინა, ითმინა, მერე აზიზის ცოლს დაეტაკა:

— ჩემი შვილი ვირის და ძაღლის შვილი არ არის! რაც პირიდან ამოგივიდა, იგი თვითონ ხარ! ჩვენს სოფელში ერთი ბოზია, რომელიც მუტრუკს შობს და ისიც შენა ხარ! გაიგე თუ კიდევ გაგიმეორო?

აზიზის ცოლმა სხვა უთხრა, ქეზიბანმა კიდევ სხვა, მათ აზიზიც აჰყვა და დათათხეს ერთიმეორე.

როგორც იყო მეზობლებმა გააშველეს მოჩხუბრები, აზიზი და მისი ცოლი სახლში წაიყვანეს.

— ნუ აჰყვები, აზიზ ბიძია! — უთხრა ერთმა, — ერთი ყარყატისათვის ფათერაკს ნუ დაიტეხ თავზე. ჭკვიანი კაცი ქეზიბანის შტერ შვილს არ აჰყვება. ის რაც გაიზრდებოდა, პატარაობიდანვე ეტყობოდა. არ გახსოვს, მკვდარი ძაღლი ჩემს ჭაში რომ ჩააგდო იმ ღორისდასმულმა? მამამისიც, ღორმა მოუთხარა სამარე, ასეთივე ოხერი იყო,კატას პირიდან თაგვს გამოართმევდა, ნავთს გადაასხამდა, ცეცხლს მოუკიდებდა და გაუშვებდა...

— სწორია! — შეაწყვეტინა მეორემ, — ის ცეცხმოკიდებული თაგვი ჩალის ან თივის ზვინში შეძვრებოდა და ცეცხლს აჩენდა.

მეზობლებმა გული მოიოხეს, გაიხსენეს რაც კი ჰაჯელსა და მამამისს საკვიმატო რამ გაუკეთებიათ.

— ბავშვი, რასაც მშობლებს დაუნახავს, იმასვე გააკეთებს. ხომ გახსოვთ? მაშინ, გაზაფხულზე იმ ღორისგაგდებულმა ჰაჯელმა ყორანი რომ დაიჭირა? ჰოდა, იფიქრა, რა ვქნაო, მერე, ალბათ, მამამისის კვიმატი საქმე გაიხსენა, ჰოდა, ისიც ასე მოიქცა: გადაასხა ნავთი ყორანს და გაუშვა. მიფრინავდა ცეცხლმოდებული ყორანი და ნელ-ნელა იწვოდა.

— ასე იყო, ასე, ყველამ დავინახეთ! — აყაყანდნენ მეზობლები...

— ჭორფლიანი ქეზიბანი უზრდელის ერთია და, მეტი ნაშობი ბიჭი რა იქნება, აბა?

— უზრდელობა და კვიმატი საქმე სისხლში აქვს გამჯდარი მაგ ბიჭს!

* * *

იმის მერე ყველგან, ქუჩაში, სახლში თუ ყავახანაში, კიდევ დიდხანს იხსენებდნენ ამ ამბავს. ყარყატის შესახებ რაიონის გაზეთშიაც დაიწერა, მას სტამბულის გაზეთებიც გამოეხმაურნენ. მერე, ის იყო, შინ დაბრუნებულმა მეჯიდ-აღას შვილმა, რომელიც ევროპაში სწავლობდა, განაცხადა, ყარყატის შესახებ იქაურ ჟურნალშიაც დაიწერაო. ასე რომ, ქეზიბანის ბიჭმა ჰაჯელმა საქვეყნოდ გაიცქვა სახელი. ამის შემდეგ სოფელში ამოსული ყოველი სტუმარი იკითხავდა ხოლმე:

— ის ბიჭი, ყარყატს რომ ოინი უყო, აქაურია?

— კი, ჩვენი სოფლელია! — ეუბნებოდნენ დარცხვენით.

— რომელია მაინც ასეთი ჭკვიანი? ერთი მენახა მაინც.

სოფლელებს სირცხვილისაგან მიწა უსკდებოდათ:

— ჰაჯელი ქვია, ერთი უშნო და შტერი ბიჭია!

— ვაი ასეთ კაცს, ვაი, ჰაჯადაც ნამყოფია? — უკვირდა სტუმარს.

— არა, რისი ჰაჯი, ჰაჯელი ქვია, ბავშვი ჰაჯად ხომ არ იბადება?

— ო, ეს ჰაჯელი!

სოფლელები ვერაფერს უბედავდნენ ჰაჯელს, რაიმე რომ ეთქვათ, იცოდნენ, ისეთ საპასუხო ხურდას მიიღებდნენ, ერთ კვირას ჭკუაზე ვერ მოვიდოდნენ.

— მაგი ბიჭი, ზედმეტი ჭკუა რომ აქვს და რა ქნას რომ არ იცის, იმიტომ იქცევა ასე! — ამბობდა ზოგი, — დედამისს რომ ფული ჰქონდეს, გააგზავნიდა სასწავლებელში. ისწავლიდა იქ და დიდი კაცი გამოვიდოდა, მაგრამ რა ქნას, ღარიბი ქალია, სადა აქვს ფული?

— ეს ბიჭი რომ გიაურების ქვეყანაში ყოფილიყო, იქ ისეთ რანეს შეისწავლიდა, ყველას აალაპარაკებდა. საუკეთესო ოსტატი დადგებოდა, აქ კი...

* * *

ჰაჯელი ჯარში გაიწვიეს და მოისვენა სოფელმა. სამხედრო მოვალეობის მოხდის მერე ერთხანს ჟანდარმერიაში იმუშავა, მერე, რაღაც დააშავა და სამი თვე ციხეში იჯდა. ციხი-

დან გამოსვლის შემდეგ სოფელს დაუბრუნდა. საუკეთესო კოსტიუმი ეცვა, ახალი ფეხსაცმელები, თავზე ცილინდრი, ხელში წითელ კრიალოსანს ათამაშებდა.

ჰაჯელს ცოტა ფულიც დაეგროვებინა. ეს რომ გაიგეს, ბერდი ბიძიამ და ახლობლებმა გვერდით მოისვეს და ჭკუის დარიგება დაუწყეს: — ჰაჯელ, მაგ ფულით ხარები იყიდე, კარგია ხარები, მიწას მოხნავ, გააქირავებ...

ჰაჯელს თავისი გეგმები ჰქონდა და მათ არც კი უსმენდა.

— სულ სამი ქცევა ყანა გამაჩნია და მაგისთვის ვიყიდო ხარები? არა, მე სულ სხვა სურვილი და მიზანი მაქვს.

მალე ჰაჯელმა სოფელში ყავახანა გახსნა. წინათ სოფელში ერთი ყავახანა იყო, სადაც სოფლელები დომინოსა და ბანქოს თამაშობდნენ. ახალ ყავახანაში კი ათასნაირი გასართობი მოაწყვეს. მალე მთელმა სოფელმა ჰაჯელის ყავახანაში დაიწყო სიარული. პირველ ხანებში საქმეც კარგად აეწყო. ჩაი და ყავა საკმაოდ საღდებოდა. მხოლოდ ერთი რამ არ იყო რიგზე — ყველაფერი ნისიად იყო. თვით მოთამაშეებიც კი ნისიად თამაშობდნენ, კალოობის დროს გავასწორებთო ანგარიშს, — პირდებოდნენ ჰაჯელს.

მოვიდა კალოობის დროც, მაგრამ უმეტესობამ ვალი მაინც ვერ გადაიხადა ,სოფელს თუ რამ შეეოსავალი აქვს, სახელმწიფო ვალს იხდის, ბანკის დავალიანებას ანაღდებს; ოჯახისათვის ცოტა რამეს იძენს და მეტი აღარაა. ყავახანის ვალი და ნისია ვალად და ნისიად რჩებოდა.

ამასობაში ჰაჯელის ბიუჯეტი ერთიანად ამოიწურა, მან გაკოტრება დაიწყო. შემონახული ფული რომ შემოელია, ჰაჯელმა სხვა უსაქმურებივით იწყო სოფელში უსაქმოდ ხეტიალი. ჯერ იყო, სხვაგან წასვლა გადაწყვიტა საძუშაოს საძებნელად, მაგრამ ცოლ-შვილი ვერ მიატოვა. ეშინოდა, ცოლი და შვილები ხელიდან არ წასულიყვნენ.

დადიოდა ჰაჯელი სოფელში და ერთიანად ოცნებაში იყო წასული: —ვალები რომ გადეხადათ, იმ ფულით ბიყას ვიყიდდი, სიბერეში გავყიდდი და მოვიხმარდი. ჩვენთან ხომ კაცი ისე შვილს ვერ დააქორწინებს, თუ მიწა არ გაყიდა.

დაეხეტებოდა ჰაჯელი სოფელში და უსაქმურობისაგან არ იცოდა რა ექნა, ყველას საქმეში ერეოდა, ხალხს უსმენდა, მის ნათქვამს იმეორებდა. იგი ჰყვებოდა ნახულსა თუ განაგონს, მონაყოლსა თუ წაკითხულს, ჰყვებოდა საბჭოთა კავშირზე, ამერიკელ მენავთობეებზე, სტამბულის სილამაზეზე... მერე მიყვებოდა, მოყვებოდა და ხალხის გამასხარავებას დაიწყებდა. ერთ დღეს სოფელში სტუმრად ჩამოსულ ხოჯას მიდგა, ისე ლაპარაკობდა, იფიქრებდით დიქტორია და რადიოთი ახალ ამბებს გადმოსცემსო:

— რამაზანის პირველ დღეს ჩვენს სოფელს ერთი ხოჯა ეწვია. რომელმაც განაცხადა, თუ ქათამსა და ფლავს არ მაქმევთ, ამ სოფლიდან წავალო. მაგრამ წელს ქათმები მოსპო, გლეხებს ბრინჯი და ბურღული გამოელია, ტომრები დაიცალა. საძოვრებზე ბალახი გადახმა და მეწველი საქონელი დაშრა. ყველსა და კარაქს არავინ აკეთებს. მთელ ზაფხულს ციდან წვეთი არ ჩამოვარდნილა. ახლა ჩვენი ხოჯა-ეფენდი აიბარგა და სადაც ქათამი და ერბო ეგულება, იმ სოფელს მიაშურებს.

ხოჯა-ეფენდის მაგიდაზე ყურანი გაეშალა და შელანძღულ ფურცლებს კინძავდა. ჰაჯელის ნათქვამზე გაბრაზდა:

— უკაცრავად! — შეუტია მას, — მე აქ არც ქათმის საჭმელად ვარ მოსული და არც შენისთანა უსინდისოს მოსასმენად, მე ჩემი საქმე ვიცი, ღმერთისაგან მაქვს დავალებული. თუ ვმუშაობ, ფულსაც ვღებულობ, შემოწირულ არც ერთ კერძს არ ვიწუნებ.

ჰაჯელს ძალიან სიამოვნებდა ხოჯის გაბრაზება:

— ფული თუ არ მოგცეს, მაშინ? — არ მოეშვა გაწიწმატებულ ხოჯას.

იქვე მდგარ ბადრი ბიძიას ხოჯა შეეცოდა და გამოექომაგა:

— ამ კაცს შენსავით ჟანდარმერიაში არ უმუშავნია, ჰაჯელ, არც ციხეში მჯდარა. არც როგორც შენ ამბობ, ქათმის ჭამასაა ჩვეული. ხომ ხედავ, პატიოსანი კაცია, მუშაობს, ამ საქმეს რომ მორჩება, ციხ ორი ცალი ყურანი მაქვს, ერთი მამაჩემის ნაქონია, მეორე კი ბაბუაჩემის, ყდა აქვს მომძვრალი და ის უნდა ამიკინძოს. მერე ერთი ისტორიული წიგნი მაქვს არაბულ ენაზე, ისიც უნდა შემიკინძოს. გარდა მაგისა, ჩვენი მეჩეთი წიგნებითაა სავსე. ახლა კიდევ, ბევრი საღვთო წიგნია მოსახლეობაში, ყველა ისინი უნდა შეიკრიბოს, აიკინძოს და ჯამეს ჩაბარდეს. იმ წიგნების დაკარგვა დიდი ცოდვაა. ასეთი შემთხვევა ყოველთვის არ გვექნება, რაკი პატივცემული ხოჯა, ჯევდეთ-ეფენდი ჩვენთანაა, უნდა გამოვიყენოთ კიდეც.

ჯევდეთ-ეფენდიმ მოწონებით დაუქნია თავი და თქვა: — როგორც საღვთო წიგნების კითხვაა სავალდებულო, ასევე მისი მოვლა-პატრონობაც... ქალაქში საბარდელე ჟურნალების კინძვას მირჩევნია სოფლები შემოვიარო და ყურანი და სხვა საღვთო წიგნები ავკინძო. თუ ყურანი არ გვექნა, სარწმუნოების საქმე უკუღმა წავა.

ბადრი ბიძიას ესიამოვნა ხოჯის ნათქვამი და სიტყვა ჩამოართვა: — სარწმუნოება არ უნდა მოკვდეს, ჯევდეთ-ეფენდი! ჩვენი სარწმუნოება ღმერთის შეწევნით წარღვნამდე იარ-

სებებს. შენ კი ჯევდეთ-ეფენდი, ასეთ სამადლო საქმეს აკეთებ, ღმერთის მადლობას იმსახურებ.

ჰაჯელმა კვიმატად ჩაიღიმა და ბაღრი ბიძიას მიუბრუნდა: — ბაღრი ბიძია, ჯევდეთ-ეფენდის ყურანი წელს ზემოთ უნდა ეჭიროს. ასეა წესი. მას კი წელს ქვემოთ უჭიროვს, განა ეს მიღებულია?

ხოჯა უხერხულად შეიშმუშნა: — შვილო, შენ მართალი ხარ! — უთხრა მან, — შენ ასეთ რამეს ნუ მიაქცევ ყურადღებას, მთავარია, გულით იყო მორწმუნე, თორემ წელს ზემოთ დაიჭერ ყურანს თუ წელს ქვემოთ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

— როგორ არა აქვს? აქვს!

— არა აქვს!

შეკამათდნენ. ყავახანის ჩრდილში თავმოყრილი მორწმუნენი, რომლებიც უსაქმურობისაგან თვლემდნენ, გამოფხიზლდნენ და კამათში ჩაებნენ. შეკამათდნენ, ატყდა ერთი ვაიუშველებელი, გინება და ერთმანეთზე მიწევ-მოწევა.

გზაზე დატვირთულმა ურმებმა ჩაიარეს ჭრიალით. ურმებს გვერდით სიცხისაგან დაოსებული გლეხები, დაღლილი ქალები და ფეხშიშველა ბავშვები მოჰყვებოდნენ.

მათ დანახვაზე მოჩხუბრები დაშოშმინდნენ. ამასობაში ჯევდეთ-ეფენდიმ საქმე მოათავა, სალოცავად მზადებას შეუდგა — ხელ-პირის დასაბანად წყალი მოსთხოვა ჰაჯელს.

— გამოდის, შენ უნდა მიმსახურო! —უკმეხად მიუგო ჰაჯელმა, — მეჩეთში მიდიხარ? ჰოდა, წადი და ილოცე, რამდენჯერ უნდა დაიბანო დღეში ხელ-პირი და ფეხები?

ჯევდეთ-ეფენდი უკმაყოფილოდ აბუზღუნდა.

გზაზე აზიზ ბიძაც გამოჩნდა სალოცავად მომავალი. ეტყობოდა პირდაპირ სამუშაოდან მოდიოდა, თმა გზის მტვერით დაფარვოდა, სიცხისაგან ერთიანად გარუჯულიყო.

ყავახანის კარებთან შედგა. ჰაჯელი რომ დაინახა, პირი მოარიდა. იმ შეხლა-შემოხლის შემდეგ, მართალია დიდი ხანი გავიდა, მაგრამ აზიზს მაინც ყველაფერი ახსოვდა. მიუხედავად ყველაფრისა, ჰაჯელს უყვარდა ბიძია აზიზი, პატივსაც სცემდა. ახლაც დაინახა თუ არა, ყველაფერი დაივიწყა, მიეგება, და უთხრა: — მობრძანდით, აზიზ ბიძია, მობრძანდით!

— წყალი! — მოითხოვა აზიზმა და მზერა აარიდა.

— წყალი რისთვის გინდა, აზიზ ბიძია?

— არ იცი, რისთვის მენდომება წყალი? ჯამეში მივდივარ და ხელ-პირი უნდა დავიბანო.

ჰაჯელმა განგებისად შეიკრა შუბლი: — ვინც სალოცავად მიდის, ყველამ თუ აქ აიღო დასაბანი წყალი, მე ჩაი რითი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა ავადუღო? ფული როგორ უნდა ვიშოვნო? თუ ჩაის დალევთ, მოგცემ წყალს, არა და, არ მოგცემთ!

ბიძია აზიზმა მკლავები დაიკარწახა და მიუგო: — ვინ იცის, ჩაის ვალს რამდენს უმატებ... კარგი, რაც არის, არის, მოიტა წყალი, საღამოს კი ჩაის დავლევ შენს ყავახანაში!

მლოცველებმა ხელ-პირი დაიბანეს და ჯამეს მიაშურეს. ყავახანაში ჰაჯელი და ხუთიოდე ურწმუნო დარჩა.

— ყავახანა უნდა დავხურო! — განაცხადა ჰაჯელმა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, — ამიერიდან მიწას არავის არ მივცემ საზიაროდ. მე თვითონ დავამუშავებ, ერთ წყვილ ხარსაც ვიყიდი!

— კარგი აზრია! — თქვა ერთმა მთქნარებით.

— კი, კარგია! — დაემოწმა მეორე.

— მოსავლიან მიწებს შევისყიდი, სოფლის აღა უნდა გავხდე.

— ღმერთმა ქნას! — ორჭოფულად ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა მათგანმა.

— მაგრამ არა, — მაშინვე დასძინა ჰაჯელმა, — რა თავში ვიხლი აღობას?

მერე ისევ მყუდროება ჩამოწვა, რომელსაც დროდადრო რომელიმე მათგანის ხმამაღალი მთქნარება არღვევდა.

შუადღის ლოცვიდან ყავახანაში არავინ დაბრუნებულა, მოულოდნელად სამხრეთის ქარი ამოიჭრა და ყველანი კალოსაკენ გაეშურნენ პურის გასანიავებლად.

კარგა ხნის მერე ყავახანაში მხოლოდ ჯევდეთ-ეფენდი შემობადუნდა, მაგიდას მიუჯდა და თავისი საქმე — კინძვა გაგრძელა.

— ყავახანას ვკეტავ! — უთხრა მას ჰაჯელმა ცოტახნის მერე. — წაიღე მაგ შენი ხელსაწყოები და წადი. არა მცალია, მეც კალოზე უნდა წავიდე, უნდა ვნახო, ჩემი მოზიარე გლეხები რას აკეთებენ, პურს ხომ არ მპარავენ!.. წადი სოფლის მოედანზე და იქ აკინძე მაგ წიგნები!

ჯევდეთ-ეფენდიმ უსიტყვოდ მიმოხვია ყველაფერი და წავიდა. ჰაჯელმა ყავახანა დაკეტა და კალოს მიაშურა. ხელები ზურგსუკან ეწყო, დინჯად, აუჩქარებლად ჩამოიარა ყოველი კალო, მერე ბადრი ბიძიას ეწვია, იქ ცოტახანს იღლაბუცა, წაიმღერა, ბოლოს კი თქვა: — ხვალ ქალაქიდან ელემენტები უნდა ამოვიტანო, აქ, კალოზე რადიო უნდა დავდგა, რომ ყველამ გაიგონოს მისი ხმა, ხალხმა მოილხინოს, გაძღეს სიმღერით. მერე ქერიმ-ეფენდის მაგნიტოფონსაც მოვიტან.

კალოდან საღამოხანს დაბრუნდა ჰაჯელი. ყავახანისაკენ მიმავალი ფათმას სახლს რომ გაუსწორდა, ახალგამომცხვარი

პურის სუნი ეცა. ესიამოვნა პურის სუნი. რამდენიმე წამს იდგა და ფიქრობდა, მერე კი დაუკითხავად შეაღო კარი. ... მა მეზობელი სოფლიდან იყო გამოთხოვილი ამ სოფელში. ორი შვილი ჰყავდა—გოგო და ბიჭი. ჭკუადამჯდარი ქალი იყო, საქმიანი, მეოჯახე, მთელს სოფელში მხოლოდ მას გააჩნდა თონე. ამ რამდენიმე წლის წინათ თონე ჰაჯელმაც გააკეთა ეზოში, მაგრამ მისმა ცოლმა პური ვერ გამოაცხო. ჰაჯელი გაბრაზდა და თონე საქათმედ გადააკეთა.

ჰაჯელს ფათმა გამოეგება.

— ხელები უნდა დაგიკოცნო, ფათმა! — უთხრა ჰაჯელმა.

— იცოცხლე, ჰაჯელ, კეთილი იყოს შენი მობრძანება!

— მომშივდა, ფათმა!

— მგონი შენ არ მარხულობ.

— არა, არ ვმარხულობ!

— ჰოდა, მაშინ პური მიირთვი.

ჰაჯელმა თონის პური შუაზე გაგლიჯა და მადიანად ჩაკბიჩა.

— ესეც შენ მიირთვი! — ფათმამ მეორე პურიც გადაუდო, — წაიღე და თბილი პური აჭამე ბავშვებს.

ჰაჯელმა მადლობა გადაუხადა, მთელი პური იღლიაში ამოიჩარა, ნახევარიც ჩამჯიღა, და გზას გაუდგა. რამდენიმე ეზოს რომ ჩაუარა, ერთგან ძაღლი შემოეფეთა, ჰაჯელმა პურის ნატეხი გადაუგდო, მერე მეორე ძაღლი შემოხვდა, მასაც წაუტეხა პური. მალე ოცამდე ძაღლი შეგროვდა. ყავახანასთან მივიდა. ჰაჯელმა მეორე პურსაც ყუა მოტეხა და ძაღლებს გადაუგდო. იმ ერთი ნატეხისათვის ძაღლები ერთმანეთს წაესია. ჰაჯელისათვის ეს კარგი გასართობი იყო, ყავახანის კარებს ზურგით მიეყრდნო და ახარხარდა.

მახლობელი ეზოებიდან სხვა ძაღლებიც გამოცვივდნენ და ხროვას შეერივნენ. ხმაურზე მათი პატრონებიც მოგროვდნენ და ერთმანეთზე გადაკიდებული ძაღლების გაშველებას შეეცადნენ.

ამ დროს ჯევდეთ-ეფენდი ჯამეს მახლობლად ვახშამს შეექცეოდა, რომელიც მისთვის მუხტარს გამოეგზავნა.

ჰაჯელმა რაღაც გაიფიქრა, ჩაიცინა და მისკენ გაემართა, ძაღლების გროვა აედევნა.

ჯევდეთ-ეფენდიმ ეს რომ დაინახა, ჯერ გაუკვირდა, წითელი წვერი შეიფხანა, სიცილის გუნებაზე დადგა, მაგრამ თავი შეიკავა.

„ეს კაცი მგონია გაგიჟდა! — გაიფიქრა მან, — აქეთ მოდის, ძაღლები მოსდევენ, რატომ მოსდევენ ძაღლები, ნეტა?.. ღმერთო, მოთმინება მომეცი“!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოო, ჯევდეთ-ეფენდი! — მიუახლოვდა მას ჰაჯელი. — სუფრა უკვე გაგიწყვია. ბარაქალა შენს სუფრას!

— დიახ, გავაწყვე! — ცალყბად ჩაილაპარაკა ჯევდეთმა.

— კარგი სუფრაა, ოღონდ ცოტა არაყიც რომ იყოს, უკეთესი იქნება! რას იტყვი, ჯევდეთ-ეფენდი, შაქირას დუქნიდან ერთი ნახევარი ბოთლი არაყი რომ მოვიტანო?

ჯევდეთი შეიშმუშნა, შეწუხდა, — წადი აქედან, უსინდისოვ! — დაუყვირა ჰაჯელს, — რას გადამეკიდე დღეს?

— უსინდისოვო?! — წარბი განგებისად შეიკრა ჰაჯელმა, — ეს როგორ თქვი ჯევდეთ-ეფენდი? სირცხვილი შენი! ქალაქელი მაინც არ იყო და ყურანს არ კინძავდე მაინც. არ გეკადრება შენ ასეთი რამეები. ყურანში ეს წერია სტუმარი გააგდეო?

— მეკადრება თუ არ მეკადრება, მომშორდი ახლა!

— ჯევდეთ-ეფენდი, ასე როგორ შეიძლება! ვაზშამზე შემოსწრებულ ადამიანს კაცი განდევნის? დაუფიქრდი მაინც, რას ამბობ!

— მე ვდევნი! — გაბრაზებით გამოსცრა ჯევდეთ-ეფენდიმ, — ზედმეტი არაფერი მაქვს, რაცა მაქვს, თავად მინდა.

ჰაჯელმა ჩაიცინა, ნიკაპი შეისრისა, წამით ჩაფიქრდა, უეცრად რაღაც გაახსენდა და თვალები გაუბრწყინდა. — პური არ გეყოფა ჯევდეთ-ეფენდი, და მე მოგცემ აგერ! — იღლიაში გაჩრილ პურს სკამაოდ მოზრდილი ნაჭერი მოტეხა და ჯევდეთს სუფრაზე დაუდო.

ჰოდა, მთელი უბედურებაც სწორედ მაშინ დატრიალდა. როგორც კი პურს მოკრეს თვალი, ძაღლების მთელი ხროვა პურს დაეძგერა. საინები გადაყირავდა, სუფრა წაიქცა, ყველაფერი მტვერში აირია. მალე ჯევდეთ-ეფენდის სუფრა ღორების ნამუსრევს დაემგვანა. ძაღლების ფეხებში მოქცეული ჯევდეთი მტვერში გორავდა და სასოწარკვეთილებით აღსავსე ცდილობდა კერძების გადარჩენას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ჰაჯელი ჯერ ლამის არ გასკდა სიცილით, მერე კი შებრუნდა და არხეინად წავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ საღამოს ლოცვაზე მოსულმა ხალხმა ძლივს მოასულიერეს მტვერში ამოგანგლული, გულშემოყრილი, ძაღლების ბრჭყალებისაგან ხელებ და სახედაკაწრული ჯევდეთ-ეფენდი.

ჰაჯელის ერთმა ნათესავმა, მორწმუნე კაცმა, ჯევდეთ-ეფენდი ასეთ მდგომარეობაში რომ ნახა, ველარ მოითმინა და შეიგინა. — მისი ცოლი, მისი დედა, ვინაც ამას ეს საქმე წაკიდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაჯელის ნამოქმედარია მაგი! მის მეტი ვინ ჩაიდენდა ასეთ რამეს, აბა? — უთხრეს მას.

ჰაჯელის ნათესავს არ ესიამოვნა, იქაურობას გაშორდა და თავისთვის წაიბუტბუტა: — თავი მოგვჭრა და ეგაა! ესაა, კაცო, საქმე?

— უსირცხვილო!

— უჯიშო!

— გათახსირებული! — იგინებოდა ხალხი ჰაჯელის მისამართით, გაბრაზებულებმა ყავახანასთან მოიყარეს თავი. კარი დაკეტილი დახვდათ. შეამტვრიეს და ჰაჯელს დაუწყეს ძებნა.

— აქ იქნება, სად წავიდოდა აბა? — ამბობდნენ და ეძებდნენ.

მაგრამ ჰაჯელი ვერსად ნახეს. მაშინ განრისხებულებმა მაგიდებს დაუწყეს მტვრევა.

აზიზ ბიძია მაგიდაზე შეხტა და იყვირა: — გაჩერდით, მომისმინეთ, ხალხო! მე თქვენ ახლა ყავახანის ვალებისაგან გაგათავისუფლებთ! — მაგიდიდან ჩამოხტა, სამზარეულოში გავიდა, პირსახოცი დაასველა, კედელზე ცარცით მიწერილი მეკალეების სია წაშალა და თქვა: — მაგიდებისა და ჭიქების მტვრევას ასე ჯობია! იცოდეთ, არც ერთმა არ გადაიხადოთ ყავახანის ვალი.

— ახლა მეც მომისმინეთ! — დაიძახა ბადრი ბიძიამ, — მეკალეთა სია წაშალეთ და საკმარისია. დანარჩენს არაფერს ახლოთ ხელი!

ამ დროს ეზანიც გაისმა, ხოჯა საღამოს ლოცვაზე უხმობდა ხალხს. ყავახანის დალეწვის მსურველი ხალხი უკლებლივ ჯამესაკენ გაეშურა.

იმამი ჯამეს კარებთან შეეგება ხალხს და გააფრთხილა: — აბა, ყველამ ხელ-პირი და ფეხები დაიბანეთ! იმ ორომტრიალში არამარტო დაისვრებოდით, არამედ სარწმუნოებაც დაგვიწყდებოდათ.

ხალხი შეწუხდა: — წადი ახლა და ამ მშიერი მუცლით ხელ-პირი და ფეხები დაიბანე!

— იმამ-ეფენდი! ცოტა მაინც შეგვიბრალე! — წამოიწყეს ზოგიერთებმა, მაგრამ იმამი მტკიცედ იდგა ოავის გადაწყვეტილებაზე და არც ერთს არ მოუსმინა.

რა ექნათ, ყველამ ფეხები და ხელპირი დაიბანა და ჯამეში შელაგდა.

ამ დროს ჰაჯელი თავის ყავახანაში შევიდა. იქაურობა არეულ-დარეული რომ დახვდა, ჩაიცინა: — ყოჩაღ, ხალხო! გასართობი უნახავთ, რაღა. აი ასე უნდა. ხანდახან უნდა გამხიარულდეთ, თორემ ყოველთვის დაღვრემილი ყოფნა როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება? — ჩაილაპარაკა, ყავახანა დაკეტა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ზლაზვნით გაემართა ჯამესაკენ.

საღამოს ლოცვა დამთავრდა. ხალხი გარეთ გამოეფინა. ჰაჯელს რომ მოჰკრეს_თვალი, გაიოცეს, ჰაჯელმა კიდევ, ვითომც არაფერიაო, გაუცინა ხალხს. მათაც გაეცინათ. ჰაჯელი ხალხში გაერია. ყველანი სოფლის ცენტრისაკენ გაემართნენ. მომხდარ ამბავზე არავის კრინტი არ დაუძრავს.

კარგა ხნის შემდეგ ისევ ბიძია აზიზმა ამოიღო ხმა:

— ბიჭო, ჰაჯელ, რატომ ექცევი ხალხს ასე ცუდად? რატომ ჩადიხარ ასეთ სიგიჟეს?

— სიგიჟე-მიგიჟე არ ვიცი მე! — დაიყვირა ჰაჯელმა, — ყველანი ისე ხართ დაღონებულები, თითქოსდა ცხედარი გესვენოთ სახლში, ხანდახან გართობაც ხომაა საჭირო? ვიფიქრე, ვიფიქრე და მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. რა მოხდა მერე? ხომ იცინეთ, ხომ იმხიარულეთ? ქვეყანა ხომ არ დაქცეულა?

გაოცებულებმა შეხედეს, თითქოსდა უცხო, მათთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობსო.

მერე ხალხი დაიშალა და ჰაჯელი მარტო დარჩა.

— კარგად, ბეღნიერად იყავით, ნურაფერზე გამიბრაზდებით! — გასძახა ხალხს ჰაჯელმა, — ხვალაც მობრძანდით ჩემს ყავახანაში!

ზოგიერთებმა უკან მოიხედა. არა, ჰაჯელი სრულებით არ ჰგავდა ცუდ კაცს.

— არა, ცუდი კაცი ნამდვილად არაა, ოღონდ გონებას ვერ იმორჩილებს! — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, — ეს სისულელეები ზედმეტი ჭკუისაგან მოსდის. კარგი მასალაა, მაგრამ ოსტატი არა ჰყავს. ქალაქში რომ დარჩენილიყო, ანდა ქრისტიანების ხელში მოხვედრილიყო. კაცი გახდებოდა, მანქანებს გააკეთებდა, ვინ იცის რას არ გააკეთებდა!..

რჯულიკ საგანი

ჭრელმა მამალმა ყივილი დაიწყო. თენდებოდა. ბოსლის ერთ მხარეს, მომაღლოზე საწოლი იყო გამართული, რომელზედაც ხუთ სულს ეძინა. მათი ქშინვა ბოსელში გამეფებულ მყუდროებას არღვევდა. საქონელთან, ზამთრობით საკმაო სითბოა და სოფლელები ამიტომაც ათეენ ბოსელში ღამეს.

საწოლს დაბლა ცხვრების, მსხვილფეხა საქონლისა და საბეღრის საბრძანებელი იყო.

ჭრელმა მამალმა ისევ დაიყივლა. მის ყივილზე თულუქ

იბრაიმმა გაიღვიძა. ერთი მადიანად დაამთქნარა, გვერდზე გადაბრუნდა, ერთხანს იწვა, მერე კი ზოზინით წამოდგა, სასანი მძინარე ცოლსა და უფროს ბიჭს გადაახურა და დაბლა ჩავიდა. პატრონის დანახვაზე ცხვრები აფრუტუნდნენ. ჩათვლემილი, ყურებჩამოყრილი, რაღაცაზე ჩაფიქრებით მიწას ჩაჩერებული სახედარი შეიშმუშნა და მერე ისევ გაბტერდა. ოთხი თვის ხბოს აეშვა, დედა მოეძებნა და ახლა გამალებით წოვდა ძუძუს. თულუქ იბრაიმმა ხბო დაბა, ხელში დოქი აიღო, ბოსლის კართან მწოლ ხბოს წიხლი ჩასცხო, ზეზე წამოაგდო, ურდული გადასწია, კარი გამოაღო და გარეთ გავიდა.

წვიმდა.

— ღმერთო, შენ შეგვიწყალე, კიდევ გაწვიმებულა! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა, — ჰეი, დიდო გამჩენო, ერთიორი დღე გეცლია რა იქნებოდა? ყანის დათესვა მაინც მოგვესწრო. დრო მიდის, ჩვენ კი... ნუთუ წელსაც სხვაგან უნდა ვიხეტიალოთ სარჩოს მოსაპოვებლად?

* * *

ქალაქის ერთ-ერთი სასტუმროს მეორე სართულზე მცხოვრები ადვოკატი ადილ-ბეი ადრე დილით ადგომას არ იყო ჩვეული, მაგრამ იმ დღეს რატომღაც უთენია, ექვსის ნახევარზე გაიღვიძა. ერთი მადიანად დაამთქნარა, წამოსივებული თვალები მოისრისა და ზეზე წამოდგა. ზლაზვნით მივიდა ფანჯარასთან, ფარდა გადასწია, ოთახი ოდნავ განათდა და საგნები გამოიკვეთა. ადილ-ბეი ერთხანს ფანჯარაში იცქირებოდა, მერე მიბრუნდა და საწოლისაკენ გაემართა. საწოლზე გრძელთმიანი ქალი იწვა, წაბლისფერი თმები ლამაზად ეფინა თეთრ, ქათქათა ბალიშზე. ქალი პირაღმა იწვა, პირი დაეღო და ხმამაღლა ხვრინავდა.

ადილ-ბეიმ უკმაყოფილოდ შეეშმუხნა წარბები, მას არ სიამოვნებდა, ძილში ცოლი რომ ხვრინავდა. ეს მას სიბერის უტეხარ ნიშნად მიაჩნდა.

„არ მომწონს შენი ხვრინვა, აღარც შენ მომწონხარ უკვე. შენ, ჯერით-აღას ეროადერთი, ულამაზესი ქალიშვილი იყავი, შენ ერთ დროს ჩემი საყვარელი მაქბულე იყავი. ახლა კი!“ — გაიფიქრა, ხელი ჩაიქნია, საწოლს მოშორდა, ისევ ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და გარეთ გადაიხედა. წვიმდა, ოდნავი შრიალით მოდიოდა წვიმა.

— ოჰო, კიდევ გაწვიმებულა! —ჩაილაპარაკა, — რაღა გვეშველება. ჰა? ამ წვიმაში არსად არ წაისვლება, მაგრამ იძულებული ვარ წავიდე! — გაბრუნდა, ფლოსტები დაძებნა, მაგრამ კერსად რომ ვერ მიაგნო, ვიღაცის მისამართით შეიგი-

ნა, ფეხშიშველი გაიარა ნოხზე, სარკესთან მივიდა. კრიტიკულად შეათვალიერა საკუთარი სახე, ლოყებზე თითები ჩამრისვა.

— დღეს არ უნდა გავიპარსო, მომბეზრდა! — გაიფიქრა.

ძერე საწოლთან მივიდა, მძინარე ქალს წყნარად ჩასძახა:

— მაქბულე, მაქბულე! აბა, გაიღვიძე, ჩემო კაკაბო! ნახე ერთი რაები მომხდარა!

ქალი შეიშმუშნა, ზანტად გაახილა თვალები და საწოლზე დახრილ ქმარს გაოცებული მიაჩერდა.

— გაიღვიძე, ჩემო კაკაბო? — დაეკითხა ქმარი.

— ვიღვიძებ, ჩემო იხვო! — მიუგო ქალმა წყნარი ხმით და გაიფიქრა: „ეს რა კარგად ვთქვი, იხვს არა ჰგავს მართლაც?“ — გაიზმორა და წამოდგომას შეეცადა.

ადილ-ბეიმ ხელი შეაშველა ცოლს: — უკვე დილაა, მაქბულე! რაც ძეიძლება ადრე უნდა წავიდე. საცაა მძღოლი მომაკითხავს და წავალ.

— საღამოს დაბრუნდები? — დაეკითხა ქალი.

— აბა არა?!. აუცილებლად, ჩემო ‘მავთვალავ!

* * *

თულუქ იბრაიმმა საქონელს თივა დაუყარა, წყალი დაუსხა, მერე საწოლზე ავიდა და მძინარე ცოლს ფეხი წაჰკრა: — ქალო, ადექი ერთი და გაიხედე გარეთ! კიდევ გაწვიმებულა. გამოდის წელს ყანა დაგვითესავს.

სანამ ცოლი გაიღვიძებდა და ადგებოდა, თულუქ იბრაიმმა ილოცა, მერე საწოლიდან ჩამოვიდა და გამოყეყეჩებულ სახედარს რატომღაც მუშტი უთავაზა.

— კიდევ გაწვიმებულა? — იკითხა ქალმა მთქნარებით.

— კი. გაწვიმებულა!

— რადგანაც ასეა, შენაც დაწექი. ამ წვიმაში რა უნდა აკეთო მაინც?

— ამ წოლით და ძილით რა გამოგვივა? — ჩაილაპარაკა თულუქ იბრაიმმა, — შენ არ უნდა ილოცო?

ქალს, თითქოს ვერ გაიგონაო, ხმა არ გაუღია. თულუქ იბრაიმი ისევ დაწვა.

უფროს ბიჭს, სელამეთს ალბათ ძილში ქალამანი და დანა თუ ესიზმრა, ხმამაღლა ბოდავდა.

— ძაღლის შვილი! — თქვა ხმამაღლა იბრაიმმა—ქალამანი კიდევ ჰო, მაგრამ დანა რა ოხრობად გინდა? — ბიჭს მუჯლუგუნი წაჰკრა.

— მამა, მამა!—ჩაილაპარაკა ჯერ კიდევ ბურანში მყოფმა ბიჭმა. ბიჭის ხმის გაგონებაზე იბრაიმს გული მოულბა, თა-

ვზე გადაუსვა ხელი და უთხრა: — შვილო, მე შენ ქალაქნებიც უნდა გიყიდო, წელზე ჩამოსაკიდი დანაც უნდა გიყიდო, ყველაფერი უნდა გიყიდო!.. გაიღვიძე ახლა!

— გავიღვიძე, მამიკო!

— რადგანაც გაიღვიძე, აბა გაკვეთილები გავიმეოროთ. მერე ახალი გაკვეთილი უნდა მოვამზადოთ, ყველაფერს რომ შეისწავლი, ხაფიზი გამოხვალ. ხაფიზი რომ იქნები, სოფლის ჯამეში იმამად დადგები და ფულიც ბევრი გექნება. ფული რომ გექნება, მაშინ, მე და შენ იმ მიწებს აბას-აღამ რომ წაგვართვა, ისევ უკან დავიბრუნებთ. იმ მიწებს რომ დავიბრუნებთ, სხვა მიწებსაც ვიყიდით. ყომარბაზების, ლოთებისა და უსაქმურების ყანებსაც ვიყიდით. ჩემო ბიჭო, იმამი რომ იქნები, ეცადე ღარიბების მიწა არ იყიდო...

— ღარიბების მიწა რატომ არ უნდა ვიყიდო, მამა? — შეაწყვეტინა ბიჭმა.

— რატომ და, ღარიბი რომ მიწას გაყიდის, მშიერი მოკვდება. შენ უნდა შეეცადო, მდიდრების მიწები იყიდო. ღარიბებს მაინც ცოტა მიწა აქვთ...

— ღარიბებს რატომ აქვთ ცოტა მიწა? — იკითხა დაინტერესებულმა ბიჭმა.

— იმიტომ, შვილო, რომ დიდი მიწები მდიდრების ხელშია. ღარიბს რომ გაუჭირდება, მდიდარი დროს უშოვის და იმ მცირე მიწასაც იაფად ართმევს.

— მე როდის გავხდები სოფლის იმამი, მამიკო?

— ჯერ შენ ბევრი უნდა ისწავლო შვილო, ყველაფერი უნდა იცოდე, უნდა გაიზარდო და მერე...

— რაც იმამობამდეა შესასწავლი, ძენ ყველაფერი იცი, მამიკო?

— არა, შვილო! მე იმის მეასედიც არ ვიცი. მე რაც ვიცი, შენ ჯერ ის ისწავლე, მერე კი... ამ მთების იქით ერთი სოფელია, იმ სოფელში ხოჯები შენხელა ბიჭებს ყველაფერს ასწავლიან. წაგიყვან იქ და ისწავლი...

— როდის წამიყვან იქ, მამიკო?

— ხუთი წლის შემდეგ, შვილო!.. ახლა გაკვეთილები გავიმეოროთ. მისმინე, მე შენ შეგეკითხები, შენ კი პასუხი გამეცი: აბა, მითხარი, „მუმინი“ როგორ ადამიანზე ითქმის?

— მუმინი ნიშნავს ღმერთის მორწმუნეს, წმიდათა წმიდა მუხამედის თაყვანისმცემელს, სისტემატურად რომ ლოცულობს, ისეთ კაცს ეწოდება მუმინი.

— სწორია! ახლა ეს მითხარი: „მუმინაფიუს“ როგორ კაცს ეძახიან, შვილო?

— რომელსა და, ღმერთისა და წმინდანების მორწმუნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ არის და მორწმუნე ვარო, ხალხს რომ ატყუებს, ცუდ სიტყვას რომ იტყვის, სხვის საქონელს რომ მიითვისებს...

— სწორია!

— დედ-მამის მოწინააღმდეგე შვილიც ხომ მუნაფიყთა წრეს მიეკუთვნება, მამა?

— ეჰ, რა თქმა უნდა!

* * *

ადვოკატი ადილ-ბეი წასვლის წინ ცოლს მოეხვია და დაუძახა:

— საღამოს დავბრუნდები, ჩემო კაკაბო! აბა, ერთი წასვლისას გაბიღიმე! მასე, მასე! — ხელში ქაღალდებით დატენილ პორტფელი აიღო და კარი გაიხურა:

სასტუმროს ეზოში მანქანა ელოდა, ადილ-ბეის დანახვაზე მძღოლი მანქანიდან გამოვიდა, მიესალმა და კარი გაუღო.

— გამარჯობა შენი, სერვეთ! როგორ ხარ? — ახედ-დახედა მძღოლს ადილ-ბეიმ, მანქანაში ჩაჯდა და განაგრძო: — დღესაც რა ჯანდაბამ გააწვიმა, ა? უსინდისოები, მაინცდამაინც ეს წვიმიანი დღე შეარჩიეს. არა, რადაც უნდა დამიჯდეს, ამ არჩევნებში დეპუტატი უნდა გავხდე. რას იტყვი შენ, წაისვლება?!

სერვეთმა მანქანის კარი მიხურა, საჭეს მიუჯდა და ჩაილაპარაკა: — წავალთ, ბატონო, ეს წვიმა ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის!.. იცით, ემრეში ხიდი გაუკეთებიათ!..

ადილ-ბეი სავარძელზე გადაწვა: — ამ ხალხის დარდს მარტო ეს ხიდი არ უშველის, შვილო! სადღაც ორ ხიდს ავაგებთ, სადღაც წყაროს გამოვიყვანთ და მორჩა! ეს არ შველის საქმეს. ხალხს ტონობით დარდი აქვს დახვავებული გულზე. მათ ბევრი რამ ესაჭიროება, შვილო!

მძღოლმა მანქანა ადგილიდან დაძრა და თქვა: — ამ ხალხს არც დარდი დაელევა, ბატონო, და არც მოთხოვნილება. თქვენ ეს ჩემზე უფრო იცით. ჩემის აზრით, პირველ რიგში სოფლელებში უცოდინარობა და ცრუმორწმუნეობა უნდა აღმოვფხვრათ. მერე სიღარიბეს უნდა ვებრძოლოთ. ამისათვის მიწებია საჭირო, იმ მიწების დასამუშავებლად სასოფლო-სამეურნეო მანქანებია საჭირო, ამისათვის კრედიტი უნდა დაუშვა. მერე კარგი ჯიშის საქონელი სჭირდება ხალხს, ფოსტა-ტელეგრაფი, კლუბი... საცხოვრებელი ბინებიცაა საჭირო. ასე არაა ადილ-ბეი?

— შვილო, სერვეთ! მე ესენი ყველაფერი გათვალისწინებული მაქვს, ყველაფერი წინასწარ ვიცი, თუ რა არის საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ხალხისათვის, ჩემო კარგო! დღეს სოფელ იაქაჯიქში, შენ ყველაფერ ამას ჩემს მოხსენებაში მოისმენ. ჩემი უპირველესი მიზანი ამ არჩევნებში გამარჯვებაა, შვილო, ერთი გავიმარჯვო და მერე მე ვიცი, რასაც გავაკეთებ.

* * *

თულუქ იბრაიმის ცოლმა ბოსლის კარი გააღო, საქონელი გარეთ გამოდენა, უფროს გოგოს, თორმეტი წლის დუდუს აბგაში მჭადი და ყველი ჩაუდო და სამწყემსურში გაგზავნა.

თულუქ იბრაიმი და სელამეთი კი ისევ გაკვეთილებს იმეორებდნენ.

— წმინდან მუჰამედს რა უთქვამს, შვილო?

— მუმინი მუმინის სარკეაო, ასე უთქვამს მუჰამედს, მამა!

— რას ნიშნავს ეს სიტყვები, შვილო?

— რას ნიშნავს და კარგი მუმინი ყოველთვის კარგ მუმინს მიბაძავს და კარგ საქმესაც გააკეთებს.

— მცირეწლოვანმა როდის უნდა დაიწყოს სავალდებულო ლოცვები, შვილო?

— შვიდი წლიდან, მამა!

— შენ რამდენი წლის შემდეგ უნდა დაიწყო ლოცვა, შვილო?

— ორი წლის შემდეგ, მამა!

— სწორია, ორი წლის შემდეგ!.. აბა, ახლა კი ღმერთს შესთხოვე ერთი!

— უმაღლესზე უმაღლესო ღმერთო! დედამიწის, ცის, ხალხისა და ცხოვრების გამჩენო ღმერთო, მე არ ვიყავი, შენ ვამაჩინე, ენა მომეცი, ხელ-ფეხი მომეცი, შენი წყალობით ვიგრძენი სიცოცხლე, ქვეყანა დავინახე, გზა ვნახე. შენ შემიყვარდი, შენი მორწმუნე ვარ. მაღალო ღმერთო, შენ ჭეშმარიტად ერთი ხარ და ყოვლისშემძლე ხარ! შენ ჩემი სათქმელი კარგად იცი, შენ შემიწყალე, გამჩენო ღმერთო, რა ცოდვებიცა მაქვს, მაპატიე, მამაჩემს, დედაჩემსაც აპატიე და შეიწყალე! ჩემს დას, დუდუს, ჭკუა და გონება მიეცი, ჩვენს ხარს ძალა და ღონე მიეცი, ჩვენს ნათესავებს ხვავი და ბარაქა მიეცი! აბას-აღას სინდისი და ნამუსი მიეცი, ან მოკალი. ის ურჯულო ისე მოაქციე, ჩვენი მიწები უკან დაგვიბრუნოს! შეგვიწყალე, მაღალო ღმერთო!

— ამინ, შვილო, ამინ!

— ამინ!..

— ეხლა კი ახალ გაკვეთილზე გადავიდეთ, შვილო! აბა, მისმინე, ეხლა მოგიყვები ლოცვებზე დადგომის წინ რა არის

საჭირო, შენ გაიმეორე, თუ ვერ მიხვდები, კიდევ გეტყვი. შენ კი გაიმეორე: — პირველ რიგში ხელ-პირის დაბანა ჯერის საჭირო. ხელების, მკლავების, ფეხების, ყურების დაბანა საჭალდებულოა. აბა გაიმეორე!

* * *

მძღოლს მთელი სიჩქარით მიჰყავდა მანქანა. ნაწვიმარ გზაზე ჭონჭყო იდგა. მანქანა ტორტმანებდა, აღმართზე ასვლისას მოტორი ხრიალებდა, სოდანლიბელის მთის კალთებს რომ მიაღწია, სერვეთმა მანქანა გაიჩერა, საბარგულიდან ჯაჭვები გადმოიღო და საბურავებზე დამაგრებას შეუდგა.

სავარძელზე გადაწოლილი ადილ-ბეი ვიღაცებს ხმამაღლა, უშვერი სიტყვებით აგინებდა: — განგებ აკეთებენ ეს უსინდისოები! — ბობოქრობდა იგი, სოფლებში, ამომრჩევლების წინაშე არ წარდგესო და მაინცდამაინც ამ წვიმიან დღეს დანიშნეს შეხვედრა. მაგრამ მე მაგათ ვუჩვენებ. სერვეთ, შენ ჭკვიანი ახალგაზრდა ხარ და ჩემი ნათქვამი კარგად დაიმახსოვრე: დრო მოვა და ყველას გავუხსენებ, ყველა დამნაშავეს თავის ჩამოსახრჩობად გავუხდი საქმეს!

სერვეთი საქმეს მორჩა, გატალახებული ხელები მჩვარზე შეიწმინდა, საჭეს მიუჯდა და მანქანა აამუშავა:

— ნუ სწუხართ ადილ-ბეი! ყველაფერი რიგზე იქნება, ჩვენ ეს ტალახი ხელს ვერ შეგვიშლის, თავის დროზე მივალთ ადგილზე. ემრეს ხიდი ხომაა გაკეთებული?

— ერთი ხიდის გაკეთებით ამ ხალხს სადარდებელი არ შოაკლდება, სერვეთ!

* * *

თულუქ იბრაიმმა სიბეჯითისათვის შვილი ერთხელ კიდევ შეაქო და გაკვეთილებიც ამით დამთავრდა.

ცოლს წვნიანი გაეკეთებინა, სუფრა გაეწყო და ახლა ქმარ-შვილს უცდიდა.

თულუქ იბრაიმმა ექვსი წლის წინათ ქალაქში ნაყიდი, ძველი, დაკერებული კოსტიუმი ჩაიცვა, სუფრას მიუსხდნენ, ცივი მჭადი ცხელ წვნიანში ჩაყარეს და მადიანად შეუდგხენ ჭამას.

ამ დროს ეზოდან ვიღაცის ძახილი გაისმა:

— ბიჭო, თულუქ!

— ეს ხომ ბექირის ხმაა? — ჩაილაპარაკა ქალმა, — ადექი. გაიხედე ერთი რა უნდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულუქ იბრაიმმა ხის კოვზი სუფრაზე დადო, ადგა და კარი გამოაღო.

— ბიჭო, ბეჭირ, შენა ხარ?

— მე ვარ, მე!

— ხომ მშვიდობაა, ბიჭო?

— მშვიდობაა, მშვიდობა!

— შემოდი შიგ, რადგანაც ასეა!

— არა, მეჩქარება!.. იაქაჯიქში ერთი ბეგი უნდა ამოვიდეს თურმე, ადვოკატი ყოფილა. ახლა არჩევნებისათვის მოხსენება უნდა წაიკითხოს, ხასან-ეფენდი იტყობინება იაქაჯიქიდან: მთელი სოფელი უნდა შეიკრიბოს და აქ მოვიდესო. თუ მოდიხარ, მოემზადე და ერთად წავიდეთ.

— კი მაგრამ, ის ქალაქელი ბეგი აქ ვერ მოვა, ვითომ?

— ეჩქარება თურმე, ავტომანქანით ყოფილა. აბა ერთი დაფიქრდი, ჩვენი სოფლის გზაზე რომელი ავტომანქანა გაივლის? ანდა ჩვენი სოფელი რა სოფელია? რაღაც ოცდაათი მოსახლისთვის ამხელა გზაზე რატომ ივლის?

— კარგი, წავიდეთ! — დაეთანხმა თულუქ იბრაიმი.

* * *

მანქანამ სოდანლიბელის უღელტეხილი მშვიდობიანად ავლო და დაბლობზე დაეშვა. ძძღოლმა სიჩქარეს უმატა. ადილ-ბეი დაწყნარდა; სერვეთმა თუ ასე მოინდომა, შუადღეზე უკვე სოფელ იაქაჯიქში იქნებიან.

* * *

სოფელ თოზანლის მამაკაცები, სულ ორმოცი სული, იაქაჯიქში ჩავიდნენ და ხასან-ეფენდის სახლს მიადგნენ. ამდენი სულის სახლში მიღება ხასან-ეფენდის არ შეეძლო და სტუმრებს ეზოში გამოეგება. მალე სხვა სოფლების მცხოვრებლებმაც მოიყარა თავი.

— ადვოკატი ადილ-ბეი მოდის, ამხანაგებო! — განუცხადა შეკრებილთ ხასან-ეფენდიმ, — უკვე ოთხი დღეა რაც მის მოსვლას ველოდებით. ახლა დაზუსტებით ვიცით, რომ დღეს აუცილებლად ამოვა. უკვე შუადღეა და საცაა გამოჩნდება კიდეც. ამიტომ, უკეთესი იქნება სოფლის გარეთ გავეგებოთ, სტუმარია და პატივი უნდა ვცეთ.

— რადგანაც დღეს აუცილებლად უნდა ამოვიდეს, ჩავიდეთ დაბლა და ხიდთან დაველოდოთ! — ბანი დააწია მას ბეჭირმა.

ხასან-ეფენდი ქარვის კრიალოსნის თამაშით წინ გაუძღვა ხალხს. მიდიოდნენ ყაყანით, ხმამაღალი საუბრით, დაჭმუჭნილი, შინნაქსოვი ტანსაცმელი ეცვათ. თმაწვერგაბურძგნილები ველურებს ჰგავდნენ. ოფლის სუნი ასდიოდათ.

ხიდთან ჩავიდნენ და იქ დაელოდნენ სტუმრის გამოჩენას. ხალხი ღელავდა, ყაყახებდა, ხმაამაღლა გამოსთქვამდა სათქმელსა და თავ-თავის ვარაუდს.

მალე ადილ-ბეის მანქანა ხევგაღმით გამოჩნდა. ხალხი აღელდა, ყაყანს უმატა.

— ადილ-ბეი ძაღალი თვისებებით შემკული ადამიანია და ბრწყინვალე მომავლი მოელის. ის ამ არჩევნებშიც გაიმარჯვებს და შემდეგ მიხისტრადაც აირჩევენ! შეშვენდება კიდეც მინისტრობა, ღირსიც არის! — ხალხს რომ გაეგონა, ხმამაღლა განაცხადა ხასან-ეფენდიმ, — დღემდე ჩვენთან, ჩვენს სოფელში ბევრი ვინმე მოსულა და წასულა, ბევრი მოხსენება წაუკითხავს. ბევრს დაგვპირებია, მაგრამ გაკეთებით არაფერი გაუკეთებია! ვნახოთ, ეს რას იზამს, რას გაგვიკეთებს!

ადილ-ბეიმ ერთად თავშეყრილ ამდენ ხალხს რომ მოკრა თვალი, აღელდა: — შვილო, სერვეთ, ძეხე, ერთი რამდენი ხალხი მოგროვილა, ჩემს შესახვედრად. მე რომ ამ ხალხის ყურადღება არ მივიპყრო, ისე როგორ წავალ აქედან? რაკი ასე დამაფასეს და ამდენმა ხალხმა მოიყარა თავი, ჩათვალე, რომ არჩევნები უკვე მოგებული მაქვს. სამაგიეროდ, ამ ხალხს იმდენ კარგ საქმეს გავუკეთებთ, რომ მათაც გაუკვირდებათ.

სერვეთმა მანქანა შეკრებილი ხალხის წინ შეაჩერა.

ხასან-ეფენდიმ მანქანასთან ძოირბინა, დაიხარა და კარი გამოაღო.

ადილ-ბეი მედიდურად გადმოვიდა მანქანიდან, მან ჯერ ხასან-ეფენდის ჩამოართვა ხელი, მერე კი ჩამოიარა და იქ შეკრებილთ სათითაოდ მიესალმა. ეს პროცედურა ძალზე დიდხანს გაგრძელდა. მერე ყველა სოფლის ცენტრისაკენ გაემართა, სადაც ადილ-ბეის მოხსენება უნდა წაეკითხა.

სერვეთმა მანქანა სოფლის ბოლოს გააჩერა და ხალხში შეერია, რათა თავისი ბატონის სიტყვა მოესმინა. ადილ-ბეი მაღლობზე, სახელდახელოდ დადგმულ ტრიბუნაზე ავიდა, ხმის ჩასაწმენდად ერთი ჩაახველა და დაიწყო:

— ჩემო საყვარელო მეგობრებო, პატივცემულო ამომრჩევლებო! დიდ მადლობას მოგახსენებთ იმის გამო, რომ შეწუხდით და აქ მობრძანდით. ძალიან გამიხარდა და დიდ მადლობასაც მოგახსენებთ ამის გამო. თქვენი ასეთი გულითადი შეხვედრა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი და, იმედი მაქვს, რომ შემდეგში, როცა მე ამისი სა-

შუალება მომეცემა, დიდ სამსახურსაც გაგიწევთ! — წამით შეი-
სვენა, ჩაახველა და ისევ განაგრძო: — პატივცემულო ამოვანებ-
ელებო! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მომავალ კვირას, ესე
იგი ექვსი დღის შემდეგ, არჩევნებია. ამიტომ, იმისათვის, რათა
თქვენი საქმეები მოაგვაროთ, საჭიროა აირჩიოთ სანდო, პატიო-
სანი კაცი და ანკარაში გაგზავნოთ. პატივცემულო მეგობრებო!
წინა არჩევნებში თქვენ მოგატყუეს, ახლაც თქვენს მოტყუე-
ბას ცდილობენ. ასე არ შეიძლება, ამხანაგებო! თქვენ, რო-
გორც ჩემი პატივისმცემელი ამხანაგები და მეგობრები, გირ-
ჩევთ ასეთ ხაფანგში არ ჩავარდეთ, არ მოტყუვდეთ! ეს არჩე-
ვნები ასეთ წვიმიან დღეებში იმიტომ ჩაატარეს, რომ ჩემთვის
ხელი შეეშალათ, რათა თქვენამდე ვერ მომეღწია, და ეს გუ-
ლითადი საუბარი არ მქონოდა თქვენთან. მაგრამ მე, როგორც
ხედავთ, მოვედი, მე თქვენმა სიყვარულმა მომიყვანა.

პატივცემულო ამხანაგებო! როგორც თქვენ მოგეხსენე-
ბათ, დეპუტატად გახდომის არავითარი სურვილი არა მაქვს,
და, თუკი ამას ვაკეთებ ვაკეთებ მხოლოდ იმისათ-
ვის, შეძლებისდაგვარად სამსახური გავუწიო ჩემს კუთხეს,
ხალხს, ესე იგი თქვენ გაგიწიოთ სამსახური, ჩემო მეგო-
ბრებო! ჩემი ვალია აღვწერო, დავაზუსტო ყველაფერი ის,
რაც თქვენ გჭირდებათ, რაც მოსაგვარებელია თქვენთან. წი-
ნა არჩევნებში გამარჯვებულ დეპუტატებს ხელი არ გაუქა-
ნებიათ. რაც მათ გააკეთეს, ის იყო, რომ ორიოდე ხიდი ააგეს
და ზოგიერთ სოფელში წყარო გამოიყვანეს. ეს იყო და ეს.
ხიდის აგებითა და წყლის გამოყვანით არ წყდება თქვენი საქ-
მე, ამხანაგებო! თქვენი მთავარი საკითხი — რელიგიის საკი-
თხია მოსაგვარებელი! თუ ამ საკითხს პირველ რიგში არ მო-
ვაგვარებთ, ისე არაფერი არ გაკეთდება!

პატივცემულო თანამემამულეებო, ძვირფასო, სოფლელო
ძმებო! ალბათ ყველამ იცის, რომ ჩვენი თურქეთი მუსლიმა-
ნური ქვეყანაა და მუსლიმანურადვე დარჩება. ისეთი ძალა არ
არსებობს, რომ ჩვენ რჯული და სარწმუნოება შეგვიცვა-
ლოს! მე პირველ რიგში სარწმუნოებრივი საკითხი უნდა მო-
ვაგვარო თქვენთან. საჭიროა ყოველ სკოლაში დიდი ყურად-
ღება მივაქციოთ მუსლიმანური რელიგიის შესწავლის საქ-
მეს. იმ სოფლებში, სადაც ჯამე არ არის, აუცილებელია გაიხ-
სნას ჯამე, რათა თქვენ საშუალება გექნეთ დღეში ხუთჯერ
ილოცოთ და ღმერთი ახსენოთ. ამ სოფელში ხოჯა არ არის,
დაგეხმარებით და ხოჯას გამოგიგზავნით, ამხანაგებო! მე იმა-
საც მივაღწევ, რომ ხოჯებს ხელფასი სახელმწიფომ გადაუხა-
დოს და არა თქვენ!

ადილ-ბეიმ მოხსენება ჩაათავა და გაჩუმდა.

ზოგიერთ მორწმუნეს მოხსენება ისე მოეწონა, ისე გაუხარდა, თითქოსდა მეტი არაფერი სურდა, სხვა არაფერი დაჩენილიყო საზრუნავი. თულუქ იბრაიმი სიხარულისაგან ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. იგი შეკრებილ ხალხში დაძვრებოდა და ხმამაღლა, ლოცავდა ადილ-ბეის.

—აფერუმ, მოხსენებაც ამას ქვია! შენ გენაცვალე შენა!

შეკრებილთა უმრავლესობა სიხარულს ვერ მალავდა. ერთადერთი მხოლოდ სერვეთი იყო გაკვირვებული: — ვაი, ვაი, ადილ-ბეი, ვაი! — ფიქრობდა იგი, — ესაა შენი სანაქებო მოხსენება? ესაა შენი ყველაფერი, თუმცა რა, ამ სულელ ხალხს უფრო უხარია!

* * *

სოფელ იაქაჯიქის ჯამე პატარა, ძველ ფიცრულ შენობაში იყო მოთავსებული. სამაგიეროდ, აქაურ ხოჯას დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ხალხში.

ადილ-ბეის მოხსენება ხოჯამ დიდი ინტერესით მოისმინა, მერე, საათზე დაიხედა და ჩაილაპარაკა: — ჰმ! დროა უკვე, დროა! — წავიდა, მინარეთზე ავიდა და ეზანის კითხვა დაიწყო. ამასობაში ხალხში გარეული ადილ-ბეი მხიარულად ესაუბრებოდა ხალხს. იმდენ დაპირებებს აფრქვევდა, ხალხი სიხარულისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

ხოჯის ხმა რომ გაიგონა, ხასან-ეფენდი ადილ-ბეის მიუახლოვდა და უჩურჩულა: — ადილ-ბეი, შენს თვალებს ვენაცვალე, ეზანი დაიწყო, წავიდეთ, ვილოცოთ!

ადილ-ბეის ცხოვრებაში ერთხელაც არ ულოცნია და ვერაფრით ვერ გაიგო თუ რას მოითხოვდა ხასან-ეფენდი მისგან. ბოლოს, როცა ხალხი შემოეცალა და მასთან მხოლოდ ხასან-ეფენდი, თულუქ იბრაიმი და კიდევ სამი კაცი დარჩა, თქვა: — დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მეგობრებო! რადგანაც ლოცვის დროა, წაბრძანდით და ილოცეთ, მე მეტს ვერ დაგაცდენთ, სულ ერთია, მაინც დავამთავრე. სანამ თქვენ ილოცებთ, მე სოფელ იარიოქოიში წავალ და იქაურ ხალხს მოხსენებას წავუკითხავ.

ხასან-ეფენდი გაოცა მისმა ნათქვამმა: — ოჰ, როგორ გეკადრებათ, ადილ-ბეი? სოფლელებმა არ გაიგონ! მაგი როგორ თქვით? ლოცვის დროს სადმე წასვლა გაგონილა? წელან ოჯულზე და მუსლიმანობაზე არ ლაპარაკობდით? ამდენი ხალხის თვალწინ ულოცავად წასვლა მთელ თქვენ სიტყვას აბათილებს! რას იტყვის ხალხი!.. აბა, აბა, ადილ-ბეი, წაიკაპიწეთ მკლავები და აბდესის წესები შეასრულეთ, მერე ჯამეში შე-

დით და ილოცეთ, საჭიროა ხალხმა დაინახოს და იფიქროს, წმინდა მუსლიმანი ყოფილაო.

— შენ გენაცვალე, მთელი ქვეყანა გენაცვალოს, ადილ-ბეი! ასე ხასვლა როგორ შეიძლება?

ადილ-ბეი მოტყდა: — კარგი, რახან წასვლა არ შეიძლება, დავრჩები. თქვენ აბდესი მიიღეთ და ილოცეთ, მე მანამდე ცოტას დავისვენებ, თორემ ისე ვარ აღელვებული, წნევა ამიწევს და დავიღუპები კაცი.

— არა, არ შეიძლება! — შეედავა ხასან-ეფენდი, — აბდესი უნდა მიიღო და უნდა ილოცო!

— კარგი, რახან ესეც არ შეიძლება... ჯერ თქვენ მიიღეთ აბდესი, მერე მე მივიღებ... ამ არჩევნებში თუ არ გავიმარჯვე...

— როგორ გეკადრებათ! — ჩაერია თულუქ იბრაიმ. — სირცხვილია! ჩვენ თქვენზე უწინ რომ აბდესი მივიღოთ, სირცხვილია, უზრდელობად ჩაგვეთვლება! აბა, დაიკოტავე მკლავები, გენაცვალე.

ხასან-ეფენდიმ საჩქაროდ წყალი მოურბენინა: — აბა, მობრძანდით, ბატონო, წყალი მოვიტანე! აბა, დაიმკლავეთ, გენაცვალე, თვალებში!

ადილ-ბეი შეწუხდა, უხერხულად მიმოიხედა და თქვა: — შე თვითონ დავისხამ და დავიბან ხელ-პირსა და ფეხებს. მე სხვას ხელზე წყალს არ დავასხმევინებ. არ შემიძლია! — ქვაზე ჩამოჯდა, კოსტიუმი გაიხადა, ქუდი მოიხადა, ფეხსაცმელი გაიძრო და შარვალი აიკარწახა.

სერვეთი გაფაციცებით შესცქეროდა ადილ-ბეის. მან კარგად იცოდა, რომ მის ბატონს თავის სიცოცხლეში არ ულოცია და არც აბდესის წესებისა გაეგებოდა რამე.

„ვაი შენს ლოცვასა და აბდესს!“ — გაიფიქრა მან.

ადილ-ბეიმ ყველაფერი აურია, ჯერ იყო და ცხვირ-პირი არ გამოიბანა, მერე კი მკლავების დაბანამდე ფეხები დაიბანა და ამით აბდესის წესი მეორეჯერ დაარღვია.

— აბა, პირსახოცი მიართვით ბატონს! — ბრძანა ხასან-ეფენდიმ, მაგრამ ამ დროს საქმეში თულუქ იბრაიმი ჩაერია.

— ბატონო! — მიუბრუნდა იგი ადილ-ბეის, — მკლავების დაბანა დაგავიწყდათ!

ადილ-ბეი დაიბნა.

ხასან-ეფენდიმ მწყრალად გადახედა თულუქ იბრაიმს და გაიფიქრა: „ვაი და უი შენ, თულუქ, რაში გაინტერესებს შენ ადილ-ბეის აბდესი? სულ ერთი არაა შენთვის, როგორ შეასრულებს? როგორ დაიბნა კაცი, სირცხვილისაგან რა ქნას ალარ იცის და სულ დაანება თავი.“

ადილ-ბეიმ მართლაც მიანება თავი განბანვას: — წნევა მაქვს აწეული და არ შემიძლია ლოცვა. ისეთი ძლიერი წნევა მაქვს, აბდესის წესებიც ვერ შევასრულე, ძვირფასო ამხანაგებო. დამერწმუნეთ, რას ვაკეთებ, მეც არ ვიცი. ძალიან ვბრაზობ ჩვენს მთავრობაზე, რჯული და სარწმუნოება მთლიანად მიივიწყეს!.. წნევამ და აღელვებამ აბდესის წესებიც დამარღვევინა!

— არა უშავს, ბატონო, ხელახლა დაიწყეთ! — დაამშვიდა ხასან-ეფენდიმ.

სერვეთს მკლავები დაეკარწახებინა და ადილ-ბეის შესცქეროდა, ცდილობდა ადილ-ბეის დაენახა ყველაფერი და მისთვის მიებაძა, რათა აბდესის წესი წესიერად შეესრულებინა და ამდენ ხალხში თავი არ მოსჭროდა.

ადილ-ბეი მიუხვდა და მიბაძა.

იმ დროს, როცა ადილ-ბეი ასე წვალობდა, მისი ცოლი სასტუმროს ლუქსში, აბაზანაში ნებივრობდა, თულუქ იბრაიმის ცოლი ბოსელს ხვეტდა, სელამეთი და დუდუ საქონელს მწყემსავდა, თულუქ იბრაიმი კი სიყვარულით შესციცინებდა თვალებში ადილ-ბეის.

ჩვიდმეტი თებერვალი იყო

ჩვიდმეტი თებერვალი იყო... თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას პატარა მთის სოფელში, სადაც წლების განმავლობაში შეიძლება ყოველგვარი კალენდრისა და საათის გარეშე ცხოვრება. ჩვიდმეტი იქნება თუ ოცდაშვიდი, ამას ამ სოფლის მცხოვრებთათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

იმ ზამთარს, როგორც ყოველთვის დიდი თოვლი მოვიდა სოფელში. ყინვები დაიჭირა და ნახევრად ტიტველ, ფეხშიშველ ბავშვებს ყინვამ და თოვლმა ფეხები დაულურჯა და დაუზრო.

თებერვლის დასაწყისში ყველაფერი შეიცვალა. ზამთრის მზემ იმძლავრა, დააცხუნა, ბერიკაცებს ძვლები გაუთბა, მცივანა კატებიც კი გარეთ გამოეფინენ და წკიპად, ფეხაკრეფით, კუდაბრეხილი დასეირნობდნენ აქეთ-იქით.

თებერვლის ჩვიდმეტში სამხრეთიდან თონესავით ცხელმა ქარმა დაჰბერა, სახლების სახურავებზე, ქუჩებში და მთის ფერდობებზე თოვლმა იწყო დნობა.

ამ სოფლის მცხოვრებლები მაინც დიდი უცნაური ხალ-

ხია. არც ერთი, რაგინდარაგვარი ამინდიც არ უნდა
როს, მაინც არ მოსწონთ და სულ წუწუნებენ.

— აჰ, ერთი ახლა სამხრეთის ქარი დაუბერავდეს...

მაგრამ, როგორც კი სამხრეთის ქარი წამოუქროლებს და თოვლი დნობას დაიწყებს, ისინი ისევ საყვედურობენ: — ამ საშინელ ტალახში როგორ უნდა ვიაროთ? ამას ისევ ყინვები სჯობს, ქემაინც ფეხი არ დაუსველდება კაცს.

მაგრამ ცხადია, ამინდი სოფლელების წუწუნსა და უკმაყოფილებას არაფრად აგდებს და ყველაფერი თავისი რიგითა და წესით მიდის...

მე ქუშად-ახმედი მოვიწახულე. იგი საქმით იყო გართული — ბაღში გასულიყო და ვაშლის ტოტებს ყინულს აცილებდა... საუცხოო ჯიშის ვაშლის ხეები უდგას ახმედს, კარგ მოსავალსაც იწევს ყოველწლიურად... საქმეს რომ მორჩა, მთხოვა, სახლში შევიდეთ, ცოტა წავისაუბროთ და დრო მოვკლათო, მაგრამ უარი ვუთხარი, ასეთ ამინდში ჩახუთულ ოთახში ჯდომა არ შემიძლია-მეთქი, გამოვეშვიდობე და წავედი.

მივდიოდი ნელა, აუჩქარებლად, მინდოდა მარტოდმარტო, პირისპირ დავრჩენილიყავი საკუთარ თავთან და ფიქრებთან. მინდოდა შემომევლო სოფლის შემოგარენი, მენახა ქარისაგან გამომშრალი ფერდობები. ეს ფერდობები, თორემ სოფლის ორღობეების ტალახს აბა რომელი ქარი გააშრობს... საცოდავი სანახავია ჩვენი სოფელი — ტალახი, სიბინძურე, სიღარიბე... ქვეყნად ამდენი განათლებული, წასწავლი ადამიანებია, ამდენი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება, აქ, ჩვენს სოფელში კი ასეთი სიდუხჭირეა... თუშცა. ვისა სცალია ჩვენი სოფლისათვის?

თომბაქ-ბებიას სავახშმოდ სამი ცალი კვერცხი გამოვართვი და სახლისაკენ გავემართე. მივდიოდი ნელა, ზოზინით, სახლისაკენ გული არ მიმიწევდა... ვინაც კი გზაზე შემხვდა, ყველას მივესალმე... კარებთან ატუზული, ფეხშიშველი, მუხლებამდე ტალახში ამოთათხნილი, ჩამოხეულ-ჩამოკონკილი ბავშვები, მკერდზე ჩამოყრილ წვრილნაწნავებიანი ქალიშვილები, წითელპერანგიანი მწყემსი ბიჭები, მოხუცი ქალები — წინდის მქსოველები, ბაწრის მგრეხავები, ბერიკაცები... ყველას მშიერი, საცოდავი გამომეტყველება აღბეჭდია სახეზე.

ჩემს მოსწავლეებს შორის ყველაზე სუსტი, მაგრამ ყველაზე ლამაზი, მკვირცხლი და მაყვლისთვალება ხელი თავისი სახლის გამოღებულ კართან იდგა და მოწყენილი გასცქეროდა სოფლის ორღობეს.

— მამა შინაა? — ვკითხე მე.

— კი, შინაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამისი რატომღაც ძალიან დასნეულდა და მთელი ზაფხული თარი იწვა.

— კიდევ შეუძლოდაა?

— არა, მოიკეთა, მაგრამ ახლა დედაა ავად!

— დედა?

— ჰო, დედა!

„რავა მორიგეობით ხდებიან ესენი ავად!“ — გავიფიქრე მე.

— ოთახში წევს და სძინავს! — ზექიე მიდგა და გზა დამითმო.

ძველ, მორყეულ, ფიცრულ კიბეს ავყევი. ზექიე ჩემს დანახვაზე აღრენილ, შიმშილისგან ფერდებჩავარდნილ ძაღლს შეუწყრა. წელში მოხრილი შევედი დაბალ კარებში. მაშინვე ნესტის და შმორის სუნი მეცა... ოთახში საოცრად ბნელოდა. ჩიტის თვალივით პატარა, ერთადერთი სარკმელი ძლივს ახათებდა იქაურობას.

ჩემს დანახვაზე ავადმყოფი საწოლზე წამოჯდა. მივესალმე, ბუხართან ჩავჯექი და იქაურობა მივათვალ-მოვათვალიერე. საშინელი სიღატაკე იგრძნობოდა ირგვლივ. აყალო მიწით შეთითხნილი, ქვის ოკრო-ბოკრო კედლები, ძველთაძველი ნივთები, ფიცრული საწოლი, ჭუჭყიანი ქვეშაგებელი... კარის მოპირდაპირე მხარეს მწნილისათვის განკუთვნილი დიდი დერგი იდგა, იქვე ეწყო წყლის ჭურჭელი, სამეურნეო იარაღები — ფოცხი, ფიწალი, თოხი, ბარი...

— როგორ ბრძანდები, დაიკო? — ვკითხე ქალს.

სახე გაყვითლებოდა, ლოყები ჩაცვენოდა, ახველებდა და ძლივს ლაპარაკობდა ჩურჩულივით წყნარი ხმით.

— ამ ავადმყოფობას ვერ გადავურჩები, ძმაო! — თქვა და თავი დახარა.

— ნუ გეშინია, მორჩები!

— რა ძომარჩენს? ფილტვებს გამიხმობს ამდენი ხველა.

— არა, ასე რამ შეგაშინა?

— ამ ავადმყოფობას ვერ გადავიტან, ვერა! — თქვა აკვიატებულად, დარწმუნებით.

როგორ გაუნადგურებია ავადმყოფობას. ლოგინად ჩავარდნამდე რა ლამაზი ქალი იყო — მომხიბვლელი, მაღალი, ახოვანი, მხიარული, პირმცინარი და ენატკბილი. ხშირად შეჩერებულა ჩემს ეზოსთან და გამომლაპარაკებია.

მასზე ბევრს ჭორაობდნენ ჩუმ-ჩუმად სოფელში. რას არ ამბობდნენ, რას არ უგონებდნენ... თუმცა, მისთვის სულ ერთი იყო, რასაც იტყოდნენ მასზე. მეზობელი მამაკაცები კაცებად არ მიაჩნდა, არც საკუთარი ქმარი ეხატებოდა გულზე მაინცა-

დამაინც და თუ იტანდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქმარი სულ-
მაოდ მოზრდილი მიწის ნაკვეთის მფლობელი იყო.

ცხრა წლის წინათ ერთი ამბავი გადახდა. სამი წლის ბეგარა ჰქონდა გადასახდელი და ქმარი ძალიან შორს, თითქმის ცხრა მთას იქით წაიყვანეს სამუშაოდ, — აი, აქ იმუშავე და ბეგარა გადაიხადეო — უთხრეს. სახლში ფქვილი გამოელიათ. ქალმა სახედარს პურის მარცვლით სავსე ტომარა აჰკიდა და წისქვილზე წაიღო. გაზაფხული იყო. მდინარეები ადიდებულიყო. წყალდიდობას არხი დაენგრია და წისქვილს წყალი არ ყოფნიდა. ამიტომ ერთ ტომარა საფქვავს ძლივს აღანჭალებდა რამდენიმე საათში. იმ დღეს ქალს რიგი არ მოუწია და ღამის გათევა წისქვილში მოუხდა.

სწორედ იმ ღამეს დაადგა თავზე ჯარიდან ახალდაბრუნებული მუსტაფა, რომელსაც ერთი ნაცნობი მთიელიც ახლდა და "უბრძანა, გინდა თუ არა, დაგვნებდიო.

— ღმერთმა ავ ბედს შეგყარათ, მე რას მთხოვთ?

— შენაც კარგად იცი, რასაც გთხოვთ! ყველას ხომ ნებდები?

— მე არავის არ ვნებდები!

— აბა, აბა, თავს ნუ იკატუნებ, ჩქარა!

ქალი მშველელს არსაით ელოდა, იმედი გადაწყვეტია და დანებებია...

ქმრის ავადმყოფობამ დიდხანს გასტანა.

— ანგელოზი არაა, უცოდველი რომ არ იყოს, ეს ახალგაზრდა ქალი როგორ ითმენსო, — ჭორაობდნენ მასზე მეზობლები. არავის არ სჯეროდა, რომ ითმენდა...

ახლა, უკვე ქალი ლოგინადაა ჩავარდნილი, სუნთქვა უჭირს, ხიხინებს, ხველა ახრჩობს.

იქვე, საწოლის მახლობლად ქმარი ზის, თავი ხელისგულებში ჩაურგავს და სდუმს ჩაფიქრებული.

მყუდროება კარის ჭრიალმა დაარღვია. ოთახში მათი უმცროსი გოგო — ქოქუ შემოვიდა. ფეხშიშველა, ჩატალახული, ხელში ჟანგიანი ნალი უჭირავს. მას დედასთან უნდა მოსვლა, მაგრამ ზექიე არ ანებებს: — გატალახული ხარ, დასვრი აქაურობას! — ხელს კიდებს და კარისკენ მიჰყავს.

ქოქუ ეწინააღმდეგება.

ხმაურმა ავადმყოფი შეაწუხა. ფიქრებში წასულმა კაცმა თავი ასწია და უფროს გოგოს უთხრა:

— დაანებე თავი, ზექიე!

— არა, დასვრის აქაურობას.

— დასვაროს მერე!

— როგორ, მამი, როგორ თუ დასვაროს? ასე შეიძლება? ერთ ღღეს მაინც იყოს იატაკი სუფთა ამ ჩვენს სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა გაბრაზდა: — სუფთა, მუფთა!.. შენაც ქალაქელი გამიხდი, რაღა!

ზეკიეს მამის შეეშინდა და ქოქუს თავი ანება. ქოქუმ დრო იხელთა და ტალახიანი ფეხებით დედას შეუწვა ლოგინში.

— დედა, დედა, ნახე რა ვნახე?! — უთხრა და დიდის ამბით ანახა დაჟანგული ნალი.

— კარგია, შვილო!.. ჩემი ლამაზი გოგო! ეს რა გინახავს? ჩემო უბედურო გოგო, ლამაზი ხარ, მაგრამ უბედური! ობლად რჩები, ჩემო გოგო! — ოედამ გოგონას აკოცა და მერე ხველა აუტყდა. ქმარმა თუთუნი გააბვია...

— თამბაქოს ბოლი ავადმყოფს ავნებს, — ვთქვი მე, — არც შენ არ უნდა ეწეოდე!

— ძალიან მწყენს, — თქვა ქალმა, — ჩემთან რომ ეწევიან, ხველა მახრჩობს.

ქმარი გაბრაზდა, რაღაც ჩაიდუდუნა თავისთვის, მოუკიდა და გააბოლა.

— რამდენი ხანია ვწევარ, — განაგრძო ქალმა, — კოტათი უკეთ კი ვიყავი, სარეცხი მქონდა ბევრი, წავიღე მდინარეზე, ვრეცხე ცივ წყალში, ისე შემცივდა, ძლივს მოვაწიე სახლში... ახლა ისე ცუდად ვარ, მეტი რომ არ შეიძლება... გუშინ სკოლაში ექთანი ამოსულა, ვთხოვე ქმარს, წადი, მოიყვანე-მეთქი. წავიდა, მაგრამ იქ არ დახვედრია ექთანი, მუხტართან წასულა. ჩემი ჭკვიანი ქმარი კი არ მისულა იქ, შეზარებოდა!

ქმარი ხმას არ იღებდა, ხელები მუხლებზე ეწყო და გაშტერებული უცქეროდა კოლს.

— ჩემი ტყავი თუნდაც ჩვენი ძროხის ტყავივით ხეზე ჩამოკიდეთ გასაშრობად, ჩემი ხორცი თუნდაც ღელეში გაათრიონ, არაფერს არ ვდარდობ. მოვკვდები და ჯანაბის, მე მხოლოდ ეს ბავშვები მეცოდებიან. ობლად რომ რჩებიან, ის მადარდებს მე.

— ნუ ვეშინია, — დავამშვიდე მე.—მოიკითხე და ფეხზე ადგები. ერთი ავად გახდომით ადამიანი არ მოკვდება. ადამიანის სული და სხეული ასე ადვილად არ სცილდებიან ერთმანეთს.

აქამდე ჩათვლემილივით მჯდომი კაცი მოულოდნელად გამოცოცხლდა და ალაპარაკდა: — ნამდვილად ასია მაგი, — თქვა მან, — სული ჩვენს სხეულში ძალადაა შეყვანილი. ღმერთმა ჯერ ადამიანის სხეული გააკეთა. ერთხანს ადამიანი ასე, სულს გარეშე იყო. მერე ღმერთმა უბრძანა სულს. შედი ადამიანის სხეულშიო. სულმა იმ ცარიელ სხეულში შესვლა არ ინება. დარჩა ადამიანი უსულოდ. ხუთი მილიონი წელი

ადამიანის სხეული გაუნძრევლად იდო. მერე ღმერთმა
თხოვა სულს, შედი ადამიანის სხეულშიო, სულმა არ ინება
შესვლა. მაშინ ღმერთი გაბრაზდა და ძალით შეიყვანა სული
ადამიანის უსულო სხეულში. ასე გასულიერდა ადამიანი. პი-
რველი სულიერი ადამიანი ადამი ყოფილა...

— დაანებე თავი მაგ ზღაპრებს, — ვუთხარი და წასას-
ვლელად მოვემზადე.

ავადმყოფი შეირხა, გოგონას მიუალერსა, მერე ქმარს უკ-
მაყოფილოდ გადახედა და უთხრა: — შტერი ხარ შენ, შტერი,
რას ბოდიალობ, შენაც არ იცი!

კაცი გაბრაზდა, ხელი მომუშტა, მუხლზე დაირტყა და
ხმამაღლა მოყვა ქალის გინებასა და ლანძღვას.

შევწუხდი. წასასვლელად გამზადებული ისევ შევჩერდი.
არ მინდოდა მარტოდ დამეტოვებინა ისინი. ადვილი შესაძლე-
ბელი იყო უჭკუო რეჯებს ეცემა ავადმყოფი ქალი.

მოულოდნელად გარეთ ხმაური ატყდა. ბავშვები გარეთ
გაცვიდნენ. სოფლის სიმყუდროვეს თანდათანობით არღვევდა
მოახლოებული თვითმფრინავის ზუზუნი. კაცი ადგა და ისიც
გავიდა.

— კარგად იყავი, დაიკო! — დავემშვიდობე ქალს.

— მადლობელი ვარ, მადლობელი! — წამოდგომა დაა-
პირა, მაგრამ ვერ შეძლო.

— იწექი, იწექი! შენი ადგომა არ შეიძლება!

თავი დააქნია, მომაჩერდა, მივხვდი, რაღაცის თქმა სურ-
და, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. ბაგეზე მქრქალი ღიმილი აღ-
ებეჭდა და ხელები ჩაიქნია.

კარი გამოვიხურე, სოფელი ხმაურობდა. ბავშვები ღრიალ-
ებდნენ, ყიჟინებდნენ, გახარებულები უქნევდნენ ხელს
თვითმფრინავს. მმიერი, ფერდჩავარდნილი ძაღლები მჭახედ
ყეფდნენ. თვითმფრინავი ისე დაბალზე მიფრინავდა, რომ
დაინტერესებულ მფრინავს შეეძლო გადმოეხედა და დაენახა,
თუ რა მდგომარეობაში ვიყავით.

მზე ჩადიოდა, ნელ-ნელა ეშვებოდა ჰორიზონტისაკენ. სა-
ქონლის ნაკვალევში ჩამდგარი წყალი ჩაშავებული მზის სხი-
ვებს ირეკლავდა...

ჩვიდმეტი თებერვალი იყო...

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

შინ მივდიოდი...

სოფლის ცენტრში, ვეება ჭადრის ქვეშ მოკრიამულე ბავ-
შვები რომ შევნიშნე, შევჩერდი, ბავშვებში ჩემი კარის მეზო-

ბლის საიდის უმცროსი ბიჭი — ხასანიც იყო. როგორც ამოიკითხა
მომკრა თვალი, ხასანი სირბილით გამოეშურა ჩემსკენ და მო-
სვლისთანავე დიდის ამბით გ.მაგებინა! — გაიგეთ, პატივცე-
მულო მასწავლებელო? ჰუქუმ-ახმედმა თავისი ძაღლი უნდა
მოკლას!

— მოკლას? რატომ? როდის? — მივაყარე კითხვები.

— რატომ, არ ვიცი, მაგრამ მოკვლით ახლა უნდა მოკ-
ლას! აი, ეგერ, სახლიდან გამოჰყავს უკვე.

ხასანი ძართალს ამბობდა, გავიხედე და დავინახე: ჰუქუმ-
ახმედს ძაღლისათვის ბაწარი ჩაება და მოჰყავდა. მეორე ხელ-
ში თოფი ეჭირა და სანადირო მიმავალ მონადირესავით მო-
აბიჯებდა. შუადღე იყო, მზე მთელი ძალით აჭერდა, დასიც-
ხულ ძაღლს ენითელი ენა გამოეგდო და ზანტად,
ბედს დამორჩილებულივით მოყვებოდა პატრონს.

ჰუქუმ-ახმედი დინჯად მომიახლოვდა, შემხედა და ხმადა-
ბლა მომესალმა: — გამარჯობა, მასწავლებელო!

— გაგიმარჯოს, ჰუქუმ! — გავეპასუხე მე და შევათვა-
ლიერე. — გავიგე, ძაღლს კლავსო... რატომ კლავ?

ჰუქუმ-ახმედმა შუბლი შეიკრა, თვალი ამარიდა, მოიხედა
გვერდზე და მოკლედ მომიჭრა: — უნდა მოვკლა! ასე მაქვს
გადაწყვეტილი!

— კი მაგრამ ასე უცებ? რას ერჩი მაინც? — შევეცადე
გამოვსაჩლეობდი საცოდავ ძაღლს, — დამნაშავეს, დანაშაუ-
ლზე რომ წაუსწრებენ, ჯერ გაასამართლებენ, აუხსნიან, თუ
რაში სდებენ ბრალს და მერე სჯიან!..

— მე უკვე გავასამართლე! — შუბლშეკვრით ჩაილაპარა-
კა მან.

— კი მაგრამ, რა დაუშავა ასეთი?

ჰუქუმ-ახმედი მოულოდნელად გაბრაზდა და მკვახედ
მომიგო: — ჩემი საქმე მე უკეთ ვიცი და თუ ჭკუის სწავლებას
შოეშვები, უკეთესი იქნება, მასწავლებელო!.. რაკი ვსჯი, არ-
სებობს ალბათ მიზეზი...

— კი, მაგრამ, ის მიზეზი არ ითქმება? — ჩავეძიე მე.

— რაკი ძალიან გაინტერესებს, დავაკმაყოფილებ შენს
ცნობისმოყვარეობას, — როგორც იყო ოდნავ მოლბა ჰუქუმ-
ახმედი, — იმიტომ ვსჯი, რომ ძალზე მყრალ სუნს უშვებს
უ.ხილახ...

— ჰა? — პირი დავაღე მე.

— ასეთი ძაღლი მე არ მინდა! თანაც, შეხედე ერთი, რო-
გორ გასუქდა, რამოდენა ფეხები აქვს, პირდაპირ, ფადიმ-
აღასავით დაედო ღიპი.

— მაინც ვერაფერი გავიგე! — ჩავილაპარაკე მე.

— თუ ვერაფერი გაიგე და ვერ მიხვდი, ჩანს, თავი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გქონია! — ჩაილაპარაკა, დაცინვით ამხედა, გამშორდა და ძაღლი ჯადრისაკენ წაიყვანა.

ჩემს სიცოცხლეში არ მენახა, თუ როგორ კლავდნენ ძაღლს. არც დიდი სურვილი მქონდა ძენახა. ვიდექი და რაღა მექნა არ ვიცოდი. ისიც კარგად მესმოდა, რომ მივსულიყავი და ჰუქუმ-ახმედს შევხვეწებოდი, არ მოკლა-მეთქი, სულ ერთია, მაინც არ მომისმენდა, უკვე თოფი ხელში ეჭირა და მას გაჩერებდი შენ?

ჰუქუმ-ახმედმა ძაღლი მიწიდან ამოჩრილ ფესვზე მიაბა. ძაღლი დაწვა, თავი ფეხზე დააყრდნო და გაირინდა. თვალებს ხან მილულავდა, ხანაც გაახელდა. თვალებში ეტყობოდა, წინასწარ ჰქონდა გააზრებული, თუ რას უმზადებდა მუხთალი ბედი. ჰუქუმ-ახმედმა ძაღლს მუშტი მოუქნია, შეაგინა და დინჯად გაემართა სოფლის ყავახანისაკენ.

— შეჩერდი! — დავუძახე და ავედევნე.

შეჩერდა, მოიხედა და გაოცებული მომაჩერდა: — კიდევ რა გნებავს, მასწავლებელო? — მკითხა.

მივუახლოვდი, მივაჩერდი თვალებში და ვკითხე: — მართლა უნდა მოკლა ძაღლი?

— მე რატომ უნდა მოვკლა? — გაიკვირვა მან, — მივალ ყავახანაში, გამოვაცხადებ, ასეა და ასე საქმე, ძაღლი უნდა მოვკლა-მეთქი!.. ვიცი მე მაგათი ამბავი, მაშინვე რიგში ჩადგებიან... იმდენი მსურველი აღმოჩნდება, რომ მოინდომო, ვერ დათვლი.

— კი მაგრამ მოკვლა გადაწყვეტილი გაქვს?

— აბა რა! — თქვა მტკიცედ, ერთხელ კიდევ ამათვალჩამათვალიერა და მომშორდა, თვალი გავაყოლე, მერე ძაღლს გავხედე. ბავშვები ძაღლს გარს შემოხვეოდნენ და უყიჟინებდნენ: — ჰეი, ძაღლო! თავს უშველე, გაიქეცი, თორემ მოგკლავენ, თავს ტყვიით გაგიხვრეტენ! რატომ ხარ წუწკი? რატომ შეჭამე კვერცხები?

თავი გავიქნიე, შევბრუნდი, ნაბიჯს ავუჩქარე და დაწინაურებულ ჰუქუმ-ახმედს გავყევი.

ყავახანაში იმ დროს შევედი, როცა ჰუქუმმა დიდის ამბით განაცხადა, — ძაღლი მყავს მოსაკლავი და ვინ მოკლავსო!

ამისი თქმა და ოცამდე მსურველი წამოიჭრა ფეხზე. ატყდა ერთი ყაყანი, გინება, მიწევ-მოწევა, მუშტების ქნევა. არა მე და არა მეო, ერთმანეთს ეცილებოდნენ. მერე გადაწყვიტეს, ყველას ერთდროულად დაეხვრიტა ძაღლი. ახლავე თოფებს მოვიტანთ და მოვალთო, დააიმედეს ჰუქუმ-ახმედი და ყავახანიდან გაცვივდნენ.

— თოფი მე მაქვს! — მიაძახა მათ ჰუქუმ-ახმედმა, მაგრამ არავის არ გაუგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავახანის პატრონი ფადიმ-აღა წყნარად იჯდა და დგანდ-ლიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნარგილეს აყურყულავებდა. ფადიმ-აღას ხარის რქებივით აპრეხილი დიდრონი ულვაშები ჰქონდა, მუცელი ტიკივით გამოებერა, სქელ კისერზე ოქროს ძეწკვი ჩამოეკიდა.

— ბიჭო, ჰუქუმ! — დინჯად მიუბრუნდა იგი ჰუქუმ-ახმედს, — ერთი ძუნკალი ძაღლის მოსაკლავად რომ მთელი სოფელი დააყენე ფეხზე, გეთქვა ჩემთვის, მოგცემდი ჩეკს პარაბილს და ერთი რომელიმე მათგანი მოუღებდა ბოლოს მაგ იაღლს.

— თოფი მეც მაქვს! — გაიმეორა ჰუქუმ-ახმედმა.

ორი დღის წინ, ოთხმა ჟანდარმმა მთელი სოფელი გადაჩხრიკა, სოფლელებისათვის იარაღი უნდა ჩამოერთმიათ, მაგრამ ვერც ერთი თოფი, ვერც ერთი რევოლვერი ვერ აღმოაჩინეს და ხახამშრალებმა მიატოვეს სოფელი...

ახლა კი, ძაღლის მოსაკლავად გამზადებული თოფებით შეიარაღებული სოფლის ახალგაზრდები უკვე ჭადართან იყრიდნენ თავს.

„ამ ხალხს სისხლი მოწყურებია. კაი ხანია სოფელში სიწყნარეა. თოფი არ გავარდნილა, არავინ არ დაუჭრიათ, არ მოუკლავთ, სისხლი არ დაღვრილა. სოფლელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და შენ გააჩერებ მაგათ?“ — ვფიქრობდი ჩემთვის, გარიყულივით გახმარტოებით მდგარი.

— ძაღლი ხის ფესვებზეა მიბმული. ყველა ერთად რომ მივიდეთ და ყველამ ერთად ვესროლოთ, ცუდი როდია! — განაცხადა ჰუქუმ-ახმედმა.

პირველი ფადიმ-აღა გაემართა ჭადრისაკენ. მას სხვებიც მიყვნენ. დასიცხული ფადიმ-აღა კვერცხისმდებელი ბატივით მიაბიჯებდა.

ძაღლმა რომ მისკენ დაძრული თოფებით შეიარაღებული და აყაყანებული ბრბო დაინახა, თვალი გაახილა, გამოცოცხლდა, წამოიმართა, დაიღრინა და ფეხებით მიწას დაუწყო თხრა:

— ახლა თუ აიშვა, ისეა გადარეული, თოფის სროლასაც ვერ მოვასწრებთ, ისე გაგვაფუჭებს! — თქვა ვიღაცამ და უკან დაიხია.

მართლაც, ახლა რომ აეშვა ამ ძაღლს, არ ვიცი რამდენი გადაირბენდა ცხრა მთას და თვითონაც ცხრა მთას იქით გადაიკარგებოდა.

კაცები თოფებშემართულები იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ ფადიმ-აღას ბრძანებას. ფადიმ-აღას ღიპი ხელებით ეჭირა და საბერველივით ქშინავდა.

— აბა, დაუმიზნეთ! — მჭახე ხმით გასცა ბრძანება ფა-

დიმ-აღამ და გადამდგარ გენერალივით გაიბღინძა, — მისმინეთ, ბიჭებო! როგორც კი გიბრძანებთ, ცეცხლი-შეუქე, თქვენც ერთდროულად გაისროლეთ!.. იცოდეთ, ვინაც ჩემს ბრძანებას არ შეასრულებს, არ ესვრის, ანდა დააცილებს, დედას ვუტირებ!..

წამით ისევ სიჩუმე ჩამოწვა, კაცი ბუზის გაფრენის ხმასაც გაიგონებდა. ამ დუმილით ვისარგებლე და უკანასკნელად შევეცადე ძაღლის გადარჩენას: — ერთი წუთით შეჩერდით! — ვიყვირე მე — რაკი მაგ ძაღლს კლავთ, მადლი ქენით და დაბმულს ნუ მოკლავთ მაინც. აუშვით და ისე ესროლეთ, თუ გაიქცა, ზურგიდან დაახალეთ!

ფადიმ-აღა ჩაფიქრდა, მერე ფეხები გაჩაჩხა და დამეთანხმა: — სწორი აზრია! აბა, ჰუქუმ, მიდი და აუშვი შენი ძუნკალი!

— მაგისი აშვება როგორ შეიძლება! ხომ დაგვფლითა ყველა? — იყვირა რომელიღაც მშიშარამ.

ჰუქუმ-ახმედისათვის ფადიმ-აღას სიტყვა კანონი და ალაჰის ტოლფასი იყო. იგი ზოზინით მიუახლოვდა ძაღლს და აუშვა.

მშვიდად ამოვისუნთქე, მეგონა ძაღლი გაიქცეოდა, თავს უშველიდა, ამ სისხლის მოყვარულ ბრბოს პირში ჩალაკამოვლებულს დატოვებდა. მაგრამ დახეთ, იმ სულელ ძაღლს გაქცევა არც უფიქრია, პატრონთან მივიდა და გვერდით ამოუდგა.

— არა, ფადიმ-აღა! — მიმართა მას ჰუქუმმა, — მასწავლებელმა გაგვასულელა! უნდა დაკაბათ ძაღლი!

ფადიმ-აღა მასაც დაეთანხმა. ძაღლი დააბეს. ფადიმ-აღამ, დრო რომ არ დაეკარგა, ბრძანება გასცა — ცეცხლი!

თოფებმა ერთბაშად დაიქუხეს და ცეცხლი გადმოანთხიეს. ძაღლი წკავ-წკავით დაეცა და მიწაზე გორვას და ყმუილს მოჰყვა.

ფადიმ-აღას ბრძანებაზე, მკვლელებმა ისევ დატენეს თოფები და ისევ გაისროლეს. როცა ტყვიებისაგან დაცხრილული, სისხლში გათხვრილი ძაღლი სამუდამოდ მიჩუმდა, ფადიმ-აღა ჰუქუმ-ახმედს მიუბრუნდა და უთხრა:

— კარგია, ეს უვარგისი ძაღლი რომ მოიცილე! ათ დღეში ჩემი ძაღლი დაყრის ლეკვებს, ერთს მოგცემ, ყაიყვანე და გაზარდე!

— იცოცხლე, ფადიმ-აღა! გულუხვი კაცი ხარ და იცოცხლე! — გაუხარდა ჰუქუმ-ახმედს, — აუცილებლად წავიყვან. უძაღლოდ აბა როგორ იქნება?

— ჰო, მოგცემ, ახლა კი ეს მკვდარი ძაღლი გაათრიე და სადმე ხევში გადააგდე!

ჰუქუმ-ახმედმა მკვდარი ძაღლი გაათრია. მკვლელები და სეირის მოყვარულები თნდათან დაიშალნენ.

ორ დღეს პირში ლუკმა არ ჩამიდვია. სულ იმაზე ვფიქრობდი, ჰუქუმ-ახმედმა რომ მითხრა, ჩემი ძაღლი ჰაერს აფუჭებსო!.. მერე ის იყო, ჩემს მეზობელ საითს ვკითხე ამის შესახებ.

— ეს როგორ ვერ მიხვდი? — გაიცინა მან, — კვერცხის-მჭამელი ძაღლები ძალიან მყრალ სუნს უშვებენ... ძაღლი ძაღლია და კვერცხის მჭამელი ადამიანიც რომ ასეა?

არ დავუჯერე. კვერცხის მჭამელი, წუწკი ძაღლების მეტი რაა ჩვენს სოფელში, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს გამიგონია, თანაც, ასეც რომ ყოფილიყო, ჰუქუმ-ახმედი თავის ძაღლს მაინც ვერ გაიმეტებდა სასიკვდილოდ, რომც ეჩივლათ, მაინც ვერ გაიმეტებდა, სოფლის მუხტართან რაღაც ნათესაობა აკავშირებდა და წელი გამაგრებული ჰქონდა. იტყოდა, რა თქვენი საქმეა, ძაღლი ჩემია და ხელსაც არ ვახლებო.

არა, აქ სულ სხვა ამბავთან გვქონდა საქმე. ბევრი ვიფიქრეთ ამის შესახებ ჩვენ სამმა — მე, ჩემმა ამხანაგმა ისმაილმა და დურსუნმა, მაგრამ მაინც ვერაფერი დავადგინეთ. ისმაილმა ეჭვი გამოთქვა, იქნება ჰუქუმ-ახმედმა ცოლს შენიშნა რამეო, მაგრამ ჰუქუმის ცოლი რომ პატიოსანი ქალი იყო, ყველამ ვიცოდით, და ეს ვარაუდი მაშინვე გაბათილდა. ანდა, რა კავშირი ჰქონდა თუნდაც ჰუქუმ-ახმედის ცოლის უსაქციელობას ძაღლის დახვრეტასთან? აბა, რაში იყო საქმე? ვერაფერი რომ ვერ დავადგინე, ისევ ჰუქუმ-ახმედთან მისვლა გადავწყვიტე. ისინი არ წამომყვნენ და მარტო წავედი.

ჰუქუმ-ახმედი ბეედად სახლში დამხვდა. ეზოში საქმიანობდა, მიმჯდარიყო ჩრდილში და ქეციან ვირს ზურგს ფხანდა.

ჯერ აქედან მოვუარე, მერე იქიდან, რა არ ვკითხე ყასიდად, საუბარში რომ ჩავითრიე, ძაღლზე ჩამოვუგდე სიტყვა: — ძალიან მაინტერესებს, ახმედ, და მითხარი თუ კაცი ხარ, ძაღლი რატომ მოკალი?

მან ვირის ფხანას თავი ანება, ჩაიცინა და ჩაილაპარაკა:— ასეა, უცოდინარსა და შეუგნებელს უნდა აუხსნა და შეაგნებინო!

— ამ სოფელში შენზე შტერი, შეუგნებელი და უცოდინარი ვინაა? — გავბრაზდი მე.

პასუხად მან რაღაც ჩაიბურდღუნა ჩემი მისამართით, გვერდზე მიიწია და ადგილი დამითმო ხის მორზე. — დაჯექი, მასწავლებელო!

გვერდით მივუჯექი და საიდუმლოს გაგების მოლოდინში შევაჩერდი.

ჰუქუმმა თავის ვირზე მანიშნა და დაიწყო: — თუ კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკვირდი, მიხვდებოდი, რომ ეს ჩემი სახედარი ჭაკია, ეს ჩემი მუტრუკი ჭყავს მოგებული. გასაკვირი რაა იცი? ექვსივე მუტრუკი ჭაკია! აქედან სამი როგორც იქნა გავყიდე, ის სამი კი ვერაფრით ვერ გავასაღე, იმ სამიდან ერთი ქოს-ალის ბოსტანში შეიპარა და თოფით მომიკლეს. დანარჩენი ორი ბოსელში ჰიბია!..

— მაგი გავიგე! — შევაწყვეტინე მე, — მაგრამ მე ძაღლზე გკითხე, ძეხ კი ჭაკ ვირზე და მუტრუკებზე ძელაკარაკები...

ჰუქუმ-ახმედმა შემაჩერა. — მისმინე და ნუ ხარ მოუთმენელი... დრო მოვა და მაგ ძაღლის ამბავსაც გეტყვი... ჰო, იმას გეუბნებოდი, ექვსივე ჭაკი დაბადა-მეთქი! ჭაკი სახედრის ყოლას, სულ რომ აო გყავდეს რომ სჯობია, ეს კარგად იცი შენ! მართალია ჭაკი სახედარი უფრო ადვილი მოსავლელია, მაგრამ ვინ მოგავლევინებს? ანდა ვინ მოგასვენებს? მთელი ჩვენი სოფლის ბიჭებს თვალები მაგ ჩემი ჭაკეთისაკენ უჭირავთ. არც სიხდისი აწუხებთ და არც ნამუსი. ასეთი გათახსირებულები ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. სულ ჩემს ბოსელში იყრიან თავს. მოსვენება არა მაქვს იმათგან. ხშირად ღამე ვდგები და საქონელივით ვერეკები... ვისთვის უნდა მეთქვა, ვისთვის უნდა შემეჩივლა ასე მჭირს-მეთქი? ჩემი სირცხვილი და თავის მოჭრა არ იყო? მთელი სოფელი მასხრად აძიღებდა! მეტი ვერაფერი რომ ვერ მოვაჩერხე, ერთი ლეკვი ვიყიდე, გავზარდე. კარგი ძაღლი დადგა, სასაყვედურო არაფერი მქონდა. ერთ წელიწადს ქე ვიყავი მოსვენებული. იმისი შიშით ბიჭები სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ ჩემს ბოსელს... — ჰუქუმ-ახმედმა სათქმელი აღარ დაამთავრა და გაჩუმდა.

— მერე, მერე? — შევახსენე დაინტერესებულმა.

— მერე რა, როგორც გითხარი, ისეთი ძაღლი დადგა, ეზოში ჩიტსაც არ აჭაჭანებდა. მიყვარდა, პატივსა ვცემდი, სულ ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებს ვაძლევდი... იმ დღეს, ის იყო ვივახშმე და ვწვებოდი, რომ ბოსლიდან ხმაური შემომესმა. ვიფიქრე, ალბათ ხარს ბაწარში ფეხები დაებორკა და იხრჩობა-მეთქი! კვარს დავავლე ხელი და გავიქეცი, უკან ცოლი და უფროსი გოგო აძედევხა... გავაღე ბოსლის კარი, კვარი მაღლა ავსწიე და... რას ხედავს ჩემი თვალები... სამი ახალგაზრდა რიგში ჩამდგარიყო... კინაღამ გავგიჟდი კაცი! რომ დამინახეს, ისინიც ისე შეშინდნენ, სახეზე მკვდრის ფერი დადოთ... ჭემაინც ჩემი ქალიშვილი არ ყოფილიყო იქ და გარკვევით არ დაენახა ყველაფერი... პირველად ისე დავიბენი, ვერაფერი მოვახერხე. მერე ცოლს ვუბრძანე, კარი მაგრად ჩაკეტე-მეთქი. წამოვუსვი ნიჩაბს ხელი და დავერიე სამივეს: — თქვენ ნამუსგარეცხილებო, თქვე ძაღლის გაგდებულებო და

ჭაკი ვირის შვილებო, თქვენი ტოლა რომ ვიყო, ასეთ სიცოცხლეს
გლეს კი არ ჩავიდენდი, ავდგებოდი და ქალს მოვიტაცებდი-
მეთქი, — მივდექი და ნიჩბის ტარით ცხვირ-პირი გავუსწორე
სამივეს... ფეხებში ჩაგვივარდნენ, გვაპატიეო, შემეხვეწნენ...
ვუთხარი, თუ გინდათ ცოცხალი გაგიშვათ აქედან, მითხარითო
აქ როგორ შემოძვერით-ძეთქი... ჯერ არ გამოტყდნენ, მერე კი.
რომ მივდექი და ვურტყი და ვურტყი, იძულებული გახდნენ
ყველაფერი ეთქვათ: — თქვენი ძაღლი მივიჩვიეთ, საჭმელს
ვაძლევდითო! — ესე იგი, დაქრთამეს! რამდენი ხანია რაც ასე
უნამუსობას ჩადიხართ-მეთქი, მითხრეს. უკვე ექვსი თვეა.
მივდექი ისევ, ვდრუზე და ვდრუზე ნიჩბის ტარი და გარეთ
გავყარე სამივე...

— მერე? — ჩავეძიე მე.

— მერე რა, გამოვბრუნდი დაბოღმილი. ვხედავ ძაღლი
არხეინად წევს დერეფანში. დაქრთამულითაა გამძღარი და რა
ენაღვლება მამაძაღლს? გაბრაზებულმა ფეხი წავკარი. არ დაკ-
რიჭა კბილები და არ შემომიღრინა? გესმის შენ? ერთი დანა-
შაული არ იკმარა და მე, პატრონს, აქეთ შემომიღრინა კიდევ.
რადგანაც ასეა, მე შინ გიჩვენებ სეირს-მეთქი, ვუთხარი და
მერე თქვენც ქე დაინახეთ, მასწავლებელო, თუ რა დღე წავ-
კიდე და როგორ ავასრულე ჩემი წადილი. დავხვრიტე რო-
გორც მოღალატე! ერთი მითხარი, არ უნდა დამეხვრიტა, აბა?

— ასე თუა... — ვთქვი ორჭოფულად.

— კი, ასეა მაგი!.. ერთიც გაითვალისწინე, მასწავლებე-
ლო, როცა კაცის ნამუსზე წამოიჭრება სიტყვა, გახსოვდეს, იქ
ჭაკი სახედარიც ურევია!

ავდექი, მასპინძელს გამოვემშვიდობე. ისმაილს გავუარე
და ყველაფერი მოვუყევი. მან ხომ ეჭვი გამოთქვა ჰუქუმ-ახ-
მედის ცოლზე?

კ ო მ ბ ა ი ნ ი

ავ თვალს არ დაენახვებოდა შერიფ-ალის თვალუწვდენე-
ლი პურის ყანები. მწიფე, მომკელის მომლოდინე, ოქროს-
ფერი და სიმძიმისაგან თავდახრილი თავთავები ნიავის დაბე-
რვაზე ზანტად ირხეოდნენ და დასცქეროდნენ თავიანთ
მასაზრდოებელ მიწას. პურის ყანა, განსაკუთრებით დილდი-
ლობით მზის ამოსვლისას იყო ლამაზი და მომხიბვლელი.

შერიფ-ალი შეძლებული, მდიდარი კაცი იყო. ყველაფე-
რი თავზესაყრელად ჰქონდა. სოფელშიც სახლი ჰქონდა და
ქალაქში. იმ ოლქის ოცდაოთხ სოფელში გაფანტულიყო შე-

რიფ-ალის პურის ყანები, ყოველი ნაკვეთი უზრუნველყოფილი სარწყავი წყლით. ამიტომაც იგი ყოველწლიურად ეშურის დიდ მოსავალს იღებდა. ჩაჰქოხდა ქალაქში, დიდი მოგებით ასაღებდა და თანდათანობით მდიდრდებოდა.

სოფლელები დიდ მემამულესა და დიდ ბატონს ეძახდნენ. ერიდებოდათ და ეშინოდათ მისი. შერიფ-ალის სურვილიც ეს იყო. მას უნდოდა ყოფილიყო დიდი, ყოვლისშემძლე, საშიში და მოსარიდებელი კაცი, დიახ, საშიში!

„შენს დანახვაზე ხალხი შიშით უნდა კანკალებდეს და მონასავით გემსახუროსო“, — უყვარდა ხოლმე თქმა შერიფ-ალის.

ბავშვობა დიდად დალხინებული არ ჰქონია შერიფ-ალის, ორც მაინცდამაინც მდიდარი მშობლები ჰყოლია. როცა მამა გარდაეცვალა და შერიფ-ალი ძმებს გამოეყო, სულ რაღაც ხუთიოდე ქცევა მიწა და ერთი გაქუცული სახლი ერგო წილად. რასაც ცხოვრებაში მიაღწია შერიფ-ალიმ, ეშმაკობითა და მოხერხებით მიაღწია, იცოცხლეთ, ეშმაკობა და მოხერხება კი გააჩნდა გვარიანი, თვით ეშმაკზე ერთი ღღით ადრე იყო დაბადებული.

როცა წამოიზარდა, გამდიდრებაზე იწყო ფიქრი და სულ იმის ცდასა და კირკიტში იყო, თუ როგორ, რა გზით მიეღწია ამისათვის. ბოლოს, ეს გზა როგორც იქნა გამონახა.

როგორც ყველა მამაკაცს, ლამაზი ქალები ძალიან უყვარდა შერიფ-ალის, მაგრამ რაგინდარა ბზეთუნახავი უხდა ყოფილიყო ქალი, თუ მდიდარი და შეძლებული არ იყო, ზედაც არ შეხედავდა, ერთხელ როგორღაც სამი და გაიცნო და ცოტა ხნის შემდეგ იმ სამი დიდან ყველაზე ხნიერი, ყველაზე უშნო და ისიც ნაქმარევი შეირთო. ბევრს, საქმეში ჩაუხედავს გაუკვირდა კიდეც მისი არჩევანი და ზოგ-ზოგი ჩუმად დასცინოდა კიდეც, გემოვნების ნატამალი არ გააჩნიაო, ამბობდნენ მასზე. ძაღლი ყეფდა, მაგრამ ქარავანი თავის გზაზე მიდიოდა, შერიფ-ალი ნაკლებად დაგიდევდათ სხვის ფიქრებსა და სურვილებს. მან იცოდა, რასაც აკეთებდა. საქმე იმაში იყო რომ, იმ სამ დაში ყველაზე მდიდარი და მიწების პატრონი სწორედ ის შუახედავი, ხნიერი და ქვრივი და იყო, შერიფ-ალის კი სიმდიდრის მეტი არაფერი სურდა.

გამოხდა ხანი და შერიფ-ალი მეორეჯერ დაქორწინდა. ამჯერად უკვე უკანონოდ, მაგრამ მისთვის კანონი და სამართალი მხოლოდ და მხოლოდ თავისი სურვილი იყო. მეორე ცოლი პირველზე უფრო ავთვალი, იყო, მაგრამ მიწების პატრონი.

ასე, ასეთი მაქინაციებით გახდა შერიფ-ალი მდიდარი და შეძლებული მემამულე. გარს მოსამსახურეები და ფარეშები ეხვია, საქმეს სხვები აკეთებდნენ, თვითონ კი მთელ ღღეებს

ბანქოსა და ნარდის თამაშში ატარებდა, ანდა მხართეძოზე წამოწოლილი ჩრდილში ნებივრობდა.

ასეთი შეძლებისა და სიმდიდრის პატრონი კაცი მადლიერი უნდა ყოფილიყო ბედისა, იყო კიდეც, მაგრამ სრული სიმშვიდე მაინც არ დაუფლებია მის ხარბ გულსა და სულს. ხანდახან უკმაყოფილებას გამოსთქვამდა შერიფ-ალი. კიდევ უფრო მდიდარი რატომ არა ვარო, წუწუნებდა: — „ოთხი შვილი მყავს, ოთხივეს ხომ უნდა დავუნაწილო ჩემი მიწები? ჰოდა, მე რაღა დამრჩება მერე?“ — ფიქრობდა და უკმაყოფილოდ იჭმუხნიდა შუბლს ფიქრებში წასული. შერიფ-ალი დღე და ღამე სულ ერთი და იგივეს ფიქრობდა — რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, როგორ ჩაეგდო ახალ-ახალი მიწები ხელში, ახალი ნაკვეთის შესაძენად ფულის გამეტებაც არ უნდოდა, წუწურაქა იყო და ფულს თავისი წარწყმედილი სულივით უფრთხილდებოდა... დროის უკმაყოფილოც იყო შერიფ-ალი, წარსულს მისტიროდა, ახალს ეჭვით შესცქეროდა და ახალი დროება მაინცადამაინც არაფრად ეპიტნავებოდა. — „რა ოქროს დრო იყო დალოცვილი?.. — იტყოდა ხშირად, — დღიურ მუშებს ჩალის ფასად იშოვიდი კაცი, რამდენიც გინდოდა იმდენს ნახავდი; ქალი გინდოდა თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. აქეთ გეხვეწებოდნენ გვამუშავეო, ორი კაპიკი გაგვაკეთებინეო!.. ახლა კი... ძალიან გაჭირდა მუშახელის შოვნა... ეს ბამბა მაინც რა ჩემდა ჭირად გამოტყვრა მაინც? რამდენი მუშახელი ჩაეღლაპა ამ ბამბის პლანტაციებმა? იქ თურმე მეტს უხდიან მუშებს და ამ შტერ სოფლელებსაც მეტი კი არ უხდათ. ოღონდ ორი კაპიკით მეტი აიღოხ და არას დაგიდევენ. ცხრა მთას გადაივლიან! ოჰ, ეს ძაღლების ჯოგი! თუ წავლენ და წავიდნენ, ყველანი ხომ ვერ წავლენ დედაბუდიანად? ქვას გავხეთქავ, დღიურ მუშებს მაინც ვნახავ და ზედმეტს, კაპიკი რომ კაპიკია, არ მივცემ!“

* * *

ნამდვილი პაპანაქება იყო, ირგვლივ ზაფხულის ალხი იდგა, მზე მთელი ძალით აჭერდა და ნიავიც არსაიდან იძვროდა. ახლო-მახლო სოფლებში მოკრებილი იაფად ნაშოვნი დღიური მუშები შერიფ-ალის ყანაში პურსა მკიდნენ. სულ ოცდათერთმეტი სული იყო — ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. დასიცხულები. ერთიანად ოფლში გაღვარულები და მტვერში გაგანგლილები. ხმაამოუღებლად, მდუმარედ მუშაობდნენ, წელში წახრილები მარჯვედ უსვამდნენ ალესილ ნამგალს, მკიდნენ პურს, ძხებად კრავდნენ და იქვე აწყობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. მომკელებს ახალგაზრდა გლეხი ხელმძღვანელობდა, მას ძუკოივის ეთაურს ეძახდნენ, ახოვანი, დაკუხთული, ჯანიანი, სხეული ჰქონდა, სახე გარუჯოდა, სქელი კისერი მზისა და წვიმისაგან ჩაშავებოდა. დაკერებული, ძველი, რეცხვისაგან გაძოსუნებული ტილოს მკერდმოღღილი ხალათი ეცვა. ბანჯგვლიანი, განიერი მკერდი ოფლს დაეცვარა, ხალათი ოფლისავან ერთიანად დასველებოდა, მუშაობაში ნამდვილი ცეცხლი იყო, ხალისიანი და დაუდეგარი, სხვებზე სწრაფად მუშაობდა, ყველაზე წინ იყო ძაძი და ყველაზე მეტსაც მკიდა. ჰურს მკიდა, კონებად ახვევდა და აწყობდა. დროდადრო წამით შეჩერდებოდა, წელში გაიმართებოდა, ხელით მოიწრეტდა მუბლზე დაცვარულ ოფლს, ამაყი მზერით გადახედავდა მომკელებს და ომახიანად გასძახებდა: — აბა, გაინძერით, ნუ ზოზიხებთ! — და ისევ საქმეს განაგრძობდა, შრომაში ჩამორჩენა არავის სურდა და მის გადაძახილზე უფრო მეტის მონდომებით ეკიდებოდნენ საქმეს.

საქმე წინ მიიწევდა და შერიფ-ალი კმაყოფილი და მხიარულ განწყობილებაზე ბრძანდებოდა, იგი დიხჯად დააბოტებდა ძოკილ ყანაში და ბაიათებს ღიღინებდა წყხარი, მელოდიური ხმით. ალაგ-ალაგ შემთხვევით შემორჩენილ მოუმკელ თავთავებს შერიფ-ალი სპეციალურად არ ამკევინებდა მომკელებს: — ეს ჩიტებისათვისაა საჭირო, თუ უნდათ ღარიბმა სოფლელებმაც ისარგებლონ ცოტა... ლომის ნარჩენით ხანდახან ტურამაც ხომ უნდა გამოიძღოს კუჭი?

ყახის ბოლოში, საგანგებოდ მოწყობილი საჩრდილობელი იდგა. საჩრდილობელში ბაწრით გაკეთებულ საქანელაში სამიოდე თვის ბავშვი იწვა და მშვიდად ეძინა.

შერიფ-ალი შეფარვით გასცქეროდა მომკელებს და თავისთვის, ბუტბუტით ანგარიშობდა: — „თუ ასე იმუშავეს ამათმა, და თუ ამინდმაც შემიწყო ხელი, სამ დღეში მოვრჩები მკას, შერე განიავებას შევუდგებით და ის იქნება! ცოტა ხანში ურმებს გამოვგზავნი და თავთავების კალოზე გადაზიდვას შევუდგები!"

ყანის ბოლოში, ფერდობზე ღრუბელივით შეფენილიყო ცხვრის ფარა და არხეინად ძოვდა.

იქვე, მაღლობზე მარტოდმარტოდ, ეულად იდგა კომბალზე ხელისგულებდაყრდნობილი ახალგაზრდა მწყემსი, რომელიც მოწყენილი და დაფიქრებული გადმოსცქეროდა ზემოდან მომკელებს. ახალგაზრდა მწყემსი მათ ბედს შენატროდა ახლა. მართალია, იქ საქმეა, მაგრამ საქმისა როდი ეშინია მას, მთავარია გამომლაპარაკებელი, დარდისა და ვარამის გამზიარებელი ეყოლებოდა გვერდით. მწყემსი კი ყოველთვის მარტოა, დადის კლდე-ღრეში, დასდევს ცხვარს, სადაც უღამდე-

ბა, იქ უთენდება და მოწყენილობისაგან აღარ იცის, რა ქნას, ცხვარს ხომ ვერ დაელაპარაკება, აბა?

სიცხემ იძალა, უფრო ჩამოცხა და ჩამოიხუთა. მომკელები შრომის ეშხში შევიდნენ. უკვე აღარ დაგიდევდნენ მზესა და სიცხეს. მოულოდნელად ერთმა სიმღერა წამოიწყო. მას მეორე აჰყვა, მერე მესამე და გაიმართა მხიარული ნადური.

შერიფ-ალიც გამხიარულდა და ხალისიანად შეუძახა მომკელებს: — იცოცხლეთ! იხარეთ, ლომებო, იხარეთ! ჩემი ფულები ალალი იყოს თქვენთვის! ნაშუადღევს ერთი ფუთი ხალვაც ალალი იყოს თქვენთვის!

ქირზის ჩექმები ეცვა შერიფ-ალის, ხელში ვერცხლისტარიანი მათრახი ეჭირა. ჩექმებზე მათრახს იტყლაშუნებდა, დააბოტებდა მომკელებს შორის და ამხნევებდა მათ. გლეხები მთელი მონდომებით შრომობდნენ, ცდილობდნენ კარგად ეშრომათ და პატრონის მადლობა დაემსახურებინათ.

მწკრივის ბოლოში ერთი ახალგაზრდა ქალი შეამჩნია შერიფ-ალიმ და გამოცდილი მზერა მიაბჯინა: წვრილი წელი, მაღალი, მოღერებული ყელი, ეშხიანი სახე, მაყვალივით შავი თვალები... შველი იყო, ნამდვილი შველი იყო, რაღა!.. ძველი, გახუნებული, მრავალ ალაგას დაკერებული კაბა ეცვა ქალს. ერთგან, გამოხეული კაბიდან მაცდურად იმზირებოდა ვარდისფერი ბაყვი...

ქალი გამალებული მუშაობდა. არაფერსა და არავის აქცევდა ყურადღებას, გამალებით კრავდა კონებად მოჭრილ თავთავებს. მოხიბლული ავხორცი, ნდომით ატანილი შერიფ-ალი მონუსხული შესცქეროდა ქალს, თვალს ვეღარ აშორებდა და მშიერ ტურასავით ილოკავდა სქელ, მშრალ, გადმოფლაშულ ტუჩებს.

ქალმა ინსტინქტით იგრძნო ვიღაც რომ უცქეროდა თუ შემთხვევით მოიხედა უკან, ბატონის მიშტერებულ, ავხორცულ თვალებს რომ წააწყდა, დაიბნა, კონად შეკრული თავთავი ხელში გაუშშალა და თვალი აარიდა: — რა ქნას ახლა? ბატონი უყურებს, ვაითუ ნამუშევარი დაუწუნოს, ვაითუ არ მოეწონოს მისი საქმიანობა! მაშინ რაღა ქნას? რა წყალს მისცეს თავი? — შუბლზე დაცვარული ოფლი მოიწმინდა და კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით მიეძალა საქმეს.

შერიფ-ალი კი სხვაგან აღარ მიდიოდა უკვე. რომ მიასო ფეხი, აღარ მოსცილდა იქაურობას. — აბა, იცოცხლეთ, იცოცხლეთ! — გაიძახოდა ყასიდად და გულის გარეთ ამხნევებდა სხვებს, მათრახს ჩექმის ყელზე იტყლაშუნებდა და შესცქეროდა მუშაობაში გართულ ქალს. იგი თანდათანობით იხიბლებოდა ქალის სუსტი წელითა და განიერი თეძოებით: —

„ცოლი თუ გეყოლება კაცს, ასეთი მანიც უნდა გყავდეს“ — ფიქრობდა იგი. — განიერი თეძოები და მსხვილი ბარძაყები უნდა ჰქონდეს ქალს, რომ კაცსაც ასიამოვნოს და ჯანმრთელი, ლომებივით ბავშვები შობოს!.. თუ მოუვლი და აჭმევ, ასეთს უნდა ასვა და აჭამო. ასეთი ქალი კარგ ტანსაცმელსაც კარგად შეიფერებს... ახლა ამასთან დაწოლაც რა ეღირება, რა ძკლავები აქვს, რა გულმკერდი! ვინაა ხეტავი?“

მომკელებმა გაინაპირეს და თანდათანობით დაშორდნენ შერიფ-ალის. ქალიც მათ მიჰყვა. შერიფ-ალი კი ადგილზევე დარჩა. იდგა, იტყლაშუნებდა ძათრახს ჩექმის ყელზე და თვალმოუშორებლად გასცქეროდა ქალს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობდა და შეშინებული ფიქრობდა:

„როგორ მოწონს ნეტა ბატონს ჩემი ნამუშევარი? ხომ არაფერს მისაყვედურებს ნეტა? რატომ შემომყურებს ასეთი დაშტერებით?“ — მართალია, იმ ადგილს, სადაც ბატონი იდგა, საკმაოდ დაშორდა, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც გრძნობდა, რომ ბატონი უცქერდა.

ქალმა ქოხის მაგვარ საჩრდილობელს მიაღწია, ბავშვის ტირილი მოესმა. შეცბა, შეწუხებულმა მიმოიხედა. იქ, საჩრდილობელში მისი ბავშვი ტიროდა. ბავშვს უნდა დახედოს, ძუძუ უნდა მოაწოვოს მოშივებულსა და ამიზეზებულს, მაგრამ როგორ უნდა ქნას ეს, როცა ბატონი უცქერის? — „ეჰ, რაც იქნება, იქნება, ბავშვს უნდა მივხედო. თუ გამაგდეს, ჯანდაბა ჩემს თავს, გამაგდოს!“ — გაიფიქრა და საჩრდილობელში შერგო თავი.

მშიერი, დასიცხული, ოფლში გაღვრილი ბავშვი ტირილით იჭაჭებოდა. ბავშვი აიყვანა, თავზე გადაკრული, ოფლისაგან სველი ცახოცი მოიხსნა, დაუბორიალა, მერე საკინძე გაიხსნა, რძით გატიკნილი ძუძუ ამოიღო და პირში ჩაუდო. ბავშვმა ტირილი შეწყვიტა და კმაყოფილი კრუტუნით შეუდგა წოვას.

შერიფ-ალი ისევ იმ ადგილას იდგა, რაღაცაზე ჩაფიქრებულს ულვაშის ბოლო მოექცია პირში და იწიწკნიდა, მერე თავი აიღო და მწკრივის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა გლეხი ოავისთან მიიხმო თითის დაქნევით.

ახალგაზრდა გლეხი მაშინვე მასთან გაჩნდა და იკითხა: — რას მიბრძანებთ, ბატონო?

— ის ბავშვიანი ქალი ვინაა, ბიჭო?

ახალგაზრდა გლეხი მიუხვდა, თუ რომელ ქალზე იყო ლაპარაკი და სხაპასხუპით მიუგო: — ჩვენი სოფლის მეველის, სულეიმანის ცოლია, ბატონო! სოფლელი კაცები ყველანი ქალაქში ან ბამბის პლანტაციებში არიან წასულები სამუ-

შაოდ, მეც მეტი ვერავინ ვერ ვნახე აქ წამოსაყვანი და ესეც
ეროვნული
ბიბლიოთეკა
წამოვიყვანე! ბავშვიანია, მაგრამ...

შერიფ-ალიმ საჩრდილობელისაკენ გაიხედა.

— არ მინდოდა მაგისი წამოყვანა, — განაგრძო ახალგაზრდა გლეხმა, — მარა, ძალიან მეხვეწა, ბატონო. მაგისმა ქმარმა ერთი ჩვენი სოფლელის ძროხას ფეხი მოამტვრია, გლეხმა იჩივლა, მუხტარმა დაიბარა მეველე და იმ გლეხის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდა დააკისრა. აბა რით უნდა გადაეხადა, როცა ის საცოდავი ოცდაათ ლირას ღებულობს თვეში... ჰოდა, ქალაქში წაყვა მეზობლებს დღიურ სამუშაოზე... ეს ქალი ზამთარ-ზაფხულს ასე მუშაობს და ეხმარება ქმარს... მეხვეწა, მეც წამიყვანე, იქნება ორი კაპიკი ფული მეც გავაკეთო და ეაბა ჩავიცვა ტანზეო. ხომ ხედავთ, სულ შემოხეული აქვს კაბა... შემეცოდა, ბატონო, გაჭირვებული რომ არ იყოს, ამ სიცხეში სამი თვის ბავშვს ამოდენა გზაზე რა წამოაყვანინებდა?

შერიფ-ალი ჩაფიქრდა, ულვაშები გადაიგრიხა და ჰკითხა: — რა ქვია მაგ ქალს, ბიჭო?

— ფათმა! ფათმა ქვია, ბატონო!

შერიფ-ალიმ თავი დახარა. მათრახი ჩაფიქრებით დაიტყლაშუნა ჩექმაზე და თქვა: — შემებრალა სწორედ! კარგი გიქნია რომ წამოგიყვანია. იმუშავებს, ორ კაპიკს აიღებს და ტანზე ჩაიცვამს მაინც.

— მუშაობით არ მუშაობს ცუდად! — გამოესარჩლა ქალს ახალგაზრდა გლეხი.

— კი, კარგად მუშაობს, კომბაინია ნამდვილი! — ჩაილაპარაკა შერიფ-ალიმ, — წადი ახლა და მიხედე საქმეს.

გლეხმა თავი დაუკრა, გაბრუნდა და საჩრდილობელში შესულ ფათმას გასძახა: — ჩქარა გამოდი, ფათმა, ბატონი არ გაგიჯავრდეს!

ფათმა აჩქარდა, ბავშვს ძუძუ მოაწოვა, საქანელაში ჩააწვინა, საკინძე შეიკრა და საჩრდილობელიდან გამოსული ისევ მწკრივში ჩადგა.

როგორც კი ფათმა მწკრივში ჩადგა, შერიფ-ალიმ ადგილი მოინაცვლა, მწკრივს დაუახლოვდა და ფათმას შორიახლოს გაჩერდა: — „მეუბნებიან, კომბაინი იყიდეო, რად მინდა კომბაინი? ტყუილად გადავყარო ფულები? ეს ფათმა რომელ კომბაინს არა სჯობია?“ — ფიქრობდა იგი.

მუშაობაში გართული ფათმა კი სულ სხვა რამეს ფიქრობდა: — „ბატონი ჩემს უკან დგას და მითვალთვალებს, ვაითუ მისაყვედუროს, ბავშვი რატომ წამოიყვანეო, აბა ასეთ პატარას ბედის ანაბარად ხომ არ დავტოვებდი სოფელში? ისიც საკმარისია, ორი ბავშვი რომ დავტოვე. ნეტავი რას შვრებიან ახლა? იქნება შიათ, იქნება წყურიათ?.. ჭკვიანი ადამიანი მე-

ველად არ გახდება. არც მეველეს უნდა გაყვეს ჭკვიანი ქალი ცოლად. ხალხი უპატრონოდ ტოვებს საქონელს, ძროხამ ვბა ორ იცის, დურთებს თავს და შედის ყანასა და ბაღჩაში. შენ კი, მეველე რომ ხარ, უნდა დაიჭირო და დაამწყვდიო. არ დაიჭერ, ყანის პატრონი გაჯავრდება. დაიჭერ და ძროხის პატრონი ჯავრობს, რა ქნას საწყალმა მეველემ? არის ასე ჩავარდნილი ორ ცეცხლს შუა, დარბის ენაგადმოგდებული, მეველეობაში აღებული ხელფასი ქალამნის საყიდლადაც არ ყოფნის... ერთი ეს სულეიმანიც დიდი შტერი ვინმეა. კაი, თუ ურტყამ ძროხას, ისეთ ადგილას უნდა დაარტყა, რომ არ დაემჩნეს. მაგან კი ასწია და ქვით ფეხი მოამტვრია, მიდი ახლა და იხადე ჯარიმა, ორასი ლირა! სადა გვაქვს რომ მივცეთ? მე რომ ვიყო, არ მივცემდი, მიხედოს ყველამ მის-მის ძროხას და არ იქნება მასე!.. სამი თვის ბავშვით, ამ სიცხეში რამდენი დღე უნდა ვიმუშაო ახლა, რომ ის ჯარიმის ფული გადავიხადო?.. ეს შერიფ-ალიც ხომ სულ მე მითვალთვალებს, ალბათ ფიქრობს, ეს ბავშვიანი ქალი რას გამიკეთებსო, მზემაც როგორ დააჭირა, იწვის ყველაფერი, საშინლად მტკივა ეს ოხერი წელი, ახლა ერთი დამასვენა და მეტი არაფერი მინდა!“..

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ოდნავ დაჰბერა ბორიომ. მომკელებმა ცოტათი სული მოითქვეს, უფრო ხალისიანად ამუშავდნენ, ძნებს კრავდნენ, ურმებზე აწყობდნენ და კალოზე აგზავნიდნენ.

შერიფ-ალი ისევ მომკელებთან ტრიალებდა, შესცქეროდა ფათმას და ვინ იცის, უკვე მერამდენედ იმეორებდა გუნებაში: — „კომბაინი იყიდეო, რათ მინდა მე კომბაინი? ეს ფათმა მაინც რა მუშა ქალია, იცოცხლე შენ, იცოცხლე... კომბაინმა მაგაზე მეტი რა უნდა გამიკეთოს? მაგაზე კარგად უნდა მომიმკას კომბაინმა ყანა?“

— არა, არა! — წამოიძახა ხმამაღლა, — ეს ფათმა ნამდვილი კომბაინია, კომბაინი!

მომკელებმა გაიგონეს ბატონის ნათქვამი, გაიცინეს და ფათმას მაშინვე უწოდეს კომბაინი.

შერიფ-ალიმ დაპირება შეასრულა და ხალვა მოიტანა, განაწილებითაც მანვე გაანაწილა, და იმდენი ეცადა, ფათმას ყველაზე მეტი შეახვედრა: — ბავშვიანი ქალია, ყველაზე მეტი მაგან იშრომა და ეკუთვნის, ჭამოს!

— ბატონმა კომბაინი გიწოდა, ფათმა! — ბატონის თვალში ბრწყინავხარ, უკვე! — ეუბნებოდნენ მომკელები ფათმას და ბედნიერი, სიხარულით ატანილი ქალი ჩუმად, მოკრძალებით იღიმებოდა.

ხალვის ჭამა მოათავეს და ისევ შეუდგნენ მკას. შერიფ-ალი ისევ ფათმას მახლობლად იდგა და ისევ არ აშორებდა

მზერას, ისევ ილოკავდა ტუჩებს წუწკივით და ფიქრობდა: — „ძალიან კარგი ქალია ეს ფათმა, მაგრამ რად გინდა მერე, იმ ტყიური მეველის ხელში ჩავარდნილა საწყალი, რა არის სოფლის ორკაპიკიანი მეველე? ტიტველი დაუდის ცოლი, კაბაც კი ვერ უყიდია, რომ ჩააცვას. რა ქალი ჩაუგდია ხელში იმ შობელძაღლს, სად ეს ქალი და სად ის ტურტლიანი მეველე? ასეთ ქალს კარგი კაბა უნდა, კარგი ჩაცმა-დახურვა უნდა... უჰ-უჰ! რა იქნება... რა ბარძაყები აქვს, რა ბარძაყები! სამოთხეა წამდვილად, სამოთხე!“

საჩრდილობელში ისევ აჩხავლდა ბავშვი. ფათმამ გაიგონა ბავშვის ტირილი, შეცბა, წელში აიწურა, შეწუხებული მზერა მიაპყრო საჩრდილობლის მიმართულებით, სურდა მისულიყო ბავშვთან, დაეწყნარებინა, ძუძუ მოეწოვებინა, მაგრამ როგორ? ბატონი ედგა გვერდით, მას შესცქეროდა და მისი შიშით ადგილიდან დაძვრა ვერ გაებედნა.

— ხომ ხედავ, ბავშვი გიტირის! წადი, მიხედე ბავშვს! — უთხრა შერიფ-ალიმ.

ფათმამ მადლიერი, მადლობით აღსავსე მზერა შეავლო ბატონს და საჩრდილობელს მიაშურა მაშინვე... მუშაობა დაღდა და გადმოდაღდა. მომკელები მკიდნენ და მღეროდნენ. ურმებს მომკილი პური კალოზე გადაჰქონდათ, ფერდობზე ისევ ძოვდა ცხვარი და კომბალზე დაყრდნობილი, გაუნძრევლად მდგარი მწყემსი ისევ მოწყენილი და დაფიქრებული გადმოსცქეროდა მომკელებს.

აწრიალებულმა შერიფ-ალიმ ტურასავით მიმოიხედა აქეთ-იქით, ყველა რომ თავთავიანთ საქმეში გართული დაინახა და დარწმუნდა, მისთვის სათვალთვალოდ არავის ეცალა, იმედმოცემულმა ნაბიჯს აუჩქარა და მალე საჩრდილობელში დურთა თავი.

— ფათმა! — დაუძახა შერიფ-ალიმ, როგორც კი საჩრდილობელში შევიდა.

ფათმა მობრუნდა, ბატონი რომ დაინახა, შეცბა, შეიშმუშნა, ლოყები აუწითლდა, მოღიალებულ გულმკერდზე ხელისგული აიფარა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ შერიფ-ალიმ არ დაანება, გვერდით მიუჯდა, ბავშვს მიაჩერდა და ყასიდად თქვა: — რა კარგი ბავშვი გყოლია, ფათმა! ანგელოზია ნამდვილად!

ფათმა კიდევ უფრო გაწითლდა, უხერხულობაში ჩავარდნილმა ვერაფერი მოახერხა და, რა ვიცი, ბატონოო, ჩაილაპარაკა.

— ლამაზი დედა ლამაზ შვილს შობს! ლამაზი ხარ და რა გასაკვირია ლამაზი ბიჭი რომ გყავს! — შერიფ-ალი მოურიდებლად მიაჩერდა ფათმას.

ფათმამ თავი დახარა და მიწას დააჩერდა.

— შენ კარგი ქალი ხარ, ფათმა! — განაგრძობდა შერიფ-ალი, — შენ ოქრო ქალი ხარ, ფათმა! მაგრამ ხომ იცი, ნათქვამია, ტყის კარგ მსხალს დათვი ჭამსო! მწყინს რომ ვერაფერი შვილი ქმარი შეგხვედრია და ბედი დაგწყია!

ფათმა დაიბნა, იგი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ ეუბნებოდა ასეთ რამეს ბატონი, რა სურდა მისგან.

შერიფ-ალი დროს არ კარგავდა, თანდათანობით მიიწევდა ქალისაკენ და სურდა სიტყვებით გაებრუებინა იგი: — სამწუხაროა, აქამდე რომ არ გიცნობდი, ფათმა! ო, რა ცუდია, აქამდე რომ არ გიცნობდი! — დაღლილივით ქშინავდა ხმაათრთოლებული და თვალებანთებული შერიფ-ალი.

ფათმამ კიდევ უფრო ჩაჰხარა თავი და მორცხვი, ძლივსგასაგონი და ათრთოლებული ხმით იკითხა: — ჩემი გაცნობა თქვენ რაში გჭირდებათ, ბატონო?

შერიფ-ალის ცელქმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე: — ვერ მიხვდი, ფათმა? რატომ და შენ და შენს ქმარს ჩემს მამულში გადაგიყვანდით და გაცხოვრებდით.

ფათმამ შეფარვით შეხედა და ლოყაზე ჩამოისვა ხელი: — შენს მამულს მეველე არ ყავს, ბატონო? — იკითხა მიამიტად.

მისმა გულუბრყვილობამ შერიფ-ალი გაამხიარულა, გაეცინა, ულვაშები გადაიგრიხა და როგორც შეეძლო, გრძნობით, გულში ჩამწვდომი ხმით უთხრა: — მე მეველე რაში მესაჭიროება, მეველეების მეტი რა მყავს, ფათმა! მე შენ, შენ მესაჭიროები, ფათმა!

მხოლოდ ახლა, ამ სიტყვების მერე, ისიც მიახლოებით გაიგო ფათმამ ბატონის გულის ნადები, შეშინდა, სველი ბარტყივით მოიბუზა, ხმა ვერ ამოიღო და თვალი ვერ გაუსწორა. ქალის დუმილით გულმოცემულმა და გათამამებულმა შერიფ-ალიმ დრო არ დაკარგა, სანამ თონე ცხელია, ბარემ პური დროულად გამოვაცხოო, გაიფიქრა, მიიწია ქალისაკენ, მუხლი მუხლზე მიადო, სახე ახლოს მიუტანა სახესთან და გრძნობამორევით, დაუოკებელი ვნებისაგან ათრთოლებული ხმით, ჩურჩულით უთხრა: — მე შენ მესაჭიროები, ლამაზო, შენ!

ფათმამ თვალები დახუჭა, აკანკალდა და ისე დაიბნა, ისიც კი ვერ მოახერხა გვერდზე მიწეულიყო, ანდა ამდგარიყო, სანამ დრო იყო საჩრდილობელიდან გასულიყო და თავი გადაერჩინა.

— ჩემო ლამაზო, ფათმა! — განაგრძობდა ჩურჩულს შერიფ-ალი, — შენ მე გადამრიე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— . . . . . .

— ჩემო შავთვალა ფათმა!

— . . . . . .

— ენა ამოიღე, ქალო! — მოულოდნელად გაბრაზდა შერიფ-ალი.

ფათმა შიშისაგან აკანკალდა.

— მთებისა და ტყის ლამაზო ჩიტო, ფათმა! სოფლის ლურჯო იავ, გენაცვალე, ფათმა! — ისევ დაუყვავა შერიფ-ალიმ.

— რა გინდა ჩემგან, ბატონო? — როგორც იყო გაიღო ხმა ქალმა, — რა გიხდა ჩემგან?

შერიფ-ალიმ ახლა კი შეიკრა შუბლი და ხმას აუწია: — რა გიხდაო!.. შეხედე ერთი ამ უნამუსოს! — თვალები დააბრიალა და მუშტი აიმართა, — უყურე ერთი, მე როგორ სიტყვებს ვეუბნები, ეს კი...

— უნამუსოს რატომ მეძახი, ბატონო? — ლამის ატირდა ქალი, — ჩემი უნამუსობა რაში შეამჩნიე? შენ ბატონი ხარ, სახელიანი კაცი, ავტორიტეტი გაქვს, ჰოდა, ნურც მე შემარცხვენ, ბატონო, და ნურც თავს შეირცხვენ! ცუდი ხომ არაფერი მითქვამს?

— ცუდი?! მეტი რა უნდა გეთქვა? ბატონს ასე უნდა მოეპყრა? — თვალებს აბრიალებდა შერიფ-ალი და მუშტს მუხლისთავზე ირტყამდა. მერე მოულოდნელად დაწყნარდა და საქმეს შეუდგა. ქალს ჯერ მხარზე მოუთათუნა ხელი, მერე მუხლისთავზე, მერე კი გატიკნილი ძუძუები მოუსრისა, ბოლოს გავეშებული დაეძგერა, ხელი მოხვია, ქმენით ჩაეხვია, ჩაბუბნა და მიწაზე წამოაქცია.

ფათმა წამით გააბრუა გავეშებული კაცის ტლანქმა, გამიზნულმა ალერსმა, წამით მინებდა, მერე გამოფხიზლდა, მძლავრად გაიბრძოლა, გამოუძვრა ზემოდან მთასავით დაწოლილ ზონზოროხა შერიფ-ალის, თმაგაწეწილმა და ბრაზისაგან შეშლილმა. იქვე, კუთხეში მიგდებულ რიყის ქვას წამოუსვა ხელი და მისკენ დახრილ შერიფ-ალის გამეტებით, მთელი ძალით მოუნაცვლა შუბლში.

შერიფ-ალი შებარბაცდა, გრძნობა დაკარგა და მიწაზე დაენარცხა. გახეთქილი შუბლიდან სისხლი მოწანწკარებდა.

შიშისაგან მიცვალებულივით გაფითრებულმა ფათმამ უკან დაიხია და თვალები დახუჭა.

— მე შენ გაგაფრთხილე, ბატონო, შენ კი არ მომეშვი, დასაბრმავებელო! — თქვა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერიფ-ალი თანდათან მოდიოდა გრძნობაზე, თანდათან იტანდა სიბრაზე, წამოდგომა დააპირა, ძლივს აითრია წელი და ქალისაკენ წაიწია.

ფათმამ, ხელი, რომელშიაც გასისხილანებული ქვა ეჭირა, ზემოთ აღმართა და გააფრთხილა: — აბა, ერთი გაბედე და ბომეკარე, ვნახავ შენს სეირს მაშინ! — ამას კი ამბობდა, შაგრამ ძალიან შეშინებული და შეცბუნებული იყო, ეს რა ჩაიდინა, ბატონს ქვა სთხლიშა, შუბლი გაუხეთქა, სისხლი ადინა.

შერიფ-ალი, ქალის ანთებული თვალები რომ დაინახა, შეჩერდა, ვერ გაბედა ნაბიჯი გადაედგა მისკენ: — ადამიანი თავის ბატონს რომ ასეთ საქმეს წაკიდებს... — ჩაილაპარაკა და სისხლი მოიწმინდა.

— ბატონი რომ ხარ, იცოდე, როგორ მოიქცე! — შიში დაძლია ფათმამ, — ცოფიანივით რას დამეტაკე?

— ადამიანი რომ თავის ბატონს... — მოშლილი პატეფონიანით ხრიალებდა შერიფ-ალი და აკვიატებული იმეორებდა ერთი და იგივეს.

— შენისთანა ბატონს ქვა უხლია თავში! — მიაძახა ფათმამ, ქვა გადააგდო, თავისი ღარიბული ბარგი ფუთაში გამოკრა, ბავშვი აიყვანა, მკერდზე მიიკრა, საჩრდილობლიდან გავიდა და დაადგა მტვრიან, მზით გავარვარებულ გზას თავისი შორეული სოფლისაკენ.

გაყინულ მჩვარივით გაშეშებული შერიფ-ალი იდგა გაოგნებული, თვალებს ახამხამებდა და ტუჩებს აცმაცუნებდა. ბოლოს ამოიქშინა, თავი ასწია, მიმოიხედა და ჩაილაპარაკა: — გლეხის ტურტლიანი, ბინძური გომბიოსავით ხელი ვერ შეგივლია კაცს. ეგაა საქმე? ეეჰ, მოკვდა, მოკვდა უკვე ბატონობა!

მოულოდნელად საჩრდილობელში ახალგაზრდა მწყემსმა შემოიხედა. მას ცხვრის ფარა ფერდობიდან დაბლა ჩამოერეკა, ნაპურალში მიეშვა, თვითონ კი ბატონის მოსაძებნად წამოსულიყო. სისხლში გაღვრილი შერიფ-ალი რომ დაინახა, გაოცებისაგან პირი დააღო და ძლივს ამოღრაღნა: — რა მოგივიდა, ბატონო შერიფ-ალი?

შერიფ-ალიმ მუშტი შეკრა და თვალები დაუბრიალა: — რა უნდა მომსვლოდა, ბიჭო? რა შენი საქმეა? დაგპატიჟე? მოგიხმე? კითხე? დაგავალე რამე?

გაოგნებულ მწყემსს ვერ გაეგო, რა ცოდვა ტრიალებდა ბატონის თავზე, რატომ უყვიროდა, რატომ თათხავდა ასე.

ფათმაზე დაბოღმილი შერიფ-ალი კი მწყემსზე იყრიდა ჯავრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგი არ იყო და მემამულე. ერთი საცოდავი, ღარიბი ქალი იყო აიშა, კალოზე სულ სამი ხვავი ჰქონდა მიტანილი გასალეწად, ერთი ხვავი ქერი იყო, მეორე — ჭვავი, მესამე კიდევ — ხორბალი.

მარტოხელა ქალი იყო აიშა. ქმარი და მარჩენალი არ ედგა თავზე. ყველაფერი მისი საზრუნავი იყო, მისი მისახედი... ჯერ იყო და, საშემოდგომო ხვნას შეუდგა. იმდენი იმრომა, გაწყდა ქალი წელში. როგორც იყო მორჩა, მერე კალოს მიადგა და პირველად ჭვავის ლეწვას შეუდგა. მოგეხსენებათ, ჭვავი რა ძნელი გასალეწია. არც ხელსაწყო ჰქონდა ხეირიანი. კევრში ერთი ბებერი, გაქუცული, შიმშილისაგან ფერდებჩავარდნილი ხარი ება, მეორეში კი გაძვალტყავებული ბებერი ძროხა. ასეთი გამწევი ძალის შემხედვარეს აბა რა იმედი უნდა ჰქონოდა? ძალიან წუხდა და განიცდიდა აიშა მარტოხელობას, სულ თავის უიმედო ბედზე წუწუნებდა: — სხვებივით ხელისწამომშველებელი და დამხმარე რომ მყავდეს, რა მიშავდა მაშინ მე უბედურს? ღმერთმა დასწყევლოს ჩემი გაჩენის საათი, ღმერთმა!

მზე მთელი ძალით აჭერდა. ენა და ბაგე ისე გაშრობოდა ქალს, ტუჩები ლამის აწებებოდა ერთმანეთზე. კევრზე მდგარს სიცხისა და დაღლილობისაგან მუხლები უკანკალებდა, ოფლში გაღვრილი და ძალაგამოლეული ძლივს იკავებდა თავს, რომ კევრიდან არ ჩამოვარდნილიყო. ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა, დროდადრო ხან ხარს გადაჰკრავდა ჯოხს, ხან კიდევ ძროხას და ორივეს ამხნევებდა: — ჰადი, ჰო, გასწით, ჰო!

კალოდან ამდგარი მტვერი ჰაერში ტრიალებდა, ედებოდა სველ, გაოფლილ სხეულს და საშინელ ქავილს იწვევდა. ამ საშინელ ბუღში სუნთქვა ძალიან უჭირდა ქალს. მარტო მისი კალოდან ამდგარ მტვერს ასე თუ ისე გაუძლებდა როგორმე... მისი კალოს მახლობლად მოლა-ალის კალო იყო, სადაც მისი მუშები ჭვავს ლეწავდნენ. ბედი რომ უნდა ყველაფერს: ქარს მტვერი პირდაპირ აიშას კალოზე მოჰქონდა.

ჩქარობდა აიშა, ჩქარობდა სხვებიც. შეშინებულები იყვნენ სოფლელები, სამი წლის წინანდელი უბედურება ახსოვდათ. იმ წელიწადს მოულოდნელად მოვიდა წვიმა, წაიღო სოფლის კალოები, სულ ერთიანად დახვეტა და სოფელი მშიერი იატოვა. ამიტომ ჩქარობდა აიშა, არ ეპუებოდა დაღლას, მტვერსა და სიცხეს.

ბოლოს მაინც ვეღარ გაუძლო, დაღლამ თავისი გაიტანა. მიხვდა, თუ ცოტას არ დაისვენებდა, მეტს ვეღარ გაუძლებდა, დაეცემოდა და მოკვდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნდა დავისვენო! — ჩაილაპარაკა, კევრი შეეჩერა და გალეწილი ჭვავი ერთად მოაქუჩა, — ცოტა ხარ-ძროხაც უნდა დაპასვენო. ჩემს უბედურ შვილსაც დავხედო უნდა.

აიშას ავადმყოფი შვილი ისმაილი კალოს მახლობლად, ურმის ჩრდილში იწვა ჭილობზე, აიშამ პირუტყვს წყალი დაალევინა და მერე ფეხაკრეფით მიუახლოვდა ავადმყოფს. მუშაობაში გაერთო. შვილი სულ გადაავიწყდა და ახლა არ იცოდა, ცოცხალი დახვდებოდა თუ მკვდარი... ბიჭს ეძინა. ,ქერა თმა, რომელიც კულულებად ეყარა შუბლზე, ოფლს ერთიანად დაესველებინა, სახეზე პურის მარცვლებივით ეყარა ოფლის წვეთები, აიშა დაიხარა, მძინარეს ფრთხილად მოწმიხდა ოფლი. — ოჰ, ჩემო ჯიგარო, ჩემო თვალო! შენს ჩემზე მჩუქებელ ღმერთს რა იქნებოდა, შენი დარდის, შენი სატკივრის წამალიც რომ მოეცა?! — თავი ასწია, ხელები აღაპყრო და ჩურჩულითვე განაგრძო: — მაღალო და ყოვლისშემძლე ღმერთო, რა იქნებოდა დაგენახვებინა ჩემთვის შენი ყოვლისშემძლე ძალა. პატრონობა გაგეწია ჩემდა და ჩემი საცოდავი შვილისათვის, ღახმარებოდი ისმაილს, დაგეწყნარებინა ტკივილი... ღმერთო დიდებულო, მიხედე ჩემს ისმაილს, ნუ მომიკლავ მას! — ავადმყოფს დოლბანდი გადააფარა სახეზე და მიტოვებული კევრისაკენ გასწია: — „ყოველ ღამეს დილა მოსდევსო, ნათქვამია. მაგრამ რატომ ჩემთვის არ თენდება ეს დილა? რატომაა ჩემთვის ყოველთვის ღამე და ბნელი?... ისმაილი რომ მოიკეთებს, ოთახებს დავწმენდ-დავაკრიალებ, სოფლის გზაზე ქვებს ავკრიფავ, ღმერთს მამალს დავუკლავ, ჩემზე უფრო ღარიბის ბავშვებს პერანგებს ვუყიდი!.. როგორი ლამაზი ბიჭი იყო ჩემი ისმაილი, ტოლებში გამორჩეული. ახლა კი რა სანახავია, როგორ დაგლახა ავადმყოფობამ!“ — ფიქრობდა კევრისაკენ მიმავალი და მტვრიან, მზისგან გახურებულ მის ლოყებზე სველ კვალს ტოვებდა ცრემლი.

კარგა ხანს მუშაობდა აიშა და თან ტიროდა. საქმე ნელ-ნელა მიიწევდა წინ. ძალღონეგამოლეული პირუტყვი ზანტად, ლასლასით ეწეოდა უღელს... აიშა დაიღალა, ჯანიც გამოელია, შვილის დარდმა ხომ სულ მოუთავა ხელი... პირუტყვი შეაჩერა, კევრიდან გადმოვიდა და ჩაილაპარაკა: — ფუ დარჩება და დარჩეს ჩემი კალო! წვიმა თუ მოვა, მოვიდეს, თუ ნიაღვარი მოვა, დაე წაიღოს ნიაღვარმა, თუ არ უნდა გვაჭამოს ლუკმაპური ღმერთმა, ნუ გვაჭმევს...

— რას გაგიჩერებია საქონელი, გოგო? — მოესმა ძახილი.

გაიხედა და თავისი და — ჰაჯერი დაინახა. იგი მისკენ მოემართებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა გაჩერება შეიძლება? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ჰაჯერმა, — ვინ იცის, როგორ ამინდს დაიჭერს... ტანტა მოასწრო წვიმის დაწყებას! ამუშავე საქონელი, მორჩი საქმეს!

— თუ დაიწყებს წვიმას და დაიწყოს! — ჩაილაპარაკა აიშამ, — აღარ შემიძლია მეტი. ყველაფერი მომძულდა.

ჰაჯერი თვალებში მიაჩერდა დას და იკითხა: — ისმაილი როგორაა, ყური როგორ აქვს?

— რას იზამს, როგორ იქნება ისმაილი? წვალობს საცოდავი, ტკივილი ტანჯავს. როგორც იქნა ჩაეძინა, მარა რად გიხდა, მალე გაიღვიძებს და ისევ დაიწყება ტკივილი. გაიტანჯა ბავშვი, ისე დასუსტდა, ლანდი გასდის ყბაში. გუშინწინ მისდალი ბიძიამ მასწავლა, ყურზე უმი ხორცი მიადევი, ხორცის სუნზე მატლები გარეთ გამოვლენო. ვიშოვე ხორცი და როგორც მითხრა, ისე მოვიქეცი. მაგრამ რა გიხდა შენ, არც ამან მისცა შეღავათი ბავშვს. მატლები გარეთ არ გამოვიდნენ... — გაჩუმდა და თავსაფრის კიდით მოიწმინდა ცრემლი.

ჰაჯერმა უმწეოდ გაშალა ხელები და იკითხა: — რა უნდა ქნა, გოგო?

— რა ვიცი რა უნდა ვქნა! — ხელი ჩაიქნია აიშამ, — მუხტარის ცოლმა მითხრა, მეც მასე მტკიოდა ყური, ჰოდა, კამეჩის თბილი ფუნა დავიდევი ყურზე და მოვრჩიო... ესეც ვცადე, შევედი ბოსელში, ავიღე კამეჩის ფუნა და მივადევი ყურზე... ამაზე სულ გაგიჟდა საცოდავი ბიჭი: — თავის ტვინს მიხრავენ მატლები, დედიო! — ასტეხა ყვირილი... ახლა ქე ჩაეძინა, ძაგრად რომ გაიღვიძებს მერე აღარ ვიცი რა იქნება!

— ესე იგი მატლები არა და არ კვდებიან! — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა ჰაჯერმა.

— არ ვიცი, დაიკო! რა ვიცი მე? მეშინია, ძალიან მეშინია, ასე ამბობენ, ის მატლები თუ ყურიდან არ გამოვიდნენ გარეთ, ტვინში ავლენ და ბავშვს ტვინს გამოუჭამენო!

— ხუ ტირიხარ, ტირილით მაინც ვერაფერს უშველი ისმაილს, — შეეცადა ჰაჯერი დის დამშვიდებას.

კიდევ უხდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ქმრის ძახილი მოესმა. გაჩერდა და შეცბუნებულმა მიუგდო ყური: — სად გადაიკარგე შე ასეთო და ისეთის შვილო, ლაპარაკის დროა ახლა? ცოცხი, ცოცხი მოიტანე ჩქარა!

ჰაჯერმა მუხლებზე დაირტყა ხელისგულები და ფეხზე წამოხტა: — მომკლავს ჩემი კაცი. შეეიქეცი შენთან ლაპარაკს და სულ დამავიწყდა, რომ ცოცხის წასაღებად მოვედი! — იქვე დაგდებულ ცოცხს დაავლო ხელი და ძუნძულით გაიქცა.

აიშამ ცრემლით სავსე მზერა გააყოლა მიმავალ დას და ჩაილაპარაკა: — სანამ კევრზე შევდგებოდე, ისმაილს დავხედავ ერთს.

...აიშამ ბავშვს სველი დოლბანდი გადააძრო, ოფლი მო-სწმინდა და ის-ის იყო გაბრუნება დააპირა, რომ ბიჭმა გაღ-ვიძა და ტირილი დაიწყო:

— ოოჰ, დედი! გამომიხრეს მატლებმა ყველაფერი, ტვინი შემიჭამეს, ტვინი!

აიშა დაიხარა და როგორც შეეძლო ისე დაამშვიდა მტი-რალი: — შვილო, ისმაილ, ნუ ტირი, შვილო! მალე მორჩები და მერე ისევ ძველებურად ირბენ უდარდელად აღმა-დაღმა. გაგიცლის ყურის ტკივილი, მატლები გარეთ გამოვლენ და მორჩები!

— არა, დედი! — უიმედოდ გააქნია თავი ბიჭმა, — მე მოვკვდები. შენ არ იცი ტვინს როგორ მიღრღნიან, — წამოდ-გომა სცადა, დიდი გაჭირვებით წამოიწია. ამ დროს ყურზე მიკრული კამეჩის ფუნა ჩამოუვარდა.

აიშემ აიღო და ისე დაუპირა ყურზე მიდება: — მოიცა, შეგიბეევ ახლავე, შვილო!

— არ მომაკარო მაგი, არ მინდა, არა! — ხელები გაასავ-სავა ბიჭმა, — გამომიხრეს ტვინი, გამომიხრეს!

აიშამ თავი გააქანა, ქვითინი შეიკავა. ავადმყოფი მუხლე-ბზე გადაიწვინა და ყურში ჩახედა: ყურში არაფერი სჩანდა. სჩანს მატლები უფრო ღრმად მოკალათებულიყვნენ ყურში, საიდანაც ბალღამი სდიოდა. დედის მუხლებზე გადაწოლილი ბიჭი გულსაკლავად კრუსუნებდა.

აიშამ მოიხედა. კევრში შებმული ხარ-ძროხა სიცხეში იდგნენ და მოწყენილი, ნაღვლიანი მზერით დასჩერებოდნენ მიწას. გაჩერებული კევრი, ავადმყოფი შვილი, კიდევ უფრო უმატებდა ნაღველს აიშას.

„ეს მიწის შესაჭმელი გოგოც რომ არ მოვიდა ამდენ-ხანს? — ფიქრობდა იგი, — ამხელა გოგოა და იმისი მოფიქ-რებაც არა აქვს, ჩქარა დაბრუნდეს სოფლიდან და მომეხმა-როს!“

ისმაილი მეცხრე წელში იყო გადმდგარი, გოგო კი სამი წლით იყო ბიჭზე უფროსი.

„უქმური, უგულო გოგოა, უგულო! — განაგრძობდა ფიქრს აიშა, — ისმაილი რომ კარგად ყოფილიყო, ძას გავგზავ-ნიდი და გენახათ ერთი რა მალე მოირბენდა. სულ ჩიტივით მიფრინდებოდა... ის სამიწე კი... ოჰ, ჩემო შვილო ისმაილ, შარშან ამ დროს როგორ კარგად მყავდი, შენს თანატოლებში როგორ ტრიალებდი, რა მხიარული იყავი, როგორ ჯობდი ყვე-ლას. საიდან, როგორ შეგემთხვა ასეთი ფათერაკი? რატომ გა-გიჩნდა ყურებში მატლები? არა, ნამდვილად იქ, იზეთის ქორ-წილში გამითვალეს ბიჭი. გათვალულია, აბა სხვა რა უნდა იყოს? სოფელში ბევრს ატკენია ყური, მაგრამ, როგორც კი

ჩირქი წამოუვიდოდათ, მაშინვე ურჩებოდათ. ისმაილი აგერ მეთერთმეტე თვეა, რაც ყური სტკივა, ბოლო ნახევრში კი მატლებიც გაუჩნდა. მატლები პირველად იმ სამიწე გოგომ შეამჩნია და დამანახა... მაინც რატომ დააგვიანდა ამდენი იმ დასამიწებელს?“ — აიშამ მწუხარედ გადახედა შვილს, მერე მიტოვებულ კევრს და ბოლოს ისევ სოფლის გზას მიაპყრო მზერა.

ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა გოგო, საჭმელი მოიტანა ქილით და ურემთან მოკალათდა. აიშამ დატუქსა დაგვიანებისათვის, მერე ხარ-ძროხა გამოუშვა კევრიდან და წყალზე ჩადენა, მერე ურმის ჩრდილში მოკალათდა და სადილობას შეუდგნენ.

ისმაილი არ მიეკარა საჭმელს: გაუჩერებლად ტიროდა და ტიროდა:

აიშამ ჭამა მიატოვა, წამოდგა და გოგოს დაუძახა: — მე ქისდალი ბიძიასთან უნდა გადავიდე ერთი, შენ ისმაილს მიხედე. მე მალე დავბრუნდები!

გოგომ თავი დაუქნია და არხეინად განაგრძო ჭამა.

* * *

მისდალი ბიძია კალოზე პურს ანიავებდა. აიშა რომ დაინახა, საქმეს თავი ანება და ჰკითხა: — როგორაა საქმე, აიშა?

პასუხად აიშამ ტირილი ამოუშვა: — შენ გენაცვალე, ბიძია! მატლები ირევიან ბავშვის ყურში, მატლები! ხორცი შემოვაკარი, არაფერი ეშველა. კამეჩის ფუნა შემოვაკარი, მაინც არაფერი!.. მუხტარის ცოლმა თქვა, მატლები რომ გასჩენია, კარგია, ჩირქის დენას შეუწყვეტსო.

მისდალი ბიძიამ ფიწალი პურის ხვავზე მიაგდო, შარვალი დაიფერთხა, ჩაფიქრდა და თქვა: — ისმაილი ყველასათვის საყვარელი ბიჭია! საჩქაროდ უნდა მოვიფიქროთ რაღაცა!

აიშამ ცრემლით სავსე თვალებით იმედიანად შეხედა. — შენ გენაცვალე, ბიძია, იქნება უშველო რამე!

— ნუ გეშინია! — დაიმედა მისდალი ბიძიამ და ბიჭის სანახავად გაჰყვა.

* * *

ისმაილი ისევ ტიროდა და წვალობდა. მისდალი ბიძიამ მუხლებზე გადაიწვინა იგი, ყური წყლით მობანა, ჭვავის გამხმარი ღერი აიღო და ყური გამოუჩიჩქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ნახე, გამოჩნდნენ მატლები! — წამოიძახა და ყურის ნიჟარიდან გამოცვენილი მატლები დაანახა აიშას.

აიშამ ლოყაზე შემოიკრა ხელი და ავიშვიშდა.

— დანარჩენები მიიმალნენ! — ჩაილაპარაკა მისდალი ბიძიამ. — რაიმე საშუალება თუ ვერ გამოვნახეთ, გამოჭამენ მატლები ტვინს ისმაილს!

— მუხტარის ცოლს უთქვამს, ყურში მატლების გაჩენა კარგიაო! — ისევ გაიმეორა აიშამ.

— მუხტარის ცოლს რა გაეგება ყურისა და მატლისა? — მოულოდნელად გაბრაზდა მისდალი ბიძია, — ექიმია ის უნამუსო თუ რა? არა, რაღაცა საშუალება უნდა გამოვძებნოთ, აიშა, თორემ წახდა ბავშვი და ისაა!.. შენ მე მომისმინე და ქალების ბეჟუტურს ნუ უგდებ ყურს... სანამ ბიჭს ყური სულ არ გაფუჭებია, რაიმე საშუალება უნდა გამოვნახოთ.

აიშამ უმწეოდ გაშალა ხელები, თავი ჩაჰკიდა, დააჩერდა მიწას და ჩაილაპარაკა: — ლამისაა შევიშალო. რა ვქნა, რა მიწას მივცე თავი, აღარ ვიცი!

— რაღაცა უნდა ვუშველო ბიჭს! — დაფიქრებით, აკვიატებულად გაიმეორა მისდალი ბიძიამ.

— თქვენ უფრო იცით, ბიძია!

მისდალი ბიძია ჩაფიქრდა, სახეზე ჩამოისვა ხელისგული და წყნარად განაგრძო: — ხომ გინახავს, აიშა? ზოგჯერ ცხვარს დუმაზე გაუჩნდება მატლი. შენს ბიჭს სწორედ ისეთი მატლებითა აქვს სავსე ყური... იცი შენ რითი სპობენ იმ მატლებს მეცხვარეები?

— მაგი მე რა ვიცი, ცხვრის პატრონებმა იციან მაგი! — ჩაილაპარაკა აიშამ, — მგონი ასფინიკი ქვია მაგ წამალს, ზუსტად არ ვიცი...

— ჰოდა, ჩვენაც ასფინიკი უნდა ჩავასხათ ბიჭს ყურში! მე სხვა საშუალება არ ვიცი, ჩავასხამთ ასფინიკს და მატლები დაიხოცებიან!

— ბავშვს ყურში ასფინიკი ჩავასხათ?! — შეიცხადა აიშამ, — ეს რა სთქვი, მისდალი ბიძია?! სულ არ დავღუპოთ ბავშვი!

— ასეა, აიშა! სოფელში ცხოვრება მონობაზე უარესია. ქალაქში რომ ვყოფილიყავით, სანამ ყურში მატლები გაუჩნდებოდა, მანამდე ვუშველიდით ბიჭს, მივიყვანდით ექიმთან, მივცემდით ფულს და ისიც უმკურნალებდა, მოარჩენდა. მახსოვს, ინგლისელებს რომ ჩავუვარდი ტყვედ, იქ ერთს ასტკივდა ასე ყური. მოვიდა ექიმი და მაშინვე მოურჩინა... ეს ბავშვი რომ ქალაქში ყოფილიყო, მაშინვე მოურჩენდა ექიმი ყურს... აქ კი სხვა გამოსავალი არაა. ახლავე გააქციე გოგო სოფელში, მივიდეს მწყემსებთან და წამალი გამოართვას.

აიშა ხმამაღლა ატირდა. — ის წამალი სულ დაწოვეს სულ მომიკლავს ბავშვს.

მისდალი ბიძია გოგოს მიუბრუნდა: — გაიქეცი, გოგო, და იაზინების მწყემსებს ჩემი მოკითხვა გადაეცი, უთხარი ასფინიკის ბოთლი გამოგატანოს.

გოგომ ჯერ დედას შეხედა, მერე მისდალი ბიძიას, მერე მოწყდა ადგილს და თავპირისმტვრევით გაიქცა დავალების შესასრულებლად.

მისდალი ბიძიამ თვალი გააყოლა და როცა გოგო თვალს მიეფარა, მიუბრუნდა აიშას და უთხრა: — ბავშვის ყურში ასფინიკი არ ჩაისხმებაო, ამბობ, არა? მეც ვიცი, რომ არაა კარგი მაგი. ის შავი, თხევადი წამალი, სადაც კი დაეწვეთება, იმ ადგილს სულ ერთიანად წვავს... მაგრამ რას იზამ, როცა ბავშვს ყურში მატლები აქვს?

აიშამ თავი გააქნია და ცრემლი მოიწმინდა. მისდალი ბიძიამ კი მცირე ფიქრის მერე განაგრძო: — ორმოცდაცამეტ წელში საშინელი ბღერი შემეყარა. ისე მექავებოდა ტანი, სული მიმდიოდა პირდაპირ. ტყავი სულ ერთიანად გადამძვრა და სისხლმა დამიწყო დენა. ვერაფერი საშუალება ვერ გამოვნახე. ბოლოს სოფელში მასწავლეს, ადამიანის განავალი უნდა წაისვაო. როგორი წასასმელია მაგი, ქე იცი შენ. მაგრამ სოფელში რომ ცხოვრობ და სხვა საშუალება არაა, მეტი რა გზა გაქვს? მეც ავდექი და წავისვი. მერე ოთხი საათი მზეზე ვიდექი შიშველი... ახლაც ასეა, სხვა გამოსავალი არაა და უნდა ჩავასხათ ასფინიკი ისმაილს ყურში. ისმაილი გადარჩება, გამოკეთდება, გაიზრდება, იყიდის მეორე ხარს და ქე ამოგიდგება მხარში.

აიშამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ მისდალი ბიძიამ არ დაანება:

— დაჯექი, დაჯექი!.. ასე ნუ მოეშვები და დარდს ნუ მიეცემი, შვილო! ახლა გინდა მოთმინება და გაძლება შენ... რატომაა მაინც, რომ ამ ქალებს ტირილის მეტი არაფერი შეგიძლიათ! შენი ტირილით ბავშვი მორჩება თუ რაშია საქმე?

აიშა, თითქოს მისი სიტყვები არ ესმისო, ისევ იცრემლებოდა და თავისთვის იმეორებდა: — ასფინიკი... ასფინიკი, არა?

ბიჭი კი გაუჩერებლად ტიროდა, და დროდადრო ერთსა და იმავეს იმეორებდა: — თავის ტვინი გამომიჭამეს მატლებმა, დედი!

მისდალი ბიძია ბიჭს თავზე უსვამდა დაკოჭრილ ხელს და აშოშმინებდა: — ნუ სტირი, ისმაილ! დიდი ხარ უკვე და სირ-

ცხვილია ტირილი! ეხლა შენი და ასფინიკს მოიტანს, ჩაგდებენ ვეთებთ ყურში, დაიხოცებიან მატლები და მორჩები!

აიშა მძიმედ, მუხლებზე ხელისგულებდაყრდნობით წამოდგა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და სოფლის გზას გახედა

— რას ხედავ, აიშა, ხომ არ მოდის გოგო? — შეეკითხა მისდალი ბიძია.

— მოდის, მოდის! — წამოიძახა აიშამ, — ხელში ბოთლი უჭირავს და ქარიგით მოქრის საცოდავი გოგო.

ქ. ბათუმი
Краевского №14
кв. 9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჯ უ ჯ ა 3
აჰ, მ ქ ი მ ო! 9
თ ო ფ ი ს შ ე მ კ ე თ ე ბ ე ლ ი 15
მ უ ტ რ უ კ ი 21
ფ ა ლ ი მ-ა ლ ა ს წ ი ს ქ ვ ი ლ ე ბ ი 30
თ ა მ ა შ ი 37
შ ა ჰ ა ნ ი 46
ხ ო ზ ი კ ი ა ნ ი ყ ა ნ ა 54
მ ო ხ უ ც ი მ ე კ ე ხ ე 63
ბ ე დ ნ ი ე რ ი ს ი ბ ვ ლ ი ლ ი 72
ბ ო რ ფ ლ ი ა ნ ი ქ ა ლ ი 81
თ ი თ ო-თ ი თ ო დ შ ე მ ო ლ ი თ! 92
ს ა ხ ლ ი ს ს ა ფ ე ნ ი ქ ვ ა 102
რ ჯ უ ლ ი ს ს ა ბ ა ნ ი 115
ჩ ვ ი ლ ბ ე ტ ი თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი ი ყ ო... 127
ქ რ თ ა მ ი 132
კ ო მ ბ ა ი ნ ი 139
უ ბ ა რ ბ ი ს ი ბ ი ბ ი 151

วัดการอยู่ราก
จังหวัดกาฬสินธุ์